ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ხელოვნება

1977 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი გამოდის
1921 წლიდან

3/1977

# საბჭოთა ხელოვნება

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
ყოველთვიური ჟურნალი

თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
ქორეოგრაფია

## შინაარსი

საქართველოს მხატვართა მეცხრე ყრილობა . . . . . 3
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა . . . . . 3
ვიქტორია სირაძე —
ეპოქის მხატვრული სახე . . . . . 9
ნოდარ ჯანბერიძე —
ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების ტენდენციები და შემოქმედებითი კავშირი . . . . . 16
ახალგაზრდა მხატვრების წარმატება . . . . . 18
გურამ ქუთათელაძე —
მხატვრის მიზანი — დღევანდელობა . . . . . 34
გიორგი ოჩიაური —
მეტი ყურადღება დაზგურ ხელოვნებას . . . . . 36
რადიშ თორდია —
ქართული ფერწერა — ახალი გზები, ახალი პრობლემები 38
ალდე კაკაბაძე —
დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება დღევანდელობის სამსახურში . . . . . 40
გიორგი გუნია —
სცენოგრაფიის ქართული სკოლის წარმატებები . . . 42
მამია ახობაძე —
ახალგაზრდობას ფართო გზა . . . . . 43
თამაზ ჭილაძე —
საერთო მიზანი . . . . . 44
დიმიტრი ალექსიძე —
ცხოვრების ფერხულში . . . . . 48
ანაიდა ბესტავაშვილი —
„ზეშთაგონების ძლიერება..." . . . . . 52
ლამარა დოლონაძე —
მარინე თბილელი . . . . . 61
გაიანე ალიბეგაშვილი —
შექსპირი ქართველ თეატრის მხატვართა შემოქმედებაში 69
სულხან ცინცაძე —
ჭეშმარიტად თანამედროვე ანსამბლი . . . . . 76
ჯუმბერ ჭორჩილავა —
ბარბალე ყიფიანი . . . . . 79
სოლომონ ხუციშვილი —
შეხვედრები და ჩანაწერები . . . . . 83
ნანა მირცხულავა —
ქეთევან მაღალაშვილის პორტრეტების ციკლი „ელენე ახვლედიანი" . . . . . 85
ნინო ჩიხლაძე —
მსახიობის გახსენება . . . . . 88
ვახტანგ ბერიძე —
მხატვრის ხსოვნას . . . . . 90
გულბათ ტორაძე —
ანასტასია ვირსალაძე . . . . . 91
ვახტანგ დავითაია —
გულდა კალაძის ნამუშევართა გამოფენა . . . . . 98
ელეონორა ექსანიშვილი —
ბალაკირევი და საქართველო . . . . . 104
ლადო გუდიაშვილი —
მოგონებების წიგნი . . . . . 106
ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ახალი ლაურეატები . . . . . 112
კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ახალი ლაურეატები . . . . . 113
ქრონიკა . . . . . 114

მთავარი რედაქტორი
თამაზ ჭილაძე
სარედაქციო კოლეგია:
აკაკი ბაქრაძე,
ვახტანგ ბერიძე,
ჯუმბერ თითმერია
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნოდარ გაბუნია,
ვასილ კიკნაძე,
ნოდარ მგალობლიშვილი,
ზურაბ ნიჟარაძე,
გივი ორჯონიკიძე,
ნათელა ურუშაძე,
რევაზ ჩხეიძე,
ანტონ წულუკიძე,
ნიკო ჭავჭავაძე,
ნოდარ ჯანბერიძე.

# საქართველოს მხატვართა

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითადად მიესალმება საქართველოს მხატვართა მეცხრე ყრილობას და ნაყოფიერ მუშაობას უსურვებს მას.

ქართველი მხატვრები თავიანთ ყრილობაზე შეიკრიბნენ მთელი საბჭოთა ხალხისათვის ღირსშესანიშნავ დროს. დაიწყო მეათე ხუთწლედის მეორე წელი, რომლის დიადი გეგმები განსაზღვრა ლენინური კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ, რომელმაც საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური, კულტურული განვითარების გრანდიოზული პროგრამა დაგვისახა.

პარტიის მიერ შემოქმედი ინტელიგენციის საქმიანობისათვის მიცემული დიდი შეფასება, საბჭოთა ხელოვნების ოსტატთა შემოქმედებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება საქართველოს მხატვრებს შთააგონებს კიდევ უფრო საინტერესოდ ასახონ გმირული ბრძოლა, რომელსაც რესპუბლიკის მშრომელები ეწევიან სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილების ღირსეულად შესრულებისათვის.

საქართველოს მხატვართა მერვე ყრილობის შემდეგ განვლილი პერიოდი რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების ოსტატთა ახალი დიდი მიღწევებით, მშრომელთა იდეურ-ესთეტიკურ და ზნეობრივ აღზრდაში მხატვრობის როლის ზრდით აღინიშნა.

მოქალაქეობრივი პათოსი, სოციალური მიმართულება, დიდი პროფესიული ოსტატობა განსაზღვრავს რესპუბლიკაში და საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების დამსახურებულ აღიარებას, შინაარსით სოციალისტური, სულისკვეთებით ინტერნაციონალური და ფორმით ეროვნული საბჭოთა კულტურის განვითარებაში გაღებულ მის წვლილს.

ასულდგმულებდეთ ხალხის ცხოვრება, მუდამ იყვნენ მოვლენათა შუაგულში, სოციალისტური რეალიზმის მეთოდით ასახავდნენ საბჭოთა ადამიანების დიად საბრძოლო და შრომითს გმირობას, ქმნიდნენ ჩვენი სამშობლოს დღევანდელობის ამსახველ მაღალიდეურ და მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, ლაზათს მატებდნენ ჩვენს ყოფა-ცხოვრებას, ამაღლებდნენ სახვითი ხელოვნების როლს ხალხის ცხოვრებაში, იყვნენ პარტიის ერთგული თანაშემწენი — ეს მთავარ ამოცანად უნდა მიიჩნიონ შემოქმედმა ინტელიგენციამ, ყველა თაობის ფუნჯისა და საჭრეთლის ოსტატებმა, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ, რომლის იდეურ-ესთეტიკური და პროფესიული აღზრდა პარტიისა და ხალხის ყურადღების ცენტრში დგას, რაც ნათლად გამოიხატა ახალგაზრდა შემოქმედ ინტელიგენციასთან მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილებით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ ქართველი მხატვრები მთელ თავიანთ ძალღონეს, ნიჭსა და უნარს მოახმარენ დიადი ჰუმანისტური მოვალეობის სამსახურს, და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი იუბილეს წელს შექმნიან ჩვენი ეპოქის შესაფერის ახალ ნაწარმოებებს, ღრმა რევოლუციურობით, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის გრძნობით გამსჭვალულ ნაწარმოებებს, რომლებიც ზრდის კაცობრიობის კომუნისტური მომავლის ერთგულ და თავდადებულ მშენებლებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეცხრე ყრილობა

19-20 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობდა საქართველოს მხატვართა IX ყრილობა. რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების ოსტატებმა განიხილეს განვლილი ოთხი წლის შემოქმედებითი მუშაობის შედეგები და იმსჯელეს ამოცანებზე, რომლებიც მათ წინაშე დააყენა სკკპ ისტორიულმა XXV ყრილობამ.

ყრილობას ესწრებოდნენ სტუმრები მოსკოვიდან, მოკავშირე რესპუბლიკებიდან, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

ყრილობის პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები პ. გილაშვილი, ა. ინაური, თ. მენთეშაშვილი, ზ. პატარიძე, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, ზ. ჩხეიძე, შ. შარტავა, ო. ჩერქეზია, ს. ხაბეიშვილი.

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა უხუცესმა მხატვარმა, სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა სოციალისტური შრომის გმირმა ლადო გუდიაშვილმა, საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ნ. ჯანბერიძე.

ყრილობაზე გამოვიდნენ მხატვართა კავშირის მდივნები — გ. ქუთათელაძე, გ. ოჩიაური, ფერწერის სექციის თავმჯდომარე — რ. თორდია, გამოყენებით-დეკორატიული სექციის ბიუროს წევრი ა. კაკაბაძე, თეატრისა და კინოს სექციის თავმჯდომარე — გ. ბუნია, ახალგაზრდა მხატვართა და ხელოვნებისმცოდნეთა გაერთიანების თავმჯდომარე მ. ახობაძე, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მთავარი რედაქტორი შ. ჭილაძე, (მათი სიტყვები იბეჭდება ჟურნალის ამ ნომერში).

სარევიზიო კომისიის მდივანმა რუსუდან ჯავრიშვილმა საანგარიშო მოხსენებაში დელეგატებს გააცნო ამ კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგები, ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ დახმარებას უწევდა კომისია მხატვართა კავშირის ხელმძღვანელობას ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, როგორც შემოქმედებითი, ისე ორგანიზაციული მუშაობის სხვადასხვა უბანზე; ყურადღება გაამახვილა წარმატებებსა და ჯერ კიდევ არსებულ ხარვეზებზე, კერძოდ, შეეხო საგამოფენო კომიტეტის ლიბერალიზმს, მის შეუწყობელ საქმიანობას. ილაპარაკა ხელოვნებისმცოდნეობისა და კრიტიკის ჩამორჩენაზე მხატვრობის პროპაგანდის საქმეში და სამხატვრო ფონდის მუშაობის ზოგიერთ მტკივნეულ საკითხზე. „სამხატვრო-საწარმო კომბინატმა — აღნიშნა მან — ვერ იქნა და ვერ დააღწია თავი უხეშ დარღვევებს მხატვართა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების საქმეში. სამხატვრო ფონდის საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესება, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება ჩვენს უპირველეს ამოცანად უნდა იქცეს, სამხატვრო ფონდის ჯეროვნად წარმართული საქმიანობა — ეს ნიშნავს ზრუნვას მხატვარზე, შემოქმედებითი კავშირის წევრებზე, ადამიანზე, რომელიც ქმნის მაღალი მხატვრული ღირებულების კულტურულ და სულიერ ფასეულობას“.

საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის მდივნის, სამხატვრო ფონდის გამგეობის თავმჯდომარის გენო გელაშვილის მოხსენებაში გაშუქებული იყო ფონდის მუშაობის დადებითი და ნაკლოვანი მხარეები. მან დელეგატებს მოაგონა, რომ მხატვართა მატერიალური და ეკონომიური მტკიცე ბაზის შესაქმნელად, — ამ დიდი ამოცანის შესასრულებლად საქართველოს სამხატვრო ფონდს გააჩნია — თბილისში — სამხატვრო-საწარმო კომბინატი, ლილოს ქანდაკების კომბინატი და სოხუმში, ბათუმში, ცხინვალსა და ქუთაისში არსებული სამხატვრო სახელოსნოები, გარდა საკუთარი ბაზებისა, საქართველოს მხატვართა კავშირს გარკვეულ დახმარებას უწევს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო. მხატვართა მიმართ ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის უდიდესი ზრუნვის გამოხატულებაა იმ თანხების გამოყოფა, რომელიც ყოველწლიურად ხმარდება მათი საყოფაცხოვრებო და შემოქმედებითი პირობების გაუმჯობესებას.

გ. გელაშვილმა დაწვრილებით ილაპარაკა ფონდის საქმიანობის პრინციპებზე, იმ შემოქმედებით შედეგებზე, რისთვისაც ქართველმა მხატვრებმა დაიმსახურეს ლენინური, სახელმწიფო და რუსთაველის პრემიები, ყრილობას გააცნო საანგარიშო პერიოდის გეგმები, ამ გეგმების შესრულებით შემოსული შემოსავალი და ის, თუ რას და როგორ ხმარდება იგი. შეჩერდა აგრეთვე რიგ სიძნელეებსა და მოსაგვარებელ პრობლემებზე.

საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის აფხაზეთის განყოფილების თავმჯდომარემ სერგო გაბელიამ თავის სიტყვაში, პირველ ყოვლისა, აღნიშნა მათი კავშირის წევრთა სასიხარულო რიცხობრივი ზრდა ნიჭიერი ახალგაზრდული ძალებით და ისაუბრა თვალსაჩინო მხატვრულ ღონისძიებებზე, რომლებიც აფხაზეთის მხატვართა კავშირმა განახორციელა სოხუმში, თბილისსა და მოსკოვში გამართული დიდი გამოფენების სახით. მოპოვებულია გარკვეული წარმატებები, მაგრამ გვაქვს გადასაწყვეტი პრობლემებიც — აღნიშნა მან.

აფხაზეთში მომუშავე მხატვრებმა, — თქვა სერგო გაბელიამ, — თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს საზოგადოებრივი შენობების მონუმენტურ-დეკორატიულ გაფორმებაში, მოცულობით-სივრცობრივი ამოცანების გადაწყვეტაში. ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმდინარეობს საკურორტო ობიექტების გაფორმების დიდი კომპლექსური სამუშაოები, რომლებსაც საქართველოს წამყვანი მხატვრები ასრულებენ. ეს, რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ სასურველი იქნებოდა ამ სამუშაოებში ჩაგვება ადგილობრივი ახალგაზრდა მხატვრებიც. ეს მათთვის იქნებოდა კარგი სკოლაც და, მეორე მხრივ, მატერიალური ბაზაც. ორატორმა ყურადღება გაამახვილა აფხაზეთის მხატვრულ-საწარმოო სახელოსნოების არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაზე, სათანადოდ მოწყობილი სამხატვრო გალერეის დიდ საჭიროებაზე სოხუმისათვის, სადაც, სხვა რომ არაფერი, ყოველწლიურად ურიცხვი საბჭოთა და უცხოელი ტურისტი ჩამოდის. აუცილებელი ხდება ამჟამინდელი საგამოფენო დარბაზის სრული რეკონსტრუქცია და საამისოდ პერსპექტიულ გეგმაში თანხების გათვალისწინება. ჩვენი მხატვრების შემოქმედებას მეტი პროპაგანდა ჭირდება ბუკლეტებით, პრესაში, ტელევიზიაში. — თქვა მან.

თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორმა, პროფესორმა ᲒᲝᲒᲘ ᲗᲝᲗᲘᲑᲐᲫᲔᲛ თავის გამოსვლაში ილაპარაკა თბილისის სამხატვრო აკადემიის აღზრდილთა მიერ მოპოვებულ საგულისხმო შემოქმედებით წარმატებებზე, სასწავლო პროცესისა და ცხოვრების, მხატვრებისა და ხალხის ურთიერთკონტაქტის განმტკიცებაზე. ამასთან კავშირში, აღინიშნა, რომ ბოლო დროს მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნილება გამოყენებითი დარგის კვალიფიციურ მხატვრებსა და ამ პროფილის მხატვართა გამოშვება. მაგრამ კადრები დიდ სიძნელეს აწყდებიან სამუშაოზე მოწყობის საქმეში. საწარმოებში მხატვრის საშტატო ერთეულების უქონლობის გამო ისინი ინჟინერ-ტექნიკურ ან ადმინისტრაციულ თანამდებობებზე ირიცხებიან და სათანადო ანაზღაურებას ვერ იღებენ, არც პირობები გააჩნიათ ნორმალური მუშაობისათვის. ამიტომაც ამ დარგის სპეციალისტები იძულებული არიან სხვა სფეროში იმუშაონ. აუცილებელია მათ შევუქმნათ ნაყოფიერი პირობები შემოქმედებისათვის. ამაზე მიგვითითებს სწორედ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „შემოქმედებითს ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“.

ბოლო დროის გამოფენებზე ყურადღება მიიქცია მთელი რიგი ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევრებმა, რომლებშიც ავტორებმა შესძლეს არასტანდარტულად გადაეწყვიტათ ტრადიციული თემები. ამ ნამუშევრებში იგრძნობა ჩვენი სინამდვილის პოეტურად ასახვისა და მოვლენების საკუთარი ხედვით გადმოცემის სურვილი. თუმცა, აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ახალგაზრდების ნამუშევრები ზოგჯერ ზედაპირულია. მათში აშკარად იგრძნობა ნაცნობ სახეთა „ციტირება“, მხატვრული ხერხებით „ტკბობა“, რასაც გაუმართლებელ სტილიზაციამდე მიჰყავს მხატვარი.

უდიდესი რეზონანსი ჰქონდა საბჭოთა ქვეყნისა და სოციალისტური ქვეყნების ხელოვნების მრავალრიცხოვან გამოფენებს საზღვარგარეთ, იაპონიაში, იტალიაში, ინდოეთში და სხვა ქვეყნებში. ამ გამოფენებმა აშკარად ცხადყო საერთო ინტერესი რეალიზმის ხელოვნებისადმი.

მით უფრო საოცარია ზოგიერთი ახალგაზრდა მხატვრის და სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა გატაცება მოდერნისტული და ფსევდორეალისტური მიმდინარეობებით. გ. თოთიბაძე ლაპარაკობს იმ ღონისძიებებზე, რომლის გატარება საჭირო ხდება აკადემიაში ახალგაზრდა მხატვართა სწავლებისა და აღზრდის საქმის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. მხოლოდ სამხატვრო აკადემიის მხატვართა კავშირისა და კულტურის სამინისტროს შეთანხმებული, კოორდინირებული მუშაობა, მათი პოზიციების ერთობლიობა მოგვცემს საჭირო ეფექტს ამ მხრივ, ჩვენ ერთად უნდა გადავწყვიტოთ ახალგაზრდა მხატვრების აღზრდისა და წინსვლის, მათი შემდგომი ბედის საკითხები.

საქართველოს მხატვართა კავშირის აჭარის განყოფილების თავმჯდომარე ᲛᲐᲛᲣᲓ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ ლაპარაკობს ამ კოლექტივში გაერთიანებული მხატვრების ნაყოფიერ შემოქმედებითსა და საგამოფენო მოღვაწეობაზე, ხალხის მზარდ ინტერესზე მხატვრობისადმი. მომხსენებელმა განსაკუთრებით გამოჰყო ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი ლადო გუდიაშვილი არჩეულია ბათუმის საპატიო მოქალაქედ და მას მინიჭებული აქვს აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

მ. ბოლქვაძემ ილაპარაკა პერსონალური და მოძრავი გამოფენების გამართვის კარგ პრაქტიკაზე აჭარაში, რესპუბლიკის პერიფერიებში მცხოვრები მხატვრების ნამუშევართა ექსპონირებაზე, ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრების შემოქმედებით მიღწევებზე. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ნაკლზეც კავშირის მუშაობაში, კერძოდ, ილაპარაკა შემოქმედებითი მივლინებების არასისტემატურ ხასიათზე, ხალხის ცხოვრებასთან არასაკმაო კავშირზე, რაც მხატვრებს დაეხმარებოდა შეექმნათ კარგი ნაწარმოებები შრომის თემაზე.

მ. ბოლქვაძემ თქვა, რომ აჭარის მხატვართა კავშირის დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით განზრახული აქვთ გამოსცენ საიუბილეო ალბომი ფერადი რეპროდუქციებით, და რომ მუშაობა ამ მხრივ უკვე დაწყებულია. იგი დიდ მადლიერებას გამოსთქვამს კულტურის სამინისტროს და მხატვართა კავშირის ხელმძღვანელობისადმი იმ გულისხმიერებისა, ყურადღებისა და ზრუნვისათვის, რომელსაც ისინი იჩენენ აჭარაში მომუშავე მხატვრების მიმართ.

მ. ბოლქვაძე აყენებს მათი კავშირის წევრი ახალგაზრდა მხატვრებისათვის შემოქმედებითი პირობების გაუმჯობესების საკითხს. იგი მართებულად აღნიშნავს, რომ საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი საკურორტო ქალაქი, სანაოსნო ცენტრი — ბათუმი უკიდურესად ღარიბია მონუმენტური ქანდაკებით. სასურველია გამოცხადდეს კონკურსი ბათუმში ძეგლის აღსამართავად.

საქართველოს სახალხო მხატვრის, მოქანდაკე ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲫᲘᲡ გამოსვლა მიეძღვნა ქართული ქანდაკების საკითხებს. ქართული ქანდაკების განვითარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა დროის კვალდაკვალ მიდის წინ, — თქვა მან — კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ახლა შექმნილია უფართოესი შესაძლებლობანი ნიჭის გამოვლენისა და განვითარებისათვის, რაც უფრო მძაფრად გრძნობს მხატვარი ცხოვრების რიტმს, მით უფრო შთამბეჭდავი იქნება მისი ქმნილება. ასე იყო წინათ, ასეა ახლაც და ასე იქნება მომავალში.

დიდი მომავალი აქვს მონუმენტურ-დეკორატიულ ხელოვნებას. თანამედროვე სამშენებლო ტექნიკა უდიდეს შემოქმედებით შესაძლებლობებს ხსნის. სამწუხაროდ, ზოგიერთი საპროექტო ორგანიზაცია სათანადოდ ვერ აფასებს არქიტექტორების, მოქანდაკეების, ფერმწერლების, კერამიკოსთა და სხვათა კოლექტიური შრომის ამა თუ იმ კომპლექსის, ანსამბლის, არქიტექტურული ნაგებობების შექმნაში.

ვ. თოფურიძე მიუთითებს სახლებისა თუ კვარტალების შაბლონურობასა და სტანდარტულობაზე, მხოლოდ სამშენებლო სამუშაოთა ხარისხით რომ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

შემდეგ იგი ეხება ახალგაზრდობის დაოსტატებისთვის სსრკ სამხატვრო აკადემიის სპეციალური შემოქმედებითი სახელოსნოების ნაყოფიერ მუშაობას. ეს სახელოსნოები არსებობს მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, თბილისში. ახალგაზრდებს აქ ყოველგვარი პირობები აქვთ შექმნილი, ისინი ოსტატობას იმაღლებენ სსრკ სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსთა ხელმძღვანელობით.

ვ. თოფურიძე აღნიშნავს, რომ საჭიროა გავაუმჯობესოთ ქანდაკების კომბინატის მუშების, ოსტატების, მოსამსახურეთა მუშაობის პირობები. იმის გამო, რომ კომბინატში ჯერჯერობით ზოგი რამ მოუმთავრებელია, არ აქვთ ყველა აუცილებელი მოწყობილობა, სამუშაოთა განხორციელება მეტად რთულია. გასაოცარია, ასეთ პირობებში როგორ ჩამოისხა ბრინჯაოდან რიგი დიდი ნაწარმოებები.

ვიმედოვნებთ, რომ ეს პრობლემები უახლეს ხანში გადაწყდება.

საქართველოს მხატვართა კავშირის ქუთაისის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე ჯემალ ფაჩუაშვილი პირველ ყოვლისა აღნიშნავს იმ წარმატებებს, რომლებმაც საერთო აღიარება მოუპოვა ქართულ მხატვრობას. როცა თვალს ვავლებთ საანგარიშო პერიოდს, — თქვა მან, — მარტო ქუთაისის სინამდვილეში კი ვიხსენებთ თვალსაჩინო, თავისი შინაარსით მნიშვნელოვან ღონისძიებებს, როგორიც იყო, ვთქვათ, საკავშირო და რესპუბლიკური შეკრებები სახალხო მეურნეობის, კულტურისა და ხელოვნების საკითხებზე, ღირსახსოვარი თარიღები, რევოლუციური პოეზიის დღესასწაულები, კინოფესტივალი, მეცნიერთა საკავშირო სიმპოზიუმები, ალმანახ „განთიადის“ გამოცემა, სამხატვრო გალერეის გახსნა და სხვ. ამ მოვლენებმა დიდი გამოძახილი ჰპოვეს ფართო საზოგადოებაში.

ახლა ჩვენი მთავარი ამოცანაა ქუთაისის სამხატვრო გალერეა გადავაქციოთ ქართული კულტურის პროპაგანდის, ესთეტიკურად ჩამოყალიბებისა და ამაღლების მძლავრ კერად. განსაკუთრებულია პარტიის საქალაქო კომიტეტის მხარდაჭერა და დახმარება. ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული.

შემდგომი შემოქმედებითი მუშაობის მეტი ნაყოფიერებისათვის, ჩვენი აზრით, კარგი იქნება, თუ ქუთაისში გაიხსნება სამხატვრო აკადემიის მოსამზადებელი განყოფილება, აგრეთვე სამხატვრო პროფტექნიკური სასწავლებლი, რომელიც მოამზადებს კადრებს სახალხო მეურნეობისათვის.

ახალგაზრდა მხატვრების შემოქმედებას, ღირსებებთან და მიღწევებთან ერთად გააჩნია ნაკლიც, რომელიც დღეს შეიძლება უმნიშვნელოდ მიგვაჩნდეს, მაგრამ ხვალ თვალსაჩინოდ იქცეს. ეს გახლავთ ზოგიერთი ახალგაზრდა მხატვრის სწრაფვა ზედაპირული ეფექტებისაკენ, სტილიზატორობისაკენ, რასაც თითქოს ინდივიდუალობის გამოვლენა უდევს საფუძვლად, მაგრამ სინამდვილეში არასათანადო პროფესიული ოსტატობის შენიღბვას მოწმობს და რთული თემიდან „თავის დაღწევის“ საშუალებად გვევლინება. საჭიროა ამას მივაქციოთ სათანადო ყურადღება, რათა ახალგაზრდა შემოქმედი ჩიხში არ მოექცეს. უნდა ხდებოდეს გამოფენების დეტალური განხილვა და ამასთან ექსპონატების უფრო მკაცრად შერჩევა რესპუბლიკური თუ საკავშირო გამოფენებისათვის.

ვფიქრობთ, სასურველი იქნება, თბილისის მსგავსად, რესპუბლიკის რამდენიმე ქალაქში — ვთქვათ, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში შეიქმნას შემოქმედებითი ახალგაზრდობის ცენტრები, რომელთა საქმიანობის კოორდინაციას იკისრებს რესპუბლიკური ცენტრი.

საქართველოს მხატვართა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების თავმჯდომარე გრიგოლ დოგუზოვი ყრილობას მოახსენებს, რომ განვლილ პერიოდში სამხრეთ ოსეთის მხატვართა კოლექტივმა ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა გასწია. გაიმართა 28 გამოფენა, მათ შორის ოთხი ახალგაზრდული, კავშირის ხელმძღვანელობა სისტემატურად ზრუნავს ახალგაზრდა მხატვრებზე, მათთან იდება ხელშეკრულებები, ეძლევათ შემოქმედებითი მივლინებები... ხელოვნებისმცოდნეობა და კრიტიკა გარკვეულად ეხმარება ახალგაზრდებს შემოქმედებით ჩამოყალიბებაში.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ,—ამბობს გ. დოგუზოვი, — რომ ბოლო დროს საგრძნობლად გვეხმარება სამხატვრო ფონდი. მხატვართა სახელოსნოებისათვის სათავსების მიშენება შესაძლებლობას მოგვცემს 9-10 ახალგაზრდა მხატვარს შევუქმნათ შემოქმედებითი მუშაობის პირობები. მაგრამ ეს არ იქნება საკმარისი. უნდა ვეცადოთ განხორციელდეს მხატვართათვის მატერიალური ბაზის განმტკიცების ღონისძიებანი, რომლებიც 1974 წელს დაისახა. საჭიროა ცხინვალში აშენდეს საცხოვრებელი სახლები და სახელოსნოები მხატვართათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მტკივნეული საკითხია ჩვენი მხატვრების შემოქმედების პოპულარიზაციის საკითხი. მომწიფდა იმის საჭიროებაც, რომ გამოიცეს წიგნი სამხრეთ-ოსეთის სახვით ხელოვნებაზე, გაფართოვდეს ჩვენი სურათების გალერეა.

სამხრეთ ოსეთის მხატვართა ორგანიზაცია დიდად მადლიერია საქართველოს მხატვართა კავშირის ხელმძღვანელობის, რომელიც ძალზე ყურადღებიანი და გულისხმიერია ჩვენი მუშაობისადმი. ვიმედოვნებთ, რომ შემდგომში ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო გაღრმავდება და კიდევ უფრო კარგ შედეგებსაც გამოიღებს.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ივანე ჩხენკელი ლაპარაკობს შემოქმედებითი კონტაქტების დიდ მნიშვნელობასა და მისი განმტკიცების საჭიროებაზე. ამას მოითხოვს თანამედროვე ცხოვრება.

საჭიროა არქიტექტორებისა და მხატვრების ერთობლივი მოღვაწეობა ქალაქთმშენებლობის პრობლემების გადაწყვეტისას, — თქვა მან, — მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს ორგანიზაციულად და მატერიალური ანაზღაურების მხრივ — ეს საკითხი მოსაგვარებელია. არადა, საჭიროა ერთობლივად ვიფიქროთ ჩვენი ქალაქებისა და სოფლების მხატვრული სახის ჩამოყალიბებაზე.

მხატვრული ქმნილება უნდა შეფასდეს მისი სოციალური მნიშვნელობით, მხატვრული ღირსებით, შემოქმედებითი პოტენციით და არა კვადრატული მეტრებით, რაც არცთუ იშვიათად ბადებს დაბალი მხატვრული დონის ნაწარმოებს. უნდა მოიძებნოს ისეთი ორგანიზაციული სისტემა, რომელიც გზას ჩაუკეტავს ყოველგვარ უღირს ნაწარმოებს. ამ და სხვა მრავალი საკითხის განხილვა უნდა ხდებოდეს ჩვენს ერთობლივ თათბირებსა და პლენუმებზე.

საქართველოს დამსახურებული მხატვარი მორის თალაკვაძე აღნიშნავს, რომ საჭიროა ქანდაკების კომბინატის მშენებლობის დასრულება; რომ ჯერჯერობით იქ ყველა პირობა როდია შექმნილი ნორმალური მუშაობისათვის.

რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი თენგიზ მირზაშვილი რამდენიმე საკითხს შეეხო. პირველ ყოვლისა, ხაზი გაუსვა ბავშვთა ნახატების მუზეუმის დიდ მნიშვნელობას მოზარდთა მხატვრული აღზრდის საქმეში. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და მხატვართა კავშირის თაოსნობით სამი წლის წინათ დაარსებული ეს მუზეუმი დიდ საქმეს აკეთებს ბავშვთა შემოქმედების შეგროვებით, დაცვითა და ექსპონირებით. ამასთან, სწორედ აქ იქმნება შესაძლებლობა გამოვლინდნენ განსაკუთრებული მონაცემების ბავშვები. თ. მირზაშვილი აღნიშნავს, რომ მუზეუმი ჯერჯერობით მხოლოდ თბილისელ ბავშვებს აერთიანებს. ტრანსპორტის უქონლობის გამო გართულებულია საქართველოს სხვადასხვა რაიონში მცხოვრებ ნორჩ მხატვრებთან კონტაქტი. დასვენების დღეებში ბავშვების ქალაქგარეთ გასაყვანად ასევე მიზანშეწონილი იქნებოდა სპეციალური დანიშნულების ავტობუსის გამოყოფა. თ. მირზაშვილმა წინადადება შემოიტანა ბავშვთა ხელოვნების მუზეუმს ეწოდოს ელენე ახვლედიანის სახელი.

მომხსენებელი ლაპარაკობს კულტურის სამინისტროსთან არსებულ ხელოვნების ძეგლთა ფიქსირების ექსპერიმენტული ლაბორატორიის დიდად ნაყოფიერ საქმიანობაზე. იმისათვის, რომ ეს საქმიანობა უფრო ამაღლდეს, ლაბორატორიას ჭირდება უახლესი ტექნიკით ყველა რგოლის შევსება და აღჭურვა, აპარატურა დიდი ფორმატის სლაიდებისათვის, უახლესი ოპტიკა და სხვ.

თ. მირზაშვილმა ყრილობას გააცნო აგრეთვე ნიკო ფიროსმანაშვილის ნაწარმოებთა სრულფასოვანი ალბომის გამოცემაზე მუშაობის მიმდინარეობა. გამომცემლობა „ხელოვნების“ მიერ გამოსაცემად მომზადებულ ალბომს 1978 წლის ბოლოსთვის დაბეჭდავს საფრანგეთის საუკეთესო საგამომცემლო ფირმა.

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ვახტანგ ადვაძე ლაპარაკობს ორგანიზაციული მუშაობის ხარვეზებზე, მხატვრებსა და კავშირს შორის არასაკმაო კონტაქტებში რომ გამოიხატება. იგი სვამს საკითხს, რომ გამგეობის სხდომები იყოს ღია, რათა ყველას ჰქონდეს საშუალება დაესწროს და მოისმინოს მსჯელობა ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ. ასევე, გაუმჯობესებას ითხოვს სამხატვრო კომბინატის ორგანიზაციული მუშაობა.

პროფესორმა დავით ციციშვილმა თავისი გამოსვლა მიუძღვნა იმ ამოცანებს, რომლებიც რესპუბლიკის წინაშე დგას ხალხური მხატვრული სარეწების შენარჩუნებისა და განვითარების საქმეში. ჩვენ, მხატვრები, დიდად დავალებული ვართ ხალხური დეკორატიული ხელოვნებისაგან, ხალხისგან, — თქვა მან. — ბუნებრივ გარემოებათა გამო, ჩვენი ხალხური სარეწები ქრება და თუ ახლავე არ მივიღეთ სასწრაფო ზომები, გაქრება ცალკეული, ჯერ კიდევ შემორჩენილი ხალხური კერებიც.

იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ხალხური სარეწები, დ. ციციშვილის აზრით, უნდა გატარდეს გარკვეული ღონისძიებანი: მთელ რესპუბლიკაში აღირიცხონ თვითნასწავლი ოსტატები, გაირკვეს მათი ოსტატობის დონე, ფიქსირებულ იქნას მათი მუშაობის მხატვრული და ტექნიკური ხერხები და ა. შ. სამხატვრო ფონდმა და ხალხური შემოქმედების სახლმა ამ მხრივ გარკვეული სამუშაოც კი გასწიეს, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა. რაც მთავარია, სასოფლო ხალხურ მხატვრულ სარეწებს მათგან არავითარი კონკრეტული საქმიანი დახმარება არ მიუღიათ.

ნიკოლოზ იოსელიანმა (სამანდატო კომისიის თავმჯდომარე) ილაპარაკა საქართველოს მხატვართა VIII ყრილობის შემდგომ პერიოდში მოქმედი მუშაკების მიერ გაწეულ დიდად ნაყოფიერ შრომაზე, მხატვართა რიგების ზრდაზე. ბოლო ხანებში — თქვა მან — სახვითი ხელოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნების ყველა დარგში შეიქმნა მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, რომლებშიც შთამბეჭდავად აისახა თანამედროვეობა და გამოვლინდა ავტორთა აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია. მეცხრე ყრილობა მიმდინარეობს დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ატმოსფეროში. ჩვენი დღევანდელობა მხატვრებს შთააგონებს შექმნან დროის შესატყვისი მაღალმხატვრული ნაწარმოებები. ამ მხრივ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება ახალგაზრდა ხელოვანთა აღზრდას, მათთვის სამუშაო პირობების შექმნას. ის ღონისძიებები, რასაც საქართველოს მხატვართა კავშირი ახორციელებს ამ მხრივ, საწინდარი გახდება იმისა, რომ ახალგაზრდა თაობა კიდევ უფრო თვალსაჩინო წვლილს შეიტანს მომავლის ხელოვნებაში. ღრმა რწმენას გამოვთქვამთ, რომ ქართველი მხატვრები წარმატებით გაართმევენ თავს ყრილობის მიერ დასახული ღონისძიებების განხორციელების საქმეს.

თავის გამოსვლაში ქალაქ თბილისის მთავარი არქიტექტორი ᲗᲐᲛᲐᲖ ᲗᲔᲕᲖᲐᲫᲔ შეჩერდა მხატვრისა და არქიტექტორის ურთიერთობის საკითხზე და აღნიშნა, რომ ქართველი მხატვრების შემოქმედება, სამწუხაროდ, სათანადო გამოხატულებას ვერ პოულობს ქალაქის არქიტექტურულ ნაგებობათა გაფორმებაში. ადრე ჩვენი მხატვრები შედარებით მეტად იყვნენ ჩაბმულნი ქალაქის გაფორმების მცირე ფორმების შექმნაში. მოვიგონოთ, რა შესანიშნავი მეტყველი აფიშები შექმნეს მათ ქართული ხელოვნების დეკადისათვის მოსკოვში, 1958 წელს. ახლა ქალაქის აფიშებს, ტრანსპარანტებს, რეკლამებს, ვიტრინებს ნაკლებად ატყვიათ ჩვენი მხატვრების ხელი. დღეს მხატვრის ფუნქცია მარტოოდენ ის კი არ არის, რომ, ვთქვათ, ქანდაკება დადგას ან კედელი მოხატოს, არამედ უნდა შექმნას გარემო, სადაც ცხოვრობს და შრომობს ადამიანი, უნდა შექმნას განწყობილება, რომელიც გააადვილებს, გაახალისებს ამ შრომას, დასვენებას გახდის ეფექტურს.

არქიტექტორთან ერთად, მხატვარი იმთავითვე უნდა მონაწილეობდეს პროექტის განხორციელებაში, ანდა პირიქითაც, მხატვარს ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად სჭირდება არქიტექტორის დახმარება. მაგრამ აქ ჩნდება ბარიერი — ორგანიზაციული მხარე, შრომის ანაზღაურების ფაქტორი, ამ სფეროებში კი ქმედითი ღონისძიებების გატარებაა საჭირო.

სამხატვრო ფონდის მთავარმა მხატვარმა ᲠᲝᲛᲐᲜ ᲨᲔᲠᲝᲖᲘᲐᲛ გააანალიზა საქართველოს მხატვართა კავშირის ორგანიზაციული მუშაობის ღირსება-ნაკლოვანებანი. მან თქვა, რომ პროფესიონალიზმის მხრივ ქართული მხატვრობის ტრადიცია შესანიშნავად ვითარდება; რომ ახალი თაობები დიდ შემოქმედებით გამარჯვებებს აღწევენ, მაგრამ საზოგადოებრივი, ორგანიზატორული მოღვაწეობის მხრივ შედარებით ინერტულები ვართ. ეს ეხება ჩვენ ნიჭიერ მხატვართა ერთ ნაწილს, რომლებიც საზოგადოებრივად სასიკეთო მოღვაწეობას გაურბიან. ჩვენს შორის არიან სამაგალითო მხატვრებიც, შემოქმედებასთან ერთად თავის ენერგიას მთელი თავდადებით რომ ახმარენ საზოგადოებრივ, მოქალაქეობრივ საქმეს. არც ის ეკადრება მხატვარს, როცა მის ნამუშევარს საგამოფენო კომიტეტი არ იღებს და ზემდგომი ორგანოების ჩარევით ცდილობს თავისი გაიტანოს. ამგვარ ექსცესებს მთელი სიმკაცრით უნდა გადავუღობოთ გზა.

რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲝᲩᲘᲐᲣᲠᲘ ამბობს, რომ, როცა ქართული ხელოვნების წინსვლაზე ვლაპარაკობთ, მოვლენა უნდა შევაფასოთ სრული სახით, სახვითი ხელოვნების ყველა დარგისა და ჟანრის კომპლექსური შეფასებით. ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ ნაკლებად არის გაშუქებული ჩვენი მხატვრების საქმიანობა, თუმცა, დასძენს იგი, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს მარტო სამხატვრო ჟურნალი არ არის, ის ხელოვნების ხუთ დარგს ემსახურება. ამასთან დაკავშირებით, ი. ოჩიაურმა მიზანშეწონილად მიიჩნია მხატვრებისათვის დაარსდეს სპეციალური ბეჭდვითი ორგანო, სადაც შესაძლებლობა იქნებოდა უფრო ფართოდ გაშუქებულიყო მხატვართა შემოქმედება.

ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲒᲝᲪᲐᲫᲘᲡ გამოსვლა მიეძღვნა შემოქმედებით პრობლემებს, მეთოდებს, ახალგაზრდა მხატვართა სწავლების, პროფესიული ჩამოყალიბების საკითხებს. მისი აზრით, ამ საკითხებში დღესდღეობით ბევრი ბუნდოვანება, გაუგებრობა და ხარვეზია, და ეს ჩანს საგამოფენო დარბაზებში. თ. გოცაძის აზრით, სამხატვრო აკადემიაში სტუდენტთა მომზადება მაღალ დონეზე არ დგას. იგი ამბობს, რომ საგამოფენო კომიტეტებში შესული მხატვრები დოგმატიკურ დამოკიდებულებას იჩენენ ნაწარმოებებისადმი და ყველაფერს საკუთარი კრედოს პოზიციებიდან აფასებენ. თ. გოცაძე თვლის, რომ საჭიროა საგამოფენო კომიტეტებში მეტი ავტორიტეტული ახალგაზრდა მხატვარი იყოს.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან ჩამოყალიბებული შემოქმედებითი ახალგაზრდობის ცენტრი დიდად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. ეს არის დიდი ზრუნვის გამოხატულება ახალგაზრდობისადმი, რაც ჩვენ გვავალებს მეტი ენთუზიაზმითა და ენერგიით ვიცხოვროთ და ვიშრომოთ. თ. გოცაძე აღნიშნავს, რომ პრობლემები, რომლებსაც დღეს წამოჭრის შემოქმედთა მოღვაწეობა, ღრმად პროფესიულ, მეცნიერულ გაანალიზებას ითხოვს კრიტიკოსთა მხრიდან. კრიტიკა, თეორია, ხელს უნდა უწყობდეს მხატვარს შემოქმედებაში, მან უნდა დაგვისაბუთოს რა არის დღეს პროგრესული და მისაღები ხელოვნების საერთო განვითარების გზაზე, და რა არის მიუღებელი.

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲥᲝᲠᲘᲐᲕᲐᲛ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ პრაქტიკაში უნდა დაინერგოს ქანდაკებების გამოფენათა მოწყობა ღია ცის ქვეშ, კერძოდ, ძირითადად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკორატიული და საპარკო ხასიათის ნაწარმოებთა ექსპონირება პლენერზე. ასეთმა გამოფენებმა დიდი ინტერესი გამოიწვია რიგასა და მოსკოვში.

როცა ლაპარაკია ხელოვნებათა სინთეზზე, — თქვა ი. ქოიავამ, — უპირველეს ყოვლისა, სწორედ არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების ორგანული კავშირი იგულისხმება, კავშირი, რომელიც ქმნის ერთიან, განუყოფელ თვისობრიობას. სწორედ ასეთი ორგანული სინთეზისთვისაა საჭირო მხატვრისა და არქიტექტორის უფრო ღრმა კონტაქტები, და არა ხელოვნური ბარიერების აღმართვა. რა თქმა უნდა, ბევრი გვაქვს ამ ორი დარგის თანამშრომლობის კარგი მაგალითი, მაგრამ მოსაგვარებელი და გადასაწყვეტიც ამ მხრივ ბევრია.

ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი თამაზ სანიკიძე შეეხო მუზეუმის დღევანდელ პრობლემატიკას, მის ფართო ფუნქციებს. ამ ფუნქციების სრულყოფილი შესრულებისათვის მუზეუმს ბევრი რამ უშლის ხელს, განსაკუთრებით ანგარიშგასაწევია ობიექტური მიზეზები, რასაც ჯეროვანი გაანალიზება ჭირდება. მხატვართა კავშირს მართებს მეტი დაინტერესება გამოიჩინოს ჩვენი ხელოვნების მუზეუმის პრობლემებით.

მუზეუმი დღეს არის დაწესებულება, რომელიც ასრულებს საგანმანათლებლო, აღმზრდელობით, სამეცნიერო მუშაობას, ამასთან კავშირში გადასაწყვეტია ორი ძირითადი პრობლემა — საჭიროა მუზეუმისათვის სამეცნიერო კატეგორიის მინიჭება, რისთვისაც უკვე ჩვენი მხრივ გადადგმულია ნაბიჯი, მეორე — აუცილებელი ხდება საგამოფენო დარბაზების მოწყობა. ეს დარბაზები ვეღარ იტევს ექსპონატებს, გადასაჭრელია საცავების სათანადოდ მოწყობის პრობლემაც.

ყოველივე ამისათვის გათვალისწინებულია მუზეუმის შემდგომი გაფართოება. არის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებაც, შედგენილია პროექტი ახალი კორპუსის მშენებლობისათვის კეცხოველის ქუჩაზე. ამრიგად, ეს უბანი იქცევა კულტურის ცენტრად, — რამდენადაც ამ ტერიტორიაზეა ორი მუზეუმი, მხატვართა კავშირი, სურათების გალერეა...

ამრიგად, საქართველოს ხელოვნების მუზეუმს შესაძლებობა მიეცემა ფართოდ გაშალოს მუშაობა, მეცნიერულად გადაწყვიტოს ის პრობლემები, რაც მის წინაშეა დასმული.

სსრკ მხატვართა კავშირის მდივანმა, სსრკ სახალხო მხატვარმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა დიმიტრი მოჩალსკიმ თავის სიტყვაში აღნიშნა: ჩვენ განსაკუთრებით ვაფასებთ იმას, როცა ჩვენი თანამედროვე ადამიანის ცხოვრება და შრომა მართალ და მკაფიო მხატვრულ ასახვას ჰპოვებს ამა თუ იმ რესპუბლიკაში შექმნილ ნაწარმოებებში, რადგან ისინი კანონზომიერად, მისაწვდომი ხდება მთელი საბჭოთა ხალხისათვის, ახარებს და ამდიდრებს ყველა საბჭოთა ადამიანს. ეროვნულ კულტურათა დაახლოების ამ პროცესში, მათ ურთიერთგამდიდრებაში მდგომარეობს სწორედ ჩვენი შემოქმედებითი ურთიერთობის არსი.

დ. მოჩალსკი მაღალ შეფასებას აძლევს საქართველოს მხატვართა მონაწილეობას საკავშირო გამოფენებზე და აღნიშნავს, რომ ამას ჯეროვნად აფასებს კიდეც ცენტრალური პრესა. ბევრი რამ, ქართველი მხატვრების მიერ შექმნილი, — თქვა მან, — საბჭოთა სახვითი ხელოვნების კლასიკად იქცა. დ. მოჩალსკი ლაპარაკობს ახალგაზრდა თაობის წარმატებით მოსვლაზე ხელოვნებაში, მათ თვალსაჩინო წვლილზე ქართული ხელოვნების შემდგომ განვითარებაში, და რომ გამოფენა „ქვეყნის სიჭაბუკემ“ სწორედ ეს დაადასტურა.

საქართველოს მხატვართა კოლექტივი ნიჭიერად და წარმატებით მუშაობს სახვითი ხელოვნების ყველა დარგში. ამას მოწმობს ის მაღალი ჯილდოები, რომლებითაც აღინიშნა ცალკეულ მხატვართა ნამუშევრები უკანასკნელ წლებში.

საქართველოს მხატვართა ყრილობას მიესალმა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის საბჭოს წევრი, პოლიტსამმართველოს უფროსი, გენერალ-მაიორი ა. ოვერჩუკი. მან სამხედრო საბჭოს სახელით სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატს მ. ბერძენიშვილს გადასცა საპატიო სიგელი და სახელობითი დაშნა.

ყრილობაზე გამოვიდნენ და ყრილობის მონაწილეებს მიესალმნენ რუსეთის სფსრ მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი ა. სტეპანოვა, ლატვიის მხატვართა კავშირის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი გ. კროულისი, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მოწინავე მუშა ტ. როსტიაშვილი, სომხეთის სახალხო მხატვარი ე. ისაბეკიანი.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. სირაძემ, (სიტყვა იბეჭდება ჟურნალის ამ ნომერში).

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია. აირჩიეს საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის, სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და სსრ კავშირის მხატვართა კავშირის მეხუთე ყრილობაზე წარსაგზავნი დელეგატები.

საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია ნ. ჯანბერიძე, მდივნებად — გ. გელაშვილი, გ. ქუთათელაძე, გ. ოჩიაური, რ. თორდია.

ყრილობასთან დაკავშირებით საქართველოს სურათების გალერეაში გაიხსნა „საშემოდგომო გამოფენა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეპოქის მხატვრული სახე

ვიქტორია სირაძე
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური
კომიტეტის მდივანი.

ძვირფასო ამხანაგებო! ყრილობა დიდმნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი მოვლენაა ყოველი შემოქმედებითი ორგანიზაციის ცხოვრებაში, ერის სულიერ ცხოვრებაში.

ეს არის ერთობლივი განსჯა განვლილი გზისა, ფიქრი ხვალინდელ დღეზე, მომავლის პერსპექტივებზე.

დამეთანხმებით, ალბათ, რომ ამ თვალსაზრისით დღევანდელი თავშეყრაც განსაკუთრებული გახლავთ. მის სულისკვეთებასა და შინაარსს ამჯერად განსაზღვრავს სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროზე სულ უფრო მზარდი გავლენა, ამ გადაწყვეტილებების შესასრულებლად რესპუბლიკის მშრომელთა გმირული ბრძოლა და შემოქმედებითი შემართება, რომელიც ახალი წლის პირველსავე დღეებიდან — მეათე ხუთწლედის მეორე წლის საკმაოდ ძნელ სტარტზე ასე მძლავრად გამოიკვეთა. ამას მოწმობს ჩვენს პრესაში დღეს გამოქვეყნებული რესპუბლიკის პარტიული აქტივის ანგარიში: ვიმუშაოთ უკეთ, ავამაღლოთ ეფექტიანობა და ხარისხი.

სწორედ პარტიის XXV ყრილობამ შეაიარაღა პარტია ჭეშმარიტად მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკური ხაზითა და ამ დიადი გარდაქმნების გაშლილი პროგრამით, დასახა ნათელი პერსპექტივები ეკონომიური, სოციალური და კულტურული პოლიტიკის ყველა პრობლემის გადასაჭრელად, შეგვძინა ადამიანისადმი ყურადღების და მის აღზრდაზე და კეთილდღეობაზე ზრუნვის გაძლიერების აუცილებლობის ახალი გაგება, მოგვცა ის საზომი, რომლითაც უნდა მივუდგეთ ჩვენს შრომას, საქმიანობასა და შემოქმედებას.

მხატვართა კავშირის წინა ყრილობიდან დღემდე ოთხმა წელმა განვლო. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ განვლილი პერიოდი განსაკუთრებული იყო ჩვენი ქვეყნის და ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში.

რესპუბლიკის მშრომელების, მთელი პარტიული ორგანიზაციის თავდადებული შრომა გასული ოთხი წლის მანძილზე თბილისის კომიტეტის შესახებ სკკპ დადგენილების განსახორციელებლად, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი გახდა ჩვენს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, პარტიულ-პოლიტიკურ საქმიანობაში, განაპირობა საქართველოს ჩამორჩენის დაძლევა IX ხუთწლედის პირველი წლის სახალხო სამეურნეო განვითარების გეგმის წარმატებით შესრულება და არსებითი ხასიათის დადებითი ძვრები მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალური და სულიერი ცხოვრების ყველა დარგში, რომელსაც უაღრესად მაღალი შეფასება მიეცა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილებაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ თანმიმდევრულად განხორციელებული თქვენთვის კარგად ცნობილი, დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური, იდეოლოგიური და ორგანიზაციული აქციების შედეგად, ძირეული გარდატეხა მოხდა ეკონომიკაში და კულტურულ მშენებლობაში, მოსახლეობის ყველა ფენის ფსიქოლოგიასა და სულიერ განწყობილებაში; გააქტიურდა საზოგადოებრივი აზრი და გადაიქცა რეალურ მატერიალურ ძალად, საზოგადოების ცხოვრების ყველა უჯრედზე კეთილნაყოფიერი ზემოქმედების მძლავრ საშუალებად; აღდგენილია იმ ინსტანციების მორალური ავტორიტეტი, რომლებმაც უნდა წარმართონ, უხელმძღვანელონ და აღზარდონ მასები. მოხდა მთელი ჩვენი საზოგადოების ძალების, მათ შორის მხატვრული ინტელიგენციის საბრ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძოლო კონსოლიდაცია ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა წინააღმდეგ.

პოლიტიკური ვითარების სწორედ ამ თავისებურებებით იყო განპირობებული საანგარიშო პერიოდში ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების ძირითადი ტენდენციები.

და ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნება განვითარდა და მომძლავრდა ჩვენს ქვეყანაში სოციალური გარდაქმნებისა და რევოლუციის მხარდამხარ.

ჩვენი ხუროთმოძღვრებისა და ფერწერის სახელოვანმა ტრადიციებმა განაპირობეს ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების ძირითადი მიმართულებანი, მისი შემოქმედებითი თავისებურება.

გიგო გაბაშვილის, იაკობ ნიკოლაძის, დავით კაკაბაძის, მოსე თოიძის და სხვათა მაღალნიჭიერმა ქმნილებებმა საფუძველი ჩაუყარეს უმძაფრესი სოციალურ-პოლიტიკური ძვრების ამსახველ და მათში უშუალოდ მონაწილე ქართულ საბჭოთა მხატვრობას.

ჩვენი მხატვრობის სოციალური მასშტაბურობის და მაღალი პროფესიონალიზმის ტრადიციებმა თავისი ლოგიკური განვითარება ჰპოვეს მომდევნო წლებშიც, განსაკუთრებით კი ბოლო პერიოდში და საყოველთაო აღიარება მოუტანეს ქართულ სახვით ხელოვნებას — ღრმად ეროვნულსა და პარტიულს, ჭეშმარიტად ხალხურს და ინტერნაციონალურს. ყველა თაობის საუკეთესო ოსტატების კალმით აღბეჭდილია თანამედროვეთა სახეები, შექმნილია შესანიშნავი პორტრეტები და თემატური სურათები. მრავალრიცხოვან პეიზაჟებში ასახულია ჩვენი სამშობლო, რომელიც მშრომელი ადამიანის ზარჯვენამ გარდაქმნა და გაალამაზა. არ არის სახვითი ხელოვნების არც ერთი დარგი, რომელშიც თავისი წვლილი არ შეეტანოთ საქართველოს მხატვრებს. ისინი აქტიურად მუშაობენ არა მარტო დაზგურ ხელოვნებაში, არამედ სახალხო მეურნეობის და კულტურული მშენებლობის მრავალ დარგში. და ეს სრულიად გასაგებია, რადგან სახვითი ხელოვნება არა მარტო ხალხთა ისტორიის და დღევანდელი შემართების ჟამთააღმწერელია, არამედ ადამიანის პიროვნების ფორმირებისა და განვითარების, მატერიალური და სულიერი გარემოს სრულყოფის ძირითადი საშუალებაა.

საბჭოთა საზოგადოების განვითარებასთან ერთად მხატვრული საწყისები სულ უფრო მეტად იჭრებიან ჩვენს ცხოვრებაში, სულ უფრო აქტიურ ზემოქმედებას ახდენენ ადამიანთა შრომასა და ყოფაზე. ჩვენს თვალწინ იცვლება ქალაქებისა და სოფლების იერი, იზრდება საბჭოთა ადამიანების ესთეტიკური მოთხოვნილებები და კულტურული დონე.

ერთი სიტყვით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სახვითი ხელოვნების ქართველი ოსტატები პირნათლად ასრულებენ თავიანთ შემოქმედებით და მოქალაქეობრივ მოვალეობას.

ქართული სახვითი ხელოვნების წარმატებები უდავოა!

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ არაერთხელ იყო აღნიშნული ქართველ მხატვართა მრავალრიცხოვან კოლექტივში, სახვითი ხელოვნების ყველა დარგში ამ ბოლო დროს დამკვიდრებული გაბედული შემოქმედებითი ძიების სულისკვეთება, ჯანსაღი, მაღალმომთხოვნელობის ატმოსფერო, ფიქრი და ზრუნვა სახვითი ხელოვნების ხვალინდელ დღეზე, აქტიური, სწორი, პრინციპული პოზიცია და დამოკიდებულება რესპუბლიკაში მიმდინარე საზოგადოებრივი პროცესების მიმართ.

ამხანაგებმა: ნოდარ ჯანბერიძემ, გოგი თოთიბაძემ, გურამ ქუთათელაძემ, ვალენტინ თოფურიძემ, თენგიზ მირზაშვილმა, რადიშ თორდიამ, რუსუდან ჯავრიშვილმა, ვახტანგ ადვაძემ, დავით ციციშვილმა და სხვებმა საკმაოდ ვრცლად მოახსენეს ყრილობას ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების ძირითადი ტენდენციების შესახებ.

მთავარი, რაც აქ აღინიშნა და მეც ხაზი მინდა გავუსვა, არის სოციალურ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოტივების გაძლიერება, და შეიძლება ითქვას, გაბატონება საქართველოს მხატვრების ბოლოდროინდელ შემოქმედებით პრაქტიკაში.

თუკი წინათ ხშირად იმართებოდა, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, ,,კალენდარული — სეზონური'' გამოფენები — ,,საგაზაფხულო'', ,,საშემოდგომო'' და სხვ. (თავისთავად ისიც საინტერესო იყო), ახლა მეტწილად ეწყობა თემატური გამოფენები: ,,დიდება შრომას'', ,,ქართველი მხატვრები IX ხუთწლედის მხარდამხარ'', ,,ხალხთა მეგობრობა'', ,,დიადი გამარჯვების 30 წელი'' და მრავალი სხვა.

ამ გამოფენებმა თვალნათლივ დაგვანახვეს, რომ ჩვენი მხატვრობის სოციალური და მოქალაქეობრივი ზრდის პროცესი მიმდინარეობს არა ესთეტიკური პრინციპებისა და მხატვრული თავისებურებების დათმობის ხარჯზე, არამედ, პირიქით, თემატურობა კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ყოველ მხატვრულ ინდივიდუალობაზე. თემატურობამ ახალი ძალით გამოავლინა ყოველი შემოქმედის ნიჭი, მისი განუმეორებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელწერა. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ რეალიზმი და მით უმეტეს, სოციალისტური რეალიზმი უშრეტი წყაროა მხატვრის ინდივიდუალობის მაქსიმალური გამოვლენისა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა მიუწვდომელი შედევრი დაკვეთითაა შექმნილი და არც დღეს არსებობს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი შემოქმედი, რომელიც, მაიაკოვსკის გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, თავისი დროის სოციალური დაკვეთის გარეშე ჰქმნიდეს.

ცხადია, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ბოლო პერიოდში სოციალური ჟღერადობის თემებისაკენ მობრუნება მოხდა სწორედ ჩვენი მხატვრობის საერთო პროფესიული დონის ზრდის პირობებში.

ამის ნათელი დადასტურებაა ჩვენი სასახელო მხატვრების საკავშირო აღიარება — მათთვის სახელმწიფო და ლენინური პრემიისა და საპატიო წოდებების მინიჭება.

როცა ჩვენ ვამბობთ, განუხრელად იზრდება შემოქმედებითი ინტელიგენციის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაშიო, თავისთავად ცხადია, რომ ეს პროცესი არ შეიძლება ვითარდებოდეს პროფესიული ოსტატობის განუწყვეტელი ზრდის გარეშე.

ამიტომ, მხატვართა კავშირის ძირითად საზრუნავს მომავალშიაც უნდა შეადგენდეს თითოეული შემოქმედისადმი მომთხოვნელობის გაძლიერება, უკომპრომისო პრინციპულობის პირად ურთიერთობაზე მაღლა დაყენება, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, როცა აშკარად შეინიშნება მხატვართა კავშირში შემოქმედებითი საქმიანობის გამოცოცხლება, კავშირის გამგეობის ორგანიზაციული და იდეურ-აღმზრდელობითი ფუნქციების შესამჩნევი გაძლიერება.

ბოლო დროს მაღალ პროფესიულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ტარდება მხატვართა კავშირის გამგეობის პლენუმები. საჭირბოროტო საკითხები და მნიშვნელოვანი პრობლემები იხილება, როგორც წესი, პოლიტიკური სიმახვილითა და პარტიული დაინტერესებით. შესამჩნევად გამოცოცხლდა სექციების საქმიანობა, მაგრამ, როგორც აქ აღინიშნა, საქმიანი შენიშვნები, ბევრი საინტერესო წინადადება, მხარდაჭერის ღირსი ინიციატივა განუხორციელებელი რჩება, უამრავი საკითხი და პრობლემაა მოუწესრიგებელი.

ჯერ კიდევ ბევრი ნამუშევრის მხატვრული ღირებულება ვერ პასუხობს ხალხის გაზრდილ ესთეტიკურ მოთხოვნილებას.

რომ ჩავუკვირდეთ ზოგიერთი შემოქმედის წარუმატებლობის მიზეზს, დავინახავთ, რომ მთავარი მაინც მხატვრის ზერელე მიდგომაა თანამედროვე ცხოვრების რთული პროცესებისადმი. ეს ზერელობა კი განაპირობებს მხატვრულ არადამაჯერებლობას, თუ შეიძლება ასე ითქვას, შემოქმედებით სუბიექტივიზმს, ხშირად მიუტევებელ სიყალბეს და უსუსურობას.

ამასთან დაკავშირებით დღეს უფრო მწვავედ უნდა დაისვას შემოქმედის მიერ სინამდვილის არა მარტო ემოციური აღქმისა, არამედ მისი ღრმად შესწავლის პრობლემა.

სახვითი ხელოვნების საზოგადოებრივი მისია კარგა ხანია გასცდა საამქრულ მოთხოვნათა საზღვრებს. დღეს საქმიანობის ხარისხი იზომება გამოკვეთილი სოციალური ფუნქციით, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხელოვნების ადამიანებთან ურთიერთმოქმედებით. პირველ რიგში ეს გახლავთ მუშაობა მასების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის პრაქტიკული ღონისძიებების განსახორციელებლად.

მრავალფეროვანია ამ მხრივ მხატვართა კავშირის მოღვაწეობის ასპარეზი. სტაციონარული და მოძრავი გამოფენების პერიოდულად მოწყობა, შემოქმედებითი მივლინებები ხუთწლედის მშენებლობებზე, სამრეწველო საწარმოებში, სასოფლო რაიონებში, სამეცნიერო დაწესებულებებში — შეიძლება ჩაითვალოს მასებში ფართოდ გაშლილი პროპაგანდისტული, პოპულარიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის მხოლოდ ერთ-ერთ საშუალებად, რომელსაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ სრულიად ვერ ვიყენებთ და ყველა მხატვარზე ვერ ვავრცელებთ.

მხატვართა კავშირმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს შრომით კოლექტივებთან შემოქმედებითი მეგობრობისა და თანამშრომლობის საკითხებს. მხოლოდ შთაბეჭდილებების წიგნზე დაყრდნობა ბევრს არაფერს მოგვიტანს. მხატვრული პროპაგანდის ეფექტურობის შემოწმება პირდაპირი, უშუალო კონტაქტების გარეშე შეუძლებელია. კავშირის უნარიან მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული შემოქმედებითი, იდეურ-აღმზრდელობითი და ორგანიზაციული საკითხების სწორად გადაწყვეტა.

ყველა მხატვარი თანაბრად უნდა გრძნობდეს ყურადღებასაც და პასუხისმგებლობასაც თავისი შემოქმედებითი საქმიანობის შედეგებზე. შემოქმედის ზნეობრივი სიწმინდე და შეუვალობა მისი მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია.

რესპუბლიკაში წინათ გამეფებულმა ურთიერთშეწყნარების და მამებლობის ვითარებამ გარკვეულ წილად განაპირობა, ერთის მხრივ, პრინციპული, შემოქმედებითი დავის ნაცვლად, ამხანაგური, ჯანსაღი ურთიერთობის ნაცვლად —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კინკლაობის, ძმაბიჭობის, ნათლიმამობის და, მეორეს მხრივ, შუღლის და შურის არაჯანსაღი ატმოსფერო.

არ იქნებოდა სწორი იმის თქმა, რომ ყველაფერი ეს უკვე საბოლოოდ წარსულს ჩაბარდა. სამწუხარო მოვლენის მკრთალი რეციდივები ახლაც იჩენს ხოლმე თავს ჩვენს საზოგადოებაში, მათ შორის ჩვენს შემოქმედებითი ინტელიგენციის სფეროში. და ამას, რა თქმა უნდა, ახლაც მოაქვს შემოქმედებითი და მორალური ზიანი.

ამასთან დაკავშირებით, კვლავ ერთხელ გახსენების ღირსია ჩვენი დიდი თანამედროვის ლადო გუდიაშვილის შემოქმედებითი ცხოვრებისა და გმირობის მაგალითი. ყველაზე უმძიმეს წუთებშიც, როცა უნიჭობასა და განუკითხაობას გამოჰქონდა უდღეური მსჯავრი, ლადო გუდიაშვილი რჩებოდა თავისი ქვეყნის ჭეშმარიტ პატრიოტად, საბჭოთა შემოქმედად, მას არ გადაუხვევია ერთხელ არჩეული გზისათვის. არ გაბოროტებულა, არ აღვსებულა ღვარძლით და უნდობლობით, თავაუღებლივ იღვწოდა ქართული საბჭოთა ხელოვნების აღორძინებისათვის. მისთვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება ნიშნავს მისი შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი გმირობის შეფასებას, ზნეობრივი გმირობის, მისი კეთილშობილური ბუნების შემართების, პიროვნების სიდიადისა და ადამიანებისადმი სიყვარულისა და კეთილგანწყობის შეფასებას.

საბედნიეროდ, რამდენი ასეთი შესანიშნავი ხელოვანი, მოქალაქე და პატრიოტი ამშვენებს ჩვენს მხატვრულ საზოგადოებას, ჩვენს დღევანდელ თავყრილობას. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და ჩვენი მთავრობის სახელით და დავალებით, ყველა აქ დამსწრე ხელოვანს, თითოეულ ქართველ მხატვარს გულითად მადლობას მოგახსენებთ ხალხისა და პარტიის, ჩვენი საერთო საქმის ერთგული სამსახურისა და თანადგომისათვის.

ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ მაღალი ზნეობა, იდეურობა და კოლექტივიზმის გრძნობა საერთო წარმატების საწინდარია.

სწორედ მხატვართა კავშირში უნდა შეიქმნას ის მეგობრული ატმოსფერო, სადაც თითოეულის ბედი ყველას საზრუნავია, სადაც თითოეულის მერყეობა შემოქმედებაში, მისი შეცდომები — ყველას განცდისა და ყურადღების საგანია.

სამწუხაროდ, ზოგს შემოქმედებითი კავშირი საყოფაცხოვრებო კეთილმოწყობის, მხოლოდ მატერიალური საშუალებების მოპოვების წყაროდ მიაჩნია.

თქმა არ უნდა, მატერიალურ პირობებზე ზრუნვა მოწესრიგებას საჭიროებს, მაგრამ არა შემოქმედებითი ინტერესების საზიანოდ. მხოლოდ მაღალი პასუხისმგებლობა, კოლექტივისადმი პატივისცემა შექმნის ჭეშმარიტად მეგობრულსა და საქმიან ვითარებას, რომელიც ასე საჭიროა ყველასათვის და ყველგან, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ზრდისათვის.

დღეს ახალგაზრდა თაობას ღირსეულად უჭირავს უფროსი თაობიდან მიღებული ესტაფეტა, აგრძელებს იმ სახელოვან ტრადიციებს, რომლებიც ეროვნული კულტურის განვითარების გზაზე შეიქმნა.

უკანასკნელ წლებში არ გამართულა არც ერთი მნიშვნელოვანი გამოფენა, რომელზეც ახალგაზრდა მხატვრებს არ მიეღოთ მონაწილეობა და შესაფერისი აღიარება, მაგრამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილება შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ მოითხოვს ახალგაზრდობისადმი გაცილებით მეტ ყურადღებას.

ხშირად, როცა ახალგაზრდებს ვაზიარებთ დიდ ხელოვნებას, ვუთმობთ გამოფენის ვრცელ დარბაზებს, ვკმაყოფილდებით მხოლოდ გზის დასალოცი საზეიმო სიტყვების წარმოთქმით. ეს მაშინ, როცა მათ შემოქმედებით ზრდას ესაჭიროება უფროსი თაობის თანადგომა, მეთვალყურეობა, დაძაბული, სისტემატური ყურადღება.

ახალგაზრდა მხატვრის შეფასება უნდა განისაზღვროს არა შესრულებული სამუშაოს რაოდენობით და კალენდარული განრიგით, არამედ შემოქმედებითი სიმწიფით, აზროვნების თვითმყოფადობითა და დამოუკიდებლობით.

ახალგაზრდობის შემოქმედებით ზრდას სჭირდება მუშაობის სათანადო პირობებიც. რა დასამალია, ამჟამად სახელოსნოები დებიუტანტებისათვის — პრობლემაა. უმრავლესობა სახელოსნოს იღებს, როცა გადასულია ახალგაზრდობის ასაკს. ამას, რასაკვირველია, აქვს თავისი ობიექტური მიზეზებიც, მაგრამ არის გამოსავალიც. ამას წინათ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ამხანაგ ე. შევარდნაძესთან შეხვედრაზე ახალგაზრდა მხატვრები მუშაობის პირობების გაუმჯობესების საინტერესო წინადადებებს გვთავაზობდნენ, საჭიროა მათი განხორციელება. საჭიროა შეიქმნას ახალგაზრდობის შემოქმედებითი სტუდიები, ეგრეთ წოდებული კოლექტიური სახელოსნოები, სადაც გამოცდილი ოსტატების — კონსულტანტების ხელმძღვანელობით გამოიწრთობა ახალგაზრდა ტალანტები. უფრო აქტიურად უნდა მივიზიდოთ ახალგაზრდები საწარმო-

ებში და სასწავლო დაწესებულებებში სამუშაოდ ვიზრუნოთ მათთვის შემოქმედებითი მუშაობის პირობების შესაქმნელად.

ჩვენს ყრილობაზე მრავალი სხვა საინტერესო პრობლემაც დაისვა, რომელიც სხვა შემოქმედებით კავშირებთან, სამინისტროებთან, უწყებებთან კონტაქტში და რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით უნდა გადაწყვიტოს მხატვართა კავშირმა, კერძოდ, ადამიანის ესთეტიკური აღზრდისა და ესთეტიკური გარემოს ფორმირების, დაზგური, მონუმენტური და გამოყენებითი ხელოვნების შემდგომი განვითარების, პოლიტიკური პლაკატის, თვალსაჩინო აგიტაციის, სასუვენირო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, კულტურის ძეგლების დაცვის და სამუზეუმო საქმიანობის სრულყოფის, კადრების მომზადების, ქართული კულტურის მატერიალური ბაზის განმტკიცების და მრავალი სხვ. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიზიარო ამხ. თ. სანიკიძის აზრი, რომ არც ისეთი უიმედო მდგომარეობაა ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეში, როგორც აქ ამხ. თ. გოცაძემ დაგვიხატა.

ჩვენი სამხატვრო აკადემია და მისი სახელოვანი პედაგოგიური კოლექტივი არ იმსახურებს გაკილვასა და განქიქებას იმის გამო, რომ დღეს ახალგაზრდობა შემოქმედების უფრო მაღალ მწვერვალებს იპყრობს, ნათქვამია, „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა"... სამხატვრო აკადემიის ხელმძღვანელობას სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ძირეული სრულყოფისათვის დიდი შრომა და მეცადინეობა დასჭირდება მომავალშიც, კულტურის სამინისტროსთან ერთად.

ახლადარჩეულმა გამგეობამ გულდასმით უნდა შეისწავლოს ყველა აქ გამოთქმული მოსაზრება და გაითვალისწინოს მომავალ პრაქტიკულ საქმიანობაში, რა თქმა უნდა, რესპუბლიკის მთავრობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მხარდაჭერითა და დახმარებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხატვრული ნაწარმოების საზოგადოებრივი ღირებულების დადგენისას, ისევე როგორც წინათ, მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მის იდეურ მიმართულებას. ამასთან ერთად ხაზი გაესვა შემოქმედებითი მუშაკებისადმი მეტად ფრთხილი, კეთილგანწყობილი დამოკიდებულების, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებისადმი ღრმად პრინციპული მიდგომის აუცილებლობას.

ვფიქრობთ, რომ ეს დიალექტიკური მსჯელობა საფუძვლად უნდა დაედვას არა მარტო შემოქმედის, არამედ ჩვენი კრიტიკოსების და მათ შორის ხელოვნებათმცოდნეების მთელს მოღვაწეობას.

კრიტიკა მხატვართა კავშირის მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი უბანია. იშვიათია პროფესიული კრიტიკული წერილები ჩვენს პრესაში, მხატვრული ცხოვრების ბევრი მოვლენა ყოველგვარი შეფასების გარეშეა დატოვებული.

დღევანდელი დღის ამოცანები შემოქმედებით ცხოვრებაში სწორედ მაღალკვალიფიციურ ხელოვნებათმცოდნეთა აქტიურ მონაწილეობას მოითხოვენ.

პრესისა და სახვითი ხელოვნების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი მოსაგვარებელია. პრესა, ბეჭდვითი სიტყვა, რადიო და ტელევიზია არა მარტო ხელოვნებათმცოდნეობის სამოქმედო ასპარეზია, არამედ სახვითი ხელოვნების შემფასებელი და პოპულარიზატორი.

ჩვენ მივეჩვიეთ სამართლიან ჩივილს სახვითი ხელოვნების საკითხებისადმი პრესის ინდიფერენტული დამოკიდებულების შესახებ. ალბათ, უკვე პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმაა საჭირო.

მართლაც, ცივად და მშრალად წერენ ჩვენი გაზეთები სახვითი ხელოვნების ოსტატებზე, მხატვართა კავშირის საინტერესო და მრავალმხრივ საქმიანობაზე. ისეთი საინტერესო ღონისძიებებიც კი, როგორიცაა ამიერკავკასიის მხატვართა ერთობლივი გამოფენები, „მხატვართა კვირეულები", ჩვენი მხატვრების პერსონალური და ჯგუფური გამოფენები საბჭოთა კავშირში, საზღვარგარეთ, მხოლოდ ინფორმაციის სახით გვხვდება გაზეთების ფურცლებზე, უკეთეს შემთხვევაში, ფოტოილუსტრაციებთან ერთად.

ხელოვნების შესახებ საჭიროა ისევე ნიჭიერად წერა, როგორც ამას თვით ხელოვნების საგანი მოითხოვს.

რასაკვირველია, აბსურდული იქნებოდა ყველა ნაწარმოების რეცენზირების მოთხოვნა, მაგრამ ამ ზღვა პროდუქციას სათანადო შეფასება სჭირდება. მით უფრო, რომ სახვითი ხელოვნება წარმოადგენს თანამედროვე, გართულებული იდეოლოგიური ბრძოლის ერთ-ერთ ობიექტს.

ქართული პრესის ფურცლებზე თითქმის არ წარმოებს კონტრპროპაგანდა. მაყურებელი დასავლეთის ე. წ. „მასობრივი კულტურის" მხატვრული პროდუქციის პირისპირ მარტო რჩება, მას არავინ არ ურჩევს, არ არკვევს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ" ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „კრიტიკა ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ აქტიური და თანმიმდევრული სოციალისტური რეალიზმის, ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოვნების რევოლუციური, ჰუმანური იდეალების დამკვიდრებაში, ბურჟუაზიული „მასობრივი კულტურის“ და დეკადენტურ მიმდინარეობათა რეაქციული არსის მხილებაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაზე სხვადასხვაგვარი, არამარქსისტული შეხედულებების, რევიზიონისტული ესთეტიკური კონცეფციების წინააღმდეგ ბრძოლაში“.

ამ პრობლემებზე არ იმართება თეორიული დისკუსიები და დისპუტები. არ ეწყობა ცალკეულ მხატვართა შემოქმედების გარჩევა, მეგობრული შეხვედრები ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს სახვითი ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან. იშვიათად გამოდიან ჩვენი მხატვრები რეცენზენტების როლში, მათი ამპლუა უმთავრესად საიუბილეო წერილების წერით ამოიწურება. ჩვენმა ოსტატებმა, როგორც ჩანს, მეტი აქტიობა უნდა გამოიჩინონ, მეტად უნდა გამოიყენონ გაზეთები და ჟურნალები, რადიო და ტელევიზია, როგორც ტრიბუნა სახვითი ხელოვნების პროპაგანდისა და კონტრპროპაგანდისათვის, პროფესიული მსჯელობისა და ერთიანი საზოგადოებრივი აზრის შექმნისათვის.

დღეს, რესპუბლიკის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ამოცანაა, წარმართოს მუშაობა იმგვარად, რომ ჩვენი მხატვრული ცხოვრების არც ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა არ დარჩეს შეფასების გარეშე, გზა უნდა გაეხსნას ობიექტურ პაექრობას, ღრმად და მაღალპროფესიულ დონეზე უნდა წარმოებდეს მიმოხილვები, იმ ტენდენციებისა და მიმართულებების ანალიზით, რომლებიც შეიმჩნევა ქართულ, საკავშირო თუ მსოფლიო სახვით ხელოვნებაში.

სრულიად აშკარა და აუცილებელია სახვითი ხელოვნების მრავალმხრივ განვითარებაზე, მის მრავალფეროვნებაზე უფრო მეტი ზრუნვა, ყველა მიმართულების მეცნიერული შესწავლა და თანა-





ლ. ცუცქირიძე — სიმღერა

ა. კაკაბაძე — სერიიდან „საქართველო“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედროვე დონეზე მართვა, კადრების პროფესიული დაოსტატების და მსოფლმხედველობითი აღზრდის მკაფიო სისტემის შექმნა და მისი თანმიმდევრული სრულყოფა. ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს, პირველ რიგში, თემატიკის პერსპექტიულ დაგეგმვას. ამ საკითხებს მხატვართა კავშირი კულტურის სამინისტროსთან და პარტიულ ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტში უფრო სრულყოფილად უნდა წყვეტდეს.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი მოვლენა. ახლოვდება ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების მე-60 წლისთავი. ყოველ ეპოქაში, ყოველ დროს, რევოლუცია, რევოლუციური სული და ენთუზიაზმი ანაყოფიერებდა ლიტერატურასა და ხელოვნებას. მით უმეტეს, დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ შვა ყველაზე უფრო მოწინავე, მაღალიდეური და მაღალმხატვრული შემოქმედება, რომელსაც წილად ხვდა საერთო-სახალხო აღიარება და სიყვარული.

დღეს ყოველი ქართველი მხატვრის, მხატვართა კავშირის, მისი პარტიული ორგანიზაციის მთელი ყურადღება, მთელი მეცადინეობა უნდა იყოს მიმართული იქითკენ, რომ რევოლუციის თემაზე, შრომის, გმირობის თემაზე შეიქმნას ახალი, ჩვენი დიადი ეპოქის შესაფერი მონუმენტური ნაწარმოებები.

ერთი სიტყვით, ყოველ ქართველ ხელოვანს ზღვა საზრუნავი აქვს.

ნება მომეცით, გამოვთქვა ღრმა რწმენა, რომ ყრილობაზე გამართული გულახდილი საუბარი ხელს შეუწყობს თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების შემდგომ მხატვრულ და იდეურ სრულყოფას, პარტიისა და მთავრობის მიერ ხელოვნების წინაშე დასმული დიდი ამოცანების შესრულებას, თქვენს დაუცხრომელ შემოქმედებით ძიებას, წინსვლასა და გამარჯვებას!

## საშემოდგომო გამოფენიდან



ზ. ნიჟარაძე
კენტავრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების ტენდენციები და შემოქმედებითი კავშირი

ნოდარ ჯანბერიძე

საქართველოს მხატვრები თავის მეცხრე ყრილობაზე შეიკრიბნენ ახალი, 1977 წლის — მეათე ხუთწლედის მეორე და დიდი ოქტომბრის საიუბილეო, მესამოცე წლის დასაწყისში. შეიკრიბნენ მაღალი შემოქმედებითი აქტიობითა და დიდი ოპტიმიზმის გრძნობით. ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეებისათვის ახალი წელი იქცევა შთაგონებული შრომის ახალ, მნიშვნელოვან ეტაპად, შეიქმნება საბჭოთა ადამიანის — შემოქმედისა და მოაზროვნის, შრომის გმირის, პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის ახალი შთამბეჭდავი მხატვრული სახეები.

ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელი, ქართველი მხატვრები თავის შემოქმედებით გეგმებს უფარდებენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანებს, ყრილობისა, რომელზეც ჩვენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ღრმად და ყოველმხრივ იყო გაანალიზებული ლიტერატურისა და ხელოვნების როლი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან აღინიშნა, რომ შემოქმედებით ინტელიგენციას უფრო მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საერთო-პარტიულ, საერთო-სახალხო საქმეში. სკკპ ცკ-ის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXV ყრილობაზე ნათლადაა გაანალიზებული პარტიის და ხალხის მოღვაწეობის ყველა ასპექტი, დასახულია მეათე ხუთწლედის — ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის წინაშე მდგომი ამოცანები. ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ქალაქ ტულისათვის „ოქროს ვარსკვლავის" მედლის გადაცემისათვის მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან გააანალიზა ჩვენი პარტიის საგარეო და საშინაო პოლიტიკური კურსი იდეათა დაძაბული ბრძოლის თანამედროვე ეტაპზე, როცა საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებულ, ისტორიაში უპრეცედენტო, კონკრეტულ და რეალისტურ, ახალი ომის საშიშროების შენელების ისეთ პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს გლობალურ ღონისძიებებს მსოფლიო საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის შესახებ, იმპერიალისტური ძალები უპირისპირებენ ფარულ და ზოგჯერ აშკარა მიზნებს და წინადადებებს.

ლეონიდ ილიას ძემ მთელ ჩვენს ხალხს დაუსახა ხანგრძლივი პერსპექტივისათვის გათვალისწინებული პროგრამა, რომელიც ემყარება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ურყევ კურსს და რომლის საფუძველია პარტიისა და ხალხის ერთიანობა, მშრომელთა თავდადებული ბრძოლა პარტიის საქმისთვის, ზრუნვა ეფექტიანობისა და ხარისხის განუხრელი ზრდისათვის.

ეს სიტყვა საპროგრამო დოკუმენტია მთლიანად ჩვენი ხალხისათვის, მათ შორის მხატვრებისათვისაც.

XXV ყრილობამ გადაშალა პარტიისა და საბჭოთა სახე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ვრცელი პანორამა. ქვეყნის შინაგანი და საერთაშორისო ცხოვრების დამახასიათებელ პროცესთა ანალიტური შეფასება, საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი მოღვაწეობის ღრმად გაშუქება ყრილობის ისტორიულ დოკუმენტებს აქცევს მეცნიერულად დასაბუთებულ დებულებებად, რომლებიდანაც გამომდინარეობს ახალი საზოგადოების მოქალაქის — საბჭოთა ადამიანის პიროვნების, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლის — სამოქმედო პროგრამა.

ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავების საქმეში, სკკპ XXV ყრილობის დადგენილებებთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა იმ სამმა ისტორიულმა დოკუმენტმა, რომლებიც შეეხება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის საქმიანობას, საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომ დაჩქარებულ განვითარებასა და 1976 წლის 22 ივნისის დადგენილებას საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო ოთხი წლის მანძილზე განხორციელებულმა უაღრესად სერიოზულმა, გეგმაზომიერმა ღონისძიებებმა, საფუძვლიანი ძვრა მოახდინა იდეოლოგიური მუშაობის დარგშიც და განაპირობა ფსიქოლოგიური ატმოსფეროს გაწმენდა. ეს კი, თავისთავად, აერთიანებს იმ ამოცანებს, რომელიც ჩვენი პოლიტიკური, სამეურნეო თუ კულტურული მშენებლობის ცალკე უბნებს მოიცავს.

იმ ამოცანათა შორის, რომელიც ახლა დგას ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის წინაშე, დიდად მნიშვნელოვანია შემოქმედებითი ინტელიგენციის წინაშე მდგომი ამოცანა, ახალი ადამიანის, ჭეშმარიტი პატრიოტისა და მოქალაქის სულიერი საგანძურის შექმნას რომ ემსახურება. ადამიანის ფორმირების, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მისი აღზრდის ამოცანა მართლაც რომ საპატიო და დიდმნიშვნელოვანია. XXV ყრილობაზე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა ხალხის მიერ განვლილი 60-წლიანი გზის უმნიშვნელოვანესი შედეგია „საბჭოთა ადამიანი, ადამიანი, რომელმაც მოიპოვა თავისუფლება და შეძლო დაეცვა იგი უმძიმეს ბრძოლებში, ადამიანი, რომელიც აშენებდა მომავალს, ძალ-ღონეს არ ზოგავდა და არავითარ მსხვერპლს არ ერიდებოდა. ადამიანი, რომელმაც ყველა განსაცდელს გაუძლო და თვითონაც უმაგალითოდ შეიცვალა, შეისისხლხორცა იდეური მრწამსი და უზარმაზარი სასიცოცხლო ენერგია, კულტურა, ცოდნა და მათი გამოყენების უნარი. ეს არის ადამიანი, რომელიც მგზნებარე პატრიოტია და ამასთანავე იყო და ყოველთვის იქნება თანმიმდევრული ინტერნაციონალისტი".

სწორედ ასეთი ადამიანია ჩვენი ხელოვნების შთამაგონებელი და მამოძრავებელი ძალა. საბჭოთა რეალისტური ხელოვნება სწორედ ასეთი ადამიანისათვისაა განკუთვნილი და ხელოვნებაა ასეთი ადამიანის შესახებ.

უკანასკნელი ყრილობიდან დღევანდელ დღემდე განვლილ მანძილზე ქართულ საბჭოთა ხელოვნებას დიდი აღიარება ხვდა. ქართველმა მხატვრებმა სამი სახელმწიფო პრემია და ერთი ლენინური პრემია, აგრეთვე ორი რუსთაველის პრემია მოიპოვეს. ირაკლი ოჩიაური, ნიკოლოზ იგნატოვი, ზურაბ წერეთელი, მერაბ ბერძენიშვილი, ვლადიმერ გრიგოლია — ეს ის ოსტატებია, რომელთა ხელოვნება აღბეჭდილია იდეურ-შინაარსობრივი და მხატვრულ-ემოციური გამომსახველობის დიდი ძალით.

ს. ვირსალაძე და გ. თოთიბაძე არჩეულ იქნენ სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიაში.

გასული წლის მიწურულს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა დიდ ქართველ მხატვარს ლადო გუდიაშვილს, იმ მართლაც გმირული ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის, რომელსაც იგი ქართული საბჭოთა კულტურის საკეთილდღეოდ ნახევარ საუკუნეზე მეტია ეწევა.

მაგრამ ქართული სახვითი ხელოვნების წარმატებანი მხოლოდ ამ ჯილდოებში როდი გამოიხატა. ეს წარმატება აისახა მრავალრიცხოვან გამოფენებში თუ ცალკეულ ნაწარმოებებში, ნიჭიერ შემოქმედთა რამდენიმე თაობას რომ აერთიანებს. უფროსი თაობის მხატვრები — ლადო გუდიაშვილი, უჩა ჯაფარიძე, გიორგი სესიაშვილი, სილოვან კაკაბაძე, ვლადიმერ კეშელავა, სევერიან მაისაშვილი, დავით ციციშვილი, სამსონ ნადარეიშვილი, შალვა მაყაშვილი, ვახტანგ ჯაფარიძე, კორნელი სანაძე, კოტე მერაბიშვილი, ვალერიან თოფურიძე, სერგო ქობულაძე, შოთა მიქატაძე, ირინე შტენბერგი, პეტრე ბლიოტკინი, მიხეილ ვადბოლსკი, სევერიან კეცხოველი, ლადო ქუთათელაძე, ნიკოლოზ ჩერნიშკოვი, ვალერიან მიზანდარი და სხვები, რომლებიც სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგში დღესაც ენერგიულად მუშაობენ, თავიანთ მდიდარ გამოცდილებას გადასცემენ მომდევნო თაობებს და ამ მემკვიდრეობითობაშია სწორედ ჩვენი ხელოვნების ძალა, მომავალ გამარჯვებათა საწინდარი.

რა არის დამახასიათებელი ბოლო წლების ხელოვნებისათვის, როგორია ის დადებითი მოვლენები, რომლებიც განსაზღვრავენ მის ადგილს საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში და წარმართავენ მის შემდგომ განვითარებას?

უპირველეს ყოვლისა, ეს არის მხატვართა ერთიანი მისწრაფება, — თავისი წვლილი შეიტანონ იმ ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც დაუსახა კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა ხალხს — მაღალმხატვრულად ასახონ კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლა, რომ მხატვრული შემოქმედება ვითარდებოდეს ცხოვრებასთან სულ უფრო მჭიდრო კავშირში. წმინდა პროფესიული თვალსაზრისით — ეს არის სოციალისტური რეალიზმის საფუძვლების შემდგომი განმტკიცება, მისი მრავალფეროვნების გამოვლენა შემოქმედებითი ძიების, სხვადასხვა მხატვრული ხერხისა და მანერის, ინდივიდუალობის განვითარების გზით.

სახვითი ხელოვნების განვითარების საერთო პროცესში ყოველ დარგსა და ჟანრს გააჩნია დამახასიათებელი მხარეები, სიძნელეები, პრობლემები. მაგრამ ცხოვრებისეული სინამ-

(გაგრძელება მე-20 გვერდზე)

ეროვნული
ბიბლიოთეკა







ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალგაზრდა მხატვრების წარმატება






მოსკოვში გამართულ ახალგაზრდა მხატვართა ნაწარმოებების საკავშირო გამოფენაზე „ქვეყნის სიჭაბუკე“ თვალსაჩინო წარმატება მოიპოვეს ქართველმა ახალგაზრდა მხატვრებმა. როგორც ცნობილია, ჩვიდმეტი მათგანის ნამუშევარი აღინიშნა პრემიებითა და დიპლომებით. ფერმწერლების, გრაფიკოსების, მოქანდაკეებისა და გამოყენებით-დეკორატიულ ხელოვნებაში მომუშავე მხატვართა ნამუშევრების საკავშირო აღიარება კვლავ მოწმობს ჩვენი ახალგაზრდობის ნაყოფიერ შემოქმედებით შრომასა და წინსვლას.

ვბეჭდავთ რამდენიმეს დაჯილდოებული ნამუშევრებიდან.

გ. კელაურიძე — შრომითი სემესტრი

გ. ღლონტი — სერიიდან „ჩემი ქალაქი“

გ. წერეთელი — გაზაფხული

ა. მონასელიძე — ბერიკა

ა. ფარქოსაძე — ბამის მშენებლობაზე

დვილის ღრმად და მართლად დანახვა, თანამედროვეობის წინაშე დასმული საკითხების წვდომა, რეალობის შეგრძნება და განზოგადება აერთიანებს ყველა დარგისა და ჟანრის მხატვართა მისწრაფებას.

ახლებურ გადაწყვეტას პოულობს თანადროულობის პრობლემა. დღეს ეს პრობლემა დაუპირისპირდა ვითომდა ცხოვრებისეულ, უფრო სწორად, ცხოვრების მიმსგავსებით გაგებულ ფოტოგრაფიულ ასახვას, როცა მოვლენები მხატვრულ ნაწარმოებში განიხილება მისი ზერელე მხარეების ტილოზე გადმოტანით, ყოველგვარი განზოგადების გარეშე. თანადროულობა დღეს ნიშნავს იმ მოვლენათა გაანალიზებას, რომლებიც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ყველაზე მეტადაა დამახასიათებელი და რომლებიც მაყურებელს აღუძრავს ერთი მხრივ სიკეთის, ადამიანური კეთილშობილების ამაღლებულ შეგრძნებას, ხოლო, მეორე მხრივ, ნეგატიურის ყოველგვარ გამოვლინებასთან შეურიგებლობას.

თანადროულობა ხელოვნებაში — ნიშნავს ცხოვრებისეული პრობლემების ღრმად გააზრებას, იმის ღრმად წვდომას, რაც გაცდა ერთი დღის საჭირბოროტო საკითხთა წრეს და ცხოვრებაში მთავარისა და მეორეხარისხოვანის დიფერენციაციაშია გამოხატული. წინა პლანზე წამოწიოს მთავარი, მამოძრავებელი ძალა ჩვენი არსებობისა — აი ამოცანა, რომელსაც თანადროულობა აყენებს ხელოვნების წინაშე.

ამიტომ არის, რომ როცა აქტუალურ თემატიკაზე ვლაპარაკობთ, აღარ გვაკმაყოფილებს ყოველდღიურობიდან აღებული ცალკეული ფრაგმენტების მშრალი, უსულგულო გადმოტანა. ეს ჩვენი ხელოვნების გუშინდელი დღეა. დღეს მხატვარი განზოგადებული სახეებით აზროვნებს. ამ დებულების უფრო ზუსტად გადმოსაცემად, მის მაგალითად დიდ სამამულო ომში გამარჯვების XXX წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა გამოგვადგება.

უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო მტკიცდება ჩვენი ხელოვნების რეალისტური საფუძვლები, ღრმავდება მისი გაგება და შეფასება. უფრო სწორად, თითქოს მთავრდება უწინ რეალიზმად მიჩნეული შტამპებისა და სტერეოტიპთა წინააღმდეგ ბრძოლის პროცესი. ჩვენ გვახსოვს, რომ სულ ახლახან ჯერ კიდევ იქმნებოდა ნაწარმოებები ფოვისტური, ექსპრესიონისტული, სიურეალისტური გადაზრებითა და გატაცებებით. ახლა კი საგრძნობია თითქმის სრული ერთსულოვნება რეილისტური ხელოვნების განვითარების გზაზე. ამის შკარა დამადასტურებელია თუნდაც ე. წ. ,,ერთი ნამუშევრის“ გამოფენა, რომელიც გასულ წელს მოეწყო სურათების

## საშემოდგომო გამოფენიდან





თ. ასიტაშვილი — გომბორი

რ. გაჩეჩილაძე — ანეტას პორტრეტი



ეროვნული ბიბლიოთეკა

გალერეაში და რომელმაც მხატვრებს საშუალება მისცა სამსჯავროზე გამოეტანათ ნებისმიერი ნაწარმოები. აქ მხოლოდ ერთადერთი ნამუშევარი იყო მოდერნიზმის კვალს რომ მისდევდა, დადაისტების ცნობილი მერცი-კოლაჟის მსგავსად, საგნების კომბინაციით რომ იქმნება. საგულისხმოა, რომ იგი არა მარტო პროფესიონალთა, მაყურებელთა ყურადღების მიღმა დარჩა.

რეალიზმის ცნება ქართულ ფერწერაში დღეს გაცილებით ფართო საზღვრებს მოიცავს, გაცილებით მრავალფეროვანია ფერწერის გამომსახველობითი საშუალებანი. მხატვრული ფორმა მეტ სპეციფიკურ პრობლემებს იტევს. ეს ყველაფერი განსაკუთრებით იჩენს თავს თემატიკურ სურათებში, რომლებიც გასცდნენ უწინ ფესვგამდგარ დოგმასა და შტამპს და რომელთათვისაც ნიშანდობლივი იყო ლიტერატურული სიუჟეტის პარადული ხასიათი, კომპოზიციისა და ნახატის ფოტოგრაფიზმი, ფერთა წინასწარ დადგენილი გამა. დღეს აშკარად შეინიშნება კომპოზიციისა და ნახატის ორგანული შერწყმა სურათის კოლორიტთან, შინაარსისა და მხატვრული ფორმის მთლიანობა, წინა პლანზე წამოვიდა ფერწერული ამოცანები, ფერის, პლასტიკურ შესაძლებლობათა გახსნა.

ქართული ფერწერის წარმატებები აშკარად გამოჩნდა საკავშირო გამოფენებზეც.

მაგრამ, ამასთან ერთად, გამოფენებზე შეიმჩნევა ნაკლოვანი მხარეებიც, რომელიც ჯერ კიდევ გააჩნია ქართულ ფერწერას.

კვლავ მწვავედ დგას სურათის პრობლემა. სურათი სოციალური და ზნეობრვი პოზიციის გამოხატვის საშუალებაა ხელოვნებაში. ამიტომ მას დიდი ტრადიციები გააჩნია. ჯერ კიდევ ნაკლებადაა გამოფენაზე კომპოზიციურად შეკრული დასრულებული სურათი. იგი ხშირად რაღაც საშუალოს წარმოადგენს ეტიუდიდან სურათისაკენ, აკლია დასრულებულობა. ამა თუ იმ მხატვრის ნამუშევარში შეიმჩნევა პლაკატურობა, პერსონაჟების ერთფეროვნება, უსახურობა. ზოგჯერ ტილოებზე თითქოს არის ცდა მხატვრული სახე რეალურ პროტოტიპს დაუკავშირდეს, მაგრამ ეს მხოლოდ დამაჯერებლობას მოკლებული კომპრომისია.

რამდენადმე ჩამოვრჩებით პორტრეტის ჟანრშიც, რომელიც საბჭოთა ხელოვნებაში ახალ აღმავლობას განიცდის. ადამიანის ხასიათის, მისი სულიერი სამყაროს, ზნეობრივი რწმენის გამოხატვა და გახსნა მხატვრის მეტად საპატიო ამოცანაა. ერთი შეხედვით, პარადოქსად მოგეჩვენებათ, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მოდური ხდება არა მარტო მიმართულე-

ხ. კვირკვია ბიჭის პორტრეტი
ნ. ფალავანდიშვილი მ. ლორთქიფანიძის პორტრეტი





ბანი, არამედ ფერწერის ტექნიკაც კი. გახშირდა პასტოზური წერა, ტილოს ხორკლიანობა, მივიწყებულია თხელი ფენის ლისირება, გლუვი ზედაპირი. ახლა იგრძნობა ერთგვარი ფოტოგრაფიული მანერის, ანუ ,,გიპერეალიზმის" მოძალება, იგი უხვად იყო წარმოდგენილი საკავშირო გამოფენაზე ,,ქვეყნის სიჭაბუკე". არსებობის უფლება მას, რა თქმა უნდა, აქვს, მაგრამ სურათების უმრავლესობას აკლია სიღრმე, ხშირად იდეაც კი, უსულობა და ინდიფერენტიზმია ნატურალიზმის ნიშნები და არა ის, რომ სურათზე ყველაფერი დეტალურადაა ამოწერილი.

ხშირად გამოფენებზე ვხვდებით უკვე კარგად ცნობილ, მზამზარეულ ფერწერულ ხერხებს, მეთოდებს, გაჩნდა გავლენები. გამოფენაზე მაყურებლის თვალს, ალბათ, არ ეპარება ზ. ნიჟარაძის მანერის მიბაძვით შესრულებული ტილოები, რომლებიც სხვადასხვა ავტორებს ეკუთვნის, ცხადია, ეს ავტორები თვითონვე ზღუდავენ თავიანთ შესაძლებლობებს და ეფექტიც, რაღა თქმა უნდა, ძალზე მინიმალურია.

როცა ბოლო წლების ქართულ მხატვრობაზე ვლაპარაკობთ, განსაკუთრებული ადგილი უნდა დავუთმოთ ეროვნული ფორმის პრობლემას.

ეროვნული არა გარეგნული ნიშნებით, არამედ თანამედროვე ცხოვრების გააზრებისას ღრმა მხატვრულ მიდგომაში უნდა გამოიხატოს. მხოლოდ ცალკეული, ლოკალური ელემენტების — ბუნებრივი გარემოს, ტიპაჟის, ადგილობრივი სიუჟეტების — გადმოცემა ვერ გადაჭრის ნაწარმოებში ეროვნული ფორმის პრობლემას. ხელოვნურად დანერგილი პრიმიტივიზმი, არქაიზმი, ზოგჯერ ეგზოტიკური ატრიბუტები ვერ სცილდებიან ზედაპირულ მიმბაძველობას, სტილიზაციას და ხშირად პროვინციალიზმის აშკარა გამოხატულებად გვევლინება.

ჯერ კიდევ სულ რამდენიმე ხნის წინ ,,ეროვნული ხასიათი" ქართულ სახვით ხელოვნებაში დაყვანილი იყო ისეთ ადგილობრივ სიუჟეტამდე, როგორიცაა, მაგალითად, ჩაის კრეფა. რამდენიმე ცხოველხატული პლანი ჩაის ბუჩქებით ლაჟვარდოვანი ცის ფონზე და ზღვის ფრაგმენტის გამოსახულებით ქართულ ატრიბუტებად იყო მიჩნეული.

ნ. იგნატოვის ფრესკებში კი—შესრულების მანერა თუ ჟღერადი, მაჟორული კოლორიტი გადმოცემს ეროვნული ხასიათის სულს. აქ მხატვარი არ ცდილობს რადაც არ უნდა დაუჯდეს მოხატულობაში გაამჟღავნოს ეროვნული. აქ შედეგს თვით შემოქმედებითი მიდგომა განაპირობებს. ჩვენ ვგრძნობთ ნაძალადევ პრიმიტივიზმს, სპეციფიკურად ადგილობრივ კოლორიტს, მაგრამ თვით ქალაქის ხასიათის და მისი ცხოვრების გადმოცემაში, ფერთა შეფარდების შეგრძნებაში, რომანტიკულობაში და მონუმენტურ-განზოგადებული ფორმებისაკენ მიდრეკილებაში შეინიშნება აშკარა ეროვნული თავისებურება, რომელიც მძლავრადაა დაკავშირებული მხატვრობის ადგილობრივ ტრადიციებთან.

როცა ეროვნულ თავისებურებებზე ვლაპარაკობთ, უნდა აღვნიშნოთ დღევანდელობის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისება: ეს არის ეროვნულ ხელოვნებათა ურთიერთგამდიდრების ტენდენცია, რომელიც სოციალისტური ერების ინტერნაციონალურ ბუნებაზეა აღმოცენებული. ყოველ ერს შეაქვს თავისი წვლილი სოციალისტური კულტურის საგანძურში და, ამავე დროს, იძენს მისგან ყოველივეს, რაც ესთეტიკურ ფასეულობას წარმოადგენს. ამის მკაფიო ილუსტრაციაა საკავშირო გამოფენები, რომლებიც სისტემატურად ეწყობა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში — მოსკოვში. საკავშირო გამოფენა ,,დიდება შრომას" სწორედ მრავალრიცხოვანი საბჭოთა სახვითი ხელოვნების მიღწევების თვალსაჩინო დადასტურება იყო.

ახლა ჩვენს ხელოვნებაში მიმდინარეობს ფასეულობათა გადაფასების მნიშვნელოვანი პროცესი. ახლებურ შინაარსს იძენს ცნობილი დევიზი ,,ხელოვნება — ცხოვრებასთან ახლოს!" იგი ახლა მარტო ცხოვრების აღწერას, უფრო სწორად, ცხოვრებისეული მოვლენების ტილოზე გადმოტანას კი არ მოითხოვს, არამედ იმ ამოცანების პრაქტიკულ გადაწყვეტას, რომელიც წამოიჭრა ადამიანის ცხოვრების გარემოს ფორმირებასთან დაკავშირებით. ამოცანა იმაშია, რომ შეიქმნას იდეალური ესთეტიკური გარემო ადამიანის ირგვლივ. დღევანდელობა მოითხოვს მხატვრის აქტიურ ჩარევას ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობაში, რომ შექმნას მან ესთეტიკური გარემოცვა, რომელიც აამაღლებს მის განწყობას, სიხალისეს შეიტანს ყოველდღიურობაში.

სწორედ ამ ამოცანის აქტუალობამ განაპირობა მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების როლის ამაღლება თანამედროვე საბჭოთა ხელოვნებაში, რომლის მიღწევები საყოველთაოდაა ცნობილი. სწორედ ამან განაპირობა ქალაქთმშენებლობაში, არქიტექტურული ნაწარმოების ექსტერიერსა თუ ინტერიერში სახვითი ხელოვნების აუცილებელი მონაწილეობა. აქედან გამომდინარეობს არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების მნიშვნელობა.

თუ როგორი მოთხოვნილებაა მშრომელი ადამიანის ესთეტიკური გარემოცვის შექმნაზე, ძალზე კარგად ჩანს ჩვენი რესპუბლიკის ახალმშენებლობებზე. მაგრამ მე აქ მოვიყვან სრულიად არაპოპულარულ მაგალითს, მაგრამ მაგალითს რომელიც შესანიშნავად გამოხატავს ამ ამოცანის არსს. გავიხსენოთ ვანის მხატვრული კომპლექსი, რომელიც მოქანდაკე ირ. ყიფშიძის ინიციატივაზეა აღმოცენებული. ამ შემთხვევაში მე იმდენად მხატვრული დონე არა მაქვს მხედველობაში, რამდენადაც თვით პრინციპი ხელოვნების აქტიური შეჭრისა მოსახლეობაში. ვიმეორებ, მხატვრული თვალსაზრისით იქ ბევრი რამ არ არის თავის დონეზე, მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ ვანელ მოსახლეს ველარ წარმოუდგენია თავისი კუთხე ამ ქანდაკებათა გარეშე, რომელთაც ფუნქციური მნიშვნელობა დაეკისრა. ქანდაკებათა მაორგანიზებელი როლის წყალობით მოსახლეობას გაუჩნდა შეხვედრების, დასვენების ახალი ადგილები, ბავშვებს — სათამაშო მოედნები. ხოლო მაგალითი იმისა, თუ როგორ შრომობენ თვით ვანელი ახალგაზრდები ამ გარემოს შესაქმნელად — დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობის ფაქტორია იქაურ მოსახლეობაში.

ხელოვნების ახალ ფუნქციონალურ შესაძლებლობებს გვკარნახობს ადლერის ბავშვთა მოედნის მხატვრული კომპლექსი, რომელიც ბავშვთა დასვენების ცხოველმყოფელი, აქტიური მაორგანიზებელი საშუალებაა.

ადამიანის ესთეტიკური გარემოს ფორმირებაში დიდი როლი ენიჭება ქანდაკებას, რომელსაც უდიდესი შემეცნებითი მნიშვნელობაც აქვს დაკისრებული. თემატიკური კომპოზიცია თუ ცალკე მდგომი ფიგურა გარკვეულ შინაარსს აძლევს გარემომცველ სივრცეს და იდეურ სიმახვილეს ანიჭებს მას. ასე შეიქმნა ქალაქებში ცალკეული მონაკვეთები, რომლებიც სწორედ ამა თუ იმ ქანდაკების წყალობით ახლებურ ჟღერადობას იძენს. მონუმენტური ქანდაკების აქტიური როლი ქალაქთმშენებლობაში კიდევ უფრო იზრდება და იგი მონუმენტური პრო-

პაგანდის ლენინური გეგმის კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენს. ჩვენ ვამაყობთ ამ დარგში ბოლო წლებში შექმნილი არა ერთი ნაწარმოებით.

ბოლო დროს ქართული პლასტიკური ხელოვნებისათვის დამახასიათებელია განზოგადებული, მასშტაბური სახეების შექმნა მონუმენტურ ქანდაკებაში, ხოლო სხარტი, მეტყველი და სადა ძერწვით მიღწეული ემოციურობა კამერულ ნაწარმოებებში. მაგრამ ჯერ კიდევ ვხვდებით ნაუცბადევ, დაუმუშავებელ, დაუმთავრებელ ნაწარმოებებს. მოგეხსენებათ, ექსპრომტი პლასტიკურ ხელოვნებასთან შეუთავსებელია. როცა ლიტერატორთა საზოგადოებამ ზოლას მეთაურობით როდენს ბალზაკის ქანდაკება დაუკვეთა, მან თავის ოცდაორი, ფიგურის შვიდი და ტანსაცმლისათვის — თექვსმეტი ეტიუდი გააკეთა!

ბოლო წლები აღინიშნა ქართული გრაფიკის რეპუტაციის მკვეთრი ამაღლებით საკავშირო ასპარეზზე და, განსაკუთრებით, დაზგური გრაფიკისა. პროფესიული დაოსტატება, ლირიზმი და პოეტურობა, ტრადიციულისა და თანამედროვე გამომსახველობით საშუალებათა შერწყმის ცდა — მყარი საფუძველი გახდა გრაფიკის შემდგომი განვითარებისათვის. თანამედროვეობა — აი ჩვენი გრაფიკოსების შთაგონების წყარო.

დაზგური გრაფიკის წარმატებაში გარკვეული როლი ითამაშა სხვადასხვა ტექნიკის ათვისებამ — ოფორტის სახეობებმა, ლითოგრაფიამ, ლინოგრავიურამ, ნაკლებად — ქსილოგრაფიამ. მხოლოდ უკანასკნელ ხანებში მიმართეს ასე ფართოდ ქართველმა გრაფიკოსებმა მასალაში მუშაობას. ამაში დიდია როლი სენეჟის შემოქმედებითი სახლისა, სადაც მასალაში შესრულდა გრაფიკულ სერიათა უმრავლესობა.

ამ წარმატებებთან ერთად უნდა აღინიშნოს უკვე მოძებნილი ხერხების დაშტამპვის საშიშროება, რაც უკვე აშკარად შეინიშნება პერსონაჟთა პოზების სტატიკაში, ჟესტების პირობითობაში, მოქმედების ადგილის აპრიორულ წარმოდგენაში, გადაჭარბებულ მისწრაფებაში — შექმნან ,,ლამაზი" დეკორატიული ფურცელი.

ჩვეულებრივ მოვლენად იქცა პლაკატისტთა წარმატებები, მაგრამ ბოლო დროს აქაც შეინიშნება ერთფეროვნება, ქართული პლაკატი მონოქრომული გახდა, თითქოს ერთიანი სტერეოტიპის გავლენის ქვეშ მოექცა იმის გამო, რომ საგამომცემლო ორგანოები არ იჩენენ საკმარის ინტერესს მხატვრულ პლაკატს ეცლება ფუნქცია. ნაცვლად იმისა, რომ გამოფენებზე აპრობირებული პლაკატები პოლიგრაფიის საშუალებით გავრცელდეს რესპუბლიკაში და ამით ამაღლდეს მისი როგორც იდეური, ისე ესთეტიკური მნიშვნელობა, იგი უსულო საგამოფენო ექსპონატად გადაიქცა. ქართული მხატვრული პლაკატი იმსახურებს ტირაჟირებას და საჭიროა ამ საქმეს ყურადღება მიექცეს. უნდა გადაწყდეს ,,აგიტპლაკატის" მასობრივი გამოშვების საქმე.

უკანასკნელ ხანს დიდ პოპულარობას მიაღწია ქართულმა თეატრალურმა მხატვრობამ, რასაც დიდად შეუწყო ხელი თეატრების საგასტროლო სფეროს გაფართოებამ და თეატრალური საზოგადოების აქტიურმა საქმიანობამ.

ქართული სცენოგრაფიის ოსტატებმა გაუძლეს ევროპული სტანდარტის მოძალებას, 60-იან წლებში ბევრი მხატვარი რომ ჩაითრია. 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან ახალგაზრდა მხატვრების მძლავრმა ნაკადმა, რომელმაც ქართულ თეატრში შემოაბიჯა, ახალი იმპულსი მისცა სასცენო სივრცის მოდელების შემდგომ ძიებებს. ამ, ე. წ. ,,პლასტიკურმა რეჟისურამ" სცენოგრაფია სპექტაკლის ერთ-ერთ წამყვან კომპონენტად აქცია.

ქართული სცენოგრაფიის დღევანდელი ეტაპისათვის დამახასიათებელია დრამატული კოლექტივის მამოძრავებელი პლასტიკური გახსნა, სტატიკური მდგომარეობიდან თავის დაღწევა და სასცენო მოქმედებაში აქტიური ჩარევა. თანამედროვე დეკორაცია ფონი კი არ არის, არამედ სპექტაკლის აზრის გადმოცემის განუყოფელი კომპონენტია. იგი მოსცილდა მშრალ გამფორმებლობასა და სცენასა და დარბაზს შორის აზრობრივი კონტაქტის დამყარებას დაეფუძნა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს საბჭოთა და მასთან ერთად ქართულმა სცენოგრაფიამ ისეთ მწვერვალებს მიაღწია, რომ ხშირად იგი განსაზღვრავს კიდეც სპექტაკლის საერთო წარმატებას. ამის საილუსტრაციოდ ს. ვირსალაძის ,,ივანე მრისხანე" გამოგვადგება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თეატრალური მხატვრობის ეს ხარისხობრივი ძვრა რაოდენობაშია გადასული, რაოდენობაში, რომელსაც სხვადასხვა თაობათა წარმომადგენლები ქმნიან.

კულტურული მემკვიდრეობის საკითხები ყოველთვის შეადგენდნენ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის საგანს. ამის მკაფიო დადასტურებაა სკკპ ცკ-ის დადგენილება ,,ხალხური სარეწების შესახებ" და ახალი კანონი ,,ისტორიის და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ", რომლებიც მთელმა ჩვენმა საზოგადოებრიობამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო.

მემკვიდრეობის ათვისებასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახვითი ხელოვნების გამოყენებით-დეკორატიული დარგები, რომლებიც ორმაგი ბუნებით ხასიათდებიან: მხატვრულ-ესთეტიკური და ფუნქციურ-გამოყენებითი, და, რომლებსაც მიღწევებთან ერთად გადაუწყვეტი პრობლემებიც აქვთ. ფუნქციური მხარე გამოყენებით ხელოვნებას აქტიურ ძალად აქცევს, რადგან ღრმად იჭრება ადამიანის ყოფაში და მასზე ბევრად არის დამოკიდებული ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება-განსაზღვრა.

გამოყენებითი ხელოვნების დარგების სპეციფიკის გამო შემოქმედებითი ძიებანი განუხორციელებელ ოცნებად რომ არ დარჩეს, საჭიროა მოგვარდეს მასალით უზრუნველყოფის საქმე, მასალის მოპოვებას კი ხშირად საწარმოო წესი და ხერხები სჭირდება, ან ლიმიტირებულია და ძნელად საშოვნია. ასეთებია: შამოტი, ცეცხლგამძლე თიხები, ჭიქურები, კერამიკული საღებავები, მინანქარი, ნართი, ლითონი, ხე, საქსოვი დაზგები და მანქანები — ე. ი. ფაქტიურად, მთელი საწარმოო გაერთიანებაა საჭირო ტექნიკური საკითხების გადასაჭრელად.

წარმოებას უკავშირდება მხატვრის როლისა და მნიშვნელობის შეფასება ფაბრიკა-ქარხნებში. ყურადღება უნდა გამახვილდეს მხატვართა კადრების დარგობრივ სპეციალიზაციაზე. ამ საკითხთა გადაწყვეტა სცილდება ერთი დაწესებულების უწყებრივ ინტერესებს და დღეს, ხარისხის ხუთწლედის დროს, განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იძენს.

ჩვენ შეგნებულად ვამახვილებთ ყურადღებას გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკურ სიძნელეებზე, რადგან დღეს ისინი მეტად აქტიურად მოქმედებენ მხატვრულ შესაძლებლობებზე და შემოქმედებითი პროცესების განვითარებაზე.

ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ ხარისხობრივად მაღლდე-

ბა საბჭოთა კულტურა, მდიდრდება მხატვრული ფორმა, იზრდება ჟანრული თუ სტილისტური მრავალფეროვნება, ცხოვრების სიმართლის ამსახველი მხატვრული საშუალებანი უფრო სრულყოფილ სახეს იძენენ. საჭიროა ხელოვნების ნაწარმოების მხატვრული ხარისხისა და ემოციური ზემოქმედების ძალის ამაღლება. საბჭოთა ხალხის გაზრდილი ესთეტიკური მოთხოვნილებანი ვერ ითმენენ იდეურსა თუ მხატვრულ სიმდარეს, ხელოვნების უღიმღამო ნაწარმოებებს. ჩვენს ხელოვნებაში ჯერ კიდევ არის საშიშროება ბურჟუაზიული იდეოლოგიის შემოჭრისა, რომელიც შენიღბულია და მალავს თავის კლასობრივ არსს.

ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი იდეოლოგიური ბრძოლის ერთ-ერთ მოწინავე უბანზე იმყოფებიან. ამ საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხელოვნებათმცოდნეობასა და კრიტიკას.

თუ ხელოვნებათმცოდნეობაში დიდი მიღწევები გაგვაჩნია და ეს საქვეყნოდაა აღიარებული, მხატვრული კრიტიკა, რომლის მოვალეობაა, როგორც ეს აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებაში „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“, — თანამედროვე მხატვრული პროცესების, მოვლენების, ტენდენციებისა და კანონზომიერებათა ღრმა ანალიზი — ჩამორჩება იმ ამოცანებს, რომელსაც დღევანდელობა აყენებს მის წინაშე. კრიტიკის როლი ჩვენში ძირითადად ხელოვნების პროპაგანდითაა შემოფარგლული, ხოლო მიმდინარე მხატვრული პროცესების ღრმა ანალიზს იგი იშვიათად იძლევა.

ხელოვნებათმცოდნეობისა და მხატვრული კრიტიკის ამოცანა დღევანდელ ეტაპზე განისაზღვრება მხატვრულ ცხოვრებაში აქტიური ჩარევით და მხატვრული პროცესების განვითარებაზე მოქმედი გავლენით. ხელოვნების ისტორიის ღრმა მეცნიერული გაშუქება და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობის დადგენა, პროგრესულის გამოვლენისა და მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისების თვალსაზრისით, ბურჟუაზიული რეაქციული იდეოლოგიის პრინციპული, პარტიული კრიტიკა და შეფასება, სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების განვითარებისათვის ბრძოლა, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის პროპაგანდა და დანერგვა — ძირითადი გეზია საბჭოთა ქართული ხელოვნებათმცოდნეობისა და კრიტიკის შემდგომი განვითარებისათვის.

საქართველოს მხატვართა შემოქმედებითი კავშირი დიდი და რთული ორგანიზმია, რომელიც წმინდა შემოქმედებით თუ მატერიალურ-სამეურნეო საკითხებს მოიცავს და რომელთა გადაწყვეტა მიმართულია ძირითადი და უმთავრესი ამოცანისაკენ — საბჭოთა სახვითი ხელოვნების შემდგომი განვითარებისაკენ. საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და შრომის მხატვრული სახეების შექმნა — აი ეს მოთხოვნა წამოყენებულია თვით ჩვენი, საბჭოური ცხოვრების მიერ, ჩვენი ეპოქის მიერ. პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს მოგვიწოდებენ ყოველმხრივ შევისწავლოთ ცხოვრება და შევქმნათ საბჭოთა ხალხის გმირული საქმიანობის ამსახველი მართალი, ღრმა მხატვრული ტიპები. ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ისტორიაში მიმდინარე სოციალური ძვრები, საზოგადოების მატერიალური და სულიერი კულტურის განუწყვეტელ ზრდასთან დაკავშირებული პროცესები თავის კვალს ამჩნევს საბჭოთა ადამიანის სულიერ სამყაროს, მის იდეურ-ეთიკური სფეროს ჩამოყალიბებასა და განვითარებას. შექმნა შემოქმედებითი ატმოსფერო, იდეურად სწორად წარმართო და პარტიის სტრატეგიას დაუკავშირო შემოქმედებითი კავშირის მთელი საქმიანობა, უზრუნველყო მატერიალური ბაზა და საყოფაცხოვრებო პირობები — ყოველდღიურად გადასაწყვეტ, რთულ ორგანიზაციულ საკითხებს აყენებს შემოქმედებითი კავშირის წინაშე.

უკანასკნელი წლების მანძილზე მკვეთრად გამოიკვეთა ის ძირითადი მიმართულებანი, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი შემოქმედებითი კავშირის მთელს მუშაობას, მის პოზიციას, პოლიტიკას.

საქართველოს მხატვართა კავშირი მთელ თავის საქმიანობას უქვემდებარებს იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც გამომდინარეობენ პარტიის მოწოდებიდან ხელოვნების მუშაკებისადმი, რომ მათ თავიანთი შემოქმედებით აღაფრთოვანონ ხალხი ახალი შრომითი გმირობისათვის, რომ ხელოვნების მუშაკები იყვნენ პარტიის ერთგული თანაშემწენი ახალი ადამიანის აღზრდაში, ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტური იდეალებით, საბჭოთა პატრიოტიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდაში.

კავშირის ყველა წევრმა სრულიად გარკვევით უნდა იცოდეს, რომ ჩვენი შემოქმედებითი კავშირი უპირველესად იდეოლოგიური ფრონტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია და არა მარტო მხატვართა მატერიალური კეთილდღეობისათვის მზრუნველი ორგანო; რომ მხატვართა კავშირი ვალდებულია უზრუნველყოს იმ აქტუალური შემოქმედებითი ამოცანის გადაწყვეტა, რომლებიც ხელოვნებაში მაღალი იდეურობისა და საბჭოთა ხალხის გაზრდილ ესთეტიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ არის მიმართული.

აქედან გამომდინარე, შემოქმედებითი კავშირის საქმიანობის გარკვეულ ეტაპზე წამოიჭრება სხვადასხვა საკითხები, რომლებიც გადაუდებელ გადაწყვეტას მოითხოვს.

ერთ-ერთ ასეთ საკითხად ჩვენ ხელოვნების მაღალი იდეურობიდან გამომდინარე, წმინდა პროფესიული, შემოქმედებითი პრობლემები გვესახება. სწორედ ამიტომ, უკანასკნელი სამი წლის მანძილზე უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებდით გამგეობის გაფართოებული პლენუმების მოწვევას, რომლებიც შემოქმედებით საკითხებს იხილავდნენ და ჩვენი მხატვრული ინტელიგენციის ფართო მონაწილეობით ტარდებოდა. ჩვენ მტკიცედ დავაკანონეთ, რომ გამგეობის პლენუმები, უმთავრესად შემოქმედებითი საკითხების განხილვისადმი იყოს მიძღვნილი. 1974-75-76 წლებში ჩატარებულ პლენუმებზე განხილული იყო ქართული საბჭოთა ქანდაკების, ფერწერის, გამოყენებით-დეკორატიული ხელოვნების საკითხები, მხატვრის როლი ქალაქის დღევანდელი სახის ჩამოყალიბებაში და სხვ., გარდა მხატვრებისა, ამ პლენუმებში ლიტერატურისა და სხვა ხელოვნების მომიჯნავე დარგების მუშაკებიც მონაწილეობდნენ.

ჩვენი ამოცანაა წინა პლანზე წამოვწიოთ შემოქმედებითი სექციების როლი და მნიშვნელობა. სექციები კავშირში უნდა გადაიქცეს უმთავრეს დასაყრდენ ძალად, რომელმაც უნდა განაპირობოს კავშირის მთელი მუშაობა. სექციების უნარიანი ხელმძღვანელობის პირობებში მჭიდრო, საქმიანი კონტაქტები მყარდება კავშირის წევრთა მთელ შემადგენლობასა და კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებს შორის. სექციებმა უნდა იკისრონ პასუხისმგებლობა დარგობრივ დაკისრებულ შემოქმედებით სამუშაოზე. ჩვენ მართებულად არ მიგვაჩნია, მაგალითად, სამხატვრო გამოფენათა ორგანიზება მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგამოფენო კომიტეტების მიერ. უნდა აღდგეს ის კარგი პრაქტიკა, როცა ნამუშევრებს ჯერ სექციები იხილავდნენ. ეს ხელს შეუწყობს შემოქმედებითი ატმოსფეროს გაჯანსაღებასაც, რადგან პროფესიული სჯა-ბაასი, ესკიზების განხილვები, დამთავრებული სურათების გაანალიზება ცალკეულ დარგთა სპეციალისტების მიერ ნაყოფიერ შედეგებს მოიტანს. სექციათა ხელმძღვანელები უნდა მონაწილეობდნენ კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობაში. ყველა ამ საკითხის გადასაწყვეტად მუშაობა დაწყებულია, ახლა საჭიროა მისი ფიქსირება და ეფექტურობაზე ზრუნვა.

მხატვართა კავშირის ყურადღების ორბიტაში მოვაქციეთ სახვითი ხელოვნების დაზგური დარგების უპირატესი განვითარების საკითხი. დაზგური ხელოვნება — საფუძველია ღრმა პროფესიონალიზმისა. ამ საკითხზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ახლა, როცა ფართო მასშტაბით გაიშალა „გამფორმებლური" შემოქმედება (თუმცა ამ დარგში გარკვეული წარმატებებია მოპოვებული — შეიქმნა არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი ნაწარმოები), ნებსით თუ უნებლიეთ, ამან დაზგური ხელოვნებისადმი მხატვართა ინტერესის შესუსტება გამოიწვია. მატერიალურმა დაინტერესებამ შემოქმედთა დიდი ნაწილის ყურადღება სამხატვრო კომბინატისაკენ წარმართა, ხოლო სხვადასხვა მიზეზთა გამო მოდად ქცეული ჭედურობა, მოზაიკა, ვიტრაჟები დევნიან ინტერიერიდან დაზგურ ნაწარმოებს. ეს სრულიადაც არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოს ჩვენ წინააღმდეგი ვართ მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების დარგთა გამოყენებისა, მაგრამ ეს არ უნდა იქცეს თვითმიზნად, „სერიული" ტექნიკის დემონსტრაციად, რომლის საფუძველი ზოგჯერ ისევ და ისევ მატერიალური დაინტერესებაა. სწორედ ამის გამო, შენობებში დაზგური ქანდაკებისა თუ ფერწერისათვის ადგილი აღარ რჩება, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, სადავოა, ჭედური თეფშებით მოკაზმული კედელი უფრო მიმზიდველი იქნება თუ რომელიმე გამოჩენილი ოსტატის მიერ შესრულებული, ვთქვათ, ფერწერული ტილო.

დაზგური ხელოვნების განვითარების ყველაზე ქმედითი საშუალებაა მხატვართა რაც შეიძლება ფართოდ მოზიდვა გამოფენებისაკენ. საამისოდ მაქსიმალურად უნდა დავაინტერესოთ ისინი.

გასულ წელს მხატვართა კავშირმა სპეციალური ჯილდოები დააწესა წლის საუკეთესო ნამუშევრებისათვის და სწორედ საგამოფენო ექსპონატებისათვის. ჩვენი თხოვნით, რიგმა ორგანიზაციამ სპეციალური პრიზები დააწესა. კარგი იქნება, ორგანიზაციებმა, რომლებსაც სათანადო სახსრები გააჩნიათ, გამოფენებიდან შეიძინონ მხატვართა ნამუშევრები, დააწესონ ჯილდოები, მეტი ყურადღება გამოიჩინონ ჩვენი კულტურის ამ მეტად მნიშვნელოვანი უბნისადმი.

საგამოფენო მოღვაწეობა — მხატვართა კავშირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზრუნავია. იდეურად გამიზნული, მაღალი პროფესიული დონის გამოფენები მშრომელთა იდეურ-ესთეტიკური, პატრიოტული აღზრდის საქმეს ემსახურება.

გამოფენათა რიცხვი წლიდან წლამდე მატულობს. იზრდება მისი გეოგრაფიული დიაპაზონიც. სულ უფრო მეტი და საინტერესო გამოფენები იმართება ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, საბჭოთა კავშირსა თუ უცხოეთში. მხატვართა კავშირი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა დიდ თემატურ გამოფენებს, როგორიცაა, „დიადი გამარჯვების



კ. მახარაძე
სტამბული

ლ. ბაიახჩევი
ქალის პორტრეტი



XXX წელი'', დიდება შრომას'', აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ-ოსეთის და ქუთაისელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა მოსკოვში და სხვ. გამოფენებზე, რომლებიც ამ ბოლო დროს გაიმართა წინასწარ შემუშავებული პროგრამით, იმატა დღევანდელობისათვის აქტუალურმა თემებმა, ისეთმა თემებმა, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების სწორედ დღევანდელი დღისათვის არის დამახასიათებელი.

გამოფენის პერსპექტიული წლიური გეგმები ზოგჯერ ირღვევა ობიექტური თუ არაობიექტური მიზეზებით. საჭიროა მკაცრად დავიცვათ საგამოფენო გრაფიკი, თორემ წლიდან წლამდე გადასული გამოფენები აქტუალობას კარგავენ და მხოლოდ ღონისძიების ფორმალურად ჩატარებას ემსახურებიან.

შედგენილია ,,ინტურისტის'' რეკონსტრუქციის პროექტი. რუსთაველის პროსპექტზე შეიქმნება თანამედროვე საბჭოთა სახვითი ხელოვნების მუდმივმოქმედი თუ პერიოდული გამოფენები, ექსპერიმენტული თუ პერსონალურ გამოფენათა საექსპოზიციო დარბაზები. მაგრამ მარტო ეს ერთი შენობა ან ,,მხატვრის სახლი'', როგორც ჩვენ უკვე მას ვეძახით, ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნებისათვის მაინც არ იქნება საკმარისი. პროექტი ითვალისწინებს სურათების გალერეის კორპუსის მშენებლობას კეცხოველის ქუჩის მხარეს, რითაც შეიკვრება მთელი კვარტალი და შეიქმნება საბჭოთა ხელოვნების მიღწევათა დემონსტრაციის მძლავრი კერა. ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული, რომ ამჟამად ახალი კორპუსის მშენებლობის შესაძლებლობა არ არსებობს, მაგრამ კულტურის სამინისტრომ კაპიტალურ მშენებლობათა პერსპექტიულ გეგმაში უნდა შეიტანოს ასეთი გალერეის მშენებლობა. ქართველი მხატვრები იმსახურებენ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ფუნდამენტურ, თანამედროვე ტექნიკის მიხედვით აგებულ სურათების გალერეას.

როცა გამოფენაზე ვლაპარაკობთ, საქმე მარტო თბილისს როდი ეხება. მხატვართა კავშირის მუშაობა მიმართული იყო იქითკენ, რომ ჩვენი რესპუბლიკა მთლიანად მოიცვას გამოფენათა ქსელმა. ჩვენ ვაწყობთ გამოფენებს რაიონულ ცენტრებში, ფაბრიკა-ქარხნებში, სკოლებში...

ბოლო დროს საგამოფენო დარბაზები გაიხსნა ბათუმში, ბორჯომში, მადნეულში, ბიჭვინთაში. ქუთაისში სურათების გალერეის გახსნა გადაიქცა სახალხო ზეიმად, რომელშიც მთელი ქალაქი მონაწილეობდა. სულ მალე საგამოფენო დარბაზი გაიხსნება საჩხერეში. დიდი მადლობა ეთქმით ამ რაიონების პარტიულ ხელმძღვანელობას იმ მხარდაჭერისათვის, რამაც განაპირობა ამ შესანიშნავი ღონისძიებების განხორციელება.

საქართველოს მხატვართა კავშირმა რესპუბლიკის მუშამოსამსახურეთ მიმართა დევიზით — ,,არცერთი რაიონი — სამხატვრო გალერეის გარეშე!'' დღეს სამხატვრო გალერეა ან საგამოფენო დარბაზი ისევე აუცილებელია ქალაქისა თუ რაიონის ცენტრისათვის, როგორც თეატრი, კინო თუ სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება.

რაც შეეხება გამოფენათა დაკომპლექტებას, ამის რეზერვები უხვად არსებობს.

ჩვენს განკარგულებაშია მრავალი სურათი, შეძენილი სამხატვრო ფონდისა თუ კულტურის სამინისტროს სახსრებით. კულტურის სამინისტრო ყოველწლიურად (1974 წლის დადგენილების შემდეგ) 270.000 მანეთს, ხოლო სამხატვრო ფონდი 130.000 მანეთს გამოყოფს მხატვართა ნამუშევრების შესაძენად. ეს ნამუშევრები სახელმწიფო საკუთრებაა, და, ბუნებრივია, გამიზნულია არა შეუფერებელ სარდაფებში (რომელთაც, ასე ვთქვათ, ფონდი ან საცავები ჰქვია) ერთმანეთზე მისაწყობად, არამედ გამოფენებისა თუ სხვა საშუალებებით ფართოდ სადემონსტრაციოდ. წლების მანძილზე ეს სურათები მოცილებულია მაყურებელს. აქ საქმე მარტო იმაში როდია, რომ ეს სახალხო საგანძური, რომლის მოვლისათვის სპეციალური ტემპერატურული თუ სხვა რეჟიმია საჭირო, თანდათანობით ნადგურდება, ზარალობს ჩვენი სახვითი ხელოვნების პროპაგანდის, მშრომელთა იდეურ-ესთეტიკური აღზრდის საქმე.

ცნობილია, რომ დღეს სულ სხვაგვარია სოციალური დაკვეთის არსი, რამაც თვით სახვით ხელოვნებას ახალი მიზნები და ამოცანები დაუსახა. საქმე ეხება შემოქმედებითი ნიმუშების პრაქტიკულ გამოყენებას. უწინ მხატვარს უკვეთავდნენ სურათს ამა თუ იმ გარკვეული დარბაზისათვის, კონკრეტული ადგილისათვის. ახლა დაზგური ხელოვნების ნაწარმოების ძირითადი ადგილი საგამოფენო დარბაზებია. თუ მწერალს არ ექნება პოლიგრაფიული ბაზა, სადაც მისი ნაწარმოები გამოიცემა ან კინოფილმს — კინოდარბაზი სადემონსტრაციოდ, განა შეიძლება ლაპარაკი ლიტერატურისა და ხელოვნების ნიმუშთა მისაწვდომობაზე? განა შეიძლება ჩვენს სინამდვილეში იყოს ქალაქები, სადაც არ იქნება საგამოფენო დარბაზები?

საგამოფენო დარბაზების მოწყობა ყველა ქალაქისა და სარაიონო ცენტრის მესვეურთა საზრუნავი უნდა გახდეს. ჩვენ ძალზე ბევრი დრო გავაცდინეთ და ახლა ამ ხარვეზებს სერიოზული გამოსწორება სჭირდება.

საგამოფენო ფონდის შექმნაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ადგილობრივმა წარმოება-დაწესებულებებმა. მომჭირნეობისათვის ათასი პუნქტი არსებობს. დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, ქალაქად თუ სოფლად, არ უნდა დაინანონ ჭარბი შემოსავალი მშრომელთა იდეურ-ესთეტიკური ამაღლების ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმისათვის.

დღესდღეობით საქართველოს მხატვართა კავშირის საგამოფენო მოღვაწეობის სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მოძრავი გამოფენის გარეშეა მთელი რიგი რაიონებისა. პერიფერიებში მოწყობილ გამოფენებს აკლიათ იდეური სიმახვილე, თემათა აქტუალობა.

განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების პროპაგანდის საკითხები. ხელოვნების მიტანა ხალხის ფართო მასებთან, მისი დაახლოება იმ ადამიანებთან, ვისთვისაც იგი იქმნება — მეტად მნიშვნელოვანი და სერიოზული საკითხია და იგი არაფრით არ შეიძლება თვითდინებას მიეცეს.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ XXV ყრილობაზე აღნიშნავდა, რომ ,,ახლა მიმდინარეობს ხელოვნების ცოდნით გამდიდრების ცხოველმყოფელი პროცესი, მეორე მხრივ კი, მშრომელთა მრავალმილიონიანი მასების კულტურის ღირებულებათა შემდგომი ათვისების პროცესი''. ამ პროცესში მხატვრებისა და ხალხის ერთიანობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოს მხატვართა იდეურ-შემოქმედებითი ერთიანობისა და დარაზმულობის გამომხატველია მშრომელ მასებთან მჭიდრო კონტაქტი და დაახლოება. ეს კონტაქტები ორმხრივ გამამდიდრებელია.

მუდამ ვცდილობთ ,,მხატვრის კვირეულის'' დღეებში

სრულყოფილად გამოვიყენოთ კონტაქტების ყველა შესაძლებლობანი. სახელოსნოებში — ღია კარების დღეები, შეხვედრები ფაბრიკა-ქარხნებსა თუ სასწავლებლებში, ინტელიგენციასთან, გამოფენები, პრესა, ტელევიზია, რადიო კარგად აცნობს მშრომელებს ჩვენს საქმიანობას. შრომისა და ხელოვნების კავშირის განმტკიცება — საბჭოთა ხელოვნების მამოძრავებელი ძალაა და ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ ამ კავშირის კიდევ უფრო გაძლიერებისათვის. სასიხარულოა, რომ „მხატვრის კვირეულის" პრაქტიკა ფართო გამოხმაურებას პოულობს რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც. გავიხსენოთ შარშან ეს დღეები ქუთაისში, ამ ზეიმში თითქმის მთელმა ქალაქმა მიიღო მონაწილეობა.

ხელოვნების პროპაგანდის საკითხებს უკავშირდება საგამომცემლო საქმიანობა, ამ მხრივ, მართალია, ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული, მაგრამ უნდა მოვახერხოთ, რომ მხატვართა კავშირი მტკიცედ ამოუდგეს მხარში გამომცემლობებს და თანდათანობით, გეგმაზომიერად, ხელოვნების მოყვარულთ მიაწოდოს ჩვენი დღევანდელი ხელოვნების ამსახველი წიგნები, ბუკლეტები, რეპროდუქციები. უკვე სისტემატური სახე მიიღო გაზეთ „მხატვრის" გამოცემამ, ყოველწლიურად იბეჭდება ფერადი რეპროდუქციები. გამომცემლობა „ხელოვნებასთან" მჭიდრო კავშირში ჩვენ ვსტამბავთ ქართველ მხატვართა ნამუშევრების ალბომებს.

მხატვართა კავშირში დასასრულს უახლოვდება მეტად სერიოზული სამუშაო საქართველოს საბჭოთა მხატვრების ენციკლოპედიური ლექსიკონის შესადგენად. განზრახულია მისი რამდენიმე ენაზე გამოცემა. ჩვენში პირველად შეიქმნება სრული ნუსხა მხატვართა მოღვაწეობის და შემოქმედების შესახებ. ამ გამოცემაზე მუშაობამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ ჯერ კიდევ არ ვიყენებთ ჩვენს შესაძლებლობებს ხელოვნების პროპაგანდის საქმეში. მხატვართა კავშირს დიდი საშუალებები გააჩნია, საჭიროა მიაგნო მას და რაციონალურად გამოიყენო. ამ საკითხებს უკავშირდება ხელოვნებათმცოდნეობისა და კრიტიკის როლის გაძლიერება მხატვართა კავშირის საქმიანობაში. ჯერჯერობით არ არის მოწესრიგებული ხელოვნებათმცოდნეთა შრომის ანაზღაურების სისტემა.

აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ-ოსეთში და ქუთაისში საკმაოდ მძლავრი შემოქმედებითი ორგანიზაციები გვყავს, რომლებიც ყოველდღიურ მზრუნველობასა და დახმარებას საჭიროებენ. მხატვართა კავშირის პრეზიდიუმმა რამდენჯერმე იმსჯელა მათი მუშაობის შესახებ, გახშირდა და უფრო მჭიდრო გახდა კონტაქტები, მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საჭირო იქნება ამ ორგანიზაციებთან უფრო საქმიანი, სისტემატური ურთიერთობის დამყარება.

კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების აქტიური დახმარება აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ-ოსეთის და ქუთაისის განყოფილებებისადმი. საოლქო და საქალაქო კომიტეტებმა სპეციალური დადგენილებები მიიღეს მხატვართა შემოქმედებითი მუშაობისა და მატერიალური ბაზის გაძლიერების შესახებ. ყველაფერი ეს მხატვართა შემდგომი მუშაობის მძლავრ სტიმულს ქმნის და არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც წმინდა შემოქმედებით, ისე ეთიკურ-ზნეობრივი პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

1975 წელს მოსკოვში მოეწყო აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ-ოსეთის და ქუთაისის ორგანიზაციებში გაერთიანებულ მხატვართა ნაწარმოებების დიდი გამოფენა, რომელმაც თვალნათლივ დაგვანახა მხატვართა თვალსაჩინო წარმატებანი მხატვრული დაოსტატების გზაზე. შესაძლებლობა მოგვეცა არა მარტო შეგვეჯამებინა ზოგიერთი შედეგები, არამედ ამ შემოქმედებითი კოლექტივების განვითარების პერსპექტივებიც დაგვენახა (თუმცა თემატიკის შერჩევასა თუ წმინდა პროფესიულ შესრულებაში ჩრდილოვანი მხარეებიც გამოვლინდა). სხვადასხვა დარგისა და ჟანრის ნაწარმოებებში ჩანდა მხატვართა მისწრაფება — აესახათ თანამედროვეობა მთელი მრავალმხრიობით, ფსიქოლოგიურად ღრმად გაეხსნათ ჩვენი ადამიანის ცხოვრება. გამოფენა მხატვართა მზარდ პროფესიულ ოსტატობას, შემოქმედებითი ინტერესების სიფართოვეს ცხადყოფდა.

ექსპოზიციამ ისიც გვიჩვენა, რომ მხატვრები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ თანამედროვე თემატიკას, ზოგჯერ უფრო ყოფის „ეთნოგრაფიული" გადმოცემით არიან გატაცებულნი, ვიდრე შინაარსის ღრმად გახსნით. ამდენად, მხატვართა შემოქმედებაში იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებისათვის ბრძოლა, პროფესიული ოსტატობის გაღრმავება-გამდიდრება წამყვან მნიშვნელობას იძენს. საჭიროა მხატვართა შემოქმედებით პრაქტიკაში და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში მეტი ადგილი დაიკავოს კომუნისტური მშენებლობის ობიექტებმა, რესპუბლიკის მოწინავე საწარმოებმა და კოლმეურნეობებმა, მხატვრები უფრო მჭიდროდ დაუახლოვდნენ ცხოვრებას, რათა შექმნან ნაწარმოებები, რომლებშიც მაღალმხატვრულ ასახვას ჰპოვებს დღევანდელი დღის მაჯისცემა, ამაღლებული შრომის პათოსი.

მხატვართა კავშირის ინიციატივით მოეწყო კონკურსი ი. ნიკოლაძის ძეგლზე ქუთაისში, გაიმართება კონკურსი მენავთობეთა მონუმენტზე ბათუმისათვის. ქართული ხელოვნების ძეგლები მარტო თბილისს კი არ უნდა ამკობდეს, უნდა ვცდილობდეთ შეიქმნას მაღალმხატვრული ნაწარმოებები მთელს ჩვენს რესპუბლიკაში, ისეთები, რომლებიც ყველაზე მკაცრ ესთეტიკურ მოთხოვნებს პასუხობენ.

ეს ამოცანა უკავშირდება ქალაქების, სარაიონო ცენტრებისა და კურორტების მხატვრული გაფორმების გენერალური გეგმის შემუშავებას. იგი ერთიან გეგმას დაუმორჩილებს მთლიანი კომპლექსების მხატვრული სახის შექმნას და სახელმწიფო სახსრების ხარჯვას რაციონალურად წარმართავს. ამასთან ერთად, ეს ქმედითი საშუალება იქნება თავიდან ავიცილოთ შემთხვევითი გამფორმებლობა, რაც ხშირ შემთხვევაში აშკარა ხალტურის კვალს ატარებს.

მხატვართა კავშირის ინიციატივით შეიქმნა მხატვართა ჯგუფი, რომელმაც წარმოადგინა ბორჯომის, ლიკანის, თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მხატვრული გაფორმების პროექტები. მუშავდება საქართველოს სამხედრო გზის ერთიანი გაფორმების პროექტი. შემდგომი მუშაობა ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს, მაგრამ, ბუნებრივია, საქმე მარტო პროექტებით არ უნდა დამთავრდეს.

საგრძნობლად იმატა შემოქმედებითი კონკურსების რიცხვმა. მხატვრებს შესაძლებლობა ეძლევათ თავისი ძალები გამოცადონ მეგობრულ შეჯიბრში. ხშირად ისმოდა ხოლმე საყვედურები და სამართლიანი მოთხოვნაც, რომ ყველა დიდი ობიექტის შექმნა კონკურსის შედეგად გადაწყვეტილიყო. მაგრამ როცა კონკურსები ცხადდება, მასში მხატვართა ძალზე მცირე რიცხვი მონაწილეობს. ბევრი ცნობილი ოსტატი გვერდს უვლის კონკურსებს. ამით ინტერესი ქვეითდება, შედეგიც ნაკლებ ეფექტურია. ასე მოხდა ამას წინათ გიორგი

ლეონიძის ძეგლზე ჩატარებულ კონკურსზე, რომელიც ძალზე ულიმღამო აღმოჩნდა. ზოგჯერ სხვადასხვა ორგანიზაციები ვერ აფასებენ კონკურსის სათანადოდ ჩატარების თვით იდეას, ასე მოხდა წითელ ხიდთან ახალგაზრდობის მონუმენტზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარებისას, როცა, გაუგებარი მიზეზებით, კონკურსის წინათ გამოცხადებული ვადა ერთი დღით გადასდეს. კონკურსის პირობები მკაცრად უნდა იყოს დაცული.

საქართველოს მხატვართა კავშირი უკვე 800-ზე მეტ წევრს ითვლის. თუ ამას მივუმატებთ ახალგაზრდა მხატვართა და ხელოვნებათმცოდნეთა გაერთიანებას და არა კავშირის წევრთა რიცხვს, მხატვართა რაოდენობა 1500-მდე გაიზრდება. მასებთან მუშაობის ახალი ფორმები თუ ვერ გამოიძებნა, ძველი ყოველგვარ ეფექტს მოკლებულია. ჩვეულებრივ შეკრებებზე ხალხი იშვიათად მოდის. განა გამგეობის წევრი, რომელსაც ყრილობა პატივს დასდებს და გამგეობაში აირჩევს, არ არის ვალდებული აქტიური მონაწილეობა მიიღოს კავშირის მუშაობაში? ტარდება რიგი ღონისძიებებისა, იხსნება მეგობარ-კოლეგების გამოფენები, შეხვედრები და, ბოლოს, გამგეობის პლენუმები. ზოგი კი, და მათ შორის გამგეობის წევრებიც, თავს არიდებენ ყოველივე ამას. პატივი უნდა ვცეთ ჩვენსავე კავშირს, ერთმანეთის საქმიანობას და ჩვენს მაღალ პროფესიას.

რაშია ასეთი ინდიფერენტიზმის საფუძველი? ამის მიზეზებს ახლა ალბათ მეცნიერ-სოციოლოგთა ჩარევის გარეშე ვერც ამოვხსნით, მაგრამ, როგორც ჩანს, ამაში ჩვენც ვართ დამნაშავე. ალბათ, ვერ მოხერხდა მხატვართა ინტერესის გაღვივება, განზე განდგომის ინერციას ვერ დავუპირისპირეთ მუშაობის ახალი ფორმები. კავშირის წევრებმა თვითონაც მეტი პასუხისმგებლობა უნდა იკისრონ.

ჩვენს რესპუბლიკაში მომხდარი მნიშვნელოვანი ძვრების ატმოსფეროში ვალდებულნი ვართ ყველაფერზე მაღლა დავაყენოთ ჩვენი მოქალაქეობრივი შეგნებულობა და ეს საკითხებიც დავუკავშიროთ იმ ზნეობრივი, ეთიკური ნორმების დაცვის მკაცრ აუცილებლობას, რასაც დღევანდელობა ყოველი მშრომელისაგან მოითხოვს, მიუხედავად იმისა, მუშა იქნება ის თუ კოლმეურნე, მხატვარი თუ სხვა პროფესიის ადამიანი.

საკუთარი თავისადმი მკაცრი მომთხოვნელობა, მოქალაქეობრივი ვალის გრძნობა და კოლექტივის პატივისცემა — აი თვისებები, რომლებიც უნდა ამოძრავებდეს კავშირის თითოეულ წევრს.

საზოგადოებრივ მუშაობაში ახლა უფრო მეტი მხატვარია ჩაბმული. სისტემატურად იცვლება საშემოდგომო, საგაზაფხულო თუ სხვა პერიოდული გამოფენების ჟიურის შემადგენლობა. ვცდილობთ იცვლებოდეს მონაწილეთა წარმომადგენლობა სხვადასხვა კომისიებში, გადახალისდეს სამხატვრო საბჭოების შემადგენლობა.

კავშირის ყოველი წევრი წლის ბოლოს ვალდებულია სექციას წარმოუდგინოს წლის განმავლობაში ჩატარებული მუ-

ც. შანშიაშვილი   დ. ალექსიძის პორტრეტი

ლ. შენგელაია-აბაშიძე   სტუდენტი





შაობის სრული ანგარიში. ეს ზრდის ვალდებულების გრძნობას, ამაღლებს შინაგან დისციპლინას. გარდა ამისა, ეს ანგარიშები ხელოვნების მომავალი ისტორიკოსებისათვის დღევანდელი ცხოვრების ამსახველ მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტად იქცევა. მაგრამ კავშირის ყველა წევრი როდი ასრულებს ამ დადგენილებას. გვინდა მათ მოვუწოდოთ მტკიცე დისციპლინისაკენ, რომელიც ჩვენი მუშაობის საფუძველი უნდა იყოს მოღვაწეობის ყველა უბანზე.

შრომელთა დისციპლინის განმტკიცება არა მარტო საწარმოო წარმატებების საწინდარია, არამედ მოქალაქეობრიობისა და მაღალი პატრიოტიზმის გამოხატვისაც. იმედია, მხატვრები არ ჩამორჩებიან სხვებს. მით უმეტეს, როცა ხელოვნებაში დისციპლინა საქმისადმი ერთგულების, პროფესიონალიზმის აუცილებელ პირობას შეადგენს. ამას ნათელყოფს გამოჩენილ ხელოვანთა ცხოვრება.

კადრების შემოქმედებითი თუ ეთიკურ-ზნეობრივი აღზრდის ასპექტში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ახალგაზრდობასთან მუშაობის პრობლემებს.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXV ყრილობაზე ღრმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ სულ უფრო დაბეჯითებით შედის ცხოვრებაში ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის ახალგაზრდა თაობა. ჩვენი ხელოვნების ხვალინდელ დღეზე ზრუნვითაა ნაკარნახევი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება „შემოქმედებითს ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ", რომელიც ნათელი ორიენტირი გახდა ახალგაზრდა

## საშემოდგომო გამოფენიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლ. ფედორენკო ზღაპარი



თ. ასათიანი პორტრეტი



გ. კასრაძე ქეთინო

შემოქმედთა იდეურ-მხატვრული ზრდის, მათი მუშაობისათვის საუკეთესო მატერიალური პირობების შექმნის, პროფესიული დაოსტატებისა და მოქალაქეობრივი, პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. ამ დადგენილებაში გამოხატული პარტიის მზრუნველობა და ყურადღება ახალგაზრდობისადმი ახალ ამოცანებს სვამს ჩვენი შემოქმედებითი კავშირების წინაშეც. იგი მოითხოვს შეუნელებელ ყურადღებას ახალგაზრდობისადმი, მაგრამ ამავე დროს ამაღლებს პასუხისმგებლობას თვით ახალგაზრდა შემოქმედთა საქმიანობის, მათი იდეურ-თეორიული ზრდის, პროფესიული დავაჟკაცების მხრივ. ეს დადგენილება გულისხმობს ახალგაზრდა ხელოვანთა შემოქმედების პრინციპულ და მკაცრ შეფასებასაც.

ჩვენ მაღალნიჭიერი ახალგაზრდობა გვყავს. ამას ცხადყოფს ბოლო გამოფენებზე მხატვართა ახალი თაობის ფართო მონაწილეობა. ამას ცხადყოფს ახალგაზრდობის დიდი წარმატება საკავშირო გამოფენაზე ,,ქვეყნის სიჭაბუკე". ჩვენი რესპუბლიკიდან წარგზავნილმა 17-მა ახალგაზრდა მხატვარმა სპეციალური ჯილდოები დაიმსახურა. ესენი არიან: გ. კელაურიძე, გ. წერეთელი, გ. ღლონტი, ა. კვარაცხელია, ა. ფარქოსაძე, ა. მონასელიძე, გ. დოლენჯაშვილი, შ. შანიძე, მ. ლობჟანიძე, ვ. დათებაშვილი, ი. დოლიძე, ლ. ზამბახიძე, ვ. ტუღუში, ს. ინაიშვილი, ა. გახარია, ი. ალბორტი, ზ. დეისაძე, ჩვენ გულითადად ვულოცავთ მათ ამ წარმატებებს.

ეს ახალგაზრდობის დიდი გამარჯვებაა, ახალგაზრდობისა, რომელიც ღირსეულად იღებს ესტაფეტას თავისი მასწავლებლისაგან — უფროსი თაობის მხატვრებისაგან.

ახლა მიმდინარეობს თაობათა ცვლის რთული პროცესი, ასპარეზზე გამოდის დიდი რაზმი ახალგაზრდა მხატვრებისა, მხატვართა ძველ თაობას ენაცვლება პროფესიულად მომწიფებული ახალგაზრდა შემოქმედნი. ჩვენი აზრით, დღევანდელობის ერთ-ერთი დამახასიათებელია ახალგაზრდობის პროფესიული დაოსტატების დემონსტრაცია. რაც შეეხება თაობათა ცვლის პროცესს, იგი მიმდინარეობს არა მამათა და შვილთა კონფლიქტის, არა უფროსთა და უმცროსთა შორის რაიმე წინააღმდეგობის გზით (ასეთი წინააღმდეგობა არ არსებობს), არამედ სხვადასხვა თაობის მხატვართა ძალების კონსოლიდაციით, რაც რეალისტური ხელოვნების იმ ტრადიციათა გაგრძელებას წარმოადგენს, რომელიც შეიძლება სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ოსტატთან სხვადასხვაგვარად გამოიხატება, მაგრამ არ ღალატობს ჩვენი შემოქმედებითი მეთოდისა და ძირითადი მიმართულების იდეურ-მხატვრულ კრიტერიუმს.

ჩვენ ახალგაზრდობასთან მუშაობის დიდი ტრადიციები გაგვაჩნია, უფროსი თაობის ოსტატებთან პირადი კონტაქტებიდან დაწყებული; შეხვედრები და კონსულტაციები სახელოსნოებში თუ გამოფენებზე, დისკუსიები ხელოვნების სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე, შემოქმედებითი კონკურსები და მრავალი სხვა. ყოველივე ეს ზრდის ახალგაზრდობას და თვით ჩვენი ცხოვრებითაა ნაკარნახევი. მაგრამ სრულად ვიყენებთ თუ არა ჩვენ ახალგაზრდობასთან მუშაობის ამ საშუალებებს და ფორმებს? უნდა ითქვას, რომ ხშირად ახალგაზრდა მხატვრების შემოქმედება თვითდინებაზეა მიშვებული. მათთან შეხვედრები მხოლოდ გამოფენებზე ხდება ხოლმე, სამხატვრო აკადემიის ახალკურსდამთავრებული კი დიდ ყურადღებას ითხოვს, იგი თავიდანვე უნდა იქნას მოქცეული შემოქმედებით ორბიტაში. განსაკუთრებული როლი ენიჭება შემოქმედებით კონტაქტებს, მხატვართა შეხვედრებს, სადაც დიდი გამოცდილების ოსტატები თავიანთ თვალსაზრისს, შეხედულებებს გაუზიარებენ უმცროს კოლეგებს. აქ არ იქნებიან მასწავლებლები და მოწაფეები, ამ სიტყვების პირდაპირი გაგებით, არამედ იქნებიან საბჭოთა ხელოვნების შემდგომი აღმავლობისათვის მებრძოლი მხატვრები, რომელთა ერთობლივი საზრუნავია მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნა, ხელოვნებისა, რომელიც მთელი თავისი შესაძლებლობით უნდა ემსახუროს ჩვენს პარტიასა და ხალხს.

მხატვართა კავშირმა კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად 1975 წლის დეკემბერში გორში ჩაატარა ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედებითი სემინარი, რომელმაც ძალზე კარგი ნაყოფი გამოიღო. გადაწყდა, რომ ამგვარი სემინარები სისტემატურად გაიმართოს. გამოფენებმა, დისპუტებმა, პრინციპულმა და პირუთვნელმა კრიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდა მხატვრების შემოქმედების ზრდას. უნდა ვიზრუნოთ, რომ მოქანდაკეთათვის პლენერზე სამუშაოდ მოეწყოს ღია სახელოსნოები, მსგავსად ჩვენში და სოციალისტურ ქვეყნებში არსებულისა. ეს დიდი მნიშვნელობის ფაქტორი იქნება ახალგაზრდების დაოსტატების საქმეში.

ახალგაზრდა მხატვართა წახალისების მიზნით მხატვართა კავშირში უკვე მივიღეთ ახალგაზრდა მოქანდაკე ვარსიმაშვილი, სამხატვრო აკადემიის დიპლომანტი, რომელმაც თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა, ბეჯითმა და სამაგალითო ახალგაზრდამ. მან თავისი სადიპლომო ნამუშევარი — მფრინავებისადმი მიძღვნილი ქანდაკება ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში აღმართა.

ქართული ხელოვნების მომავალზე ზრუნვის ნათელი გამოხატულება იყო ახალგაზრდა მხატვართა მიღება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. ამხანაგ ედუარდ შევარდნაძესთან ჩატარებული საქმიანი საუბარი, აღსავსე მხატვრებისადმი განსაკუთრებული სითბოთი და სათუთი დამოკიდებულებით, ალბათ დიდხანს გაყვებათ ამ შეხვედრის მონაწილეებს.

ახალგაზრდა მხატვრები სისტემატურად იგზავნებიან შემოქმედებით მივლინებებში. ზოგს ჯერ კიდევ არ აქვს შეგნებული ამ მივლინებათა მნიშვნელობა მათი შემოქმედებითი წინსვლისა და ცხოვრებისეული გამოცდილებისათვის და კომბინატში მეორეხარისხოვანი დაკვეთების შესრულებას ამჯობინებს. ეს კი ნიჭიერ ახალგაზრდობას პროფესიულ დაქვეითებას უქადის, იმ მაღალიდეური, ჭეშმარიტი ხელოვნებისაგან გარიყვას, რომელიც ერთადერთია ჭეშმარიტი შემოქმედისათვის. მეორე მხრივ, ჩვენმა კომბინატებმა ისე უნდა გარდაქმნან მუშაობა, რომ იქ ნამდვილი შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევდეს, გაზარდონ მომთხოვნელობა, რათა კომბინატის პროდუქცია მხოლოდ მაღალ მხატვრულ დონეზე იყოს შესრულებული. მაშინ ახალგაზრდობა ორმხრივ — მატერიალურსა და შემოქმედებით სარგებლობას მიიღებს. ახალგაზრდა მხატვრის დაოსტატებისთვის ზრუნვასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ მისი მორალური, მოქალაქეობრივი სახის ჩამოყალიბებას, იდეურ ამაღლებას.

დამოუკიდებელი მოღვაწეობის დასაწყისში, მიუხედავად იმისა, რომ რეალისტური ხელოვნების ტრადიციებზე არიან აღზრდილნი, ახალგაზრდა მხატვრებს სჭირდებათ უფროსი თაობის მტკიცე, წარმმართველი და მზრუნველი ხელი. მაგრამ ეს, ბუნებრივია, არ უნდა ნიშნავდეს შემოქმედებით პროცე-

სებში უხეშ ჩარევას. სკკპ XXV ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა კიდევ ერთხელ მოგვაგონა, რომ არ შეიძლება გამოვიყენოთ გაუბრალოებული მიდგომა, ადმინისტრაციული მეთოდებით გადავწყვიტოთ საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მხატვრულ შემოქმედებასთან და სტილის ინდივიდუალობასთან.

ამასთან დაკავშირებით, გავიხსენოთ ერთი მაგალითი, რომელიც ხელოვნების სხვა დარგიდან არის, მაგრამ ძალზე კარგად გამოხატავს მასწავლებლის სათუთ დამოკიდებულებას მოწაფისადმი.

რევოლუციის პირველ წლებში, პეტროგრადში, მაქსიმ გორკისთან, რომელიც მაშინ მეცნიერთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტს ხელმძღვანელობდა, მივიდა კონსერვატორიის დირექტორი, ცნობილი რუსი კომპოზიტორი გლაზუნოვი. მან გორკის თხოვა ერთი ზედმეტი ულუფა პატარა ბიჭისათვის — ,,კომპოზიტორისათვის'', რომელიც მაშინ 15 წლისა იყო.

გორკის შეკითხვაზე ბიჭის ნიჭიერების შესახებ. გლაზუნოვმა უპასუხა: ,,მე გადავსინჯე მისი პარტიტურა და ეს პირველი პარტიტურაა, რომელიც კითხვისას არ მესმისო. მე არ მომწონს, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. მუსიკა, როგორც ჩანს, უკვე ბიჭუნას ეკუთვნის. იგი დიდი მუსიკოსიაო!'' ეს ბიჭი — შოსტაკოვიჩი იყო.

ეს სამაგალითო დამოკიდებულებაა განსხვავებული მიმართულების ხელოვანთა შორის, დამოკიდებულება, აღსავსე პედაგოგიური ტაქტითა და შორსმჭვრეტელობით.

მოთმინებით, აუჩქარებლივ, სათუთად, შემოქმედებითი ძიებების პატივისცემით, მაგრამ მტკიცე პრინციპულობით უნდა ხდებოდეს ახალგაზრდა მხატვართა ნაწარმოების განხილვა. ზოგიერთი ახალგაზრდა მხატვარი, რომლის იდეურ-ესთეტიკური პოზიციები ჯერ მტკიცედ არ ჩამოყალიბებულა და საკუთარი ხელწერის ძიებაში ასცდება გზას, უნდა დავაჯეროთ მის შეცდომებში, მთელი პრინციპულობით, მაგრამ დიდი ტაქტით. ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი პარტიის XXV ყრილობაზე აღნიშნავდა, რომ ,,ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებისადმი პარტიულ მიდგომაში შერწყმულია ერთის მხრივ, შემოქმედებით ძიებაში დახმარება და, მეორეს მხრივ, პრინციპულობა''.

შემოქმედებითი ახალგაზრდობის იდეურ-ესთეტიკური აღზრდის მნიშვნელოვან იდეოლოგიურ მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ხელოვნების ყველა ოსტატმა: მხატვრებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა, უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლების პედაგოგებმა.

მაღალი მოქალაქეობრივი სულისკვეთება, წარსულის დიადი ტრადიციებისადმი პატივისცემა, ცხოვრებისეული პროცესების შესწავლაზე დაფუძნებული ნოვატორობისაკენ მისწრაფება — გზაა ჭეშმარიტი ხელოვნების მწვერვალებისაკენ.

შემოქმედ ახალგაზრდობასათან მუშაობის საკითხებს უკავშირდება მოსწავლე ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის პრობლემებიც ბავშვთა სულიერი აღზრდის, მათში ესთეტიკური კულტურის დანერგვის საქმეში. თბილისის ბავშვთა სურათების გალერეა, რომელიც მეორეა საბჭოთა კავშირში, მეტად სასარგებლო საქმიანობას ეწევა. მხატვართა კავშირის ინიციატივით იქ ჩამოყალიბდა ლექტორიუმი, ახლა კი იქმნება სახალხო უნივერსიტეტი იმ მასწავლებლებისათვის, რომლებიც დაბალ კლასებში ასწავლიან სახვით ხელოვნებას.

ეს საქმის მხოლოდ დასაწყისია, ქმედითი დახმარება უნდა გავუწიოთ განათლების ორგანოებს ხელოვნებასთან ბავშვების დაახლოების მეტად საპასუხისმგებლო და საჭირო საქმეში.

ამას წინათ, თბილისის სკოლების მასწავლებლებთან შეხვედრაზე პედაგოგებმა სამართლიანი პრეტენზია გამოთქვეს სკოლის ზოგიერთი ხელმძღვანელის მიმართ, რომელიც ხატვის მასწავლებლის ფუნქციას სკოლაში არასწორად ხედავს. ამ საუბარში ბევრი ისეთი რამ გაირკვა, რაც სრულიად არ ითხოვს სადირექტივო რეფორმებსა და გადაწყვეტილებებს, საჭიროა მხოლოდ მეტი გულისყურით, ენთუზიაზმით მივხედოთ ამ საქმეს. სათანადო ორგანოებმა უნდა მიხედონ სახვითი ხელოვნების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის საკითხებს და შემოქმედებითი პროფილის უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულების სამუშაოზე განაწილების საქმეს. მაშინ ეს პრობლემა თითქმის გადაწყვეტილი იქნება.

ადამიანის იდეურ-ესთეტიკურ აღზრდას სკოლიდანვე მთელი სერიოზულობით უნდა მოვკიდოთ ხელი. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ეთიკურ-მორალური და ესთეტიკური აღზრდის საკითხებს. ადამიანში პატიოსნების, დისციპლინის, წესიერების, მომთხოვნელობის, პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივებასთან ერთად ბავშვში უნდა აღვზარდოთ ინტერესი მშვენიერებისადმი, რადგან იგი აკეთილშობილებს ადამიანს და სხვა რომ არაფერი, წესიერი ცხოვრებისაკენ უბიძგებს მას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილება ,,თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცკ-ის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ'' გვავალებს, რომ შემოქმედებითი ინტელიგენცია კვლავინდებურად იდგეს ხალხთა მეგობრობის, მშრომელთა ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის ავანგარდში. ეს საკითხები სადღეისოდ უფრო ქმედით ფორმებს მოითხოვენ, რომლებიც არა მარტო ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში ასახული მეგობრობის თემებით შემოიფარგლება, არამედ სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლების უშუალო ურთიერთდამოკიდებულებაზე, მეგობრულ კონტაქტებზე უნდა აიგოს.

საქართველოს მხატვართა კავშირმა 1974 წელს შემოიღო სპეციალური ციკლი გამოფენებისა — ,,ხალხთა მეგობრობა'', რომელიც სისტემატურად იმართება ჩვენში თუ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ და დიდი წარმატებით სარგებლობს. გასულ წელს თბილისელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ამიერკავკასიის მხატვართა ნამუშევრების გამოფენამ. რესპუბლიკის მთავრობამ მოძმე სომხეთსა და აზერბაიჯანის მხატვართა კავშირები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელებით დააჯილდოვა. ეს კიდევ ერთი გამოხატულებაა იმ დიდი მეგობრობისა, რომელიც საბჭოთა ხალხების ძმური კავშირის მტკიცე საფუძველს შეადგენს. ჩვენ მჭიდრო საგამოფენო ურთიერთობანი გვაქვს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებთან, გამოფენათა გარჩევები, მხატვართა დელეგაციათა ურთიერთგაცვლა ხელს უწყობს ჩვენი მეგობარი ხალხების კიდევ უფრო დაახლოებას, ასე რომ, გამოფენათა ციკლი ,,ხალხთა მეგობრობა'' — სცილდება წმინდა პროფესიულ მიღწევათა პროპაგანდას და, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ხალხთა მეგობრობის, განმტკიცების მშრომელთა

ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის ამოცანას ემსახურება.

მხატვართა კავშირის ზრდასთან ერთად სამხატვრო ფონდიც მეტად სოლიდურ ორგანიზაციად იქცა.

ფონდის, ისევე როგორც საერთოდ მხატვართა კავშირის მუშაობაში, დიდი როლი ითამაშა საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 21 ივნისის დადგენილებამ „საქართველოს მხატვართა კავშირის მატერიალური ბაზის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ", რომლის საფუძველზე დავისახეთ მხატვართა კავშირის მატერიალური ბაზის განმტკიცება-გაუმჯობესება. გამოიყო ახალი საგამოფენო დარბაზები ბარათაშვილის ხიდის ქვეშ, ადგილი მშენებლობისათვის, ნებადართულია 50 სახელოსნოს მშენებლობა კოოპერატიულ საწყისებზე. მთავრდება ლილოს ქანდაკების კომბინატის აგება, წარმოებს მისი ტექნიკური აღჭურვილობის განმტკიცება თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, დაწყებულია მშენებლობა 20-ბინიანი შემოქმედებითი და დასასვენებელი სახლისა წყნეთში, შედგენილია აგრეთვე პროექტი და უახლოეს ხანში დაიწყება მშენებლობა გაგრის დასასვენებელი სახლისა. ცხინვალში და ქუთაისში გაფართოვდა სამხატვრო სახელოსნოების სამუშაო სათავსები, მიმდინარე წელს დაიწყება დავით კაკაბაძის სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქცია, და რაც მთავარია, დაიწყო რეკონსტრუქცია მხატვართა კავშირისათვის გადმოცემული „ინტურისტის" შენობისა, რომელშიც მხატვრის სახლი მოეწყობა და რომელიც მთლიანად საგამოფენო დარბაზებს დაეთმობა.

„ინტურისტის" შენობის გადმოცემა მხატვართა კავშირისათვის, კონკრეტული გამოხატულებაა იმ დიდი ზრუნვისა, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო და პირადად ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე იჩენს რესპუბლიკაში კულტურისა და ხელოვნების, კერძოდ კი, სახვითი ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის.

მადლობა უნდა ვუთხრათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოს ამ დახმარებისათვის, რომელიც მძლავრი სტიმულია ჩვენი შემდგომი მუშაობის აღმავლობისათვის.

მხატვართა შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ლილოს ქანდაკების კომბინატს. მისი მშენებლობა მხატვართა კავშირმა განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანა, სამდივნოსა და პრეზიდიუმის სხდომებზე სისტემატურად იხილებოდა მშენებლობის მიმდინარეობა. ახლა ქანდაკების ჩამოსასხმელად ჩვენს მოქანდაკეებს სხვაგან წასვლა აღარ ჭირდებათ. მართალია, ლილოს კომბინატი ჯერ ბევრი სიძნელის წინაშეა, რაც უმთავრესად ორგანიზაციული ხასიათის ნაკლოვანებებითაა გამოწვეული, მაგრამ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ ეს კომბინატი ფაქტიურად ექსპერიმენტულია, რაც ბევრ დამატებით სიძნელეს ქმნის. უნდა ვეცადოთ, რათა ამ ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი საწარმოს რენტაბელობა ამაღლდეს.

ყველაზე რთული საკითხია მხატვართა შემოქმედებითი სახელოსნოებით უზრუნველყოფა. არაჯანსაღი ტრადიცია შეიქმნა: ყრილობიდან ყრილობამდე, შეკრებიდან შეკრებამდე მხატვართა სამართლიანი მოთხოვნა გაისმის სახელოსნოების შესახებ. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ამხანაგები, რომელთაც შემოქმედებითი სახელოსნო ფუფუნებად მიაჩნიათ და არ გვიწევენ მაქსიმალურ დახმარებას. სახელოსნო მხატვრისათვის, შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის უპირველესი აუცილებლობაა, მის გარეშე წარმოუდგენელია მხატვრის შრომა. მიუხედავად ბოლო წლებში გადადგმული ზოგიერთი ნაბიჯისა, ჯერ კიდევ ბევრი რამაა მოსაგვარებელი.

გამოთავისუფლებული საქვაბეების მხატვართათვის გადაცემა, არსებულ შენობებში მანსარდების მოწყობა, ამორტიზებული შენობების სახელოსნოებად გადაკეთება და სხვა, ეს საქმე ძალზე ნელა მიდის წინ, რადგან ისეთი მძიმე მემკვიდრეობა გაგვაჩნია, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიება წვეთია ზღვაში.

ჩვენ კარგად გვესმის ქალაქის უკიდურესად მძიმე მდგომარეობა მშრომელთა ბინით დაკმაყოფილების საქმეში, მანსარდების მშენებლობა კი სწორედ საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრებით უნდა წარმოებდეს. მაგრამ ეს ხომ ცნობილი იყო მაშინაც, როცა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო 1974 წლის 21 ივნისის დადგენილებას იღებდა? დადგენილება კი პირდაპირ ავალებს თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ცხინვალის საქალაქო საბჭოების აღმასკომებს ყოველწლიურად მხატვრებისათვის საცხოვრებელ სახლებში გაითვალისწინონ სახელოსნო-მანსარდები. ჩვენ თხოვნით მივმართავთ ყველა ინსტანციას, მაგრამ აღნიშნული დადგენილების ეს მეტად მნიშვნელოვანი პუნქტი არ სრულდება. ჩვენ ვთხოვთ რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტს, რომ საქალაქო საბჭოების აღმასკომებს გაუდიდდეს ასიგნებანი საბინაო მშენებლობისათვის იმ ანგარიშით, რომ არ დაზარალდეს არც რესპუბლიკის წინაშე მწვავედ მდგომი საბინაო საკითხის გადაჭრა და განუხრელად შესრულდეს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებაც მხატვართათვის სახელოსნოების მშენებლობის შესახებ.

მეორე კარდინალური საკითხი, რომელიც სამხატვრო ფონდის წინაშეა, მხატვართა შრომის თანაბარი განაწილების საკითხია. ამის შესახებ მხატვართა კავშირის სამდივნომ და პრეზიდიუმმა არაერთხელ იმსჯელეს.

მიუხედავად გარკვეული ძვრებისა, სამხატვრო ფონდის მიერ მხატვართა შორის სამუშაოს თანაბრად განაწილების პრობლემა ჯერჯერობით გადაუწყვეტი გვრჩება და იგი მარტო ადმინისტრაციული ღონისძიებებით ვერც გადაიჭრება. საკითხი ეთიკურ-ზნეობრივ სფეროში გადადის და მის მოსაგვარებლად საჭიროა თითოეული მხატვრის აქტიური პოზიცია, აქტიური არა ზედმეტი დაკვეთის ხელში ჩასაგდებად, არამედ სამართლიანობის აღსადგენად, კოლეგიალობის გრძნობის გასაღვივებლად, მხატვართა ერთიან კოლექტივში მეგობრულ ურთიერთობათა განსამტკიცებლად, პირადი შეგნებულობისა და პასუხისმგებლობის ასამაღლებლად.

მხატვართა კავშირის მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანი მხარეა. მიღებულ დადგენილებათა შესრულებაზე არ არის დაწესებული მკაცრი კონტროლი. სამდივნოს მუშაობა მეტ ოპერატიულობას თხოულობს. არ ვიცავთ სამუშაო გრაფიკს, რაც მომსვლელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. არის დავალებათა მივიწყების შემთხვევები, ზოგჯერ უყურადღებოდ გვრჩება განცხადებები. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის ყველა განყოფილებაზე მიმაგრებული ცალკეული მდივნები, ისინი ჯერ კიდევ ვერ იცლიან მჭიდრო სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმიანი კონტაქტების დასამყარებლად და ავტონომიურ რესპუბლიკათა და ოლქის მუშაობისადმი ხელმძღვანელობა ვერ ხორციელდება სათანადოდ. ინერტულობას იჩენს პრეზიდიუმის ზოგიერთი წევრი, მოიკოჭლებს საკლუბო მუშაობა. მკვეთრად უნდა ამაღლდეს შრომის დისციპლინა კავშირის აპარატის მუშვეობით. ყველაფერი ეს სასწრაფო გამოსწორებას მოითხოვს.

მხატვართა კავშირის მთელი საქმიანობა განუყრელადაა დაკავშირებული ჩვენი რესპუბლიკის წინაშე მდგომი იმ ამოცანების გადაწყვეტასთან, რომლებიც პარტიის XXV ყრილობისა და სკკპ ცკ-ის თბილისის პატიული ორგანიზაციის შესახებ მიღებულ დადგენილებებშია დასახული. საქართველოს მხატვართა მრავალრიცხოვანი კოლექტივი ერთსულოვნად იზიარებს საქართველოს კომპარტიის ცკ-ის და მისი ბიუროს მეტად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ჩვენი საქმიანობის ყველა დარგში და უბანზე ლენინური პრინციპების განუხრელი დაცვის შესახებ.

ქართველი მხატვრები ნათლად ხედავენ, რომ მათ ირგვლივ შექმნილია შემოქმედებითი შრომის, ნდობის ატმოსფერო, გრძნობენ სხვა შემოქმედებითი კავშირების მეგობრულ მხარდაჭერას და საერთო მიზნისაკენ მისწრაფებაში ერთიანობას. შემოქმედებითი ძალების კონსოლიდაცია, რომელიც ასეა დამახასიათებელი დღევანდელი დღისათვის — ჩვენი წინსვლის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. ქართული კულტურის საერთო აღმავლობის ამ პროცესში ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების დიდ წარმატებებს. წარმატებებს, რომლებსაც უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი ნიჭიერი მხატვრების თავდადებულ შრომასა და ენერგიას და რომელიც მიმართულია ჩვენი ხალხის, პარტიის, სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი პარტიის XXV ყრილობაზე ამბობდა: „ნამდვილი ნიჭი იშვიათად გვხვდება. ლიტერატურისა თუ ხელოვნების ნიჭიერი ნაწარმოებები ეროვნული სიმდიდრეა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ მხატვრული სიტყვა, ფერების ელვარება, ქვის გამომსახველობა, ბგერების ჰარმონია შთააგონებენ თანამედროვეებს და შთამომავლებს გადასცემენ სულისა და გულის ხსოვნას ჩვენი თაობის, ჩვენი დროის, მისი მღელვარებისა და მიღწევების შესახებ“.

ქართველი მხატვრები ღრმად გრძნობენ პასუხისმგებლობას იმისათვის, რომ შთააგონონ თანამედროვეებს და შთამომავალთ დაანახონ კომუნიზმისათვის მებრძოლი საბჭოთა ადამიანის გმირული სახე; რომ პროფესიული ოსტატობის შემდგომი დახვეწით და მაღალი იდეური აღჭურვილობით შეიტანონ თავიანთი კონკრეტული წვლილი კომუნისტური საზოგადოების შექმნის საერთო-სახალხო საქმეში.

საბჭოთა საქართველოს მხატვრები მთელ თავის ნიჭსა და შესაძლებლობებს წარმართავენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის, რათა შექმნან ჩვენი გმირული ეპოქის, ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის, ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსეული ნაწარმოებები.

---

## ამ სურათს 1976 წელს მიენიჭა საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემია

*თ. გოცაძე* — *პანო „საქართველო“*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მხატვრის მიზანი — დღევანდელობა

გურამ ქუთათელაძე

ყრილობა ჩვენი უმაღლესი ფორუმია და მისი მოწვევა ყველასათვის დიდი დღესასწაულია. ჩვენი კავშირის თითოეული წევრის შემოქმედებითი ცხოვრება, შემოქმედებითი პროცესი — ყველაზე საჭირბოროტო პრობლემებია.

ჩვენი შემოქმედებითი ცხოვრების სახე — ეს არის გამოფენები — პერსონალური, საკავშირო, რესპუბლიკური, საგაზაფხულო, საშემოდგომო, თემატური.

არ არის არც ერთი მნიშვნელოვანი, არც ერთი საინტერესო მოვლენა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, შრომითს საქმიანობასა და სულიერი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, რომლებსაც არ ეხმაურებოდნენ მხატვრები.

ცხოვრება მხატვრობის გარეშე წარმოუდგენელია. მხატვართა შემოქმედება ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროს სწვდება: ეს არის წიგნები, კინო, თეატრი, ტელევიზია და სხვა. მხატვრის ნიჭი და შრომა ჩაქსოვილია მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. იგი მონაწილეობს მოხერხებული. ლამაზი საამქროების, მანქანების, სატრანსპორტო საშუალებების, საწარმოო იარაღების შექმნაში. ცხოვრებასა და ყოფაში შეაქვს ესთეტიკის აუცილებელი ელემენტი, რითაც ფსიქოლოგიურად ამაღლებულ ატმოსფეროს ქმნის ნაყოფიერი შრომისათვის.

ამ კეთილშობილურ პრობლემაზე მუშაობს მხატვარ-დიზაინერთა მთელი არმია.

მაგრამ თავი და თავი მაინც დაზგური მხატვრობაა. დაზგური მხატვრობა მუდამ ახლის ძიებაშია, ახლის ძიებისათვის კი საჭიროა ექსპერიმენტი. დეკორატიულ-მონუმენტური ხელოვნების უზარმაზარი ფართობები მაინცდამაინც მოხერხებული არ არის ექსპერიმენტისათვის. ამიტომ მხატვრები, რომლებმაც პრინციპულად ახალი სიტყვა თქვეს ხელოვნებაში, სწორედ დაზგური ხელოვნების ოსტატები იყვნენ. დაზგური ნაწარმოებები აერთიანებს ბევრ პლასტიკურ ელემენტს, პლასტიკური ენის მრავალ შესაძლებლობას, რომლებსაც ერთ ჰარმონიულ მთლიანობად აქცევს. ეს არის საგნის უფრო დახვეწილი, პლასტიკური დახასიათების გზა. ყოველივე ეს დიდ დაძაბულ შრომას მოითხოვს.

ბევრი რამ შეიძლება ითქვას დაზგური მხატვრობის სასარგებლოდ. სამწუხაროდ, ამ ბოლო ხანს ინტერესი დაზგური მხატვრობისადმი ძალიან შენელდა, არა მარტო მაყურებელთა, არამედ მხატვართა შორისაც. თუმცა, სწორედ დაზგური მხატვრობა საჭიროებს უდიდეს ყურადღებას, რადგან ძირითადად სწორედ იგი არის ხალხის, ერის პლასტიკური შესაძლებლობების ერთ-ერთი გამომხატველი. ამავე დროს, საჭიროა გაიზარდოს თვით მხატვართა მაღალი პროფესიული პასუხისმგებლობა — მათი შემოქმედება ხომ სულიერ საზრდოს უნდა აწვდიდეს, სიხარულს უნდა ანიჭებდეს ადამიანებს.

ჩვენთვის, ქართველ მხატვართა უმრავლესობისათვის, რომლებიც დღეს ამ დარბაზში შევიკრიბეთ, რეალიზმი ხელოვნების ერთადერთი სწორი გზაა. მხატვრის ამოცანაა — გვიჩვენოს და გახსნას მოვლენათა პლასტიკური არსი, როგორც მშვენიერება, მშვენიერებისადმი სწრაფვა. ამ არსის გარეშე ნაწარმოებს ხელოვნების ნაწარმოებად ვერ მივიჩნევთ.

ყოველ ეპოქაში თავისებურად ესმოდათ მშვენიერება. ეს არ გამორიცხავს კლასიკურ წარმოდგენას მშვენიერებაზე, რად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან ხელოვნებისათვის დამახასიათებელია იმ შედევრების წარუვალი ღირებულება, რომლებიც თავისი დროის იდეალს გამოხატავდნენ.

ფორმალისტური მიმართულებებისაგან განსხვავებით, რეალიზმი, თავისი დასრულებული ფორმით, გულისხმობს არა მარტო სიუჟეტურ სურათს, არამედ ემოციურ, ფსიქოლოგიურ და დრამატულ სიმძაფრეს.

არ შეიძლება რეალიზმს მივუდგეთ ამ სიტყვის ვიწრო გაგებით. ცოტას ნიშნავს იმის თქმა, რომ რეალიზმი ადამიანის მიერ გარე სამყაროს აღქმაა. XX საუკუნის ადამიანს, რომელმაც ნახა და აღიქვა კოსმოსი, უნდა ჰქონდეს და აქვს კიდეც საკუთარი ხედვა და, მაშასადამე, დანახულის მხოლოდ მეოცე საუკუნისათვის დამახასიათებელი პლასტიკური ენით გამოხატვის უნარიც.

„გერნიკა" — მეოცე საუკუნის ტრაგედია, გამოსახულია მეოცე საუკუნის ენით, ე. ი. სიუჟეტისა და პლასტიკური ენის შესაბამისობა, რაც განსაზღვრავს გამოსახული მოვლენის დრამატიზმსა და ემოციურ დაძაბულობას, ფორმისა და შინაარსის მთლიანობას, ამ ნაწარმოებს თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს ქმნილებად აქცევს.

გაიზარდა რეალიზმის პლასტიკური ენის გამომსახველობითი შესაძლებლობანი. თუ ამ მიღწევებს უგულვებელვყოფთ, მივიღებთ უფერულ, უსახო ნაწარმოებებს. რეალისტური ასახვის ვულგარული, გაუბრალოებული გაგების შედეგია აღწერითი, ფოტოგრაფიული ნახატი. ხშირად სურათის დრამატული შინაარსი შეუსაბამო პლასტიკური ენით გადმოიცემა.

ყოველივე ეს კარგად იცის ყველა პროფესიონალმა მხატვარმა და ამით ახალს არაფერს ვამბობ. თავს ნებას ვაძლევ მოგაგონოთ ეს ჭეშმარიტება მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგჯერ ჩვენი გამოფენის დონე არ შეესაბამება იმ ხელოვნების მოთხოვნილებას, რომელსაც ჩვენ ყველანი ვემსახურებით.

საექსპოზიციოდ საუკეთესო ნაწარმოებების ობიექტური შერჩევის მიზნით საქართველოს მხატვართა კავშირი ყველა გამოფენისათვის ქმნიდა ცალკე საგამოფენო კომიტეტს, ამ საქმეში ვაბამდით ბევრ მხატვარს, რომლებიც პასუხს აგებდნენ გამოფენის პროფესიული დონისათვის. ჩემის აზრით, ამ პრინციპმა გარკვეული ნაყოფი გამოიღო. ყველა მხატვარს შესაძლებლობა ეძლევა იყოს ჟიურის წევრიც და საკუთარი ნაწარმოებები წარმოადგინოს მეორე ჟიურის სამსჯავროზე. ეს ამაღლებს თითოეული კავშირის წევრის პასუხისმგებლობას.

ძალიან კარგია, რომ გამოფენები ეწყობა ქალაქის სხვადასხვა ორგანიზაციაში, მაგრამ გამოფენის პროფესიულ დონეზე უარყოფით გავლენას ახდენს ის გარემოება, რომ ეს გამოფენები ზოგჯერ მხატვართა კავშირის გარეშე იმართება.

გაცილებით უფრო სასიამოვნოა ვილაპარაკოთ იმ მიღწევებზე, რომელიც ამჟამად რეალურად გვაქვს. სასიხარულოა აღვნიშნოთ ჩვენი ახალგაზრდობის დიდი გამარჯვება უკანასკნელ საკავშირო ახალგაზრდულ გამოფენაზე მოსკოვში, ჩვენი თეატრალური მხატვრების წარმატებანი, რაც აღნიშნა ჟურნალმა „ტეატრმა" ქართველ მხატვართა მიღწევები ამიერკავკასიის მხატვართა გამოფენაზე ერევანში, თბილისში, ვილნიუსსა და ბაქოში. გამოხმაურებანი ჩვენი მხატვრების მრავალი გამოფენის შესახებ, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ, გვიჩვენებენ, თუ როგორ გაიზარდა ქართული სახვითი ხელოვნებისადმი ინტერესი და მისი ავტორიტეტი.

მით უფრო სჭირდებათ ქართველ მხატვრებს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი! ეს მუზეუმი არა მხოლოდ ქართველ მხატვართა შემოქმედების დემონსტრაციისათვის არის საჭირო, იგი ხელს შეუწყობს ხელოვნებათმცოდნეობის უფრო პროფესიული აზროვნების განვითარებასა და თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების სწორ ანალიზს. ეს კი შეუძლებელია, თუ საშუალება არ გვექნება თვალნათლივ დავინახოთ, ერთმანეთს შევადაროთ ცალკეულ მხატვართა და თაობათა შემოქმედება, დავაკვირდეთ მისი განვითარების ეტაპებს. ცალკეული გამოფენები ეპიზოდური და ხანმოკლეა, ამიტომ მხატვრის შემოქმედების მთლიანი აღქმა მეტად რთულია.

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნება 55 წლისაა, გვყავს უამრავი ბრწყინვალე მხატვარი, რომლებიც ჩვენი სულიერი ცხოვრების მშვენებას, მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ, მაგრამ მათი ნაწარმოებები, რომლებიც უძრავად დევს სარდაფებში, საცავებსა და კერძო სახელოსნოებში, მიუწვდომელია ფართო საზოგადოებისათვის. ეს მეტად სავალალოა. მერედა, როგორ გვჭირდება ეს ნაწარმოებები ახალგაზრდობის აღზრდისათვის, რომელიც სათანადოდ არ იცნობს არც თავის წინამორბედებს, არც უფროსი თაობის თანამედროვე მხატვრებს.

მუზეუმი მკაფიოდ წარმოსახავს ხალხის შემოქმედებით სახეს, მის სულიერ ცხოვრებას, მიღწევებს.

სახვითი ხელოვნება ვერ იარსებებს უმუზეუმოდ, ისევე, როგორც თეატრი უსცენოდ.

ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მოგვცა შესანიშნავი შენობა ქალაქის ცენტრში. დროა კონკრეტულად შევუდგეთ თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის ორგანიზაციას, თორემ მთელი საუბარი ჩვენი ხელოვნების მიღწევების შესახებ საფუძველს მოკლებული იქნება.

● ● ●

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეტი ყურადღება დაზგურ ხელოვნებას

გიორგი ოჩიაური

ქანდაკების დარგში შემოქმედებითი პროცესის ხელმძღვანელობისათვის საჭირო იყო არსებული მდგომარეობის ანალიზი. ამიტომ, დასაწყისშივე ქანდაკების სექციის ბიუროს, მისი ხელმძღვანელის ღ. მხეიძისა და გალერეის ადმინისტრაციის (მ. ყიფიანის) აქტიური ხელის შეწყობით მოვაწყეთ ახალი ქართული ქანდაკების რეტროსპექტული გამოფენა. ამ გამოფენას დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული საზოგადოებისათვის. მან საშუალება მოგვცა თვალი გადაგვევლო ჩვენი მიღწევებისათვის დაზგურსა თუ მონუმენტურ ქანდაკებაში.

გაიმართა ამ გამოფენისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი პლენუმი, რომელმაც საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაიარა და დასკვნები, მოქანდაკეებისა და ხელოვნებათმცოდნეების საინტერესო მოსაზრებების მოსმენის შედეგად რომ გამოვიტანეთ, სახელმძღვანელოდ იქცა სამდივნოს შემდგომ მუშაობაში.

რა მდგომარეობა გვაქვს ქართულ ქანდაკებაში დღეს, რა პროცესები შეინიშნება მის განვითარებაში, რა შემაფერხებელი მიზეზები არსებობს და რა პირობების შექმნა მიგვაჩნია საჭიროდ ქართული ქანდაკების შემდგომი აღმავლობისათვის?

მხატვართა კავშირის მთავარი საზრუნავი საქართველოში დაზგური ქანდაკების, საერთოდ, დაზგური ხელოვნების განმტკიცებაა.

მწერლის ხელწერას (პირდაპირი გაგებით) არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენთვის. ბეჭდური ტექსტი აზრს არ ცვლის. ასევე არა აქვს მნიშვნელობა კომპოზიტორის ხელწერას. ეს თვისება — ხელწერის ფენომენი მხოლოდ დაზგური ხელოვნების ნიშანია, რა თქმა უნდა, ამაში სპეციფიკური გაგება უნდა ვიგულისხმოთ.

დაზგური ხელოვნების სრულფასოვანი ნიმუშების შექმნა მხატვრისაგან მაქსიმალურ დაძაბვას და დიდ დროსაც მოითხოვს.

ჩვენი გამოფენები ბოლო დროს თოჯინების გამოფენებს დაემსგავსა. მხატვრებს გამოფენებზე, ძირითადად, მცირე ზომის კომპოზიციები და პორტრეტები გამოაქვთ. დაზგური ქანდაკება აშკარად კნინდება. დღეს საქართველოში არ არსებობს პირობები, რომ დავაინტერესოთ მხატვარი, რათა შექმნას თუნდაც ნატურალური ზომის მარმარილოს ან საერთოდ მაგარი მასალით, ადამიანის გამოსახულება.

ჩვენს ამჟამინდელ პირობებში წარმოუდგენელია კონენკოვის ან მატვეევის, მაიოლის ან როდენის მსგავსი დაზგური ოსტატების ჩამოყალიბება.

როდესაც მხატვარი დაიხარჯება სულიერად და ფიზიკურად, შექმნის სრულფასოვან ნამუშევარს, მას ღირსეული უნდა მიეზღოს. მისი ნაწარმოები უნდა შეფასდეს ღირსეულად არა ზომის, არამედ მხატვრული, იდეური ღირსების მიხედვით.

უნდა შევქმნათ პირობა ნამუშევრის ექსპლოატაციისათვის, ესე იგი, მაყურებელთან შეხვედრისათვის.

ჩვენმა ხელოვნებათმცოდნეობამ, კრიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების მიერ ნამუშევრის სრულფასოვანი შეცნობის პროცესს.

ნამუშევრის ექსპლოატაციას ვერ ვახერხებთ. როგორც აღინიშნა, არა გვაქვს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, სადაც მაყურებელი შეხვდებოდა მხატვარს.

დაზგური ქანდაკებისათვის შრომის სათანადო ანაზღაურების შეუძლებლობა, დაბალი ჰონორარი, საზოგადოებასთან კონტაქტის მცირე დრო და სხვა და სხვა, — ყველა ეს მიზეზია იმისა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა და შემოქმედებითი ბირთვი ძალაუნებურად ზურგს აქცევს დაზგურ ქანდაკებაში მოღვაწეობას და მიიწევს საგამფორმებლო-დეკორატიული შეკვეთებისაკენ, სადაც განუზომლად მეტი პატივი და მატერიალური კეთილდღეობა ელის. ვფიქრობთ, საჭიროა აღდგეს წესი, რომელიც ათიოდე წლის წინ შემოვიღეთ და შემდეგ დავივიწყეთ: საგამოფენოდ მოტანილი ნამუშევარი უნდა შეფასდეს არა ზომის, არამედ მხატვრულ-იდეური ღირსების მიხედვით. ცხოვრებაში უნდა გატარდეს სამდივნოსა და პრეზიდიუმის მიერ შემუშავებული წესი, რომ საშემოდგომო და საგაზაფხულო გამოფენებიდან შევიძინოთ მხოლოდ ის ნამუშევრები, რომლებიც მომავალი სამუზეუმო ფონდის ღირსნი იქნებიან.

ვფიქრობთ, დიდი ხანია უკვე დადგა დრო ხელოვნების ნაწარმოებს შევხედოთ სახელმწიფოებრივად, როგორც მზარდი ღირებულების ეროვნულ დოვლათს.

თუ ვინმე აქ მყოფს უნახავს ჟურომული კულტურის სამინისტროს შენობის საძირკველში, სადაც ჩვენი ქანდაკებებია შენახული, დაგვეთანხმება, რომ მდგომარეობა საგანგაშოა, შეურაცხმყოფელია ჩვენი ხელოვნებისათვის, ჩვენი ხალხისათვის, რომელიც სახსრებს არ იშურებს სწორედ იმ მხატვრული პროდუქციის შესაქმნელად, რომელიც იქ ასეთ პირობებში ინახება.

ნამუშევრის იმ ნესტიან სარდაფებში მოხვედრის პერსპექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტივა, ცხადია, არ გამოდგება დაზგური ხელოვნების აღორძინების სტიმულიზატორად.

შარშან, ვინც ქუთაისში თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის გახსნას დაესწრო, მუზეუმისა, რომელიც ამხ. სულიკო ხაბეიშვილისა და გულდა კალაძის ინიციატივითა და ენთუზიაზმით შეიქმნა, დაგვეთანხმება, რომ იშვიათად შესწრებია ხელოვნების ასეთ ზეიმს, ასეთ სახალხო სიხარულს, როგორც იმ დღეს ქუთაისში სუფევდა. ეს მუზეუმი ქუთაისის სულიერ ცხოვრებაში დიდ ადგილს დაიჭერს. იგი უსათუოდ ითამაშებს როლს ქუთაისელი ახალგაზრდობის ესთეტიკურ აღზრდაში.

ქართველ მხატვრებს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი და ალბათ მხატვართა კავშირის ხელმძღვანელობაც შეეცდება, რომ ჩვენთვის გადმოცემული ინტურისტის შენობა თანამედროვე ქართული ხელოვნების სადემონსტრაციო დარბაზებად გადაკეთდეს, აგრეთვე საჩქაროდ შეიქმნას ჩვენი მხატვრული პროდუქციისათვის საკადრისი საცავები. მუზეუმის და ნორმალური ფონდების შექმნაც დიდი სტიმული იქნება ჩვენი დაზგური ხელოვნების ასაღზევებლად.

დაზგურ ხელოვნებაზე საუბრისას, მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო ზოგიერთი მხატვრისა და არასპეციალისტის სრულიად გაუგებარ პოზიციას, რაც ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა: რომ დაზგური ხელოვნების ჩამორჩენის მიზეზი საქართველოში ლოკალური არ არის; რომ ეს თითქოს მსოფლიო ხელოვნების განვითარების ისტორიული კანონზომიერებაა; რომ დღეს მსოფლიოში დაზგურ ხელოვნებას ცვლის მონუმენტური, ან დეკორატიული ხელოვნება, დიზაინი და პოლიქრომია (რომ ეს თითქოს ისტორიულად გარდუვალია).

უხერხულია ამ აუდიტორიის წინაშე დაზგური ხელოვნების პრესტიჟის დაცვა, მაგრამ ამ აუცილებლობას ვხედავ, რადგან ასეთ განმცხადებლებს ბევრი თანამოაზრე აღმოუჩნდა ჩვენი საზოგადოების აქტიური დილეტანტების სახით. ჯერ ერთი, მონუმენტური და დაზგური ხელოვნება ურთიერთშემავსებელი ხელოვნებებია. ცნება „მონუმენტური" სტილის ცნებას გულისხმობს და დაზგური ხელოვნების წიაღში ყალიბდება.

როდესაც ვზრუნავთ დაზგური ქანდაკების აღორძინებაზე, საძირკველს ვუმაგრებთ მონუმენტურ ქანდაკებას. ამ ჟანრს საპატიო მოვალეობის შესრულება ეკისრებოდა და დაეკისრება კიდეც მომავალში.

თეზისი, რომ დიზაინი დაზგური ხელოვნების ისტორიულად შემცვლელი ფორმაა, გაოცებას იწვევს. ნუთუ მხატვარს შეუძლია ასე გულგრილად დადგეს ობივატელის პოზიციაზე? ნუთუ სერიოზულად შეგვიძლია დავუშვათ, რომ ადამიანის სულიერ ცხოვრებაში ვენერა მილოსელის ადგილს მაცივარი დაიკავებს?

პრესაში ისიც გაისმა, რომ დაზგური ხელოვნება მუზეუმისათვის შექმნილი ხელოვნებაა. მცდარი აზრია. როგორც პოეზია ან პროზა არ იქმნება ბიბლიოთეკისათვის, ასევე მუზეუმებში მოთავსებული ხელოვნება არ გაკეთებულა მუზეუმისათვის. რა კულტურულ-ეროვნულ მიზანს ემსახურება ასეთი განცხადებები, პირადად ჩემთვის, და არა მხოლოდ ჩემთვის, გაუგებარია.

რაც შეეხება მონუმენტური ქანდაკების პრობლემებს საქართველოში, ამ დარგში ჩვენ დღეს შესამჩნევი მიღწევები გვაქვს. გვყავს რამდენიმე ოსტატიც, რომელთა ხელოვნება ღირსეულად წარმოადგენს ჩვენი რესპუბლიკის ხელოვნებას. მიღწევები თვალსაჩინოა და ფართო საზოგადოებისათვის — ნათელი.

მხატვართა კავშირი ცდილობს ყველაფერი გააკეთოს ამ მნიშვნელოვანი დარგის წინსვლისათვის საქართველოში.

მიზნად დავისახეთ უმოკლეს დროში შეგვექმნა მონუმენტური ქანდაკების თანამედროვედ აღჭურვილი საწარმოო ბაზა, ჩამოგვეყალიბებინა ქანდაკების დამოუკიდებელი კომბინატი. ეს მიზანი პრაქტიკულად განხორციელდა. ქართული მონუმენტური ქანდაკების განვითარებისათვის აუცილებელი საწარმოო ბაზა ძირითადად დამთავრებულია. საამქრომ უკვე ბრინჯაოში ჩამოასხა და დადგა კიდეც რამდენიმე მონუმენტი.

მიზეზები, რომლებიც, ჩვენი აზრით, შეაფერხებენ ჩვენი მონუმენტური ქანდაკების განვითარებას მომავალში, მდგომარეობს შემდეგში:

იმის გამო, რომ გაიოლებულია ზომით დიდი ქანდაკების გაკეთების ტექნიკა და რომ დაზგურ ქანდაკებასთან შედარებით, დიდი ზომის ქანდაკება ათმაგად, ასმაგად, უფრო მეტად ნაზღაურდება, ჩვენი მოქანდაკეთა ძირითადი მოღვაწეობის ასპარეზად დიდი ზომის ქანდაკებების შექმნა იქცა. შეგვიძლია მსოფლიოში ცნობილი მოქანდაკეების ჩამოთვლა, რომელთაც მონუმენტური ქანდაკებისათვის არ მიუციათ არაადამიანური მასშტაბები მაყურებელზე ზემოქმედებისათვის. საქართველოში გვყავს მოქანდაკეები, რომლებიც ათი, შეიძლება ოცი დიდი ზომის ქანდაკების ავტორები არიან.

70 სმ ესკიზის მექანიკური გადიდება ხელოსნების მიერ სასურველ ზომამდე (მოგეხსენებათ, რომ შეფასებაც იზრდება მექანიკურად, ზომის მიხედვით), უფლებას არ გვაძლევს ნამუშევარს მონუმენტური ვუწოდოთ. თუ ნაწარმოებებში მხატვრის ინდივიდი, მისი მსოფლმხედველობა არ აირეკლება, ნაწარმოები ხელოვნების ნიმუშად საერთოდ არ ჩაითვლება. ასეთი ნაწარმოები ფალსიფიკაციაა, თემისადმი ცინიკური, მერკანტილური დამოკიდებულების დემონსტრაციაა, და ჩვენ ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ მას.

მონუმენტური ქანდაკების განვითარებას საფრთხეს უქმნის მონუმენტური სტილის სტილიზაციით შეცვლა.

ჭედურ ხელოვნებაში ჩვენი მხატვრების ერთი ნაწილი იოლმა ხერხმა, დეკორატიულმა სტილიზაციამ გაიტაცა. ამან კი დიდი საფრთხე შეუქმნა მთელ ჭედურ ხელოვნებას, და დღეს დიდი მეცადინეობა გვმართებს, რომ ეს დარგი ხელოვნების სხვა დარგებს გვერდით ამოვუყენოთ.

იგივე ბედი შეიძლება ეწიოს მონუმენტურ ქანდაკებასაც, როდესაც სტილს იაფფასიანი სტილიზაციით შევცვლით. ჩვენ გვყავს, კიდევ ვიმეორებ, ბრწყინვალე ოსტატები მონუმენტური ჟანრისა და მათ სახელს ამოფარება საქმეს ვერ უშველის. სამი-ოთხი კარგი ოსტატის არსებობა დიდი მიღწევაა ჩვენთვის, მაგრამ არა გვაქვს უფლება გულგრილად ვუყუროთ მთელი დარგის გავულგარებას. ეს კარგს არაფერს მოგვიტანს. ერთმა ჩვენმა ცნობილმა მხატვარმა ასეთი აზრი გამოთქვა პრესაში: საგანგაშო არაფერია. ფლორენციაშიც კი, სინიორიის მოედანზე მიქელანჯელოს, ბენვენუტო ჩელინისა და დონატელოს შედევრების გვერდით უხვადაა ბაჩო ბანდინელისა და სხვათა უსახო ძეგლებიო.

ვისაც გული შესტკივა მონუმენტურ ქანდაკებაზე, ვერ უნდა ურიგდებოდეს უსახო ძეგლების სიუხვეს საქართველოში, თუნდაც თვითონ მიქელანჯელოს დარი შედევრების ავტორად თვლიდეს თავს. ეს უსახო ძეგლებიც ჩვენია და ჩვენივე საპატრონოა.

● ● ●

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ფერწერა—ახალი გზები, ახალი პრობლემები

რადიშ თორდია

განვლილი საანგარიშო პერიოდი ქართული ფერწერისათვის დატვირთული იყო დიდი შემოქმედებითი ცხოვრებით. ქართულმა ფერწერამ მრავალ რესპუბლიკურ, საკავშირო თუ საზღვარგარეთ მოწყობილ გამოფენებზე მოიპოვა დამსახურებული აღიარება. ეს განსაკუთრებით ითქმის დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30 წლისთავისა და შრომის თემისადმი მიძღვნილ გამოფენებზე, აგრეთვე ბულგარეთში, შვეციასა და იტალიაში მოწყობილ ქართული სახვითი ხელოვნების ვერნისაჟებზე.

საგრძნობლად შეიცვალა დღევანდელი ქართული ფერწერის მხატვრული ფორმა, ეს აშკარად შეიმჩნევა თემატურ გამოფენებზე. ორი-სამი ათეული წლის წინათ, თემატურ სურათში, უმეტეს შემთხვევაში, კომპოზიციას, ფერს, ნახატს ახასიათებდა დოგმატურობა, სიუჟეტის ლიტერატურული თხრობა და გამოსახვის საშუალებათა ფოტოგრაფიულობა. დღევანდელ ფერწერულ სურათებში მთავარ ამოცანად იქცა მხატვრული ფორმისა და იდეის მთლიანობა. მხატვრული ფორმის ძიება ინდივიდუალური შემოქმედებითი ამოცანების დასახვით განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს საშემოდგომო და საგაზაფხულო გამოფენებზე. სხვა გამოფენებთან შედარებით, აქ ფართოდ მიმდინარეობს ფერწერის სპეციფიკური პრობლემების დაყენება, ექსპერიმენტები.

ჩვენთან ამ ბოლო პერიოდში შეიმჩნევა მხატვრული პრინციპების ერთგვარობა. შეიძლება ეს მხატვრული პრინციპი, თავისთავად, ახალი და საინტერესო იყოს, მაგრამ მისი მოჭარბება, ყოველთვის სავალდებულოდ მიჩნევა დოგმატურად აქცევს მას. არავითარი აზრი არა აქვს ძველ დოგმებთან ბრძოლას, თუ მას მეორე, მოდერნიზებული დოგმით შევცვლით.

ჩვენს გამოფენებზე ვერ შეხვდებით ფერის რბილი ნახევართონების, თხელი ფენის ლისირებით დაწერილ, ლირიკული განწყობილების სურათს. თუმცა ამგვარი ბუნებისა და ხასიათის მხატვრები ბევრია. ლირიკული ბუნების ფერმწერები ახლა ცდილობენ შექმნან ექსპრესიულად, პასტოზურად დაწერილი სურათები, რადგანაც დღევანდელ ქართულ ფერწერაში ეს, ერთგვარად, მოდად იქცა. ასე ხდება მხატვრის პიროვნების გაორება, რომლის საბოლოო შედეგი აუცილებლად ყალბია.

თუ მხატვრისათვის შემოქმედებითი მეთოდი, მისი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, ორგანულია, იგი ყალიბდება როგორც ინდივიდუალური და განუმეორებელი. მზამზარეული, სხვისი შემოქმედებითი კრედოს მექანიკური გადმოტანა პლაგიატობაა. რასაც ჭეშმარიტმა მხატვარმა თავისი ნიჭითა და ათეული წლების განმავლობაში დაუღალავი შრომით მიაღწია, პლაგიატი საკუთარ ტილოზე მის გადატანას რამდენიმე საათს ანდომებს, ამის მაგალითები ჩვენთან არცთუ ისე იშვიათია.

საგამოფენო კომიტეტი თუ ჟიური, ხან დათმობით, ხან კიდევ ზერელე დამოკიდებულებით, თვალს ხუჭავს ამაზე და პლაგიატობა ნორმალურ, დასაშვებ მოვლენად იქცევა. მის წინააღმდეგ კი საჭიროა უკომპრომისო ბრძოლა. საგამოფენო კომიტეტის სხდომებზე თუ გამოფენების გარჩევაზე მოურიდებლად უნდა ითქვას ასეთ ტილოებზე, ეს დიდად სასარგებლო იქნება როგორც ავტორისთვის, ისე ფერწერის შემდგომი განვითარებისათვის.

მსოფლიოს თანამედროვე, პროგრესულ ფერწერაში მიმდინარეობს მხატვრული ფორმის გამომსახველობითი საშუალებების ინტენსიური ძიება. ძიებაში და ექსპერიმენტშია სწორედ თანამედროვეობის ასახვის შესატყვისი საშუალებების პოვნის პირობა. მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებთან შედარებით, დღევანდელ ქართულ ფერწერაში, ამ ძიებებს აქტიური ხასიათი აქვთ, საერთო დონეს მაინც საგრძნობლად ჩამოვრჩებით. ხშირად ჩვენი წამყვანი ფერმწერების შემოქმედებაში იგრძნობა შტამპი, ერთხელ შექმნილის, საკუთარი თავის დაუსრულებელი განმეორება, რაღაც შიში ძველი დიდების დაკარგვისა.

ექსპერიმენტებს და ახლის ძიებას სტიმული უნდა მისცეს

უჟიურო გამოფენებმა, რომლებიც ფერწერის სექციამ ჩვენს რესპუბლიკაში პირველად 1973, ხოლო მეორედ 1975 წლებში მოაწყო. ამ ახალ წამოწყებას მხარდაჭერა ჭირდება, პირველ რიგში მხატვრებისაგან, რაც მათ აქტიურობაში უნდა გამოიხატოს. თავის მხრივ ამ ავტორებს უნდა მიეცეს სრული თავისუფლება, ექსპერიმენტული სურათის შერჩევისა და ექსპოზირებაში. თუ საჭიროებამ მოითხოვა, გამოფენა შეიძლება მოეწყოს დახურული, მხოლოდ მხატვრებისათვის.

ასეთი გამოფენები, მათი სპეციფიკისა და ორგანიზაციული მხარის თანდათანობითი ჩამოყალიბებით, სასარგებლო და პოპულარული გახდება.

ქართული სახვითი ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია მეტი კონტაქტი სხვა ქვეყნების ხალხთა სახვით ხელოვნებასთან.

შემოქმედებითი კონტაქტების დასამყარებლად სასურველია მოეწყოს ჯგუფური და პერსონალური გაცვლითი გამოფენები, როგორც საბჭოთა რესპუბლიკებთან, ისე უცხო ქვეყნებთან, ავტორთა მივლინებებით.

ფერწერის სექციის ინიციატივით, გაცვლითი ჯგუფური გამოფენებით საინტერესო კონტაქტები დამყარდა ლიტვისა და ლატვიის საბჭოთა რესპუბლიკებთან.

1974 წელს თბილისის სამხატვრო გალერეაში პირველად გამოიფინა ვილნიუსელ ფერმწერთა ნამუშევრები. ექსპოზიციამ თვალნათლივ დაგვანახა ფერწერის ამ სკოლის ფართო დიაპაზონი, ინდივიდუალური შემოქმედებითი მეთოდის ძიება, გამომსახველობითი საშუალებების სხვადასხვაობა. ყველა ავტორი ერთმანეთისაგან განირჩეოდა როგორც მხატვრული ფორმით, ისე იდეური აზროვნების სფეროთი. სწორედ ამ მხრივ ქართულ ფერწერას ერთგვარი კონსერვატულობისა და კარჩაკეტილობის ელფერი დაჰკრავს. ასეთი გაცვლითი გამოფენები მომავალში სისტემატურად უნდა მოეწყოს.

სხვა სიტუაციაში, თავისი ქვეყნის გარეთ, მხატვარი სხვაგვარად აღიქვამს საკუთარ შემოქმედებას და ადვილად აღწევს თავს ყოველგვარ კონსერვატიზმსა და კარჩაკეტილობას.

აქ უკვე ითქვა, რომ ნესტიან და უვარგის სარდაფებში ფუჭდება ქართული სახვითი ხელოვნების განძი და ის მცირე ნაწილიც კი, რაც მუზეუმის ექსპოზიციაშია, დარბაზების სივიწროვისა და უვარგისობის გამო, ნორმალურად ვერ აღიქმება. ეს განსაკუთრებით ითქმის დაზგურ ფერწერაზე, რომელსაც უაღრესად სათუთი მოპყრობა ჭირდება.

ხელოვნების ნაწარმოებს მაშინ შეუძლია სარგებლობის მოტანა, თუ ხალხთან კონტაქტშია. დღეს კი ხალხის სულს რამდენი ზნეობრივ-ესთეტიკური საზრდო აკლდება, როდესაც ნიკო ფიროსმანის, დავით კაკაბაძის და სხვათა მრავალი შედევრი ბნელ სარდაფებში უქმად აწყვია.

სახვითი ხელოვნების მუზეუმის მშენებლობა ყველაზე აქტუალურ საკითხად უნდა იქცეს. სხვა რომ არაფერი, უბრალოდ, უხერხულიც კია, კოსმოსურ რაკეტასავით აღმართულ ცეკავშირის შენობის გვერდით, ასე საცოდავად გამოიყურებოდეს ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმი, სადაც თავმოყრილია ქართველი ერის მაღალი ხელოვნების საუნჯე.

დაზგურ ხელოვნებას არ ჭირდება შეჯიბრი არქიტექტურულ მასშტაბებთან. ჩვენს ქვეყანაში, საზოგადოებრივი დანიშნულების ინტერიერში უარყოფენ დაზგურ ფერწერას, რომელიც ვერ უკავშირდება დიდი მასშტაბების სივრცესა და სიბრტყეს. ევროპის მრავალ განვითარებულ ქალაქში თანამედროვე ინტერიერის უზარმაზარ სივრცეში შექმნეს მცირე მოცულობები, რადგანაც დაზგურ ხელოვნებას მაყურებელთან დისტანციის მკაცრი კანონი აქვს. ამით ფერწერას შეუქმნეს საჭირო კლიმატი. უნდა გვახსოვდეს, რომ სახვითი ხელოვნება არსებობს არა ინტერიერისათვის, არამედ ამ ინტერიერში მყოფი ადამიანისათვის.

მხატვრის ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის საჭიროა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგება. უაღრესად არასახარბიელოა ფერმწერის მდგომარეობა. სამხატვრო კომბინატებში გაუგებარი და ბუნდოვანია შეკვეთების მიღების ნორმები. შეკვეთები უხარისხოა, და შეუძლებელიც არის ფერმწერმა ის მაღალმხატვრულად შეასრულოს, რადგანაც, ხშირად შემკვეთი არაკომპეტენტური და დაბალი გემოვნებისაა. ამავე დროს, დიდი უფლებების მქონე. თუ ფერწერული სურათი შემკვეთის გემოვნებას არ პასუხობს, მას შეუძლია იგი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე უკან დააბრუნოს. ამიტომ მხატვარი იძულებულია შეიმუშაოს რაღაც გარკვეული მეთოდი, რომელიც მიესადაგება შემკვეთის გემოვნებას. ამგვარი გაორება ძალზე ცუდად მოქმედებს მხატვრის შემოქმედებით მუშაობაზე. თუ კომბინატის საშუალებით, შეკვეთით განხორციელებული ქანდაკება და მონუმენტური მხატვრობა აღინიშნა სახელმწიფო და ლენინური პრემიებით, კომბინატშივე შექმნილი დაზგური ფერწერის ვერც ერთი ნიმუში ვერ გამოირჩა. ეს იმიტომ კი არა, რომ თითქოს უნიჭო მხატვრები გვყავს, მიზეზი მხოლოდ შემკვეთის პრიმიტიული გემოვნება და საერთოდ, შეკვეთის ცუდი ორგანიზაციაა.

ცუდად მიმდინარეობს შემოქმედებითი სახელოსნოებით ფერმწერთა უზრუნველყოფა. თითქმის ოცი წელია, თბილისში ფერმწერისთვის საჭირო სახელოსნოები არ აშენებულა, ხოლო ის საქვაბეები, რომლებიც ქალაქის საბჭომ მხატვართა კავშირს გადასცა, ფერწერისათვის გამოუსადეგარია. ამიტომაც ისინი ძირითადში მოქანდაკეებზე და კერამიკოსებზე ნაწილდება. აუცილებელია განახლდეს მანსარდების მშენებლობა. ეს არცთუ ისე რთულია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. მანსარდის მშენებლობა ნიშნავს სხვენის კეთილმოწყობას. სხვენს დღეს თითქმის ყველა მშენებარე საცხოვრებელ სახლზე საკმაოდ კარგად აკეთებენ. მისი რამდენადმე შეცვლით შეიძლება მივიღოთ მხატვრის სახელოსნო, რომელიც ძვირი არ დაჯდება. ამის თქმას დღეს პირდაპირი აზრი აქვს, რადგანაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ცდილობს დაძლიოს ყველა ის პრობლემა, რომელთა გადაჭრაც ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებას შეუწყობს ხელს.

„ინტურისტის“ შენობის მხატვართათვის გადაცემა ამის მაგალითია, შენობის რეკონსტრუქციის შემდეგ აქ გაიმართება მხატვართა თაობებისათვის ესოდენ საოცნებო ქართული, თანამედროვე ხელოვნების მუდმივი ექსპოზიცია და პერიოდული გამოფენები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დეკორატიულ—გამოყენებითი ხელოვნება დღევანდელობის სამსახურში

ალდე კაკაბაძე

საქართველოს მხატვართა კავშირის დეკორატიულ-გამოყენებითი სექცია დღეისათვის 136 მხატვარს აერთიანებს. ეს არის ხელოვნების მუშაკთა მზარდი ჯგუფი, რომელთა ნიჭსა და უნარზე, მაღალმოქალაქეობრიობაზეა მინდობილი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების წინსვლა ჩვენს რესპუბლიკაში. ქართული შავკრიალა კერამიკის, ლითონის, ქსოვილების თუ ხის ნაკეთობანი, აღიარებულია საკავშირო და მსოფლიო გამოფენებზე, მრავალგზისაა აღნიშნული საერთაშორისო მედლებითა და საპატიო დიპლომებით.

მოგეხსენებათ, ხელოვნების ეს დარგი ჩვენი უშუალო ყოფის მონაწილეა. სამომხმარებლო დანიშნულებით, იგი ყოველთვის ადამიანის გვერდითაა და თავისდაუნებურად აყალიბებს ხალხის მხატვრულ ხედვას, ხვეწს მის გემოვნებას.

ამავე დროს, დღევანდელი დეკორატიული ხელოვნების აქტუალურ საკითხად რჩება მონუმენტური დეკორატიული ხელოვნების, კერძოდ, არქიტექტურისა და კერამიკის სინთეზის საკითხი.

თანამედროვე არქიტექტურაში მომხდარმა დიდმა ცვლილებებმა მკვეთრად გაზარდა მოთხოვნილება მონუმენტურ-დეკორატიულ ხელოვნებაზე და დიდი როლი ითამაშა ქართული მონუმენტური კერამიკის ჩამოყალიბებაში. ასე რომ, უკანასკნელ წლებში უტილიტარული და წმინდა საგამოფენო-დეკორატიული კერამიკის გვერდით წარმოიშვა სრულიად დამოუკიდებელი დეკორატიული სახეობა, რომელიც მონუმენტურ-დეკორატიულ ფერწერასა და ქანდაკებასთან ერთად მტკიცედ დამკვიდრდა თანამედროვე არქიტექტურაში, მის განუყოფელ ნაწილად იქცა. და, აი, დღეს, 50-იანი წლებისაგან განსხვავებით, მხატვრული კერამიკა მოგვევლინა ორი საკმაოდ დიდი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ფორმით. გამოყენებითი და მონუმენტური — საბაღო-საპარკო კერამიკა, ექსტერიერისა და ინტერიერის მხატვრული კომპოზიციური გადაწყვეტა, სივრცის ვიზუალური აქცენტირება და სხვა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია მხატვრული კერამიკის აღქმა თანამედროვე ეტაპზე. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ეპოქის სუნთქვით წარმოქმნილი ხელოვნება ყოველთვის ეძებს ახალ საშუალებებს, ახალ ფორმებსა და გზებს თავისი სახის სრული გამოვლენისათვის.

მონუმენტური კერამიკა, ჩვენში ახალი დარგია, იგი ჯერ კიდევ საკუთარი ეროვნული ხელწერის ძიებაშია, რის გამოც მრავალი ნაკლოვანი მხარეც ახლავს. ისიც მართალია, რომ ჯერჯერობით მაღალ კვალიფიციურ მონუმენტალისტ მხატვარ-კერამიკოსთა ნაკლებობას განვიცდით. დღეს მონუმენტურ კერამიკაში, ძირითადად, ახალგაზრდა მხატვარ-კერამიკოსთა დიდი ჯგუფი მუშაობს. მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ყოველთვის როდი გვახარებს ამა თუ იმ არქიტექტურული ნაგებობის გვერდითი ფასადისა და ინტერიერის მხატვრულ-კომპოზიციური გადაწყვეტა, როგორც იდეურ-ესთეტიკური თვალსაზრისით, ისევე თანამედროვე კერამიკის ტექნოლოგიის მიღწევათა დაბალ პროფესიულ დონეზე გამოყენებით.

ყოველივე ეს მხატვართა გამოუცდელობაზე მიგვანიშნებს, ამიტომ კიდევ უფრო მეტი ყურადღება და დახმარება მართებს დეკორატიულ-გამოყენებით სექციას მათი შემოქმედებითი გზის სწორად წარმართვისა და პროფესიული ცოდნის გაღრმავების საქმეში.

უკომპრომისო კრიტიკა, შემოქმედებითი საქმიანი საღამოები, თანამედროვე მონუმენტური კერამიკის მსოფლიო მიღწევათა ირგვლივ გამართული აზრთა გაცვლა-გამოცვლა და უახლესი კერამიკის ტექნოლოგიის მიღწევათა ინფორმაცია — ეს ყველაფერი დასაბამს მისცემს ისეთი მაღალპროფესიული, მონუმენტური კერამიკული ხელოვნების ჩამოყალიბებას, რომელიც დააკმაყოფილებს დღევანდელი დღის მოთხოვნებს და თანამედროვე ადამიანის ესთეტიკურ შეგრძნებებს უპასუხებს. მაგრამ ყოველივე ეს სრულიადაც არ არის საკმარისი მონუმენტური კერამიკის სწრაფი აღმავლობისათვის. აუცილებელია ამ დარგში მომუშავე ახალგაზრდა სპეციალისტების მაღალ დონეზე მომზადებაც.

სწრაფი ტემპით შენდება ახალი ქალაქები, სოფლის ანსამბლები, საზოგადოებრივი და საწარმოო ნაგებობანი, რომელთა თანამედროვე სახის ფორმირებაში დიდ როლს ითამაშებს არქიტექტურული კერამიკა. იქ, სადაც სწორი წარმოდგენა არა აქვთ ამ ხელოვნების სპეციფიკაზე — გზა ეხსნება უნიათო, ფსევდოქართული სტილის ეკლექტიკურ ნარევსა და უგემოვნებო შემკულობას.

ქართული მხატვრული კერამიკის წინაშე წამოყენებული ცხოვრებისეული პრობლემის გათვალისწინებით, თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორატმა გადაწყვიტა ეს სერიოზული საკითხი: კერამიკის კათედრაზე 1976/77 წლიდან გახსნა მონუმენტური კერამიკის განყოფილება, რითაც საბოლოოდ გადაჭრა არა მარტო მონუმენტური კერამიკის, არამედ ქართული მხატვრული ფაიფურ-ფაიანსის წინაშე წამოყენებული პრობლემატური ამოცანა. ამრიგად, ამ ინიციატივით იგი

კვლავ მისაბაძ მაგალითად იქცა მოძმე რესპუბლიკების უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

ქართული მონუმენტური კერამიკის შემდგომი სრულყოფისა და განვითარებისათვის დიდი და საინტერესო შემოქმედებითი ძიების გზაა გასავლელი. შეუპოვრობა, შემართება მართებთ ახლგაზრდა მონუმენტალისტებს, მხატვარ-კერამიკოსებს მხატვრული ფორმების ძიებისას, ვინაიდან მხოლოდ თამამ შემოქმედებით ფანტაზიას ძალუძს განაპირობოს ახალი, პროგრესული მხატვრული ფორმა. ეს იოლი საქმე როდია. თუ შემოქმედებითი ძიების მიზანი ნათელია, გზა ამ მიზნის მისაღწევად იმდენია, რამდენი შემოქმედებითი აზრი და ინდივიდუალური ხელწერაც არსებობს მხატვრებს შორის.

სწორედ დღევანდელი დღის, წმინდა შემოქმედებით, პრობლემატურ საკითხებს მიეძღვნა საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობისა და დეკორატიული სექციის გაფართოებული პლენუმი, რომელიც გასული წლის მარტში მოეწყო.

ჩვენი სექციის მხატვრებმა იმუშავეს ვილნიუსის კერამიკის საერთაშორისო სიმპოზიუმზე, მონაწილეობა მიიღეს უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის მსოფლიო სიმპოზიუმ-კონგრესებზე, რიგაში ჩატარებულ გობელენის საერთაშორისო, მოსკოვში ჩატარებულ ხალხური შემოქმედებისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმებზე, სადაც წაიკითხეს მოხსენებები.

ახლა ყველა საწარმო თუ კომბინატი ხარისხის სახელმწიფო ნიშნის მოსაპოვებლად იბრძვის. მაგრამ ხარისხის ნიშანი აუცილებლად გულისხმობს ნაკეთობის მხატვრული მხარის სრულყოფასაც. ტექნიკური ესთეტიკისა და მხატვრული კონსტრუირების განვითარებამ გამოიწვია წარმოების ახალი ნაკეთობების გარდაქმნა საერთაშორისო სტანდარტების დონეზე. მხატვრის ხელმა და გონებამ უნდა შექმნას სილამაზე ნაწარმისა, რომლის ესთეტიკური კრიტერიუმი თანამედროვეობის მაჯისცემა უნდა იყოს.

ყოველივე ამის გამო მხატვრის როლი წარმოებაში დღითიდღე იზრდება. ჩვენი სახალხო მეურნეობის აღმავალი სვლა წარმოუდგენელია მაღალკვალიფიციური მხატვრის ჩარევის გარეშე.

უკვე დიდი ხანია არსებობს საკავშირო დადგენილება იმის შესახებ, რომ სამხატვრო საბჭოების შემადგენლობაში, ნახევარზე მეტი მხატვრები შედიოდნენ, და იქ, სადაც იცავენ ამ წესს, სადაც საწარმოს ხელმძღვანელობასა და სამხატვრო საბჭოს წევრებს შორის ურთიერთგაგება სუფევს, თვალსაჩინო და სასიხარულო შედეგებია. ამასთან დაკავშირებით, გვაქვს სრული უფლება მოვითხოვოთ, რათა მეტი ყურადღება დაეთმოს წარმოებაში მომუშავე მხატვრებს, რომლებიც ათეული წელია მხარში უდგანან წარმოებას და კოლექტივებთან ერთად ინაწილებენ მის ავ-კარგს. ამ მხატვრების გემოვნება და აზრი უშუალოდ მოქმედებს პროდუქციის ხარისხზე, ანიჭებს მას საერთაშორისო ბაზარზე კონკურენციის უნარს.

დღეს რესპუბლიკის სხვადასხვა საწარმოდან ათასობით მანეთის პროდუქცია იგზავნება მსოფლიოს ბაზრებზე. უამრავი დაკვეთა აქვთ თბილისის კერამიკულ კომბინატს, მცხეთის კერამიკულ ქარხანას, სამხატვრო ფონდის კერამიკულ საწარმოებს გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის, ირანის, ესპანეთისა თუ საფრანგეთის ბაზებიდან.

ჩვენი მხატვრების მიერ შექმნილმა ნაკეთობებმა წარმატებებით მოპოვებული სიხარული უნდა შეგვმატოს.

სამხატვრო აკადემიას ყოველ წელს ამთავრებს 12 დეკორატორი. ამ ახალბედა მხატვრებს შესწევთ ძალა თქვან საკუთარი გაბედული სიტყვა ამ დარგში. სად უნდა წავიდნენ მუშაოდ მინის, ქსოვილების, ლითონის, კერამიკის ახალგაზრდა სპეციალისტები? ბუნებრივია, წარმოებაში. მაგრამ ქარხანა არ ღებულობს მხატვრებს შემოქმედებითი სამუშაოებისათვის, — ასეთი დადგენილება არ არსებობს. მეტიც — მთელ რიგ რესპუბლიკებში ადგილობრივი სამინისტროს დადგენილებით აიკრძალა მხატვრების დაშვება ქარხანაში, იმ მოტივით, რომ საგამოფენო ნამუშევრები შემოქმედებით სპეციალურ სახელოსნოებში უნდა შესრულდეს.

ასეთი სახელოსნო ერთადერთია — რიგასთან — ძინტარში, სადაც ძირითადად მხატვართა კავშირის წევრებს ღებულობენ. ახალგაზრდა კი სექციის წევრი რომ გახდეს, საჭიროა, სულ ცოტა, ათიოდე ნამუშევარი, საკავშირო მხატვართა კავშირის წევრისათვის კი ორ რესპუბლიკურ და ერთ საკავშირო გამოფენაზე მონაწილეობა. ამრიგად, იკვრება ჯადოსნური წრე, რომლის გარღვევა ახალგაზრდა შემოქმედისათვის შეუძლებელია. ისინი, ვისი განსწავლისა და განათლებისათვის მთავრობამ გაიღო ხარჯები, იძულებული არიან ან უქმად იყვნენ, ან სახვითი ხელოვნების სხვა დარგში გამოსცადონ ბედი. ამის გამო დეკორატიულ-გამოყენებითი სექცია ძალზე ნელა იზრდება, არ ივსება ყველაზე პოტენციური ძალით — ახალგაზრდა კადრებით. წარმოებაში შემოქმედებით სამუშაოზე დაშვებული უნდა იქნან მხატვრები. პრაქტიკულად ამის შესანიშნავი მაგალითი უკვე გვაქვს — სამხატვრო ფონდის კერამიკულ საწარმოში, სადაც, მიუხედავად წარმოების გეგმისა, სამხატვრო ფონდის კომბინატის ხელმძღვანელების, წარმოების დირექტორის მოწოდებით ერთი წლის განმავლობაში სამოცმა მხატვარმა შეასრულა შემოქმედებითი სამუშაოები.

ჩვენი სექციის სახელით გვინდა მადლობა გამოვთქვათ მხატვართა კავშირის ხელმძღვანელობის მიმართ, რომლებმაც მხურვალედ აგვიბეს მხარი ამ მნიშვნელოვან საქმეში. მაგრამ ეს წარმოება პატარაა და აქ მხოლოდ თიხის მასალაში შეიძლება მუშაობა. ვინც ფაიფურზე ან მაღალტემპერატურის ნაწარმზე მუშაობს, მას აუცილებლად სჭირდება თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ქარხანა. ასევე, ბაზა საჭიროა ქსოვილების, ლითონისა და სხვა დარგებისათვის.

ყველაზე დიდ გასაჭირში კი მინის მხატვრები არიან. არადა, ამ ახალგაზრდებმა უკვე დაიმსახურეს დიპლომები რესპუბლიკურ თუ საკავშირო გამოფენებზე.

ახლახან საშენ მასალათა კომბინატში წამოიწყეს მხატვრული მინის წარმოება. აგრეთვე სამხატვრო აკადემიის ბაზაზე, მცხეთის კერამიკულ ქარხანაში გაიხსნა მინის საამქრო. ჯერჯერობით კი კვლავ უნდა ვეცადოთ, ინტენსიურად მივავლინოთ მოძმე რესპუბლიკათა მინის წარმოებებში ჩვენი ახალგაზრდობა, ამ დარგის სპეციალისტები და, რაც კი შეგვიძლია, დავეხმაროთ მათ.

რაც შეეხება ქსოვილების სპეციალისტებს, გვყავს ნიჭიერი მხატვრები, რომლებიც უკვე ათი წელია ნაყოფიერად მონაწილეობენ საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებზე. ამ ხნის მანძილზე ვერ მოხერხდა მათი მასალით დაკმაყოფილება. იგივე ითქმის ლითონისა და ხის შესანიშნავ მხატვრებზე. მასალის უქონლობა სერიოზულად აფერხებს მათ შემოქმედებას.

იმედს გამოვთქვამთ, რომ მხატვართა კავშირის აქტიური ჩარევით, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა გამონახავს საშუალებას ამ ამოცანების გადასაწყვეტად და ხელს შეგვიწყობს მომავალ მუშაობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სცენოგრაფიის ქართული სკოლის წარმატებები

გიორგი გუნია

ბოლო ხანებში დიდი პოპულარობა მოიხვეჭეს ქართველმა თეატრალურმა მხატვრებმა. საბჭოთა ხელოვნებისმცოდნეებმა, რომლებიც ამ დარგს იკვლევენ, ასეთი ტერმინიც კი დაამკვიდრეს: ,,სცენოგრაფიის ქართული სკოლა".

ამ სკოლის აღიარება იმითაა გამოწვეული, რომ დღევანდელ მხატვართა შემოქმედება ეყრდნობა და აგრძელებს ქართული თეატრის გამოჩენილი მხატვრების — პეტრე ოცხელის, ირაკლი გამრეკელის მიერ დანერგილ ტრადიციებს, ინარჩუნებს საკუთარ სახეს, საკუთარ ეროვნულ მსოფლშეგრძნებას და ამავე დროს მიემართება თანამედროვე ძიებათა გზით. თავის საუკეთესო ქმნილებებით ქართველ თეატრის მხატვრებს თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ მოწინავე საბჭოთა სცენოგრაფიის ხელოვნებაში.

აღიარება ხვდა ქართველი მხატვრების მიერ გაფორმებულ მრავალ სპექტაკლს, და არა მხოლოდ ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის გარეთაც — ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებსა თუ საზღვარგარეთ.

საზღვარგარეთ საბჭოთა სცენოგრაფიის ყოველი გამოფენა, როგორც წესი, შეიცავს ქართველ თეატრალურ მხატვართა ნამუშევრებს. დიდი წარმატება ჰქონდათ ქართული სცენოგრაფიის რეტროსპექტულ ექსპოზიციებს 1969 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და 1974 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ორ ყრილობათა შორის პერიოდში ჩვენმა სექციამ თეატრალური მხატვრობის ოცი გამოფენა მოაწყო. როგორც თავისი დონითა და ხარისხით, ისე მნიშვნელობით ეს სხვადასხვა გამოფენები იყო. მათ შორის გამოირჩევა ექსპოზიციები ,,სეზონის შედეგები", რომლებიც აგერ უკვე მეოთხე წელია რეგულარულად იმართება. ეს გამოფენები მხატვრებს აახლოებს, იქმნება გამოცდილებათა გაზიარების, ცუდისა და კარგის თვალის მოვლების შესაძლებლობა, ეს კი ძალზე ფასეულია. ყოველწლიურად ეს გამოფენები სულ უფრო და უფრო მეტ ინტერესს იმსახურებს თეატრის მხატვართა შორის. თუ პირველი გამოფენის ორგანიზება ძლივს მოვახერხეთ, ბოლო გამოფენა დიდი სიუხვით გამოირჩევა. მისასალმებელია, რომ კულტურის სამინისტრო იძენს ამ ექსპოზიციებიდან საუკეთესო ნამუშევრებს.

დიდი გამოძახილი ჰქონდა ქართული სცენოგრაფიის გამოფენებს ტალინსა და რიგაში, უამრავი დამთვალიერებელი ყავდა. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ჩვენში მოწყობილ ანალოგიურ გამოფენებზე.

არ შეიძლება არ მოვიგონოთ კიდევ ერთი გამოფენა: საკავშირო თეატრალური საზოგადოების ლენინგრადის განყოფილებამ ლენინგრადში მოაწყო ქართული თეატრის მხატვრების ჯგუფური გამოფენა, რომელიც, განხილვებზე და პრესაში გამოთქმული აზრით, მოვლენად იქცა ლენინგრადის მხატვრულ ცხოვრებაში. ეს გამოფენა დაემთხვა რუსთაველის თეატრის გასტროლებს მოსკოვში და ქართული თეატრის და სახვითი ხელოვნების მიღწევათა ზეიმად იქცა.

რაშია ჩვენი სცენოგრაფიის ამჟამინდელი წარმატების არსი?

60-70-იან წლებში ქართულ თეატრალურ მხატვრობაში მოსულმა თაობამ განსაკუთრებით გააძლიერა ძიება სასცენო სივრცის მოდელირების ახალი ფორმებისათვის და სცენოგრაფიის გადასაქცევად სპექტაკლის ერთ-ერთ დომინირებულ კომპონენტად. ეს მხატვრები ყველა თბილისის სამხატვრო აკადემიის აღზრდილია და მათი უმეტესობა სწავლობდა თეატრალურ სახელოსნოში, რომელსაც თხუთმეტ წელზე მეტია ფარნაოზ ლაპიაშვილი ხელმძღვანელობს.

ხარისხობრივი ნახტომი, რომელიც მოხდა ქართულ და, საერთოდ, მთელ საბჭოთა სცენოგრაფიაში თანამედროვე ეტაპზე, აღინიშნება ტერმინით ,,პლასტიკური რეჟისურა".

დღეს დეკორაცია მხოლოდ მოქმედების ადგილის გამომსახველი როდია, მისი ამოცანა უფრო რთული და ღრმაა: გახსნას პიესის არსი, პლასტიკურად შეასხას ხორცი მისი დრამატული კონფლიქტის მამოძრავებელ ძალებს, გასცდეს სტატიკურ მდგომარეობას და აქტიურად ჩაერიოს სცენურ მოქმედებაში. თანამედროვე დეკორაციამ მაყურებელს შესაძლებლობა არ უნდა მისცეს სპექტაკლის სიტყვიერი და სახვითი ფორმების ზედაპირული აღქმისა. მის წინაშე წარმოქმნილი პლასტიკური სახეები მაყურებლისგან მოითხოვს მდიდარ ფანტაზიას და ასოციაციური აზროვნების უნარს, რის წყალობითაც მოქმედი სცენოგრაფია ,,თანაგანცდის ეფექტს" აღწევს სცენასა და დარბაზს შორის.

დეკორაციების მატერიალური სამყაროსა და პერსონაჟების ურთიერთ შეხვედრა, თანამედროვე ქმედითი სცენოგრაფიის საფუძველს რომ შეადგენს, მხოლოდ ერთი რომელიმე მხატვრის მონოპოლია როდია, ეს მთელი საბჭოთა, კერძოდ, ქართული თეატრის განვითარების მონაპოვარია და მისი წამყვანი ოსტატების სცენური აზროვნების დონეს განსაზღვრავს. კონკრეტული ამოცანებიდან გამომდინარე, თითოეული მათგანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისებურად იყენებს ქმედითი სცენოგრაფიის პრინციპებს. მხატვრისათვის თვით ისეთ ორთოდოქსულ ჟანრში, როგორიცაა ბალეტი, სადაც დეკორაციები მოქმედების მხოლოდ ლამაზ ფონს წარმოადგენს, სოლიკო ვირსალაძემ ,,ივანე მრისხანეში" სახვითი რეჟისურის ბრწყინვალე ნიმუში შექმნა.

რა თქმა უნდა, ქართული სცენოგრაფიის გზა სიძნელეებსაც ხვდება, რომელიც აფერხებს მის წინსვლას.

საკმაოდ მწვავედ დგას მხატვრის მიერ სპექტაკლის სახვითი გადაწყვეტისა და რეჟისორული განხორციელების ადეკვატურობის საკითხი.

უკანასკნელ ხანებში გაჩნდა ტენდენცია — მკაფიო, გაბედული, მეტყველი დეკორაციების ნაცვლად სცენაზე უღიმღამო სივრცემ დაისადგუროს, გაჩნდა მხატვრის იგნორირების ტენდენცია. თუმცა, რა თქმა უნდა, ნიჭიერად გადაწყვეტილი დეკორაციების მწირა ჯობია, ვიდრე უნიჭოსი — ეს აქსიომაა და დასაბუთება არ ჭირდება.

ზოგიერთი თეატრი ჯიუტად ეჭიდება ძველებურ პრინციპებს და ძალიან საეჭვო ტრადიციებს, მხატვარს პროკრუსტეს სარეცელს რომ უმზადებს, სადაც არა თუ განძრევა, ამოსუნთქვაც კი ჭირს. ასე ჩნდება ამ სცენებზე ნამდვილი ხელოვნების ნაცვლად ხელოსნური ნაწარმოებები.

სამწუხაროდ, ზოგიერთი მხატვარი სხვადასხვა სპექტაკლში ერთსა და იმავე გადაწყვეტას იმეორებს, იდენტურს კლასიკისა და თანამედროვეობისათვის, კომედიისა და ტრაგედიისათვის და ამას საკუთარი შემოქმედებითი ხელწერით ამართლებს. მაგრამ თანამედროვე სცენოგრაფიის მიღწევები სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ თვითეული კონკრეტული პიესისათვის მოინახოს მხოლოდ მისთვის შესაფერი სახვითი გადაწყვეტა. ყოველი ნამდვილი მხატვარი ამ გადაწყვეტას საკუთარი ხელწერით აგებს.

ის ფაქტი, რომ არ არსებობს ნამდვილი პროფესიული კრიტიკა, რომელიც ქართულ სცენოგრაფიას სწავლობდეს, შეუძლებელს ხდის ყოველივე ამის გაანალიზებას, რომ აღარაფერი ვთქვათ უკვე მოპოვებულ წარმატებათა შეფასებაზე.

თანამედროვე სცენოგრაფია მოითხოვს ახალი საინტერესო ფაქტურის, მასალის, კონსტრუქციების, ინჟინრული გადაწყვეტის, შუქის დანადგარებისა და სცენის მექანიზმების ძიებას. ამ მხრივ ჩვენში არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა, პროგრესი კი არ ჩანს, რამდენადაც სულ უფრო მცირდება თეატრების ტექნიკური საამქროების მუშაკთა კადრები. პერსონალის ცვლა ამ დარგის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას აფერხებს. ეს კი დეკორაციების ხარისხზე მოქმედებს და, რაც მთავარია, მხატვრის ხელოვნებას ამდარებს.

ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა თეატრალურ ინსტიტუტთან გახსნილიყო სადადგმო ფაკულტეტი, ისე როგორც ეს არის მოსკოვში სამხატვრო თეატრის სკოლა-სტუდიასთან და ლენინგრადში ხელოვნების ინსტიტუტთან.

ეს პრობლემები სრულიადაც არ არის გადაუწყვეტი, მით უმეტეს, რომ ბევრი მათგანი ,,ზრდის ავადმყოფობიდან" მომდინარეობს.

● ● ●



# ახალგაზრდობას — ფართო გზა

მამია ახობაძე

ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების ბიურო დიდ მუშაობას ატარებს. მისი საქმიანობა დაფუძნებულია იმ შესანიშნავ ტრადიციებზე, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს უფროსი და საშუალო თაობების მხატვრებმა, მაშინდელმა ახალგაზრდობამ.

ეს ის ახალგაზრდობა იყო, რომელიც საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღიდან აქტიურად ჩაება ხალხის კულტურული ცხოვრების აშენების ფერხულში, იმთავითვე დაინტერესდა ქართული ხელოვნების მომავლით, მისი ბედ-იღბლით.

ამ ხელოვანთა მიერ გავლილი შემოქმედებითი გზა დღეს ქართული ხელოვნების ისტორიაა. ახალგაზრდობამ, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიაში მოიყარა თავი და შემდგომ თამამად შეაღო ახლადგახსნილი თბილისის სამხატვრო აკადემიის კარი, მდიდარი მემკვიდრეობა შექმნა და გზა გაუკაფა მომავლის შესანიშნავ კადრებს. ეს ის ახალგაზრდობა იყო, ვინც ოცდაათიან წლებში საფუძველი ჩაუყარა ორგანიზაციას, დღეს რომ მხატვართა კავშირი ჰქვია.

დღეს ბევრი მათგანი მოვიდა ყრილობაზე, ბევრი კი მათ შორის უკვე აღარ არის. ახალგაზრდობას კარგად ესმის მათი გარჯის, თავდადების ფასი და უდიდესი პატივისცემითაა გამსჭვალული მათ მიმართ.

მხატვართა კავშირის ახალგაზრდული გაერთიანება მოწოდებულია იცოდეს, თუ საით მიემართება ახალგაზრდა მხატვრის მიზნები და გზები, როგორ ვითარდება და ყალიბდება მისი შემოქმედებითი აზროვნება, გამოსახვის მეთოდები და პრინციპები. დროულად უნდა გავერკვეთ ყოველივე ამაში, რათა ნამდვილმა ნიჭმა სწორად გაიკაფოს გზა, განვითარდეს ხალხისა და ქვეყნის სასიკეთოდ.

ასე გვესმის ჩვენ ამ გაერთიანების ბიუროს მუშაობა და ამოცანები, მისი საქმიანობა მხატვართა კავშირის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებულად. ასე იყო დღემდე, ასე გაგრძელდება მომავალშიც.

შეხვედრამ საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელ ამხანაგებთან უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა ახალგაზრდა მხატვრებზე. გაიმართა მრავალმხრივ საინტერესო, გულახდილი საუბარი, დაისახა შემდგომი მუშაობის წარმართვის გზები, მხატვართა ცხოვრებისა და შემოქმედებითი პირობების გაუმჯობესებას, მსოფლმხედველობრივ ჩამოყალიბებას რომ ითვალისწინებს.

ახალგაზრდობას, პირველ რიგში, ჭირდება სახელოსნოები. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოეწყოს საერთო სარგებლობის შემოქმედებითი სახელოსნოები როგორც თბილისში, ისე რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში. ახალგაზრდობას ჭირდება დასასვენებელი (შემოქმედებითი) სახლები, საგამოფენო დარბაზები, დაფინანსება შემოქმედებითი დახმარებისა და ხელშეკრულებებისათვის.

რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებმა, რადიომ და ტელევიზიამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ახალგაზრდა მხატვრებისა და ხელოვნებისმცოდნეების საქმიანობას.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უნდა ამაღლდეს სახვითი ხელოვნების სწავლება, მეტად უნდა ჩავრთათ ახალგაზრდები ამ საქმეში.

საჭიროა გაიზარდოს ახალგაზრდობის წარმომადგენლობა კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში, განსაკუთრებით საგამოფენო კომიტეტებში. უფრო ხშირად უნდა მივავლინოთ ისინი საზღვარგარეთ მსოფლიო ხელოვნების მიღწევათა გასაცნობად. დიდ სარგებლობას მოუტანს მათ აგრეთვე გაცვლითი გამოფენები სხვა რესპუბლიკების მხატვრებთან, გამოჩენილ მხატვართა ნაწარმოებების გამოფენათა გაცნობა. ვფიქრობ, სასარგებლო იქნება დაარსდეს ახალი მხატვრული ალმანახი — ჟურნალი ახალგაზრდა მხატვრებისა და ხელოვნებათმცოდნეებისთვის.

გადახალისებას მოითხოვს საგამოფენო კომიტეტის მუშაობის ფორმები და მეთოდები. დარგობრივი საგამოფენო კომიტეტების შექმნა, ჩემის აზრით, გააადვილებდა მუშაობას, მეტი ყურადღება დაეთმობოდა ნაწარმოების ხარისხობრივ შეფასებას, მეტი ყურადღება დაეთმობოდა ნაწარმოების ხარისხობრივ შეფასებას, ავტორებთან ახსნა-განმარტებით საუბრებს, როცა ამა თუ იმ მხატვარს აინტერესებს და საჭიროც არის იცოდეს, თუ რაში მდგომარეობს მისი ნამუშევრის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ეს კი უთუოდ სჭირდებათ მათ და დღემდე კი ვერ მოგვიხერხებია ჩვენი მუშაობის ამ მხარის გაუმჯობესება.

ახალგაზრდა მხატვრებს და ხელოვნებისმცოდნეებს დიდად ნაყოფიერი მუშაობის გაწევა შეუძლიათ ისტორიული ძეგლების მოვლისა და დაცვის საქმეში, მხოლოდ საჭიროა მათი ჯეროვნად გამოყენება. ძეგლთა მოვლის საქმე ჩვენთან, როგორც ვიცით, არცთუ სანიმუშოდაა დაყენებული, საჭიროა ჩვენი შემოქმედებითი ძალების ჩაბმა ამ დიდ საქმეში. საამისოდ კარგი იქნება კავშირებში შეიქმნას საშეფო კომპლექსური ჯგუფები, რომლებიც იკისრებენ მათზე გაპირობებული ძეგლების მოვლა-პატრონობას. ყველა მნიშვნელოვან ძეგლთან უნდა შეიქმნას მუზეუმები, სალაროები. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ახალგაზრდა მხატვრები და ხელოვნებისმცოდნეები თავიანთ საგულისხმო წვლილს შეიტანენ ამ საშვილიშვილო საქმეში.

მხატვრები ჯერ კიდევ ვალში არიან ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე. მათი შრომა, გარჯა, შემოქმედებითი შემართება ჯერ კიდევ უფრო ფართო და შთამბეჭდავ ასახვას ელის ფუნჯისა და საჭრეთლის ოსტატებისაგან. ქართველი მხატვრები, მათ შორის ახალგაზრდობა, ხშირად ფართო აღიარებით სარგებლობს საკავშირო გამოფენაზე. ამაზე მეტყველებს მათ მიერ მოპოვებული მრავალი პრემია და ჯილდო. ახალგაზრდობამ კვლავაც უნდა გაამართლოს ხალხის იმედები და ჩვენც ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი მათ წინსვლას ხელოვნების დიდ გზაზე.

ჩვენი ხალხის წარმოდგენაში მხატვარი მუდამ იყო პოეტური შარავანდით დამშვენებული, რადგან რასაც ის ქმნიდა, ხალხის გაგებით, მხოლოდ ღმერთს ან ბუნებას შეეძლო. მართლაც, იშვიათად შეხვდებით სამყაროს ისეთ ნატიფ, ლირიკულ და ამავე დროს უაღრესად ადამიანურ აღქმას, როგორსაც ვხედავთ გელათისა თუ უბისის, ატენისა თუ ყინწვისის ფრესკებზე.

ვისაც ჩვენი ძველი ხელნაწერები უნახავს, დამეთანხმება, რომ მათ ფურცლებზე ტექსტისა და მინიატურის მეზობლობა საოცარი ჰარმონიულობის შეგრძნებას იწვევს.

ქართული მხატვრობა ჩვენს მწერლობას ძველთაგანვე მოჰყვებოდა, როგორც თანამებრძოლი, როგორც მეგობარი, როგორც ძმა... თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა ქართველი მხატვრის მუზა, შთაგონების მძლავრი, ცხოველმყოფელი შუქი — ჩვენი პოეზიის დიდება რუსთაველია.

ადამიანს არა მარტო აუცილებლობა აკეთებინებს რაიმეს, არამედ გაკეთების აუცილებლობის ინსტინქტიც — მუდმივი შემოქმედებითი იმპულსი ადამიანი ქმნის გაცილებით მეტს, ვიდრე არსებობისათვის ჭირდება. ყოველი ადამიანური ძალისხმევა, რომელიც მიმართულია არა მარტო არსებობის, არამედ ცხოვრების შესაქმნელადაც — შემოქმედებაა, პოეზიით არის განათებული. უეჭველად პოეტი იყო კაცი, ამ ქვეყნად პირველმა, გამოქვაბულის კედელზე ბიზონი რომ დახატა.

გავიხსენოთ დიდებული სიტყვები:

> რაც საჭიროა, იმის მეტი კაცს რომ არ მისცე,
> ადამიანი ხომ პირუტყვად გადიქცეოდა.

აი, ჩვენს თვალწინ დღითი დღე იზრდება ხელოვნების როლი. ეს ფრთოსანი, უმშვენიერესი არსება, დიდი მხატვრების ხანგრძლივი მეცადინეობის წყალობით მიწაზე ჩამოყვანილი და დამკვიდრებული, ადამიანებს შორის კიდევ უფრო მშვენიერი და ძლიერი გამოჩნდა. კორბუზიემ თქვა: ,,ადამიანი პოეზიისაგანაა ფრთაშესხმული და სწორედ ეს აძლევს მას საშუალებას დაეუფლოს ბუნების სიმდიდრეს". დიდი არქიტექტორის ამ ფრაზაში სამართლიანადაა დაკავშირებული ორი თითქოს პოლარული ცნება — პოეზია და პრაქტიკული საქმიანობა. პოეზია ანუ ხელოვნება ისევე ამკვიდრებს ადამიანს ამ სამყაროში, როგორც ფიზიკური შრომა, როგორც პრაქტიკული საქმიანობა, რადგან თვითონ არის ფიზიკური შრომაც და პრაქტიკული საქმიანობაც. არსებობასა და ცხოვრებას შორის ის განსხვავებაა, რომ არსებობას პოეზია აკლია, ხოლო პოეზიით გამშვენიერებული არსებობა — ცხოვრებაა. ბელინსკი ამბობდა: ,,პოეზიაში უფრო მძაფრად იგრძნობა ცხოვრება, ვიდრე თვითონ ცხოვრებაშიო".

აი ასეთი მაღალი საზომით უნდა მივუდგეთ თვითეულ ჩვენს ნაწარმოებს, აი ასეთი სიმაღლიდან უნდა შევხედოთ ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობას.

ჩვენი მხატვართა კავშირის მუშაობა ამ ბოლო წლებში, უთუოდ, მეტად საინტერესო გახდა, რაც, ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა თვითონ მხატვრის, როგორც საზოგადოების წევრის გააქტიურებაში, უფრო ზუსტად — მხატვრის ცნების მნიშვნელობის გაზრდაში.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა დაინტერესდა მხატვრობით, ეს კი იმას ნიშ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საერთო მიზანი

თამაზ ჭილაძე

ნავს, რომ მხატვრობამ თქვა ისეთი რამ, რაც ხალხისთვის მახლობელი აღმოჩნდა. უნდა აღინიშნოს, რომ მხატვართა გამოფენები მუდამ ხალხითაა სავსე, უკვე მთელი დატვირთვით მუშაობს სამხატვრო გალერეა. პოპულარული გახდა გამომცემლობა ,,მერანისა" და ფინანსთა სამინისტროს მიერ გამართული გამოფენები. მინდა მათი საქმიანობა განსაკუთრებული მადლიერებით მოვიხსენიო. ამავე დროს მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო ის, რაც არაერთხელ იყო გამოთქმული პრესაში. კერძოდ, ჟურნალ ,,საბჭოთა ხელოვნების" ფურცლებზე: როგორც ცნობილია, ჩვენი სამხატვრო გალერეისა და სამხატვრო ფონდის საწყობები სავსეა ნამუშევრებით, რომლებშიაც სახელმწიფომ ფული გადაიხადა, ალბათ ოდესღაც გამოფენაზეც იყვნენ გატანილნი, მას მერე კი დღის სინათლე აღარ უნახავთ. განა უკეთესი არ იქნება, ეს ნახატები ჩვენი ყოფის განუყრელ ნაწილებად რომ ვაქციოთ, განა უკეთესი არ იქნება, ისინი ბნელი სარდაფების ნაცვლად ქარხნების, ინსტიტუტების, საერთო საცხოვრებლებისა და კლუბების კედლებზე ეკიდოს? მგონი, დადგა დრო, რომ გავხსნათ საწყობებისა და სარდაფების კარი, მზეზე გამოვიტანოთ და ხალხს მივცეთ ის, რაც ნამდვილად ხალხს ეკუთვნის. ჩვენი მუშები ან სტუდენტები გაცილებით უკეთესად მოუვლიან და შეინახავენ მათ. გარდა ამისა, თვითონ მხატვარს გაუმტკიცდება რწმენა, რომ მისი ნაწარმოები ხალხის სასიკეთოდ მუშაობს.

ჩვენი საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მხატვართა კავშირის მიერ გამართულმა ორმა დიდმა რესპუბლიკურმა გამოფენამ ,,დიდება შრომას". ეს ორივე გამოფენა საყოველთაო ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა თუნდაც იმიტომ, რომ უამრავმა მხატვარმა მიიღო მონაწილეობა. თვითონ მხატვარიც ხომ, უპირველეს ყოვლისა, მშრომელი ადამიანია! მხატვრის საქმიანობა, მე ვიტყოდი, ეს არის ყველაზე მძიმე, ყველაზე დამქანცველი ფიზიკური შრომა. ჩვენ გავხდით იმის მოწმე, რომ ეს თემა თვითონ მხატვართა სულში მომწიფებული და გამოტანჯული თემა ყოფილა, ჩვენ გავხდით მოწმე მრავალი საინტერესო შემოქმედებითი აღმოჩენისა.

მაგრამ ამ გამოფენებს ჰქონდათ ერთი მთავარი ნაკლი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთი საერთო ,,საფრთხე" შეინიშნებოდა — ეს იყო დიდი მნიშვნელობის თემის გამარტივების ერთგვარი ცდა, რასაკვირველია, ეს გამოფენების ყველა მონაწილეს არ ეხება. ჩვენი მიზანი უნდა იყოს, და ეს ჩემზე კარგად მოეხსენებათ თვითონ მხატვრებს, ნაწარმოების შექმნა არა სამუშაო პროცესზე, არამედ მშრომელ ადამიანზე. ეს კი თავისთავად მოითხოვს გამომსახველობითი ხერხების დახვეწას და, რაც კიდევ უფრო სასურველია, განახლებას.

როგორც მოგეხსენებათ, შრომა აბსტრაქტული ცნება არ არის. არაფერი ისე არ გამოხატავს ადამიანს, როგორც მისი შრომა. შრომა იმდენად არის ადამიანური, რამდენადაც ის გააზრებულია, საზოგადოებრივია და ამდენად, პოეტურიც.

უნდა გულახდილად ვთქვა, რომ ამ გამოფენებზე იგრძნობოდა სწორედ პოეზიის ნაკლებობა, ჟანგბადის უკმარისობა. სამწუხაროდ, ეს არა მარტო მხატვრობაში შეინიშნება. ზოგიერთი ჩვენი ლიტერატურული ნაწარმოები, ლექსი იქნება ეს თუ მოთხრობა, იმდენად დაცლილია პოეზიისგან, რომ მოგვაგონებს საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის ბიულეტენს.

პოეზია ანზოგადებს მოვლენას და ანიჭებს მას მონუმენტურობას. მაგრამ არა ისეთს, როგორსაც ერთ დროს ჩვენი კრიტიკა მოითხოვდა. ჩვენ ყველას გვახსოვს ტილოები, რომლებიც ათეული მეტრით იზომებოდა და ზედ იმდენი ხილი იყო დახვავებული, რომ გორის რომელიმე საბჭოთა მეურნეობას შეშურდებოდა. ხელოვნებაში მონუმენტურია ის, რაც მონუმენტურ შთაბეჭდილებას ახდენს (რასაკვირველია, არ ვგულისხმობ მონუმენტურ ქანდაკებას, რომელსაც ასევე არ აწყენდა მონუმენტური შთაბეჭდილება მოეხდინა). განა მონუმენტური არ არის ნეფერტიტის სკულპტურული პორტრეტი ან ნიკო ფიროსმანის ,,თავსაფრიანი დედაკაცი"?

ამრიგად, თუ გვინდა, რომ უფრო ღრმად შევიდეთ დღევანდელი დღის წიაღში, ვიგრძნოთ დღევანდელობის მაჯისცემა, საჭიროა მეტი პოეზია!

შეგნებული გვაქვს რა ჩვენი საქმიანობის უზარმაზარი მნიშვნელობა, ვგრძნობთ რა საკუთარ ძალას, ადამიანის სულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ძერწავს და აწრთობს, უფლება არა გვაქვს, ერთი წუთითაც კი დავივიწყოთ ის ფაქტორები, რომლებიც კიდევ უფრო ქმედითს გახდიდა ჩვენს მოღვაწეობას.

პირველი, რაზედაც თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო, მწერლობისა და მხატვრობის ურთიერთკავშირშია. ამჟამად ჟურნალ ,,საბჭოთა ხელოვნებაში‘‘ იბეჭდება ჩვენი დიდი მხატვრის ლადო გუდიაშვილის ,,მოგონებების წიგნი‘‘. თავისთავად, ეს ფაქტი უკვე მოვლენაა ჩვენს შემოქმედებით ცხოვრებაში. ამ წიგნში ძალიან ხშირად ისმის გალაკტიონ ტაბიძის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ასევე სერგეი ესენინის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, ბორის პასტერნაკის სახელები. თუ ჩვენ ამ შემოქმედებით მეგობრობის დიდ გაკვეთილს ჩავუკვირდებით, მწერლობისა და მხატვრობის ურთიერთკავშირზე სრულიად საწინააღმდეგო აზრი შეგვექმნება, ვიდრე ჩვენს ხელოვნებათმცოდნეებს, რომლებმაც შეიმუშავეს ერთგვარი თეორია, რომლის მიხედვითაც ხელოვნების საკითხებზე მსჯელობა აეკრძალა ყველა დილეტანტს და ეს ,,დილეტანტები‘‘, პირველ რიგში, რატომღაც ჩვენი მწერლები აღმოჩნდნენ. გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ჩვენი ხელოვნებათმცოდნეები აშკარად ცდებიან, მაგრამ იმასაც დავუმატებ, და ასე უფრო ობიექტურნი ვიქნებით, რომ ამ შეცდომისთვის მათ ჩვენი მწერლობაც აძლევს საკმაო საფუძველს. მართლაც, განა შეიძლება მწერალი იყო და შენ სისხლხორცეულ საქმედ არ მიგაჩნდეს ქართული ხელოვნების წარმატება თუ მარცხი, არ გესმოდეს მხატვრობა, არ გიყვარდეს თეატრი, არ უსმენდე მუსიკას? რა თქმა უნდა, ასეთი ადამიანი არ შეიძლება რომ მწერალი იყოს. საერთოდ, ჩვენს შემოქმედებით კავშირებს ყავთ ბევრი ისეთი წევრი, რომლებსაც საწევრო წიგნაკისა და პრეტენზიების მეტი არაფერი აკავშირებთ შემოქმედებით ორგანიზაციასთან. ეს შეიძლება დღეს დღეისად ნაკლები ბოროტება ყოფილიყო, რომ ისინი თავისი სიმრავლის გამო მთელი ორგანიზაციის ხასიათს არ განსაზღვრავდნენ. ჩვენ თვალწინ ნელ-ნელა გაქრა ტიპი ისეთი მწერლისა, როგორიც იყო გერონტი ქიქოძე, შალვა დადიანი, იოსებ გრიშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი... მათ ხომ ვერც ერთი ხელოვნებათმცოდნე ვერ ეტყოდა, თქვენ პროფესიონალები არა ხართო!

დღეს, ჩემი აზრით, დამაფიქრებელია არა იმდენად დილეტანტთა მიერ ხელოვნების საკითხებით დაინტერესება, არამედ პროფესიონალთა გასაოცარი დილეტანტიზმი, რომელსაც ჟურნალ ,,საბჭოთა ხელოვნების‘‘ თანამშრომლები თითქმის ყოველ წამს ვაწყდებით. რასაკვირველია, არ ვგულისხმობ დიდი მეცნიერის გიორგი ჩუბინაშვილის შესანიშნავ სკოლას, რომელიც მაღალმეცნიერულ დონეზე იკვლევს და სწავლობს ქართული ხელოვნების ისტორიას.

ჟურნალ ,,საბჭოთა ხელოვნების‘‘ ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ქართული მხატვრობის არა მხოლოდ პოპულარიზაცია, არამედ თანამედროვე საჭირბოროტო პრობლემების შუქზე მისი განვითარების გზის ჩვენებაც. ჩვენ შეძლებისდაგვარად ვცდილობთ შევასრულოთ ეს საპატიო და მნიშვნელოვანი მისია. ჩვენი ჟურნალის მისამართით ზოგჯერ გაისმის და ალბათ ამ ყრილობაზეც გაისმება სამართლიანი შენიშვნები, ჩვენ ამ შენიშვნებს გულდასმით ვსწავლობთ და ვაანალიზებთ.

უნდა ითქვას, რომ არსებობს ორი სახის შენიშვნა: ერთია, რომლის გამოსწორება შეგვიძლია, და, თუ არ გამოვასწორებთ, მხოლოდ ჩვენი ბრალი იქნება, ხოლო მეორეა შენიშვნა, რომლის გამოსწორებაც არ შეგვიძლია ობიექტური მიზეზების გამო.

ჩემი აზრით, საინტერესოა მეორე სახის შენიშვნა, რომელიც მიგვითითებს იმაზე, რომ შეუფასებელი რჩება უამრავი რამ: ნახატი, ქანდაკება, მთელი გამოფენებიც კი, ცოტა იბეჭდება პრობლემური სტატია, მიმოხილვითი ხასიათის წერილი. მე ვიტყოდი, ეს შენიშვნა სავსებით სამართლიანია, მაგრამ... მისი გამოსწორება ჩვენს ძალას აღემატება. ჩემი აზრით, ამ ნაკლის მიზეზი ჟურნალში კი არა, ჩვენს ხელოვნებათმცოდნეობაში უნდა ვეძებოთ. პირდაპირ ვიტყვი, რომ ჩვენმა ხელოვნებათმცოდნეებმა თითქმის არ იციან, რა მდგომარეობაა დღეს ჩვენს ხელოვნებაში. რასაკვირველია, ეს ყველას არ ეხება, მაგრამ, სამწუხაროდ, უმეტესი ნაწილი კი ცხოვრობს გუშინდელი დღით, გუშინდელი პრობლემებით, ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებული სქემებით, სტერეოტიპებით. გასაოცარია ჩვენი ხელოვნებათმცოდნეების გულგრილი დამოკიდებულება დღევანდელობის აქტუალური საკითხებისადმი.

ამას წინათ საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, რომელიც ამ ბოლო დროს მეტად საყურადღებო ღონისძიებებს ატარებს, გამართა კონფერენცია თემაზე: ,,მხატვრობა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში‘‘. როგორც ხედავთ, საკითხი მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალური იყო. მაგრამ სურვილი ერთია და საქმის ნამდვილი ვითარება კი სულ სხვა. ერთადერთი შედეგი, რაც ამ ღონისძიებამ მოგვცა, ეს იყო იმ ფაქტის აღიარება, რომ სრულიად შეუსწავლელია მუსიკალური თეატრის მხატვრობა, მისი ისტორია, განვითარების ეტაპები, რომელთა აღდგენა დროთა განმავლობაში უფრო და უფრო რთულდება და ჩვენ თურმე ამ საქმის სპეციალისტები არა გვყოლია.

დრომ დღის წესრიგში დააყენა საოპერო თეატრის სცენიდან ილუსტრაციულობის განდევნის პრობლემა. ვინ უნდა შეასრულოს ეს მისია, თუ არა მხატვრობამ, სცენოგრაფიამ. სწორედ მას ევალება პირობითობის პრინციპების დანერგვა მუსიკალურ თეატრში. ამაზე ახლა ყველგან ლაპარაკობენ, გარდა ჩვენისა, მაშინ როცა ყველაზე მეტად ჩვენ გვჭირდება ეს.

საქმე ის არის, რომ ხელოვნებისმცოდნეები არ იცნობენ საოპერო თეატრის სპეციფიკას, რაც მთავარია, არ იცნობენ მუსიკას,ურომლისოდაც შეუძლებელია საოპერო და საბალეტო თეატრების მხატვრობის გაანალიზება.

ამჟამად ეს საკითხი მიტოვებულია მუსიკისმცოდნეთა ანაბარა, რომელნიც თავის მხრივ არ იცნობენ მხატვრობას. იქმნება რაღაც აბსურდული წრე, სიტუაცია, რომელიც წარმოიშვა პროფესიული კარჩაკეტილობის, ხელოვნების დარგების ერთმანეთისგან გათიშვის გამო. ჩვენი ჟურნალის თანამშრომლებს ხშირად შეხვედრიათ თეატრმცოდნე, რომელსაც არ ესმის მუსიკა, მხატვრობა, ლიტერატურა და რომელიც მაინც დარწმუნებულია, რომ თეატრმცოდნეა და უფრო მეტიც — პროფესიონალია და ვერც შეედავები, მას ჯიბეში დიპლომი უდევს და არა მარტო დიპლომი, ზოგჯერ სამეცნიერო ხარისხითაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის შეჯავშნული. განა შეიძლება, მაგალითად, სოლიკო ვირსალაძის მხატვრობის გაანალიზება, თუკი არ იცნობ საბალეტო თეატრს, მის სპეციფიკას? ერთი სიტყვით, ჩვენი ხელოვნებისმცოდნეები უნდა ფლობდნენ კომპლექსური ანალიზის მეთოდს, მისი საშუალებით უნდა სწავლობდნენ თეატრალურ მხატვრობას, რომელიც, უნდა სიამაყით აღვნიშნოთ, ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენს ქვეყანაში და რაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა ამას წინათ ლენინგრადში გამართულმა თეატრალურ მხატვართა გამოფენამ.

დამაფიქრებელია ხელოვნებათმცოდნეების ახალგაზრდა კადრების საკითხი. დიპლომიანი ახალგაზრდები, რომლებიც რედაქციაში მოდიან, ამჟღავნებენ შემაძრწუნებელ უცოდინარობას. მართალია, ჟურნალში უკვე გამოჩნდა რამდენიმე ხელოვნებისმცოდნე, რომლებიც ჩვენი მხატვრობის დღევანდელ საკითხებზე წერენ, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში.

ახლა, როცა ახალგაზრდა კადრების მომზადების საკითხი სახელმწიფოებრივ სიმაღლეზე დგას, აქტუალურ პრობლემად უნდა ვაქციოთ მათი აღზრდის მეთოდიკა. თამამად უნდა უარვყოთ ძველი, დოგმად ქცეული ჩვევები, რევერანსების დრო აშკარად აღარ არის. მაგრამ ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ძველის უარყოფა არ შეიძლება მხოლოდ იმიტომ, რომ ის ძველია! მწერლობასა და ხელოვნებას ის თავისებურებაც აქვთ, რომ ბევრ რამეს იქ ვერ შეცვლი და არ უნდა შეცვალო, იმიტომ, რომ არა მარტო ძველია, არამედ მუდმივიცაა და ამდენად, აუცილებელი, როგორც ოსტატობის, ზნეობისა და მოქალაქეობის მაგალითი. სხვათა შორის, ესეც ახალგაზრდობის აღზრდის ერთ-ერთი მხარეა — ვასწავლოთ პატივისცემა უფროსი თაობისა, ტრადიციისა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხელოვნებასა და ლიტერატურაში ახალს მარტო ახალი სახელები არ ქმნიან.

მე მგონი, ჩვენი ხელოვნებისმცოდნეების ნაწილს პროფესიონალიზმის ცნება მცდარად აქვთ გაგებული, ვგულისხმობ იმ ფაქტს, რომ შეუდარებლად გასაგებია, მისაწვდომია, ნათელია, ვთქვათ, დელაკრუას, რეპინის, სეზანის, კაკაბაძის მოსაზრებები მხატვრობაზე, ვიდრე ჩვენი ხელოვნებათმცოდნეების ნარკვევები. კურიოზია, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიონალიზმის ცნება ერთგვარად კერძომესაკუთრეობის სინონიმი გახდა. შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ რომელიმე გამოჩენილი მხატვარი, მის შემოქმედებაზე დაწერილი დისერტაციის შემდეგ, დისერტაციის ავტორის საკუთრებად იქცა. მაგალითად, ნიკოლაძე ეკუთვნის ერთ მკვლევარს, დავით კაკაბაძე — მეორეს, ციმაკურიძე — მესამეს და ა. შ. ვაი მას, ვინც გაბედავს და ამ კერძო საკუთრებას შეეხება!

უნდა ითქვას, რომ ჩვენს ლიტერატურულ ორგანოებში თითქმის სრულიად არაფერი ქვეყნდება ქართული მხატვრობის შესახებ, მაგრამ არსებობს სასიამოვნო გამონაკლისი, ეს გახლავთ გაზეთი ,,ლიტერატურული საქართველო‘‘ და გამომცემლობა ,,ნაკადულის‘‘ ყოველწლიური ალამანახი ,,ფრესკა‘‘, რომელიც უკეთესი იქნება, თუ წელიწადში სამჯერ მაინც გამოვა.

თავს უფლებას მივცემ და კიდევ ერთხელ ხმამაღლა ვიტყვი თვითეული ჩვენთაგანის ფარულსა და გამხელილ ოცნებას — რომ ჩვენი მხატვრობის სიამაყეს ნიკო ფიროსმანაშვილს, რომელსაც სიცოცხლეში არ ეღირსა საკუთარი კუთხე და რომელსაც სადღაც კიბის ქვეშ ამოხდა სული, თბილისში ახლა მაინც აუშენდეს სახლი, სადაც თავს მოიყრის ფიროსმანის ასე უმოწყალოდ გაბნეული ნაწარმოებები, ქართველი ხალხის ეროვნულ სიმდიდრეს რომ წარმოადგენს.

ხელოვნებისადმი განსაკუთრებული ყურადღება თვითეული ჩვენთაგანის არა მარტო მოვალეობა, არამედ მოთხოვნილებაც უნდა იყოს. ამავე დროს, ისიც ფაქტია, რომ ისევე როგორც ჩვენს თეატრს, ჩვენს მწერლობას, ჩვენს მხატვრობასაც სრულებით არ გააჩნია რეკლამა: ვგულისხმობ ოპერატიულ რეცენზიებს, გამოფენების საჯარო განხილვებს, დისკუსიებს, პოპულარული ხასიათის ბროშურებს, ბუკლეტებს.

ჩვენს სკოლებში ბავშვები არავითარ ინფორმაციას არ იღებენ დღევანდელ ქართულ საბჭოთა მხატვრობაზე. ჩემზე უკეთ ალბათ თქვენ მოგეხსენებათ, თუ რა დონეზე ტარდება ხატვის ან სიმღერის გაკვეთილები. მე მეშინია იმის გაფიქრებაც კი, რა მოხდებოდა ჩვენს სკოლებში, ასეთი ღონისძიება რომ ჩაგვეტარებინა: ,,მხატვრობა და ბავშვები‘‘.

ხელოვნებისადმი ინტერესი ოჯახმა და სკოლამ უნდა გაუღვიძოს ბავშვს. კომპანიური ხასიათის ღონისძიება ამ საქმეში სახარბიელო შედეგს ვერ მოგვიტანს.

შევაყვაროთ ბავშვებს მხატვრობა. შეიძლება ის მხატვარი არ გამოვიდეს, მაგრამ მის სულში ადამიანურობის ნერგს გავახარებთ. ბავშვს რომ მხატვრობა შეაყვარო, მას უნდა მისცე წიგნები დიდ მხატვართა მღელვარე, მე ვიტყოდი, მოწამებრივ ცხოვრებაზე. ასეთი წიგნები კი, სამწუხაროდ, არა გვაქვს. ჩვენ ხომ ვერ ვწერთ და ვერა, მაგრამ არც ვთარგმნით, ისეთ წიგნებსაც კი, რომლებიც ყოველ კულტურულ ერს სავალდებულოდ მიაჩნია, რომ თავის ენაზე ჰქონდეს: დავასახელებდი, თუნდაც, ვან-გოგის წერილებს, რომელიც, პირადად მე, შექსპირის ,,რომეო და ჯულიეტას‘‘ მსგავსად, ახალგაზრდობისათვის აუცილებელ საკითხავ წიგნად მიმაჩნია, რადგან, იქ, უამრავ პოეტურ დაკვირვებასთან ერთად, გადმოცემულია ადამიანის ერთ-ერთი უკეთილშობილესი თვისების — უანგარო მეგობრობის ამბავი.

თვითონ ცხოვრება, დრო, ჩვენი ხელოვნების წინაშე მეტად საინტერესო პრობლემებს აყენებს. სწორედ ახლა, ისე როგორც არასოდეს, მწერლობა და ხელოვნება ერთად, ერთმანეთის გვერდით უნდა იყოს, მათ ხომ საერთო მიზანი აქვთ — ადამიანის სულის სილამაზისა და სიმდიდრის გამოხატვა!

● ● ●

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ცხოვრების ფერხულში

დიმიტრი ალექსიძე

ᲓᲘᲓᲘ დრო გავიდა იმ დღიდან, რაც კ. სტანისლავსკიმ აღნიშნა ჩვენი რეჟისორული პროფესიის სულ უფრო მზარდი სირთულეები. მას შემდეგ ცხოვრება გართულდა და, შესაბამისად, გართულდა ჩვენი პროფესიაც. მაყურებლის მოთხოვნილებებიც განუსაზღვრელად გაიზარდა, რადგან თვითონ იგი გაიზარდა სულიერად და ინტელექტუალურად. ამ მოთხოვნილებათა დონეზე რომ ვიმყოფებოდეთ, წინასწარ რომ განვჭვრიტოთ და მხატვრული ნაწარმოებით ვუპასუხოთ სწორედ იმ ფიქრებსა და გრძნობებს, რომლებიც თანამედროვე ადამიანს ყველაზე მეტად აღელვებენ, ალბათ სწორედ ეს განსაზღვრავს თანამედროვეობას თეატრში, ალბათ სწორედ ეს ხდის მხატვრულ ნაწარმოებს აუცილებელსა და საინტერესოს ჩვენი მაყურებლისათვის.

ე. ვახტანგოვმა ,,პრინცესა ტურანდოტი‘‘ — ნათელი, ხალისიანი, მხიარული, საზეიმო სპექტაკლი 1922 წელს დადგა. როგორც ცნობილია, ეს მეტად მძიმე დრო იყო ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნისათვის, რომელმაც დიდი მსხვერპლის ფასად და მთელი ძალების დაძაბვით სამოქალაქო ომში თავისი არსებობა შეინარჩუნა. ქვეყნის ეკონომიკა საშინელ მდგომარეობაში იყო. 1921 წლის მარტში კომუნისტური პარტიის X ყრილობაზე ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა თქვა: ,,რუსეთი ომიდან ისეთ მდგომარეობაში გამოვიდა, რომ იგი ყველაზე მეტად ცემით სიკვდილის პირას მიყვანილი ადამიანის მდგომარეობას ჰგავდა: შვიდ წელიწადს ურტყამდნენ მას და მადლობა ღმერთს, თუ ყავარჯნებით სიარული მაინც შეუძლია! აი, რა მდგომარეობაში ვიმყოფებით!‘‘

ხოლო მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის მესამე სტუდიის სცენაზე აქტიორული თამაშის ზეიმი, მჩქეფარე, მხიარული სტიქია სუფევდა! ევგენი ვახტანგოვი შორსმჭვრეტელი ხელოვანი იყო და თანამედროვეობის მძაფრი შეგრძნება ჰქონდა. მას კარგად ესმოდა ასეთი სპექტაკლის აუცილებლობა და დარწმუნებული იყო, რომ მაყურებელი გაუგებდა მას.

ვახტანგოვის ჩანაფიქრით — იგონებდა ი. ზავადსკი, — სპექტაკლი ,,პრინცესა ტურანდოტი‘‘, უპირველეს ყოვლისა, ეხმაურებოდა მაყურებლის ღრმა ადამიანურ არსს. მას დიდი ოპტიმისტური ძალა ჰქონდა და სწორედ ამიტომ არის, რომ ვისაც ,,ტურანდოტის‘‘ პირველი წარმოდგენა უნახავს, დიდხანს ემახსოვრება იგი, როგორც მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული მოვლენა, როგორც რაღაც ისეთი, რის შემდეგაც ადამიანი სხვა თვალით უყურებს თავის თავს და მის გარშემომყოფთ, სხვაგვარად ცხოვრობს. სპექტაკლის დიდ იდეურობაში, — რომელიც მის ყოველ დეტალში, ყოველ ბგერასა და მოძრაობაში ჩანდა, — იგრძნობა ვახტანგოვის უკანასკნელი ქმნილების უკვდავი ჩანაფიქრი.

ე. ვახტანგოვის წინასწარხედვა, რომ მაყურებელი ყველაფერს გაიგებდა, თუკი რაც სცენაზე ხდებოდა, მას ესაჭიროებოდა, სრულიად სამართლიანი იყო და გამართლდა კიდეც. იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ახალ ცხოვრებას იწყებდნენ და სჯეროდათ, რომ მას უსათუოდ ააშენებდნენ, უბრალოდ, აუცილებელი იყო ისეთი ხელოვნება, რომელიც მათ რომანტიკულ მისწრაფებებს, მომავალზე მათ ოცნებებს უპასუხებდა. ამ მაყურებელს სჯეროდა, რომ მიაღწევდა ყველაფერს, რაც მას

27 მარტი
თეატრის
საერთაშორისო
დღეა

სურდა, სპექტაკლის გმირის მსგავსად ამოხსნიდა ყველა ამოცანას, რომელსაც ცხოვრება სთავაზობდა.

ჩვენგან უდროოდ წასულმა ლ. ვარპახოვსკიმ სტატიაში ,,წინ, კლასიკისაკენ!" ჩემი აზრით, სრულიად სამართლიანად შენიშნა: ,,ეტყობა თანამედროვეობა მხოლოდ და მხოლოდ ადამიანები და მათი ურთიერთობაა". აი, რატომ არის, რომ უეცრად, ათასი წლის შემდეგ, როცა სავსებით შეიცვალა ცხოვრების პირობები და საზოგადოებრივი ურთიერთობანი, ძველებურად გვაღელვებენ სოფოკლესა და ევრიპიდეს გმირების განცდები და სიცილს გვგვრიან არისტოფანეს კომედიები.

ჩემი სიცოცხლის მანძილზე მრავალი კლასიკური პიესა მაქვს დადგმული. დამიდგამს ოსტროვსკი, გოლდონი, შექსპირი, სოფოკლე... და ყოველთვის კითხვა — რაში მდგომარეობს ამა თუ იმ პიესის თანამედროვეობა, ჩემს წინაშე დგებოდა ნათლად და მძაფრად. ასე, მაგალითად, სოფოკლეს ,,ანტიგონეში", რომელიც დავდგი კიევის ი. ფრანკოს სახელობის თეატრში, სპექტაკლში მონაწილე აქტიორთათვის მთავარი მნიშვნელობა ენიჭებოდა სიტყვებს, რომლებიც გმობდნენ ადამიანის ღირსებათა და ამ უფლებათა აბუჩად აგდებას: ,,ქვეყანაზე მრავალი საოცრებაა, მაგრამ იმათგან უდიდესი — ადამიანია". ეს სიტყვები პირველ რიგში ეხებოდა ანტიგონეს, რომელიც ახალგაზრდა აქტიორმა ს. კორკოშკომ შეასრულა ოსტატურად და რთულად. ამ სახეში ხორცშესხმული იყო ადამიანის ზნეობრივი ნორმები, შენარჩუნებული მეტად თანმიმდევრულად, მგზნებარედ და გონივრულად, ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, დაგვემტკიცებინა სამართლიანობა ანტიგონეს სურვილისა — დაესაფლავებინა ძმა, რომ მისი ცხედარი არ შეებღალათ. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე, გვეჩვენებინა, რომ თებეს მბრძანებელი კრეონტი რთული პიროვნებაა და რომ, იგი ტირანიას განასახიერებს; გვეჩვენებინა, რომ მბრძანებელს, რომელმაც ფეხქვეშ გათელა ადამიანთა კანონები, ზნეობრივი კანონები, მსჯავრს ისტორია გამოუტანს.

მე მსურდა, რომ მუდამ ადამიანურობის სახელით მოქმედი ანტიგონეს სიმართლე დაგვემტკიცებინა მისი ფიქრის პროცესში, საუბრებში კრეონტთან, რომელსაც ანტიგონე-ს. კორკოშკო ყურადღებით, დაძაბულად უსმენდა. იგი ახერხებდა, ჩაწვდომოდა ლოცვას, თავისი დის, სუსტი, შეშინებული ისმენეს ქვითინს, დამორჩილებას რომ ევედრებოდა ანტიგონეს. კრეონტთან კამათი ანტიგონესათვის თავისი თავის, თავისი იდეების გამოცდა იყო. ხოლო შემდეგ, რაკი მტკიცედ დარწმუნდა, რომ არაფერი არ არის უფრო მაღალი და უფრო წმინდა, ვიდრე ადამიანური კანონები, იგი მტკიცედ დაადგა ბრძოლის გზას. და სწორედ სულის ამ რთულმა დიალექტიკამ, ამ მძიმე ფიქრებმა, რის შედეგადაც გმირი ქალი თავის საბოლოო გადაწყვეტილებამდე მიდიოდა, თანამედროვე მაყურებლის მხარდაჭერა ჰპოვა, მაყურებელმა გაუგო და მიიღო.

ყოველი კლასიკური პიესა თავის დროზე, როცა მან დღის სინათლე იხილა, მძაფრად თანამედროვე იყო, შეიძლება ითქვას, მეტად საჭირბოროტოც კი. შემდეგ გავიდა დრო, ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. პიესამ დაკარგა მაშინდელი სიმძაფრე. მაგრამ დარჩა ის, რაც ამ პიესას კლასიკურობას ანიჭებდა: სიდიადე და ჭეშმარიტება ვნებებისა, ღრმა ფილოსოფიური აზრი, რომელიც ყველა დროში ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, იწვევს მაყურებლის თანამონაწილეობას იმის მიმართ, რაც სცენაზე ხდება. სწორედ ეს ანიჭებს პიესას ხანგრძლივ, იქნებ მარადიულ სიცოცხლეს.

როცა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში მუშაობას შევუდექი სოფოკლეს ტრაგედიაზე ,,ოიდიპოს მეფე", ჩემთვის სრულიად ნათელი იყო ნაწარმოების იდეა — რომ ადამიანის ბედი ცაშია გადაწყვეტილი, ახლა უკვე ველარ დააინტერესებდა მაყურებელს და იგი აღარც სერიოზულად აღიქვამდა მას. მთავარ თემად ამ სპექტაკლში ჩემთვის იქცა ხალხის გადამწყვეტი როლი ოიდიპოსის ბედ-იღბალში, ხალხის წინაშე გამგებლის მოვალეობის თემა. მომიხდა ზოგიერთი რელიგიურ-ზნეობრივი ხასიათის საგუნდო სიმღერის შემოკლება. ქორომ სპექტაკლში ხალხური სიბრძნე განასახიერა. ოიდიპოსის როლის შემსრულებლის მთავარ ამოცანად იქცა მეფეგამგებლის მისწრაფება ცხოვრების მოვლენათა შესაცნობად და უნარი, მის გარშემო არსებული საშინელი სინამდვილიდან გამოეტანა სათანადო დასკვნები, რა დამღუპველიც არ უნდა ყოფილიყო ეს მისთვის. ჩვენ, სპექტაკლის დამდგმელნი, ბედნიერები ვიყავით, რომ მაყურებელი გულთბილად გამოეხმაურა ამ დადგმას, რომ სპექტაკლმა ააღელვა იგი, შეძრა მისი სული.

თეატრი იმით ცოცხლობს, რომ იგი არა მარტო აღნუსხავს ცხოვრებას, ასახავს მას, არამედ ერევა მის მსვლელობაშიც. რა თქმა უნდა, ეს მაშინ ხდება, — და ეს კანონზომიერია — როცა თეატრი სპექტაკლს დგამს თანამედროვე თემაზე. მაგრამ არის სხვა მაგალითებიც კლასიკური პიესების დადგმისა, ურომლისოდაც ჩვენი საუბარი იოლად ვერ ჩაივლის. 1919 წლის მაისში, როცა საბჭოთა კიევს თეთრგვარდიელები უტევდნენ, თეატრში კ. მარჯანიშვილის დადგმით მიდიოდა სპექტაკლი ,,ფუენტე ოვეხუნა". XV საუკუნეში ესპანეთში ფეოდალების, ტირანიის წინააღმდეგ გლეხთა აჯანყების ამსახველი ეს პიესა მაყურებელმა სოციალისტური სამშობლოს მტრებთან ბრძოლის მოწოდებად მიიღო. ერთ-ერთი მაყურე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი, მაშინ წითელარმიელი, ხოლო შემდეგ შესანიშნავი საბჭოთა დრამატურგი ვსევოლოდ ვიშნევსკი მრავალი წლის შემდეგ იგონებდა, თუ თეატრიდან გამოსული მეომრები მაშინვე ჟიტომირის გზატკეცილით როგორ გადავიდნენ შეტევაზე: კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმულმა სპექტაკლმა შეძლო „მაყურებლისთვის გადაედო ცხოვრების ისეთი ხალისი, რომ მეომრები ბრძოლაში ჩაებნენ სიცოცხლის გასანთავისუფლებლად". ასეთი შემოქმედება რეჟისორული ჩანაფიქრით იყო გათვალისწინებული, შემოწმებული და ემოციურად ზუსტად მიმართული.

ჩემთვის წარმოუდგენელია სპექტაკლი, თუ დადგმას მტკიცე რეჟისორული ხელი აკლია, თუ სპექტაკლს არა აქვს წინასწარდასახული და განხორციელებული ჩანაფიქრი, ზუსტად მიგნებული მხატვრული ხერხები, რომლებიც ნაწარმოების იდეას გახსნიან. მე სრულიადაც არ მინდა დავამცირო მნიშვნელობა ინტუიციისა, აქტიორის მხატვრული ინდივიდუალობისა, ურომლისოდაც ხელოვნებაში წარმოუდგენელია გულწრფელობა. მაგალითად, „ოიდიპოს მეფეში" მთავარ როლს ოთხი საუკეთესო აქტიორი ასრულებდა. ყოველი მათგანი იყო განუმეორებელი, თავისებური. ა. ხორავას ოიდიპოსი იყო ადამიანი, რომლის ფიზიკური სრულყოფილება, სიბრძნე და პოეტურობა განსაკუთრებული კეთილშობილებით გამოირჩეოდა. ა. ვასაძის ოიდიპოსი უფრო მეტად მოაზროვნე იყო, რადგან აქტიორმა ყურადღება გაამახვილა თავისი გმირის ინტელექტუალურ საწყისზე. ს. ზაქარიაძემ ამ სახეში ერთმანეთს შეუთავსა ბრძნული სიმშვიდე და ნატურის მგზნებარება. ე. მანჯგალაძის ოიდიპოსი ძალზე ახალგაზრდა იყო და მისი ეს ახალგაზრდობა, ეს აუჩქარებელი ტემპერამენტი ყველას იმორჩილებდა.

ყოველი აქტიორის პიროვნება ოიდიპოსის როლში მჟღავნდებოდა თავისუფლად, ფართოდ. ამ სახეს ყოველი მათგანი თავისებურად ხსნიდა, მაგრამ ისე, რომ იგი რეჟისორისა და აქტიორის ერთობლივი შემოქმედებითი მუშაობით იყო გადაწყვეტილი. ასე რომ, როცა ვლაპარაკობ სპექტაკლზე მუშაობის დროს რეჟისორის მტკიცე ხელზე, სულაც არ ვიცავ რეჟისორულ დესპოტიზმს, პირიქით, შემოქმედებით პროცესში ანარქიზმის წინააღმდეგ ვილაშქრებ. თანამედროვე თეატრში სპექტაკლზე, მის იდეურ მიმართულებაზე, მხატვრულ სრულყოფაზე, პირველ რიგში, პასუხს რეჟისორი აგებს. შესანიშნავი რეჟისორი და პედაგოგი ა. დ. პოპოვი ამბობდა, რომ სცენური ნაწარმოების მხატვრულ მთლიანობაზე პასუხს უნდა აგებდეს რეჟისორი და მხოლოდ რეჟისორი. იმ სპექტაკლებში, სადაც რეჟისორმა შემოქმედებითი პროცესი ისე წარმართა, რომ მის მიერ ჩაფიქრებულმა სპექტაკლის იდეამ გამოხატულება ჰპოვა მკვეთრ, სრულყოფილ ფორმაში, მაღალი აქტიორული ოსტატობით შექმნილ სახეებში, — იმარჯვებს ყველა — ავტორიც და თეატრის კოლექტივიც. ზუსტი რიტმების მიგნება, სპექტაკლის ერთადერთი შესაძლებელი ფორმის მონახვა, რომელიც ჯერ არავის უცდია, მისი პოლიფონიური მთლიანობის შექმნა — იშვიათი თვისებაა. და იგი ბევრს არა აქვს. ეს არის მომადლებული ნიჭი, ტალანტი, რაც, მოგეხსენებათ, იშვიათობას წარმოადგენს.

გასულ წელს მოსკოვში საგასტროლოდ იმყოფებოდა ჩემთვის ძვირფასი კოლექტივი — შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი. ყველაზე დიდი წარმატება წილად ხვდა ბერტოლდ ბრეხტის პიესას „კავკასიური ცარცის წრე", და ჩემი აზრით, აი რატომ: ამ დადგმაში განსაკუთრებით ნათლად გამომჟღავნდა რეჟისორ რობერტ სტურუას უნარი, სპექტაკლში ყველაფერი — აქტიორთა თამაშიც, გაფორმებაც, მუსიკაც — დაემორჩილებინა ერთი აზრისათვის, ერთი იდეისათვის. მეტად მრავალმნიშვნელოვანი შეხედულება ქვეყნად ადამიანის პიროვნების დანიშნულებაზე, ადამიანის ზნეობრივი საფუძვლების შემოწმების რთული თემა, მთელი წარმოდგენის სახეობრივი სისტემის საშუალებით ერთმნიშვნელოვნად არ იყო დამტკიცებული. ამ სპექტაკლში, ასე შეთანხმებულ, ასე გამართულ სპექტაკლში მრავალფეროვნად, სისრულით, ნათლად გაისმა აქტიორთა ხმები. „კავკასიურმა ცარცის წრემ" თავისი განუმეორებელი აქტიორული ინდივიდუალობის საშუალებით განახორციელა მეტად საჭირო, თანამედროვე იდეა და სწორედ ამან შეუწყო ხელი, რომ სპექტაკლი მიმზიდველი და საინტერესო ყოფილიყო.

ჩემი აზრით, თეატრისათვის კადრების პრობლემა დღეისათვის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა. ხვალინდელი თეატრის ბედი დღეს წყდება. და ყველამ, ვინც აქტიორთა, რეჟისორთა და მხატვართა ახალი ცვლის აღზრდას ემსახურება, უნდა საზოგადოების წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობა იგრძნოს იმის გამო, თუ როგორები იქნებიან ისინი — ხვალინდელი თეატრის წარმომადგენლები, რას მოუტანენ მაყურებელს, მომზადებულნი შეხვდებიან თუ არა იმ მომთხოვნ ყურადღებას, დაჟინებულ ინტერესს, რასაც ჩვენი თანამედროვენი თეატრალური ხელოვნების მიმართ იჩენენ. არის იმის ყველა საფუძველი, რომ თეატრისადმი ინტერესი, ასე რომ გაძლიერდა ჩვენს დღეებში, მომავალში არ განელდება, რომ ეს საკმაოდ მტკიცე ხასიათის აღმავლობაა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ", ნათქვამია, რომ „უკანასკნელ წლებში ახალგაზრდა მხატვართა მიერ შექმნილმა ნაწარმოებებმა საზოგადოებრივი აღიარება მოიპოვეს. შემოქმედებითი ახალგაზრდობა თანამედროვეობის პრობლემების მიმართ შეუნელებელ ინტერესს იჩენს, ისწრაფვის რთული მხატვრული ამოცანების გადასაჭრელად".

მიმდინარეობს თაობათა ცვლა — ბუნებრივი, ორგანული პროცესი. მიმდინარეობს ესტაფეტის გადაცემა, საუკეთესო ტრადიციების გაგრძელება, მათი დამკვიდრება და უკვე დამკვიდრებული მოძველებული ტრადიციების უარყოფა. ეს უბრალო და უმტკივნეულო პროცესი არ არის. მას მრავალი სიმწარე ახლავს, მაგრამ მაინც აუცილებელია. ცხოვრების დიალექტიკას თავისი გააქვს: თეატრს ტოვებს აქტიორთა ძველი თაობა და ცხოვრებაში ებმება, თავის პირველ ნაბიჯებს დგამს თეატრალური ახალგაზრდობა, რომელიც ნაყოფიერ ტრადიციებს აგრძელებს და ამ ტრადიციებს ჯანსაღი სისხლით, ცხოველმყოფელი ენერგიით ახალისებს. თაობათა ცვლის ამ პროცესში ოსტატებმა განა მხოლოდ უნდა ასწავლონ, დაარიგონ, გამოცდილება გაუზიარონ, არამედ კიდევაც უნდა ყური და-

უდგონ და ესმოდეთ ახალგაზრდებისა, არ უნდა დაკარგონ უნარი ახლის შემჩნევისა, რაც ახალგაზრდობას შემოაქვს ჩვენს ცხოვრებაში, სცენურ ხელოვნებაში.

ჩემთვის სრულიად გასაგებია, როცა მრავალი ოსტატი თეატრში მუშაობასთან ერთად, პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა. როდესაც მე თავს ვუყრი აქტიორთა ახალ კურსს, ყოველთვის მახარებს ის ამბავი, რომ ჩემს ცხოვრებაში შემოდიან ახალი ადამიანები, რომლებსაც შევასწავლი ყველაფერს, რაც ვიცი, რაც შემიძლია და უსათუოდ მეც ვისწავლი მათგან, რადგან სიჭაბუკისა და გამოცდილების დიალექტიკურ ურთიერთობაში, თეატრში ახალი ძალების განუწყვეტელ დინებაში მისი მარადიული თანამედროვეობის სათავეებს ვხედავ. ვხედავ იმის საწინდარს, რომ ჩვენი ხელოვნების ერთადერთი და მუდმივი ობიექტის — ადამიანის სულში ჩაწვდომის გზები მუდმივად განახლდება. როგორც ს. კონენკოვმა თქვა: ,,ადამიანის გულისაკენ უამრავი გზა მიემართება. მთავარია, რომ ჩვენ წინაშე იდგეს არა მანეკენი, არა პოზიორი, არა თოჯინა, არამედ ადამიანი, რომელიც ჩვენთვის იქნებოდა მეგობარი, ამხანაგი და ძმა!‘‘

თანამედროვე ადამიანის გულისაკენ მიმავალი გზების ძიება... ეს ძიება მეტად მრავალფეროვანია. თანამედროვე თემის, თანამედროვე პიესის, დღევანდელ თეატრში თანამედროვე გმირის მნიშვნელობაზე ზედმეტია ლაპარაკი: ეს ყველასათვის ნათელია. ჩვენ, რეჟისორები ხშირად ვჩივით, დრამატურგებს ვსაყვედურობთ, პიესა არ არის და რა დავდგათო და იმის ნაცვლად, რომ ერთმანეთს გადავაბრალოთ — დრამატურგებსაც ხომ ასევე სრულიად კანონიერი პრეტენზიები აქვთ რეჟისორების მიმართ, — სჯობს ერთად, მხარდამხარ ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ თეატრში მოვიდეს დიდი ლიტერატურა, რომელიც დღევანდელ დღეს მასშტაბურად, ფილოსოფიური სიღრმით ასახავდა. დღევანდელობა იმის ღირსია, რომ შეიქმნას ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც მრავალი წლის შემდეგ კვლავ და კვლავ დაიდგმებოდა სცენაზე და მაყურებელს ჩვენს დღეებზე მოუთხრობდა, ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც შემდეგ ალბათ კლასიკურად ჩაითვლებოდა.

მ. გორკი სტატიაში ,,პიესების შესახებ‘‘, რომლითაც მან საბჭოთა დრამატურგებს მიმართა, ლაპარაკობს იმ ბედნიერებაზე, რომელიც წილად ხვდათ ახალგაზრდა დრამატურგებს, რადგან მათ უნდა ასახონ სრულიად ახალი გმირი — დიადი, შეურიგებელი, მეამბოხე — ეს სიტყვები დღესაც გვაოცებენ თავისი სიზუსტითა და სამართლიანი მომთხოვნელობით. ჩემი აზრით, თანამედროვე სოციალისტურ გმირს ზოგჯერ არ ჰყოფნის პიროვნების მასშტაბურობა, გრძნობათა, ვნებათა მასშტაბურობა.

ჩვენი თანამედროვე ადამიანის ცხოვრების გზა — მძიმე, რთული გზაა და ამ გზაზე მას ხვდება დიდი სიხარულიც და დიდი მწუხარებაც, დიდი გამარჯვებებიც და იმედის გაცრუებაც.

ვს. ვიშნევსკი წერდა: ,,სწორი არ იქნებოდა თუ ვიფიქრებდით, რომ სოციალიზმის წინსვლის გამო, ტრაგედია უნდა მოიხსნას დღის წესრიგიდან. მე მგონია, რომ უკლასო საზოგადოებაშიც კი ცხოვრება არ იქნება მხოლოდ სიცილი, ცხოვრება ცხოვრებად დარჩება, ადამიანური ვნებები არ შეიცვლება. მჯერა ბრძოლის დაძლევის თემისა, ადამიანების წინსვლისა!‘‘

მაგალითისათვის ჩვენს კოსმონავტებს მოვიყვან. რა შესანიშნავი ადამიანები არიან, რა რთულია, გმირული და სახიფათო მათი პროფესია! განა ჩვენი ვალი არ არის, მაყურებელს მოვუთხროთ მათზე, გავუმჟღავნოთ ის, რაც მათ სულში ხდება, როცა კოსმოსში გასაფრენად ემზადებიან. ჩვენ ვალში ვართ ამ ადამიანების წინაშე და განა მარტო მათ წინაშე?!

ახლა ბევრი თეატრი ხშირად უჩვენებს ერთი და იგივე ავტორის ნაწარმოებს, ერთი და იგივე სახელწოდების პიესებს და ხდება ისე, რომ სპექტაკლმა რომელიმე თეატრში, როგორც ამბობენ, არ გაამართლა, ,,მიზანში‘‘ არ მოხვდა, თუმცა სხვა თეატრში ისეთივე ნიჭისა და ოსტატობის მქონე რეჟისორის მიერ დადგმული იგივე პიესა უფრო მწვავედ და თანამედროვედ გაისმა. ჩემი აზრით, პირველ შემთხვევასთან საქმე გვაქვს მაშინ, როცა რეჟისორს არ ,,აწუხებს‘‘ პიესის თემა, იდეა. მე მგონია, რომ რეჟისორს უსათუოდ უნდა ჰქონდეს თემა, რომელიც მას აღელვებდა, მოსვენებას დაუკარგავდა. და მან უნდა ეძებოს ისინი, ვინც ხორცს შეასხამს ამ თემას. მან უნდა ეძებოს თანამოაზრენი. იყო დრო, როცა ჩეხოვი და გორკი დრამატურგიაში თითქმის უცნობი ავტორები იყვნენ, მაგრამ მხატვრულ თეატრთან თანამეგობრობამ, ავტორისა და თეატრის კოლექტივის, ავტორისა და რეჟისორის აზრთა ერთიანობამ წარმოშვა შესანიშნავი დრამატურგები, რომლებმაც გამოხატეს თავისი დრო და ამასთანავე შექმნეს უაღრესად თანამედროვე მხატვრული ნაწარმოებები.

მე მგონია, რომ დღეს, თუკი რომელიმე თეატრი უარს ამბობს პიესაზე — ცუდზე კი არა, კარგ პიესაზე,—მხოლოდ იმიტომ, რომ იგი უცხოა ამ კოლექტივის ინდივიდუალური ხაზისა და შემოქმედებითი მანერისათვის, იგი უაღრესად პრინციპულად და თავის საკეთილდღეოდ იქცევა. ეს დაეხმარება მას აუცილებელ შემდგომ ძიებებში, თავისი საკუთარი პიესის ძიებაში.

მეათე ხუთწლედს ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედს უწოდებენ. ამაშია მისი თავისებურება. ამ მოთხოვნილებებს — ეფექტიანობასა და ხარისხს — მთელი საბჭოთა ხალხი, რომელ დარგშიც არ უნდა მოღვაწეობდეს იგი, და მათ შორის ჩვენც, თეატრის მოღვაწენი, ვუყენებთ უშუალოდ ჩვენს თავს, ჩვენს სამუშაოს.

ვფიქრობ, თეატრი თავის როლს მაშინ ასრულებს, როცა დროის მოთხოვნილებების დონეზე დგას, სხვანაირად რომ ვთქვათ, თავის მუშაობაში იგი არის მაღალხარისხოვანი და მაღალეფექტური, როცა აღფრთოვანებისა და გაოცების საშუალებით ადამიანში აღზრდის ადამიანს, მასში აღვიძებს შემოქმედებით აზრს და მის ნებისყოფას მიმართავს გმირული საქმეებისაკენ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

*ჟურნალი „ტეატრალნაია ჟიზნ“,
1976 წ. № 24.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ზეშთაგონების ძლიერება.."

თენგიზ აბულაძის ახალი ფილმი — „ნატვრის ხე" ფიქრით უნებლიეთ გვაბრუნებს „ვედრებ-ის" შექმნის ჟამთან, „ვედრებისა", რომელიც კარგახანია მიჩნეულია საბჭოთა კინოს ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად.

„ვედრების" შემდეგ „ნატვრის ხის" შექმნა არა მარტო მორიგი გამარჯვებაა ცნობილი რეჟისორისა, არამედ იგი იმის საბაბსაც გვაძლევს, რომ ვილაპარაკოთ თ. აბულაძის ამ ნაწარმოებზე, როგორც ფილოსოფიურ და პოეტურ ქმნილებაზე. „ვედრებას" თუ საფუძვლად ვაჟას პოეზია ედო, „ნატვრის ხე" შექმნილია გიორგი ლეონიძის მოთხრობათა მოტივების მიხედვით. ლეონიძის პროზა პოეტის პროზაა და ეკრანზე ამ პოეტური შინაარსის ხორცშესასხმელად თ. აბულაძე იყენებს კინოს, როგორც ცოცხალი ხედვითი სახეების შემქმნელი ხელოვნების უჩინარ რეზერვებს. რეჟისორი თითქოს ხელახლა უდგამს სულს ლეონიძის მოთხრობებში ხორცშესხმულ სინამდვილეს. და იმ რევოლუციამდელი ქართული სოფლის რეალურ სინამდვილესთან ერთად, რომელსაც თვით ნოველების გმირები უღიმღამო, ბეჩავ, უნიჭო ყოფად მიიჩნევენ, ჩვენ ვხედავთ მეოცნებეთა და პოეტების მიერ ტალანტითა და წარმოსახვით შექმნილ სხვა სამყაროსაც.

ეს სამყარო მშვენიერი და პოეტურია, რამეთუ იგი სიყვარულისა და თანალმობის ცრემლითაა მონათლული.

აქ სიყვარულისა და თანალმობის ცრემლია ის მაგიური კრისტალი, რომელიც რეალურ ყოფას მხატვრულ სინამდვილედ გარდასახავს. ფილმში ხშირად ვხედავთ ცრემლს, როგორც ნიშანს დაძაბული სულიერი ცხოვრებისა და მას მძლავრ განწმენდილ ძალად შევიგრძნობთ. ჩვენ დიდი პლანით გვიჩვენებენ მომაკვდავი ცხენის ცრემლს, და მარიტას ანგელოზურ თუ შეთეს პირქუშ სახეზე ჩამოვარდნილ ცრემლს... და ცრემლი იგი განწმენდის, სულით ამაღლების, მშვენიერების, სიკეთის, სიყვარულის მაღალ აზრთან ზიარების ცრემლია.

თ. აბულაძე გვაიძულებს სხვა თვალით, ახლებურად შევხედოთ ჩვეულებრივ გარემოს, გვაჯერებს ჩვეულებრივის არაჩვეულებრიობაში. პასუხი კითხვისა — სად ვეძიოთ ნატვრის ხე? — უბრალოა და მარტივი: ყოველი ხე ნატვრის ხეა, ოღონდ უნდა დაინახო იგი, შენი სულის ემბაზში უნდა ამოავლო, მხურვალე რწმენით უნდა ირწმუნო.

ყოველი ხე ჯადოსნური ნატვრის ხეა და ყოველი ადამიანი მშვენიერია.

თ. აბულაძის ყოველი გმირი — გამოკვეთილი პიროვნებაა, განუმეორებელი ინდივიდია, და ყოველი მათგანის შინაგანი სამყარო მდიდარია და რთული.

თ. აბულაძეს სწამს ადამიანი, სჯერა მისი, უყვარს იგი. მას არ აშინებს თავისი გმირების მთელი სიგრძე-სიგანით, ავ-კარგით ჩვენება. არ აშინებს, რადგან მხატვრის ჰუმანიზმი სწორედ ისაა, რომ ადამიანი გიყვარდეს ისეთი, როგორიცაა იგი სინამდვილეში, გიყვარდეს იგი კეთილი და ცოდვა-ბრალიანი.

თ. აბულაძის შემოქმედება ამკვიდრებს, განამტკიცებს ყოველი ადამიანის პიროვნებისა და ხვედრის დიდმნიშვნელოვანების, განუმეორებლობის რწმენას. იშვიათი, უჩვეულო აქ უპირისპირდება სტანდარტს და, იმავდროულად, ყოველი მისი გმირი მხატვრული სახეა, ტიპია, ეროვნული ხასიათია: უტეხი ბერიკაცი ციციკორე, მოქარაფშუტო მღვდელი ოხროხინე, დაუდგრომელი ბუნბულა... ესენი, ყველანი, რევოლუციამდელი ქართული სოფლის ტიპიური შვილები არიან.

ფილმის მთავარი გმირი მშობლიური მიწა და მშობლიური ხალხია. ადამიანები თავიანთი მიწისაგან განუყოფელნი არიან. შემთხვევითი რო-

ანაიდა ბესტავაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დია, რომ წითელპერანგა გედია ლამის შეეთქვიფოს ყაყაჩოთი დამხრჩვალ მიწას. მარიტა მინდვრის ველურ ყვავილს ჰგავს. თვით „მარტოდმარტო ბერიქალა" ფუფალაც კი, რომელსაც „არასაფერისად ეცვა, სხვადასხვა მხიარული, ჭყეტელა ნაჭრებისაგან შეკერილი", მშვენივრად ერწყმის, ეხამება, უხდება სივრცეს და გზას, რომელსაც ღრმა ფიქრში დაძირული მიუყვება. ადამიანსა და ბუნებას შორის წინააღმდეგობა, ზღვარი არაა. ისინი შეთანხმებულად, მშვიდობიანად ცხოვრობენ ერთურთის გვერდით. თვით სოციალურ ქარტეხილებზე მეოცნებე „ანარქისტი" იორამიც კი რევოლუციას ბუნების სტიქიას ჭექა-ქუხილს ადარებს.

მარიტას, რომელიც ფილმის მნიშვნელოვანი ფილოსოფიური აზრის ხორცშესხმაა, შემთხვევით (ან შესაძლოა, გააზრებულადაც) წყლის ფონზე ვხედავთ ხოლმე: ხან წყაროსთან, ხანაც — მდინარესთან. ამით ხაზი ესმება მის სიწმინდეს, შინაგან სინათლესა და ძალას — ყოველივე ეს ქართული მითოლოგიით წყალს მიეწერება.

ფილმის გმირების გარეგნული, პორტრეტული დახასიათება ფრესკული სტილითაა გადაწყვეტილი. აქ თითქოს გათვალისწინებულია გ. ლეონიძის სიტყვა — მარიტა ყინწვისის ანგელოსს ჰგავსო. აქ ფრესკა პოეზიას ეპიკურ სუნთქვას ანიჭებს.

მარიტა უბრალო „ნათლით სავსე, ღიმცისკროვანი ყვავილი" როდია, იგი მშვენიერების ხორცშესხმული ხალხური იდეალია. მის დანახვაზე ამაოდ როდი იწერდნენ პირჯვარს გულმიამიტი გლეხები.

ელიოზი ერთი ვინმე მეოცნებე კი არაა, იგი ისევ და ისევ ხალხს როგორადაც წარმოუდგენია, იმ სულის პოეტია.

ციციკორე, „სოფლის დარბაისელი თავისი განუყრელი ურძნის ლიტაო ჯოხით" ყოველივე ახლის უარმყოფელია, პატრიარქალური სიძველის მაკერპებელია.

„ანარქისტი" იორამი, განდეგილად მებრძოლი, მშფოთვარე ტემპერამენტის კაცია, ვინც რევოლუციის მოახლოების იმედით სულდგმულობს.

ფილმის სხვა გმირებიც შეგვეძლო დაგვესახელებინა, მაგრამ ვინც ვახსენეთ, ისინიც ცხადყოფენ — ეს გმირები განუმეორებელი პიროვნებები არიან, შეგვიძლია ვისაუბროთ თითოეულ მათგანზე, როგორც მხატვრულ ხასიათზე, რომელსაც მხოლოდ მისთვის ნიშნეულთან ერთად, საერთოტიპიური თვისებებიც აქვს.

სცენარის ავტორებმა — რევაზ ინანიშვილმა და თენგიზ აბულაძემ გ. ლეონიძის წიგნში შესული, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ნოველებისაგან ააგეს დინამიკური მთლიანი სიუჟეტი და აქამდე ცალ-ცალკე ნაჩვენები გმირები ერთმანეთის მხარდამხარ აამოქმედეს.

მარიტასა და გედიას ამბავი იქცა სხვადასხვა სიუჟეტური ხაზის შემკვრელ ხერხემლად. ამ ამბის ტრაგიკულმა ფინალმა გაამჟღავნა, წარმოაჩინა ყოველი გმირის სული.

ქარაფშუტა ლამაზმანი ნარგიზა აღაშფოთა ციციკორეს დესპოტობამ და გულქვაობამ და ნამდვილ ვეფხვად იქცა. ბედგამწარებული ფუფალა სასოწარკვეთის ჟამს აღიარებს, რომ არავითარი საქმრო შიოლა არასოდეს ჰყოლია. გამოთხოვება შეთხზულ, გამოგონილ სამყაროსთან, რომელშიც მთელი თავისი დღე და მოსწრება ცხოვრობდა, ფუფალასთვის სიკვდილს უდრის. კომიკური პერსონაჟი ჭეშმარიტად ტრაგიკულ სიმაღლეს აღწევს.

რეჟისურისა და მსახიობური შესრულების თვალსაზრისით შესანიშნავი სცენა მარიტას დასჯისა ფილმში განსაკუთრებული, მნიშვნელოვანი აზრითაა დატვირთული. ერთი მხრივ, ამ სცენას ეკისრება წარმოაჩინოს მთელი საშინელება ცრურწმენებისა, რომლებიც ჯოგური სისხლიანი ინსტინქტებითაა აღბეჭდილი და უგუნური ძალაუფლების მორჩილია. თითქოსდა ოჯახის სიწმინდის დასაცავად საშინელი ცოდვა ტრიალდება. მეორე მხრივ, მარიტას უბედურება სხვა გმირთა ხასიათის გამოვლენის კატალიზატორი ხდება.

მარიტას „მოკვლის" სცენა უბიწოებისა და სილამაზის ხელყოფის, მოშთობის სცენაა. იგი აშკარად ეხმიანება სხვა, მეორე ეპიზოდს, როცა შეთე წკნელის ცემით კლავს ოთახში შემოფრენილ მტრედს. პირველ შემთხვევაშიც და მეორეშიც საშინელი, უღვთო აქტის შემსწრენი ვხდებით — ორივეჯერ მშვენიერი, წმიდა სული კვდება.

უსიყვარულოდ სამყარო უღიმღამო და მკვდარია. ფილმი ამას გვახსენებს. ამას ამბობს მარიტაც, როცა თავის ბედს წყევლის, უსიყვარულოდ გათხოვება და ცხოვრება რად მომესაჯაო. იგი უბედურია, რადგან უკვე აღარ ესმის ფრინველების ჭიკჭიკი, ბალახის ჩურჩული, ვერ გრძნობს ყვავილის სურნელს.

უსიყვარულოდ სიცოცხლე არარაა. უმისოდ არ გაიძლება. ფუფალა იგონებს, თხზავს თავის სიყვარულს და ბედნიერია. შეთეს შეძლებულ ოჯახს არც არაფერი აკლია, მაგრამ იქ სიყვარული არ სადგურობს და ყველაფერი ქარწყლდება, ინგრევა, ძალმომრეობა კეთილ ნაყოფს ვერასოდეს გამოიღებს. ამიტომაა, რომ ციციკორეს კეთილი ზრახვებიც კი უკუღმართად ტრიალდება: „ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლას თავის ნებასა და სურვილს აძალებდა. ეგებ ზოგს საკუთნო სკამზე უნდოდა ჯდომა? ეგებ სხვასაც ჰქონდა ზეშთაგონების ძლიერება. სხვაც იყო გულთამხილავიც, უდრეკი და გულადიც!“ აი, რას თრგუნავს ადამიანებში ციციკორე.

თავის ფილმში თ. აბულაძე სწორედ ამისთვის — ყოველი ადამიანის „ზეშთაგონების ძლიერების“ დასაცავად იბრძვის. რეჟისორი ყოველი ადამიანის ნიჭის სხვათა ძალმომრეობის გარეშე განვითარების უფლების დასაცავად იბრძვის.

ფილმში ელიოზი და ციციკორე ერთმანეთს ერთხელაც არ ეჯახებიან და მაინც, ეს ორი ხასიათი სულ მუდამ, განუწყვეტლივ დაობს ერთმანეთში, ისინი საწინააღმდეგო პოლუსებზე დგანან. ციციკორე „ფხიზელი“ გონების კაცია, რომელსაც „სწორი მხედაობა ჰქონდა“. პოეტური აღგზნება და მეოცნებეობა ეუცხოებოდა. ელიოზი კი სხვაა, თავის ნაოცნებარ სამყაროში ცხოვრობდა, სასწაული და ჯადო სწამდა.

აი, ელიოზის ხასიათის როგორ გასაღებს იძლევა გ. ლეონიძე:

„პოეტები მხოლოდ ქაღალდზე რითმებით მოლაპარაკენი როდი არიან. პოეტური თვალით, პოეტური გულით და დიდი ოცნებით გასხივოსნებული სხვაც ბევრი დადის დედამიწაზე!“.

ასეთია ო. მეღვინეთუხუცესის მშვენიერი ელიოზი.

„ჯერ ოქროკვერცხას, ოქროს მდებელ ქათამს ეძებდა ბუჩქნარებში, მერე დაეჟინა ნათელთევზას დაჭერა და მთელი დღეები დაკარწახებული იდგა იორში: მოჩხრიკა, ამოხაპა იორი, დაღალა ბადე, ჩანგალი; წყლის ტოტებიც დაწურა, ხელაობასაც გადააკვდა, მაგრამ არ იქნა, ნათელთევზა ვერ იგდო ხელთ და ვერა.

ახლა გულში ჩაედო ხერევანდის ხისა, ანუ ნატვრის ხის ნახვა...“

ამ მოჯადოებულ უპოვარ კაცს ირგვლივ მასავით მეოცნებე წვრილშვილი ახვევია და მთელი თავისი სიცოცხლე ეძებს იგი იმას, მიუწვდომელს — ნატვრის ხეს...

ელიოზის ამგვარ გულჯიუტ მცდელობას თვალს რომ ადევნებს, ფუფალას უფრო აღტაცების გრძნობა ეუფლება, ვიდრე სიბრალულისა და იგი უუბნება ელიოზს: „ეძებე, ეძებე, ელიოზ! ვინც ეძებს, ის იპოვის!“

ელიოზის რწმენა გასაოცარია: ეს რწმენა მის შვილებსაც გადაედება. ფილმის დასაწყისში ელიოზის შვილი თუ ლოცულობს: „ღმერთო, აპოვნინე მამაჩემს ნატვრის ხეო...“, ფინალში იგივე, უკვე უმამოდ დარჩენილი გოგონა, ასე ევედრება უზენაესს: „ღმერთო, მაპოვნინე, ღმერთო, მაპოვნინეო!“

ელიოზის ხასიათი, შვილებთან მისი დამოკიდებულება, მისი მეოცნებე სული წმიდა კინემატოგრაფიული ენითაა გადმოცემული ფილმში. საკმარისია გავიხსენოთ თუ როგორ აცმევენ შვილები ნატვრის ხის მოსაძებნად მიმავალ მამას. გულისშემძვრელი რწმენა და იმედი აწერიათ სახეზე ცეროდენა გოგონებს, როცა საცოდავი კონკები გამოაქვთ და ისე ეფაქიზებიან მამას, გეგონებათ ფარჩა-ატლასებს აცმევენო. სცენა უბრალო ყოფით ეპიზოდად კი არაა გააზრებული, არამედ რიტუალის რიტმითა და ჟესტებითაა ხორცშესხმული.

ერთ-ერთ გოგონას იღლიაში ქათამი ამოუჩრია. ელიოზი ეკითხება, ოქროს კვერცხი ხომ არ დაუდვიაო. ჯერ არაო, მიუგებს გოგონა, ელიოზი ამშვიდებს შვილს, არწმუნებს, დღეს და ხვალ თუ არა, მაზეგ აუცილებლად დადებსო.

გვახსენდება გ. ლეონიძის ხატოვანი, გულშიჩამწვდომი სიტყვები: „თავისივე შეთხზული, უცნაური ოცნებებით იფარავდა თავს მხეცივით შემოტეული სინამდვილისაგან“.

და ამ გულუბრყვილო, უმწეო ელიოზის, მისი ნაოცნებარი სინამდვილის წინაშე რეალური სინამდვილე უძლური აღმოჩნდა.

ფილმის საოცრად ზუსტი ფინალური სცენა — უკანასკნელი კადრი, როცა ელიოზის გოგონა ეზოში მდგარ ხეს ნაირფერადი ნაჭრებით რთავს გაკერპებით, გულმხურვალედ ივედრება: „ღმერთო, მაპოვნინე, ღმერთო, მაპოვნინე, ღმერთო, მაპოვნინე ნატვრის ხეო“ — გამსჭვალულია ბუნებრივი ოპტიმიზმით და იგი ძლიერ, უნივერსალურ სიმბოლოდ აღიქმება.

სწორედ ეს სცენა უოხებს გულს მაყურებელს „მოღალატე“ ცოლის — მარიტას დასჯის ტრაგიკული ეპიზოდის შემდეგ.

მეოცნებე ელიოზი იღუპება. „ნატვრის ხის ძიებაში, მის ყარაულობასა და ლოდინში, ყინვით აყვავებული ხის ქვეშ გაყინულიყო...“ მაგრამ ამქვეყნად დარჩნენ მისი შვილები, რომელთა გულშიც ბუდობს ის ბედნიერი ნიჭი — ნიჭი სასწაულის რწმენისა.

ფილმის დასასრულ დასმულ კითხვაზე — „საიდან მოდის სილამაზე? ან სად მიდის? სად იკარგება თუ დროებით მიეფარება?“ ასეთი პასუხი გაიცემა: მშვენიერება, მსგავსად სიკეთისა, არც საიდან მოდის და არც საითმე მიდის. იგი ყოველთვის აქაა, ჩვენთან, ჩვენს გვერდით, ოღონდ უნდა დაინახო იგი, უნდა დაინახო და დაიცვა.

თ. აბულაძის ოპტიმიზმი ტანჯვისა და ვაების ჩვენებას სულაც არ გამორიცხავს. გედია დასტირის დავარდნილ ცხენს. იტანჯება და ეწამება მიჯნურს დაშორებული მარიტა. იტანჯება შეთეც, რამეთუ იცის, რომ უყვარული ქმარია. იტანჯება ფუფალაც, რომელსაც „პირის მთვარიანობა დიდი ხანია რაც ჩაჰქრობოდა, ბროლის ნათელი, ლალის ბრდღვიალი გაჰხუნებოდა, შუქგადამდგარ საღამოს მიჰგავდა“. ყოველი დღე ამ ქალის ცხოვრებისა (მის როლს ს. ჭიაურელი თამაშობს) გმირობაა, რადგან „ხვალიდან უკვე მზადდებოდა მისთვის ახალი გოლგოთა, ახალი ჯვარცმით...“ მარტოსულობით იტანჯება „ანარქისტი“ იორამიც — მისი არა ესმით რა...

მაგრამ, თ. აბულაძის მრწამსით, ტანჯვა ადამიანში ადამინს ვერ კლავს, — მასში სულის განმწმენდელი, ამამაღლებელი ძალაა ჩაბუდებული.

ფილმში ტანჯვის უმაღლესი წარტილია სცენა, როცა ვირზე შესმული პერანგა მარიტას მთელი სოფლის გულს გამოატარებენ და ყველა იმსოფლელს შეუძლია (მოვალეა!) ტალახის გუნდა ესროლოს მას, მაგრამ ეს ველურობისა და ენით უთქმელი უსამართლობის განუმეორებელი სცენაც ნორჩი მარიტას სახეზე დაფენილი გამოსათხოვარი ღიმილით მთავრდება.

ტანჯვა და წამება აწერია სახეზე მიხრწნილ მარადიას, რომელმაც საყვარელი ბადიში დაკარგა. გასაოცრად, შემაძრწუნებლად წარმოსახავს ამ უსიტყვო სცენას, შესანიშნავი მსახიობი სესილია თაყაიშვილი.

ჩვენ არ შეგვიძლია დავიჯეროთ, რომ ადამიანებს, რომლებმაც თავიანთი გონებადაბინდულობის გამოისობით ასეთი შემაძრწუნებელი ცოდვა აიკიდეს, თვალი არ აეხილებათ და ვერ მიხვდებიან, რომ მარიტას ხელყოფით მათ სიკეთესა და მშვენიერებას გამოუტანეს უღვთო განაჩენი, დიახ, შეუძლებელია ადამიანები არ შედრკნენ თავიანთი გულქვაობისა და სისასტიკის წინაშე.

ფილმის ფინალის მოკლე მონაკვეთში თ. აბულაძე გვიჩვენებს, რომ ცხოვრების ჯოჯოხეთურ ბრძმედში გამოვლილი ეს ხალხი სხვაგვარი ხდება — თვალი ეხილება დაუდეგარ ნარგიზას, გამქეტა ქალის ნიღაბს იმორჩილებს რომანტიკული და დაუოკებული სულის ფუფალა, გამძვინვარებული ბრბოს წინააღმდეგ ჯიქურ მიდის იორამი, სინანულის ცრემლს ღვრის შეთე, ადამიანებს გამოსათხოვარ ღიმილს ჩუქნის მშვენიერი, ნორჩი მარიტა...

ცხადად ვხედავთ, რომ ცოდვა ტანჯვით გამოისყიდება. შემთხვევითი არაა, რომ ვუყურებთ ტალახში ჩაგდებულ მარიტას და გარდამოხსნა გვახსენდება.

ფილმის დაძაბული დრამატიზმი არ გამორიცხავს იუმორს, ირონიას, კომედიურ ელემენტებს. არ შეიძლება ღიმილი არ მოგგვაროთ მამა ოხროხინემ, რომელსაც ნიჭიერად თამაშობს რ. ჩხიკვაძე. მსახიობს ჭეშმარიტად რაბლესეური, ანტიკლერიკალური სტილითა აქვს გახსნილი თავისი გმირის ხასიათი. მღვდელი თავისი სახლისათვის ეკლესიის ფილებს იპარავს, ლამაზმან ნარგიზას ეკურკურება, სულზე მეტად ხორცი უხარება — მეტი სატირა იქნება!

ჩინებულად შეასრულა ლაქლაქა ბუნბულას როლი ე. მანჯგალაძემ. ფილმში ეს ხასიათი რამდენადმე დაშორდა წიგნისეულ ხასიათს, — ფილმში აქ მეტი ირონია ჩანს მის მიმართ. რაღა თქმა უნდა, შეგვიძლია შევედაოთ ფილმის ავ-

კადრი ფილმიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორებს ჩორეხის (ფილმში მას ბუნბულა ჰქვია) ხასიათის ამგვარ გადაწყვეტაში — გ. ლეონიძის წიგნში ამ პერსონაჟს რამდენადმე სხვაგვარი იდეური დატვირთვა აკისრია — მაგრამ ერთი რამ უნდა ითქვას: ე. მანჯგალაძის მიერ განსახიერებული ეს გმირი ორგანულად „მოერგო“ ფილმს.

მრავალი მეტყველი ნიუანსით წარმოსახავს ლიტერატურულ პროტოტიპს კ. კავსაძე. იგი არ კარგავს არაფერს, რაც გ. ლეონიძიდან მოდის. კ. კავსაძის „ანარქისტი“ იორამი მშფოთვარე, მშვინვარე კაცია, რომელიც მზადაა ააფეთქოს ძველი სამყარო. კ. კავსაძის იორამი მართლაც ისეთია, როგორიც გ. ლეონიძემ დაგვიხატა — „აღვართქაფებული იორი, არწივისა და მერნის ფრთებით რომ მოჰქროდა აბორგებული და ნაზავთარი“.

კ. კავსაძის იორამი დაუდგრომელია და ერთთავად ნახტომისთვის შემართული. აი, იგი ყურს ადებს მიწას — რევოლუციის გუგუნს უსმენს. აი, წითელპერანგა ბალღს შეისვამს მხარზე — თითქოს დროშააო. აი, ბალახს ჭამს, რათა ციციკორეს დაუმტკიცოს, რომ ბალახი შხამიანი არაა. ბავშვებს უხსნის, თუ რა სიკეთის მოტანა შეუძლია რკინიგზას და თვითონაც ორთქლმავალივით ქშინავს და თახთახებს, თავბრუდამხვევად ტრიალებს ბალახზე, კადრს მიღმით კი ისმის ხმაური, რომელიც პატრიარქალურ ქართულ სოფელში რკინის საუკუნის შემოტევას შეგვაგრძნობინებს.

და, აი, იორამი გაიგონებს ნარგიზას ხორხისმიერ სიცილს, დაინახავს მის მაცდუნებელ ღიმილს... და მისი მოშიშვლებული ქათქათა მკერდი ახევებს.

კარგია ნარგიზას როლში თ. ტუაევა. დამაჯერებელია იგი იორამთან და მამა ოხროხინესთან სცენებში. მაცდუნებელი, ქალურად ვერაგია ეპიზოდში, როცა ციციკორე მორალს უკითხავს, თვითონ კი ვითომ ცდილობს მის შეცდენას, სინამდვილეში ამასხარავებს მას, და, ბოლოს, ფილმის ფინალში მსახიობი თავის გმირს სულ სხვაგვარი, მოულოდნელი კუთხით წარმოგვიდგენს.

კ. დაუშვილი ციციკორეს „ძველი დროის ნამსხვრევად“ წარმოგვიდგენს. გავიხსენოთ, რომ ეს ის ციციკორე გახლავთ, რომელსაც გ. ლეონიძის ნოველის მიხედვით, იმ დღეს მარხავენ, როცა სოფლამდე კახეთის რკინიგზის პირველი ორთქლმავლის ხმა მოაღწევს!



მარადია — სესილია თაყაიშვილი

ციციკორე, ნებსით თუ უნებლიედ, ახალი ცხოვრების გზაზე გახიდულა და ამ ცხოვრებამ უნდა აღგავოს. მსახიობი ძუნწი, თავდაჭერილი მანერით გვაგრძნობინებს თავისი გმირის ძალას, მის განწირულებას, მის თავისებურ გონიერებასა და დამღუპველ შეზღუდულობას, მის სიკეთესა და გაუცნობიერებელ სისასტიკეს. გ. ლეონიძე ტყუილად როდი ამბობს ციციკორეზე, „სოფლის მერჯულე, გამგებელი, მეუფროსე... მზრუნველი, მოჭირნახულე იყო!“ გ. ლეონიძის ეს სიტყვებიც გათვალისწინებული აქვთ ფილმის ავტორებს.

ფუფალას გასაოცრად ძლიერი, საოცრად მეტყველი სახე შექმნა სოფიკო ჭიაურელმა. ფუფალა კეთილი და უმწეოა, მაგრამ, იმავდროულად, იგი

პიროვნულ, ადამიანურ ღირსებას არ კარგავს. გავიხსენოთ, როგორ უყოყმანოდ მიდის იგი ნინორეს სახლიდან, როცა იგი მასპინძლის უკადრის სიტყვას გაიგონებს. ფუფალა არ ცდილობს, რომ პირთან მიტანილი ლუკმა შეჭამოს, თუმცა მშიერია, ფრთხილად უკანვე, თეფშზე დებს მას და ცდილობს შეუმჩნევლად გაერიდოს იქაურობას. ფუფალას ხასიათი იხსნება ასეთი, ერთი შეხედვით, უჩინარი, მაგრამ მიმიკისა და ინტონაციის საოცრად ზუსტი ნიუანსებით.

ს. ჭიაურელის კონკია, სახით და ვარცხნილობით გონჯი ფუფალა მაინც მშვენიერია, ლამაზია, რადგან იგი სიცოცხლით აღგზნებული, წამებული ილუზიაზეც ხელჩაქნეული ფუფალა... აქ ს. ჭიაურელის თამაში დიდ ტრაგედიულ ძაბვამდე აღწევს. ფუფალა... აი, რას წერს გ. ლეონიძე: ,,ცალი ხელით მოძველო ქოლგა ეჭირა, მეორეთი ჭრელი ბოხჩა. ძველებური შავი თათმანი ეცვა ხელთ და ადამის ხნის დაგლეჯილი, მაღალქუსლიანი, ჩაღილული, ყელიანი ფეხსაცმელი და მომტვრეული, შუაზე გადაჩეხილი ქუსლი ძალზე აწვალებდა...“ გარეგნულად ასეთი ს. ჭიაურელის ფუფალა გაწამებული და მშვენიერი ქალია...

თვალსაჩინო მსახიობთა ანსამბლში მკაფიოდ და ცინცხლად ისმის ფილმის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილის — მარიტას როლის შემსრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფუფალა — სოფიკო ჭიაურელი

ლი, სიყვარულით შემსჭვალული სულია. ფუფალა სიკეთეა. გავიხსენოთ როგორ აძლევს იგი პატარა ბიჭს (ფილმში მას გიორგი ლეონიძე ჰქვია), კამფეტს და, სამაგიეროდ, ბაღივით, როგორ სთხოვს მას კიტრს. ბავშვები აწვალებენ ფუფალას, მას კი ისინი უყვარს. ფუფალა ტირის, როცა საოცრად ლამაზ ნორჩ მარიტას უყურებს. ასე შეიძლება ტიროდეს მგრძნობიარე ადამიანი, რომელიც ხელოვნების საკვირველ, გასაოცარ ქმნილებას, მშვენიერ სურათს უცქერის. ფუფალა ნიჭიერია. როგორ აჯერებს იგი ხალხს თავისი შეთხზული, მოგონილი სიყვარულის სინამდვილეში! როგორ უნდა დაიჯეროს, ირწმუნოს ადამიანმა თავისივე შენათხზი, რომ სხვებიც დაარწმუნოს, დააჯეროს მასში! ან, რა სახე აქვს ფუფალას, როცა ამბობს: ,,სიყვარული არა კვდება!“.. ანდა, როგორია ტალახში ჩამჯდარი, კაცის სისასტიკით შეძრული, თავის უკანასკნელ ლებლის ხმა. ლიკა ქავჟარაძეს შეგვიძლია მივულოცოთ წარმატებული დებიუტი.

მარიტას ხასიათის კონტურები, მისი პლასტიკა და კოლორიტი ჩვენს მეხსიერებაში ლიტერატურულ პირველწყაროს აცოცხლებს: ,,ისე ვიგრძენი, თითქოს ჩვენს ეზოში ია შემოვიდა, შემოვიდა და შემოეფინა...“ ლიკა ქავჟარაძემ მშვენივრად ითამაშა ეს პირველშობილი უბიწოება და სიწმინდე. მან ეს სწორედ რომ ითამაშა, დიახ, ითამაშა — მიზნისთვის მხოლოდ გარეგნული მონაცემებითა და მისი ასაკისთვის დამახასიათებელი მომხიბვლელი უშუალობით არ მიუღწევია.

მარიტა ბიბლიური საზეიმო განწყობილებით შემოდის სოფელში. პირველად ასეთ მარიტას ვხედავთ. მერე იგი წყაროსთან ომში მიმავალ სამ ყმაწვილკაცთანაა. ამ სცენებში იგი რამდენადმე სტატიურია. მისი მიზანია ითინათინოს და მოწ-



იორამი — კახი კავსაძე

მარიტა — ლიკა ქავჟარაძე



ყალებასავით არიგოს ღიმილი და ამას იგი ბე-ჯითად, მარჯვედ აკეთებს, მაგრამ ნამდვილ მა-რიტას, ვისაც ადამიანებისთვის სიკეთე მოაქვს, ვინც ადამიანების გულს სიამით ავსებს, მერე და-ვინახავთ. მერე, როცა იგი შეიყვარებს გედიას. მარიტა უკვე ბუნებრივი, ამ ცხოვრების შვილი ქალწული ხდება. საკმარისია გავიხსენოთ რო-გორ ადის იგი მთაზე გედიას კვალდაკვალ, ან როგორ მირბის მასთან ერთად თავსხმა წვიმაში, ან როგორ რეცხავს მდინარეში ხალიჩას... ჩვენს თვალწინ უდარდელი, ბედის ნებიერა მარიტა მწიფდება ბევრისმცოდნე, ფიქრიან ქალად, სწო-რედ იმ „წმინდანად", რომლის დანახვაზეც იმ-სოფლელები პირჯვარს იწერდნენ. ლიკა ქავჟა-რაძემ დასძლია მის წინაშე დასმული რთული ამოცანა.

გ. ლეონიძის თქმით, „მარიტას სულის მშვე-ნიერება აღემატებოდა მის გარეგან სილამაზეს, გულში ია ამოსდიოდა". მისი ხალხში გამოჭენე-ბის ეპიზოდში მარიტა გვაძრწუნებს დედოფლუ-რი აღუშფოთველობით და თავშეკავებით, თუმცა სახეზე კი ენითგამოუთქმელი ტანჯვა ეწერა. გ. ლეონიძე ამბობს: „მოჰყავდათ სოფლის წამებუ-ლი, თითქოს დედოფალი მოჰყავთო და მთელი სოფელი მისი ამალა გამხდარიყო". და ლიკა ქავჟარაძემ ეს ითამაშა.

საჭირო სიმაღლეზე აღმოჩნდა მისი პარტნიო-რი სოსო ჯაჭვლიანიც. გედიას როლის სირთუ-ლე ისაა, რომ იგი პერსონიფიცირებული არაა, რაიმე პიროვნული, განუმეორებელი ნიშნებით არ ხასიათდება. რითი განსხვავდება იგი ათასობით სხვა, სატრფოსაგან დაცილებულ ყმაწვილკაც-თაგან, ვთქვათ, რომეოსგან? გედიას ხასიათი ისეთ სახეცვლილებას არ განიცდის, როგორიც მარიტამ განიცადა. ფილმში მისი ხვედრი თით-ქოს შემოსაზღვრულია დასაწყისში მარიტასთან ერთად მთაზე ასვლით და იმ ნეტარი სიმაღლი-დან თავქვე გიჟური დაშვებით — იგი გახელებუ-ლია, მდიდარ მეტოქეს — შეთეს უნდა გაუსწო-როს ანგარიში. კიდევ: გედიას ხასიათი ფილმში ჩვენთვის შემოფარგლულია იმ სოფლის ტალახი-ანი შუკით, რომელზეც იგი, ცამდე ბედნიერი, პირველად მარიტასთან ერთად, ხოლო უკანასკ-ნელად კი მარიტას მისაშველებლად გარბის, მაგ-რამ მუხთალი ტყვიით განგმირული ეცემა.

სოსო ჯაჭვლიანმა შესძლო თავისი გმირისთ-ვის მოეძებნა მეტყველი ინტონაცია, ჟესტები, სა-ღებავები, შესძლო გაეთბო იგი წრფელი გული-თადი განცდებით. მისი გედია ალალმართალია, გულადია, უღალატოა, პოეტურია. გედია მოყვა-რისთვის სულსაც არ დაიშურებს. იგი ჭირსა ში-გან მაგრდება და ფილმის ბოლოს პატარა ბიჭად კი არა, არამედ ცხოვრების სიბრძნით დამძიმე-ბულ, ამ სასტიკ ცხოვრებასთან შეურიგებელ ვაჟ-კაცად კვდება.

რთული ამოცანა ზაზა კოლელიშვილმაც დასძ-ლია. მისი შეთე — „ლამაზე, ზვიადი, ყომრალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი, მგლისფერი" უნდა იწვევდეს (და იწვევს კიდეც!) ჩვენს ერთგვარ თანაგრძნობას. დიახ, თანაგრძნობას უნდა იწვევდეს, რადგან იგი მსხვერპლია — მსხვერპლია დედამისის უსაზღვრო ძალაუფლებისა, სიმდიდრისა, უზრუნველობისა, ცრურწმენებისა. იგი ღირსია შებრალებისა, რამეთუ ბედმა ჯალათის ხვედრი განუმზადა, თუმცა, სინამდვილეში თავადაა ბეჩავი მსხვერპლი. იგი უსიყვარულო სივრცეში ცხოვრობს. სიკეთის წინაშე იგი უმწეოა. ჩიტს კლავს, მაგრამ ჩიტები ირგვლივ მაინც ჟივჟივებენ, ირგვლივ მაინც ზეიმი დგას (და მხოლოდ შემდეგ სადგურდება შეთეს სულში საშინელი, თავზარდამცემი სიჩუმე).

ზ. კოლელიშვილი გათავებულ, უსაშველო არამზადას კი არა, ცოცხალ კაცს თამაშობს, რომელსაც ჯერ კიდევ შეუძლია სხვაგვარი გახდეს, სიკეთისკენ წადგას ნაბიჯი. ზ. კოლელიშვილის გმირი ისეთია, რომ ფიქრი გვებადება: ეგ რომ მარიტას შეეყვარებინა, იქნებ გაეგონა კიდეც ჩიტების ჟივჟივი და ბალახის ჩურჩული...

ფილმის უეჭველი ღირსებაა ის, რომ მსახიობები თვით ეგრეთწოდებულ მეორეხარისხოვან, ეპიზოდურ როლებსაც დიდი პროფესიული ოსტატობით ასრულებენ და შედეგსაც ბრწყინვალეს ვღებულობთ. ამიტომ მადლობა ეთქმის ყველას: გიორგი გეგეჭკორსაც და ჯემალ ღაღანიძესაც, მზია მახვილაძესაც და გივი ჭიჭინაძესაც, დავით პაპუაშვილსაც და დათო აბაშიძესაც და უკლებლივ ყველას, ვინც ამ ფილმში თამაშობს—მათ თავიანთი ნიჭითა და ოსტატობით დიდი სიამოვნება მოგვანიჭეს.

უმაღლეს შეფასებას იმსახურებს დამდგმელი მხატვრის რევაზ მირზაშვილის ნამუშევარი. ჯერ ერთი, ამ ფილმში იგი გვევლინება პეიზაჟის ოსტატად — ღრმად და ფაქიზად გრძნობს ბუნებას. სამუდამოდ გვამახსოვრდება წითელი ყაყაჩოებით ცეცხლწაკიდებული ველი, დატოტვილი მდინარე, ზამთრისპირის ტყე, მარტოხეები ქათქათა თოვლის ფონზე... გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენს კახური სახლები — ეს ცოცხალი, უტყვი მოწმენი ადამიანთა მრავალჭირნახული ცხოვრებისა, თითქოს ცოცხალი მონაწილენი დრამატული მოვლენებისა.

შესანიშნავია და გულის შემძვრელი ელიოზის ნახევრადდანგრეული სახლი, — მისი პატრონივით ნაღვლიანი და აღტკინებული. მარტო სახლები კი არა, ყველა ყოფითი ნივთი და საგანიც არაჩვეულებრივი თვალით, ეთნოგრაფიული სიზუსტით, ცოდნითა და სიყვარულითაა ნაჩვენები. კადრში ხედავთ ყაყაჩოიან დოქს. ხომ უცნაური ამბავია: გლეხები ეს-ესაა მინდვრად გავიდნენ სამუშაოდ. ეს ყაყაჩოები რად უნდა ჩაედოთ დოქში? ეს პატარა დეტალია, შესაძლოა, მიზანსწრაფულად გააზრებულიც, ან, იქნებ, სრულიად შემთხვევითიც, იგი ხაზს უსვამს, მოგვაგონებს, რომ ადამიანებს სილამაზისკენ ლტოლვა ჩვევიათ. ღიღინებს ყაყაჩოთი გადაპენტილი ველი და დოქშიც ყაყაჩო დევს. ბუნება და ადამიანი. ყვავილი და თიხა.

დამდგმელი ოპერატორის — ლომერ ახვლედიანის კამერაც ისევე სიბრძნით მიმადლებული და ფაქიზია, როგორც პალიტრა მხატვრისა. დახვეწილი სისადავე, თვალისმომჭრელ ხერხებზე, გარეგნულად ეფექტურ რაკურსებზე უარის თქმა ლ. ახვლედიანის ნიჭისა და ოსტატობის ორგანული ნიშნებია და ამ თავისი ნამუშევრით ოპერატორი ჭეშმარიტი თანაავტორია რეჟისორისა.

ჩვენ უკვე გვიპყრობს ცდუნება, რომ ოპერატორის კამერა შევადაროთ მაგიურ კრისტალს, რომელიც წარმოსახულ სამყაროს აგრერიგ მომაჯადოებელ, მშვენიერ საუფლოდ წარმოაჩენს. მაგრამ, ამასთანავე, ეს რეალური სამყაროა, რომელსაც საკუთარი ხელისგულივით იცნობ, რომლის ყოველი დეტალიც აგრე ნაცნობია და ახლობელი თვალის ახელის დღიდანვე. ასე დანახული საქართველო სიხარულის ცრემლს გვრის ადამიანს.

სწორედ ლ. ახვლედიანის მაგიური კამერა გვეხმარება, ფილმის ყოველ გმირში დავინახოთ ღმერთი, ტიტანი, ნამდვილი პიროვნება, განუმეორებელი ინდივიდუალობა, ყოველ ხეში — ნატვრის თილისმა, ყოველ ყვავილში — ცხოველი სული. ლ. ახვლედიანი გვიჩვენებს იმ სამყაროს, რომელზეც მარიტა ეუბნება გედიას: ,,იცი, ჩვენს ირგვლივ ყველაფერი სულიერია".

ბუნება და ადამიანი, მათი რთული ურთიერთკავშირი და ურთიერთზემოქმედება დანახულია ლ. ახვლედიანის — პოეტისა და ფილოსოფოსის თვალით.

ლ. ახვლედიანის მიერ ,,დაჭერილი" ყოველი სახე ჭეშმარიტი მხატვრის მიერ შექმნილი პორტრეტია, შთამბეჭდავი ტილოა. ჩვენ თუ მარიტამ ფრესკა გაგვახსენა, ვთქვათ, მარადიას პორტრეტის კოლორიტი რემბრანდტს გვახსენებს. ანდა, ნიშნობის სცენა გავიხსენოთ — ცაციკორეს ჩამოსხმული პროფილი და ჩაჩიკასა და მარადიას მბჟუტავი შუქით განათებული მობუზული ფიგურები: თავისებური ,,საიდუმლო სერობაა" ოცდაათ ვერცხლად მარიტას გაყიდვის წინ.

უნდა შევნიშნოთ, რომ ფილმის ყველაზე ტრაგიკული სცენები მრუმე ნისლში ან ნახევრადბნელ სივრცეში ხდება, რაც ბოროტებისა და უმეცრების საშინელების სიმბოლურ ფონს ქმნის. ყველა სხვა ამბავი ვითარდება დაწმენდილი, ძლიერი, ბუნებრივი, სხვანაირად ვერ იტყვი — ღვთაებრივი შუქის ფონზე, რომელიც ერთდროულად იმედითაც გვავსებს და უწყალოდაც გამოკვეთს, ამჟღავნებს ყოველივე უმსგავსობას.

ფილმის მონტაჟი, ისევე, როგორც სხვა ყველაფერი, ემორჩილება ავტორის მთლიან ჩანაფიქრს. ეპიზოდების ცვლა და კადრების თანამიმდევრობა ყოველთვის მკაცრადაა გააზრებული და დიდი ემოციური ძალითა და ღრმად მნიშვნელოვანი აზრითაა დატვირთული. მწუხარებისგან შეძრწუნებული მარადიას სახეს წითლად მოხას-

ხასე ყაყაჩოების თვალგაუწვდენი ზღვა ენაცვლება და უბედური ქალის მსასოებარი მზერის პასუხიც ეს გახლავთ.

ყაყაჩოს ზღვა, ცაში მობოინე არწივი, ან სანთლის მბჟუტავი მკრთალი შუქით განათებული ეკლესიიდან დღის სინათლეზე გამოსვლა — პოეტური მეტაფორებივით, საყვარელი ლექსის სტრიქონებივით აღიქმება.

,,ნატვრის ხის" მუსიკა (კომპოზიტორი ბ. კვერნაძე და ი. ბობოხიძე) — ეს არის ხმა მშობლიური ბუნებისა: ჩიტების გალობა, ნაკადულების ჩხრიალი და საერთოდ, მელოდია ცხოვრებისა, ისეთივე მეტყველი და მშვენიერია, როგორც ხალხური სიმღერის ჰანგები.

როგორც ნებისმიერ ჭეშმარიტად პოეტურ ნაწარმოებებში, ამ ფილმშიც ბევრი რამაა ისეთი, რასაც ვერ მოჰყვები. ეს ფილმი თითქოს თვით მაყურებლის ,,თანაავტორობასაც" მოითხოვს, ბიძგს აძლევს მის წარმოსახვას, ფანტაზიას. ფილმისათვის უცხოა შიშველი ალეგორია, თუმცა იგი მდიდარია ალეგორიებით, ეს ალეგორიები, მეტაფორები, ქვეტექსტები ასოციაციების რთულ ჯაჭვს ქმნიან.

სანიმუშოდ ერთ ასეთ სცენას გავიხსენებთ. მას შემდეგ, რაც ფუფალა თვითონ მიდის ნინორის სახლიდან, ჩვენ ვხედავთ, რომ ფუფალა გზაზე მიდის და რომელიღაც მიამიტურ სიმღერას მოიმღერის. ამ დროს იქითა მხრიდან ამაყი ნაბიჯით მოდის შვიდიოდე წლის ბიჭუნა, ხელები ჯიბეში ჩაუყვია და მოიმღერის (რაღაც სასიყვარულო სიმღერას მღერის, რომელიც ახლა, გასაგები მიზეზით, სასაცილოდ ჟღერს!). ფუფალაც ისეა თავის ფიქრებში ჩაყვინთული და ბიჭუნაც, რომ თითქოს ერთმანეთი ვერც შეამჩნიესო. თავ-თავისი გზით წავლენ. ბიჭი, სხვა დროს რომ ასე აჯავრებდა ფუფალას, ახლა არ აჯავრებს. და მაინც, მათ შორის სუფევს რაღაც აუხსნელი, იდუმალი, მაგრამ მაინც აშკარა, ცხადი კავშირი, რაც ეპიზოდს განსაკუთრებული აზრით ტვირთავს.

სავსებით შესაძლებელია, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვქონდეს შემთხვევით იღბლიან მიგნებასთან, წამით გამკრთალ სხივთან. მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ ბედნიერი, იღბლიანი მიგნება და აღმოჩენა სწორედ წვრილმანებამდე გააზრებულ, აღმოჩენისთვის, სხივის აკიაფებისთვის უკვე მომწიფებულ ნიადაგზე იბადება.

თ. აბულაძის პროფესიული კეთილსინდისიერება ბედნიერად ერწყმის, ეხამება მისთვის ბუნებით მომადლებულ ნიჭიერებას.

თ. აბულაძის მხატვრული გემოვნება შესანიშნავი ლიტერატურული მასალისკენ ილტვის, მაგრამ ადრე ,,ვედრებაში", ახლა კი ,,ნატვრის ხეშიც" პირველწყარო მთლიანად ემორჩილება რეჟისორის ჩანაფიქრს. მის ფიქრთა და აზრთა მდინარებას მიჰყვება. თ. აბულაძისა და ცნობილი მწერლის რ. ინანიშვილის სცენარი გ. ლეონიძის პროზის ქსოვილიდან ცალკეულ ეპიზოდებს იწოვს და ამ ეპიზოდების თანმიმდევრობაში ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური აქცენტები ყველგან თავის ადგილზეა დასმული.

თ. აბულაძის კინემატოგრაფი—ავტორისეული კინემატოგრაფია. ეს არამცდაარამც არ გახლავთ ეკრანიზაცია ამ სიტყვის მიღებული, გავრცელებული გაგებით. თ. აბულაძე ვაჟა-ფშაველასა თუ გ. ლეონიძის სახეთა ეკრანზე ადექვატურად გადატანას არ ისახავს მიზნად. ეს უფრო შემოქმედთა დიალოგია, საყვარელი ნაწარმოებების ილუსტრაციებია, ამ ნაწარმოებებით აღძრული და ნაკვები ფიქრებია. დაუვიწყარია ვაჟას პოემების თ აბულაძისეული წაკითხვა, ასეთივე მოვლენად, იქცა თ. აბულაძის შეხვედრა გ. ლეონიძის მადლიან, შესანიშნავ პროზასთან.

თ. აბულაძის შემოქმედება თავისი არსით ფილოსოფიური და პოეტურია.

როცა პასუხობს კითხვებს — ვინა ვართ ჩვენ? საიდან მოვსულვართ? საით მივდივართ? — თ. აბულაძე განყენებულ ცნებებსა და კატეგორიებს კი არა, ხალხის ცხოვრებისა და ეროვნული ხასიათის, ფსიქიკის ღრმა ცოდნას ემყარება. მისი ღრმადეროვნული ხელოვნება ზოგადადამიანურიცაა, რამეთუ იგი სიხარულს ანიჭებს, ემოციებს აღუძრავს და გულზე ხვდება ნებისმიერი ქვეყნის შვილს.

თ. აბულაძე ცხოვრების ბედუკუღმართობას თვალს არ უხუჭავს, ადამიანის სისუსტეებს სულაც არ ჩქმალავს, მაგრამ იგი მყარად დგას ჰუმანიზმისა და ოპტიმიზმის პოზიციებზე და გამოხატავს ადამიანის დიდი დანიშნულების, ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების გარდუვალობის ნათელ რწმენას.

შემოქმედს სწამს მისი მშობლიური ხალხის უკვდავება. თ. აბულაძის ნაწარმოებების არსთა არსი სწორედ სამშობლოს, მშობელი ხალხის ცხოვრების მძაფრი და ზუსტი განცდაა.

ვფიქრობ, გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ თ. აბულაძის ახალი ნამუშევარი — ,,ნატვრის ხე" ახალი ეტაპია მისი შემოქმედებისაც და თანამედროვე ქართული კინემატოგრაფის განვითარებისაც.

● ● ●

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარინე თბილელი

ლამარა დოღონაძე

მარინე თბილელს თავიდანვე გაუღიმა ბედმა — მუშაობა მოუხდა ქართული სცენის დიდოსტატების — ვ. ანჯაფარიძის, გ. შავგულიძის, შ. ღამბაშიძის, ს. თაყაიშვილის, ა. ვასაძის, ა. ხორავას, ვ. გოძიაშვილისა და სხვათა გვერდით.

მ. თბილელმა ბევრი რამ ისწავლა. ქართული სცენის ამ ბრწყინვალე ოსტატებთან თანამშრომლობამ დააჩქარა მსახიობის შემოქმედებითი ინდივიდუალობის გახსნა და სრული სახით წარმოჩენა.

„ახალგაზრდა რიგებიდან თავისი ბუნებრივი, თვალსაჩინო მონაცემებით — მშვენიერი აღნაგობით, სიკეკლუცით, სინარნარით, გადამდები სიცილ-კისკისით, ტემპერამენტით გამოირჩეოდა მარინე თბილელი", — წერდა ვ. გოძიაშვილი.

მ. თბილელის მომხიბლავი გარეგნობა, ცეცხლოვან ტემპერამენტთან და მოქალაქეობრივ აქტუალობასთან შერწყმისას, ყველა ცხოვრებისეულ და სცენურ დაბრკოლებას სძლევდა.

მ. თბილელის აქტიორული მონაცემები ზედგამოჭრილი იყო როგორც თანამედროვე, ასევე ისტორიული გმირების განსახიერებისათვის. ამიტომაც გამოირჩევიან მომხიბვლელი უშუალობითა და გულწრფელობით, მჩქეფარე სიცოცხლისუნარიანობით და დაუოკებელი ტემპერამენტით მის მიერ რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებში ხორცშესხმული დადებითი პერსონაჟები: ნინო (გ. ერისთავის „გაყრა"), თეკლე ბატონიშვილი (ს. შანშიაშვილის „კრწანისის გმირები"), ლარისა (ა. ოსტროვსკის „უმზითვო"), ელენე (გ. ქელბაქიანის „შესაფერი ჯილდო"), ნინა (გ. ლერმონტოვის „მასკარადი"), ლალი (კ. კალაძის „ლალი"), ლიანა (ვ. პატარაიას „სანაპიროზე"), ნინო (ს. კლდიაშვილის („დაბრუნება"), ნინო (გ. შატბერაშვილის „უცნობი ქალი"), ნანა (რ. ებრალიძის „ნანა"), კატერინა (კ. კორნეიჩუკის „ხსოვნა გულისა") და სხვა.

მ. თბილელის აქტიორული ინდივიდუალობის ნიშნებს თუ შევუთავსებთ სიმღერისა და ცეკვის უაღრესად დახვეწილ მანერას, მუსიკისა და პლასტიურობის ღრმა შეგრძნებას, მაშინ გასაგები იქნება — რატომ იტაცებდა მაყურებელს ჭკუამახვილი და სიცოცხლით სავსე მისი აბიგაილი (სკრიბის „ჭიქა წყალი"), ლიზეტა (გოლდონის „საპატარძლო აფიშით"), ფლორელა (ლოპე და ვეგას „ცეკვის მასწავლებელი"), მირანდოლინა (გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი"), დონა ინესა (მორეტოს „ცოცხალი პორტრეტი"), ბოშა ქალი („ოლეკო დუნდიჩი") და სხვ.

მ. თბილელის შემოქმედებაში სახიერ ემბლემასავითაა ამოზრდილი ცეკვის ეპიზოდი „ოლეკო დუნდიჩიდან". ცეკვების დამდგმელის, დ. მაჭავარიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, მარინეს შემოქმედებით ინდივიდუალობას დიდად განუსაზღვრავს ამ სცენის ჩანაფიქრი და ცეკვა სპეციალურად მისთვის ყოფილა დადგმული.

მაგრამ როცა მ. თბილელი თამაშობდა უარყოფით პერსონაჟებს, — ვერაგი ლედი ანა („რიჩარდ III"), ამპარტავანი, გულცივი და გაზულუქებული ქალბატონი კაპულეტი („რომეო და ჯულიეტა"), ფხიზელი, პრაქტიკული და გულბოროტი ლამაზმანი ფატიმა („ბაში-აჩუკი"), ბაბუსია („აბეზარა"), ანუში („ძია ბაღდასარი") და სხვ. — იგი მეტყველ გარდასახვას აღწევდა, მაყურებელს არწმუნებდა მხატვრული სახის სიმართლეში. მსახიობი მაშინაც კი ინარჩუნებდა პიროვნულ მომხიბვლელობას, როცა სახასიათო როლებს ასრულებდა, თუნდაც ეს ყოფილიყო ვოდევილური კეკელა, ანდა ქართული კლასიკის ღრმად სოციალური ნაწარმოების პერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სონაჟი დარეჯანი. ამ პერსონაჟებს მსახიობი კომიკურ-პაროდირებული ვარიანტით გვთავაზობდა. საკუთარი ღირსებების დაცვისა თუ შენარჩუნების თემა ქვეცნობიერად გასდევს კეკელას როლსაც კი. ქალაქის სასამართლოში მოწმედ გამოძახებული სოფლელი ქალი კეკელა-თბილელი მისთვის ჩვეული დაუცხრომლობით სცენაზე მიმდინარე ამბების შუაგულში ექცევა და ცდილობს ანგარიში გაუსწოროს თავის მოწინააღმდეგეებს:

მონაკვეთის მხატვრული გამოხატვის შემდეგ, მსახიობი თავის თავში ვეღარ პოულობს ახალი გმირების სცენურად გარდასახვის უნარსა თუ საშუალებებს და დროებით შემოქმედებით კრიზისს განიცდის.

ასეთი პერიოდი იყო მ. თბილელისათვის 1960-1963 წლები. ამ ხნის მანძილზე იგი დაუღალავად ეძებდა თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობის ახალ ზღუდეებს, ახალ ხაზებს,



სცენა სპექტაკლიდან „ქორწინება".
ფიოკლა ივანოვნა — მ. თბილელი,
ჟევაკინი — ზ. ლაფერაძე

,,ბადალი არა მყავს და გავიმარჯვე, მაშ არა და შევარჩენდიო", — ეს სიტყვები ამ როლს ლაიტმოტივად გასდევს ბოლომდე.

მ. თბილელის შემოქმედებაში შეინიშნება რამდენიმე ძირითადი ხაზი, უფრო სწორად, პერიოდი. ამ პერიოდების დიალექტიკურ კავშირს სხვადასხვა ამპლუით თამაში კი არ განაპირობებდა, არამედ ეროვნული ხასიათისა და გარდასახვის მხატვრული ხერხების განვითარება-ტრანსფორმაცია.

პირველად მ. თბილელის გმირები 50-იან წლებში გამოჩნდნენ სცენაზე და მათი მეშვეობით მსახიობმა დამაჯერებლად გამოხატა მისი თანამედროვეებისა და თანატოლების შინაგანი სამყარო, აზრები, გრძნობები და ოცნებები.

მაგრამ ხდება ისიც, რომ ეპოქის გარკვეული

ცდილობდა ახალ პერსონაჟებში მეტი სოციალური შინაარსის შეტანას, ისწრაფვოდა თავისი მხატვრული პალიტრა გაეძლიერებინა უფრო ნატიფი გამომსახველობითი ხერხებით, გროტესკული ფერებით, რაც ხალხური პერსონაჟების დახასიათებას ასე ძლიერ სჭირდება.

ამიტომაც არის, რომ კეკელას როლის შესრულება ჩვენ გვესახება არა სახასიათო როლების ამპლუაში გადასვლად, არამედ ადრე მონიშნული ხაზის გაგრძელებად მარინე თბილელის შემოქმედებაში. ეს იყო მსახიობის ნიჭის ახალი გამოვლინება, რაზედაც მიგვანიშნებდნენ მის მიერ ადრე შესრულებული სახასიათო როლები: ტასიკო (,,მისი ვარსკვლავი"), მარია ანტონოვნა (,,რევიზორი"), ლუნდიშევა (,,ლამაზი მამაკაცი") და სხვ.

როცა მ. თბილელის სცენური პერსონაჟების ხალხურ ხასიათზე ვსაუბრობთ, მარტო დადებით გმირებს კი არ ვგულისხმობთ, რომლებიც მან უკეთესი თვისებების მქონე ადამიანებად წარმოგვიდგინა, არამედ ქართული სცენის იმ უარყოფით პერსონაჟებსაც, რომელთა ხასიათებსაც მსახიობი ახალი სატირული შტრიხებით ამდიდრებს. ამიტომაც დარჩნენ ისინი მაყურებელთა მეხსიერებაში კოლორიტულ ფიგურებად. ამ პერსონაჟების ხალხურობა იმაში მჟღავნდება, რომ მსახიობი გვიხასიათებს მათ როგორც ყოფითად, ასევე სოციალურად და წინა პლანზე გამოაქვს ხალხის ეროვნული თვისებების ნიშანდობლიობა.

ხალხური მეტყველების უტყუარი ეთნოგრაფიული იმიტაციის მეშვეობით მ. თბილელი ქმნის ქართველი გლეხი ქალის სახეს. ამ სახეში ხალხის ყოფიერების ღრმა შრეებიდან ამოკვეთილი ძირეული ქართული ხასიათი შეიცნობა, რაც გამდიდრებულია ხალხური სანახაობისთვის დამახასიათებელი საღებავებით.

მსახიობის შემოქმედების მეორე ეტაპს შეიძლება ვუწოდოთ სოციალურად მამხილებელი მიმართულება, როგორც არ უნდა აშიშვლებდეს მსახიობი ჩარჩ-ვაჭრებს, ჭორიკნებს, ცხოვრებიდან მიმავალ თავად-აზნაურთა წარმომადგენლებს, როგორც არ უნდა ამხელდეს მათ უარყოფით თვისებებს სატირული საღებავებით, მისი გმირების ხასიათში მაინც გამოკრთის ხალხური კოლორიტი.

ცალკე უნდა გამოვყოთ მ. თბილელისა და ვ. გოძიაშვილის შემოქმედებითი თანამშრომლობა. მარინე თბილელი ვასო გოძიაშვილის ღირსეული პარტნიორი იყო შემდეგ როლებში: ფლორელა, მარი ანტონოვნა, ლუნდიშევა, ლედი ანა, ანუში და სხვები.



სცენა სპექტაკლიდან „კავკასიური ცარცის წრე“. ნათელა, გუბერნატორის მეუღლე — მ. თბილელი, გოგი, ადიუტანტი — ს. ლაღიძე

ვ. გოძიაშვილს უყვარდა მუშაობა მარინესთან, მასში იგი ხედავდა ჯერ კიდევ ბოლომდე გაუხსნელი არტისტული ნიჭის ნიშნებს. ბევრი როლი მსახიობს შესრულებული აქვს ვ. გოძიაშვილის დაჟინებული თხოვნით. მათი თამაში „ვოდევილში“ შესანიშნავი თეატრალური დუეტი იყო. ვ. გოძიაშვილი გულწრფელად ჩაერთვებოდა ხოლმე კეკელასთან სცენურ პაექრობაში. იგი შეძრწუნებული და გაოცებული უყურებდა გლეხი ქალის გაუთავებელ ლაყბობას და მთელ ძალ-ღონეს ხარჯავდა იმისათვის, რომ როგორმე მოეთოკა კეკელას შეუპოვრობა, დაეთრგუნა მისი გასაოცარი ენერგია.

მ. თბილელი უნაკლოდ ფლობს პარტნიორთან ურთიერთობის საიდუმლოებას, ღრმად გრძნობს მის სულ უმნიშვნელო ნაფიქრ-ნააზრევს და გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნცდებს. იგი ღირსეული პარტნიორი იყო გიორგი შავგულიძისაც. მათი ურთიერთობა სცენაზე ბადებდა ნამდვილ სცენურ განწყობილებას, ისინი ერთმანეთს ასაჩუქრებდნენ ახალ-ახალი საღებავების აღმოჩენის პირველქმნილი განცდის სიხარულით.

მაგრამ თბილელს არ სჩვევია მიღწეულით დაკმაყოფილება. სოფლელი ქალების პირველხარისხოვანი როლები არ იყო მისი პირდაპირი მოწოდება, თუმცა მოსკოვში გასტროლების დროს ის შეადარეს ყოფითი რეპერტუარის უბადლო ოსტატს მ. სადოვსკაიას.

მაშინ საქართველოში ბევრმა ირწმუნა, რომ გმირ ქალთა სახეები უკან დარჩა. ,,თბილელმა გამოიცვალა ამპლუაო", — იტყობინებოდა პრესა, მაგრამ მათ არ იცოდნენ, რომ სწორედ ამ დროს დაუცხრომელი ბუნების მსახიობს მოსვენებას არ აძლევდა სიახლეებისაკენ დაუოკებელი სწრაფვა.

და, აი, 1974 წლიდან მ. თბილელი რუსთაველის თეატრშია, აქ კვლავ ადრინდელ რაკურსში წარმოჩინდა მისი აქტიორული ინდივიდუალობა. ერთ სეზონში მ. თბილელმა წარმატებით შეასრულა ორი ისეთი როლი, როგორიც არის გუბერნატორის მეუღლე (ბრეხტის ,,კავკასიური ცარცის წრე") და მილენინა (გელმანის ,,დასაწყისი"). გუბერნატორის მეუღლის როლში ისე გაბრწყინდა მისი უდიდებულესობის თანამეცხედრე, თითქოს მთელი სამეფო სასახლე თან მოჰქონდა სცენაზე. მიუხედავად ამ როლის ეპიზოდურობისა, მიუხედავად იმისა, რომ როლს მხატვრულად დიდი ფუნქციები არ აკისრია, თბილელის შესრულებით სცენაზე გაცოცხლდა ამაყი, გულცივი, მაგრამ ლამაზი ქალბატონი, რომლის სახეში იმდენი უსულგულობა და სიმკაცრე იმალება, რომ მაყურებელს ეჭვი აღარ ეპარება მის მუხანათობაში. დედობის არსისაგან გაუცხოებული ბოროტი ქალბატონია თბილელის პერსონაჟი, იგი იმდენად ვერაგია, რომ მაყურებელს სჯერა, ასეთ ადამიანს საკუთარი შვილის გახლეჩაც შეუძლიაო... და იქვე, ამის გვერდით, თბილელი გვევლინება უაღრესად გულკეთილი ეკონომისტის მწვავე სახასიათო როლში (,,დასაწყისი").

ამ როლებმა ცხადყო მ. თბილელის შინაგანი სამყაროს გამდიდრება, მისი ცხოვრებისეული დაკვირვებების მასშტაბურობა, აგრეთვე ისიც, რომ მსახიობს კვლავ შესწევს უნარი დაგვიხატოს



სცენა სპექტაკლიდან „რიჩარდ III".
ლედი ანა — მ. თბილელი

ახალი, თანამედროვე გმირი, რომ სცენური ოსტატობის მაღალი დონით ის არა მარტო სწვდება პერსონაჟის შინაგან სამყაროს, არამედ მისი ვირტუოზულად წარმოსახვაც შეუძლია.

ხელოვნებაში მუდმივი ახალგაზრდობა მხოლოდ ნამდვილ შემოქმედთა ხვედრია. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როცა მ. თბილელი ვნახეთ მილენინას როლში.

მსახიობმა წარმატებას, უპირველეს ყოვლისა, იმით მიაღწია, რომ მაღალი პროფესიონალიზმის წყალობით თავისი შემოქმედებითი პოტენცია თითქმის დაუხარჯავი სახით წარმოგვიდგინა. გვაგრძნობინა ძალა და სითბო ჭეშმარიტი ლირიზმისა.

დიახ, მოიპოვა დიდი გამარჯვება, უფრო სწორად, თბილელის დაუღალავი ძიებანი წარმატებით დამთავრდა, რადგან მან ახალი ფორმები მჭიდროდ დაუკავშირა ცხოვრების ახალ შინაარსს და დროის კარნახით გაპირობებული თანამედროვე ხასიათის შეცნობას.

უნდა ვთქვათ, რომ რ. სტურუას ჩანაფიქრი ყველაზე მკვეთრად მ. თბილელის მილენინას სახეში გამოჩნდა.

მილენინას საქციელის მოტივებში ჩახედვამ ჩვენთვის ნათელი გახადა, რომ მსახიობმა პიროვნების ზნეობრივი გამოფხიზლება მიუჩნევია თავისი გმირის საქციელის განმსაზღვრელ-მამოძრავებელ ფაქტორად და არა — გმირობის ჩადენა, საქმისათვის თავის განწირვა. საამისოდ მილენინას არც ასაკი უწყობს ხელს და არც ხასიათი. ამიტომ არის, რომ მ. თბილელი სულაც არ ცდილობს თავისი პერსონაჟი აქტიურ გმირად წარმოსახოს. იგი ხალხიდან გამოსული ჩვეულებრივი პიროვნება უფროა, ვიდრე რაიმეთი გამორჩეული მოქალაქე. თუმცა მსახიობი რიგითი ეკონომისტის თავგადასავალს ისეთ გაგებას აძლევს, რომ მილენინას ამბავი თავისით გაიზრდება მთავარ ზნეობრივ პრობლემაში, ე. ი. რიგით ადამიანში აქტიურობის გაღვიძებისა და მოქალაქეობრივ შესაძლებლობათა შემეცნების პრობლემაში.

მილენინა-თბილელი მხოლოდ ერთხელ გამოჩნდება სცენაზე, ისიც სულ რაღაც ხუთი წუთით, მაგრამ ხუთ წუთში მას გრაფიკულად გამოკვეთილი პლასტიკური სახე აქვს და ემოციურად დამუხტული სულიერი სამყარო. მაყურებელი მის პირველივე გამოჩენას მქუხარე ტაშით ხვდება. ეს ტაში მოულოდნელობისაგან განცდილი

სცენა სპექტაკლიდან „ქამთა სიავე".
გაიანე — მ. თბილელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობების გამოხატულებაა და გაკვირვება-გაოცება ბოლომდე გასდევს დარბაზს პერსონაჟთან შეხვედრის წუთებში.

ჩვეულებრივი ქალის უშუალობა გამოკრთის მილენინას გარეგნულ დეტალებში. სახის ნაკვთებიც კი თითქოს მეტისმეტად მსხვილი და სინატიფეს მოკლებული აქვს, დიდი სათვალე საკირკიტო სამუშაოზე მეტყველებს. სხვათა შორის, მილენინას გარეგნულ პორტრეტში ქართულ სინამდვილეში მონახული პროტოტიპი შეინიშნება. ასე უჩინო ადამიანად გარდაქმნილი მილენინას სახეზე მხოლოდ თვალები გამოირჩევა უჩვეულოდ. ისინი გულთბილად ანათებენ, შინაგან სინათლეს გამოსცემენ ახლად დაბადებული, ანდა, იქნებ — გამოღვიძებული მშფოთვარე სულისა, ასე დიდხანს რომ თვლემდა ყოველდღიური ფუსფუსის მიღმა. მაყურებლის პირველ გაკვირვებას სწორედ გმირის უბრალო გარეგნობის ეფექტი იწვევს, რაც მსახიობის მიერ გროტესკის იერით არის მოწოდებული და შერწყმულია გამოფხიზლებული ადამიანის პიროვნულ გულითადობასთან. ეს სულიერი პროცესი მ. თბილელს მაყურებელთან მიაქვს ფრთხილად, ძალდაუტანებლად, კრძალვით.

გარდასახვის რამდენი ოსტატობა, როგორი წინასწარი მომზადება მოეთხოვება მსახიობს, რომ მან ესოდენ მცირე დროში, ერთ ეპიზოდში გადმოსცეს ადამიანის ხასიათი, ბიოგრაფია, განვლილი ცხოვრების მანძილზე მის სულში მომხდარი ფსიქოლოგიური პროცესები და ზნეობრივი გარდაქმნები.

მილენინა-თბილელის მარტივ წინადადებებს და ძუნწ სიტყვებს ამ ეპიზოდში მიმიკური პაუზები სჭარბობენ. მსახიობი თითქოს აბრუნებს უზარმაზარ ადამიანურ სამყაროს და მის ფონზე გადაგვიშლის მარტოხელა ქალის ცხოვრებას, ყოფას, ყოველდღიურ წვრილმანებში ჩაფლული ადამიანის არსებობას, უსიხარულოდ ჩავლილ დღეებს, სწრაფად ჩაქროლილ ახალგაზრდობას. ყოველივე ამას თავისი ბეჭედი დაუსვამს მილენინასათვის და მთელ მის გარეგნობას ძალუმად ეტყობა უხეიროდ ჩავლილი სიცოცხლის კვალი.

მსახიობი თავისი პერსონაჟის ზნეობრივი არსიდან დახვეწილი არტისტიზმით გამოყოფილ ყოველ დეტალს ჰიპერბოლის სიბრტყეზე აყენებს და გროტესკის ხარისხით სთავაზობს მაყურებელს.

მილენინას შინაგან არსთან, მის ხასიათთან, განვლილ ცხოვრებასთან და მოძველებულ შეხედულებებთან ახალი როლის შეუთავსებლობის ფსიქოლოგიური ნიუანსები, რომლითაც მილენინა თავისი კოლექტივისა და მაყურებლის წინაშე წარსდგება, მსახიობს შესანიშნავად აქვს დაჭერილი. ეს ნათლად ეტყობა პროვინციული ელფერის წყნარი ქალის დაძაბულ სახეს, მის ფართოდ გახელილ თვალებს, რომლებშიც ერთ-



„დასაწყისი". ეკონომისტი — მ. თბილელი

„ძველი ვოდევილები" კეკელა — მ. თბილელი



დროულად ამოკითხება იმის შიშიც, თუ როგორ შეხედავენ მის საქციელს იქ მყოფნი და და ამასთან — სულის მხნეობაც, რომ იგი არ განუდგება არჩეულ გზას, ბოლომდე შეინარჩუნებს რწმენას.

ასე შემოდის სცენაზე მილენინა. მერე და მერე კი, როცა თანდათან რწმუნდება, მუშათა ბრიგადა მენდობაო, პერსონაჟის პაუზებით წარმოთქმულ ყოველ ფრაზაში თანდათან გამოაშკარავდება იმის შეგნება, რომ მუშათა ბრიგადა ყოფილა ნამდვილი შემოქმედებითი კოლექტივი, რომ მხოლოდ იგი ზრუნავს ტრესტის არა ფორმალურ პრესტიჟზე, არამედ თავისი მუშური ღირსების დაცვაზე. და ეს აქამდე უცნობი გრძნობა მილენინას ნათელ თვალებში სიხარულად გამოკრთება, ეს სიხარული ადამიანთა შორის ახალი ურთიერთობის ანარეკლია და კიდევ იმისა, რომ თურმე ყოფილან ქვეყანაზე ადამიანები, რომელთაც მარტოხელა ქალის ცხოვრებაში სითბოს შეტანა შესძლებიათ.

მილენინას ცხოვრებაში მომხდარ ამ ნაგვიანებ ფერისცვალებასა და გამოფხიზლებას ჩაყურებელი ხმამაღლი სიცილით ხვდება, მაგრამ ეს თანაგრძნობის სიცილია, გულწრფელი სიცილი.

გრძნობისა და პლასტიკის გროტესკულ ფერებში გამოტარებული ფსიქოლოგიური ასპექტი ზნეობრივი გამოფხიზლებისა მილენინას სახეს ტრაგიკომიკურ ხასიათს ანიჭებს. მ. თბილელი ხაზს უსვამს მილენინას უკვე ჩამოყალიბებულ ხასიათთან მისი ქმედობის შეუსაბამობას, კომიკური სიტუაცია კი იმით იქმნება, რომ ეს გრძნობების ამფორიაქებელი პოეზია და რომანტიკა ძალიან გვიან ეწვია მილენინას, და მისი პირველი ყმაწვილური სიხარული არ შეესაბამება შინაბერა ქალის გარეგნობას.

მ. თბილელის საშემსრულებლო მანერა ეყრდნობა ცხოვრებისეული სინამდვილის ასახვას და ტიპობრივი უტყუარობის ესთეტიკას.

როლზე მუშაობის დროს მსახიობი, პირველ რიგში, ყურადღებას აქცევს როლის არა საერთო ტენდენციებს, მშვენიერებისა და უხამსის ესთეტიკურ კატეგორიებს ან მხატვრული სახის ზოგად აბსტრაქტულ წარმოსახვას, არამედ პერსონაჟის ხასიათის ინდუქტიური ხერხებით გახსნას, ანუ ტიპიურობას. ზოგადს მსახიობი მხოლოდ კონკრეტულ ერთეულში ეძებს. ამის გამოა, რომ გმირის შინაგან სამყაროსთან იგი მიდის ზუსტი ცხოვრებისეული პროტოტიპის ხატვის გზით.

მ. თბილელს განუმეორებელი იუმორის გრძნობა აქვს და მოყოლის შესანიშნავი ნიჭი. ცხოვრებისეული მოვლენებისა და ადამიანების თავისებური აღქმა მასში ბადებს ამ მოვლენების სახეობრივად დანახვის უნარს. კერძო მოვლენის განუმეორებლობა, ნანახის უტყუარი სურათი ისე ღრმად იკიდებს ფეხს მის მეხსიე-



„გუშინდელნი". კნეინა ჩიტუნია — მ. თბილელი

„ტალანტები და თაყვანისმცემლები". დომნა პანტელეევნა — მ. თბილელი



რებაში, რომ როლზე მუშაობის დროს ძალაუნებურად ცოცხლდებიან მისი ბავშვობის მოგონებები, ახლობელი და შემთხვევით შეხვედრილი ადამიანების სახეები. ხასიათის პროტოტიპის ძიებას მ. თბილელი მანამდე განაგრძობს, სანამ ცხადლივ არ დაინახავს ამა თუ იმ კონკრეტული ადამიანის ხასიათს. ამიტომაცაა ყოველი მის მიერ მიგნებული სახე იმდენად ტიპიური და შთამბეჭდავი, რომ ზოგჯერ თეატრის პროფესიონალ მაყურებელთაგანაც კი გვსმენია: ,,ეს ქალი სადღაც მინახავსო''.

მაგრამ პორტრეტი მსახიობს ასლივით ანდა ფოტოსურათივით როდი გადმოაქვს, იგი სესხულობს მხოლოდ იმ ნიშნებს, რომლებიც ხასიათის ინტერპრეტაციისა და პერსონაჟის შინაგანი სამყაროს არსის გამჟღავნებისათვის გამოადგება.

მიუხედავად იმისა, რომ მსახიობის გამომსახველობითი საღებავები მძაფრი ფერებით გამოირჩევა, ხაზები მკვეთრი და რელიეფურია, იგი უარყოფით პერსონაჟებს მაინც არ გვიხატავს სატირული დაუნდობლობით. მსახიობი ბოროტი თვალით კი არ უყურებს მათ, არამედ სიბრალულით შეფერილი იუმორით. რაც შეეხება დადებით გმირებს, განსაკუთრებით მილენინას — აქ პერსონაჟის ხასიათის ინდუქტიური მეთოდი მ. თბილელს უფრო დაუხვეწია და ახალი საღებავებით გაუმრავალფეროვნებია.

მილენინას როლი, როგორც წინათ იტყოდნენ, მ. თბილელმა საბენეფისო როლივით ითამაშა, მთელი არსებით, მთელი არტისტული შემართებით და სამართლიანადაც დაიმსახურა თეატრალური საზოგადოების 1976 წლის პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის. ამ როლში გამარჯვების საიდუმლო, ანუ მაყურებელზე მილენინას სახის ემოციური ზემოქმედების მიზეზი, ჩვენი აზრით, გროტესკის მძაფრ ტონებთან ფსიქოლოგიური ასპექტების ვირტუოზულ შერწყმაშია საძიებელი.

მ. თბილელის მილენინა გამოძერწილია შიშისა და გამბედაობის, ჩვეულებრივისა და არაჩვეულებრივის, პოეზიისა და პროზის, ცხოვრებისეულის პირობითით შეცვლის კონტრასტული ტონებისაგან. ამ კონტრასტებში იდეალურად მიღწეულმა წონასწორობამ განაპირობა თბილელის ოსტატობაში ახალი ზღუდეების აღმოჩენა თეატრში მუშაობის დღევანდელ ეტაპზე, ამანვე გაამდიდრა მსახიობის პალიტრა თანამედროვე გამომსახველობითი საშუალებებით..

● ● ●



მედეა ამირანაშვილი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დიდი მიღწევებისათვის თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტებს მედეა პეტრეს ასულ ამირანაშვილსა და ლამარა გრიგოლის ასულ ჭყონიას მიენიჭათ სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება .

ჟურნალ ,,საბჭოთა ხელოვნების'' რედაქცია და სარედაქციო კოლეგია ულოცავენ მათ ამ წარმატებას.

ლამარა ჭყონია



# შექსპირი ქართველ თეატრის მხატვართა შემოქმედებაში

გაიანე ალიბეგაშვილი

უილიამ შექსპირის ნაწარმოებების სცენაზე განხორციელება მუდამ იყო და არის თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი ურთულესი და საინტერესო ამოცანა, რამდენადაც აქ ფართო ასპარეზი იშლება თეატრის მრავალფეროვანი შემოქმედებითი ძალების შესაძლებლობათა გახსნისათვის.

შექსპირის ნაწარმოებები იმთავითვე წარმოადგენდა ქართული თეატრის ყოველწლიური პროგრამის აუცილებელ და მნიშვნელოვან ნაწილს. მათ დადგმასთან დაკავშირებულია არა მარტო ჩვენი კულტურის საამაყო მოღვაწეთა, რეჟისორების — კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის შემოქმედებითი მიღწევები, არამედ მრავალი ქართველი მხატვრის ნიჭიერების გამოვლენაც.

ქართული თეატრის სცენაზე უ. შექსპირის პიესების ღრმად ადამიანური არსის გახსნაში საგულისხმო წვლილი შეიტანეს ქართველმა მხატვრებმა.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების საგამოფენო დარბაზში მოწყობილმა გამოფენამ, რომელზეც წარმოდგენილი იყო ქართველი მხატვრების მიერ უ. შექსპირის პიესებისათვის შესრულებული ესკიზები, მაყურებელს არა მარტო გააცნო ცალკეული მხატვრის შემოქმედების თავისებურება და მიღწევები, არამედ წარმოდგენა შეგვიქმნა მხატვრული ამოცანების რთული ცვლის პროცესზე, ქართულმა თეატრალურმა ხელოვნებამ არსებობის ორმოცდაათ წელზე მეტი ხნის მანძილზე რომ განვლო.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა თაობის მხატვართა ნამუშევრები, დაწყებული ოციანი წლებიდან დღემდე.

პ. ოცხელი, ირ. გამრეკელი, ელ. ახვლედიანი, დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი, ი. შარლემანი, ს. ქობულაძე... მათ სახელთან დაკავშირებულია ქართული თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების ჩამოყალიბება და მისი შემდგომი განვითარება.

ზოგიერთმა მათგანმა, მათ შორის, პირველ რიგში. პეტრე ოცხელმა და ირაკლი გამრეკელმა თავისი შემოქმედება მთლიანად თეატრს მიუძღვნეს. ამ ორი მხატვრის თეატრში მოღვაწეობა ქართული თეატრის ბრწყინვალე პერიოდს მიეკუთვნება.

თუმცა პეტრე ოცხელის ნამუშევრებიდან, ისევე როგორც სხვა მხატვრებისა, გამოფენაზე მხოლოდ თითო ან ორი ესკიზი იყო წარმოდგენილი (ამის გამო, სპექტაკლის გაფორმებაზე არასრულყოფილი წარმოდგენა იქმნებოდა), მაგრამ ეს მასალა მაინც ერთგვარად ასახავდა როგორც მხატვრის შემოქმედების თავისებურებას, ისე თეატრალურ მხატვრობაში განვითარების სხვადასხვა ეტაპზე წამოყენებულ ამოცანებს, კერძოდ, სპექტაკლ „ოტელოს" ესკიზების მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ როგორი გრანდიოზულობითა და მასშტაბურობით ხასიათდებოდა პ. ოცხელის მიერ ამ სპექტაკლისათვის შექმნილი დეკორაციები, რომლებიც მაყურებელს განაწყობდა პიესის ჰეროიკული და ტრაგიკული მომენტების სრულყოფილად აღსაქმელად.

ფართო, დიდი კიბე, კულისების სახით აღმართული ფარები, რომლებსაც აფრები ცვლიან, სცენის სიღრმესა და სიგანეშია მთლიანად გაშლილი. ამით ეს დეკორაციები განსხვავდებიან ოცხელის მიერ უფრო ადრე შექმნილ „ურიელ „აკოსტასა" და „ბეატრიჩე ჩენჩის" დეკორაციე-

ე. ახვლედიანი

„აურზაური არაფრის გამო“
დეკორაციის ესკიზები (71 გვ. ზემოთ)

დ. კაკაბაძე

„მეფე ლირის“ დეკორაციის ესკიზები
(71 გვ. ქვემოთ)



ბისაგან, სადაც ცალკეული ელემენტები კომპაქტური, ერთმანეთთან ფიზიკურად დაუკავშირებელი კონსტრუქციის სახით იყო მოცემული. მხატვარი კვლავაც იყენებს კიბეებს, კულისებს, დაზგებს, უფრო მჭიდროდ უკავშირებს მათ სცენის რეალურ სივრცეს, ხოლო მასშტაბების გაზრდით სპექტაკლის საერთო განწყობილების გაძლიერებას აღწევს. ფორმები ხასიათდება გეომეტრიული სიმკვეთრითა და განზოგადებით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ესკიზების მიხედვით ძალზე იოლი უნდა ყოფილიყო დეკორაციების განხორციელება, იმდენად ზუსტადაა დამუშავებული და ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული დეტალები.

სივრცის მასშტაბურობის შთაბეჭდილება მიღწეულია სასცენო კოლოფის სიღრმით. კიბის ნაპატი, ფარების განლაგება სიღრმეში პერსპექტიულად მიმავალი ხაზების მიმართულებას ემორჩილება. ეს კი სცენის სივრცის საზღვრების გადალახვის შთაბეჭდილებას ქმნის. ამას ხელს უწყობს აგრეთვე ფარების აღმართვა საქუსარებზე: ფარები, შუბები მაყურებლის შეგრძნებაში ზევით გრძელდება.

პ. ოცხელი „ოტელოს“ დეკორაციის ესკიზები





ეროვნული ბიბლიოთეკა





„ოტელოს“ გაფორმებაში მხატვარი ინარჩუნებს წინა ნამუშევრებში გამომჟღავნებულ ლაკონიურობას, მონუმენტურობას და, რაც მთავარია, თეატრალურობისადმი სწრაფვას; მაგრამ წინა პერიოდისაგან განსხვავებით, აქ ჩნდება ახალი ტენდენცია — სასცენო სივრცისა და გამოსახული მოქმედების ადგილის რეალური დამთხვევა.

საინტერესოდ აქვს გადაწყვეტილი პ. ოცხელს კოსტუმები: ისინი წარმოგვიდგებიან მონუმენტურად გადაშლილ „დრაპირებათა“ ლაქების სახით. მაშინ, როდესაც მამაკაცთა კოსტუმების ნაკეცები გეომეტრიზებულ, მონოლითურ და სტატიკურ ფორმებს ქმნიან, ქალთა, კერძოდ, დეზდემონას ტანსაცმელში ნაზად მომდინარე ხაზები ეხმარებიან სინაზის გამოვლენას. ამასთანავე, ქალთა კოსტუმებში არ არის დავიწყებული სამკაულებიც, რომელთაც მხატვარი იუველირული სიზუსტით გადმოგვცემს.

საინტერესოა ამ ესკიზების შედარება ამავე გამოფენაზე წარმოდგენილ ელენე ახვლედიანის ესკიზებთან, რომლებიც შექმნილია ბევრად უფრო გვიან სპექტაკლისათვის „აურზაური არაფრის გამო“ (1963 წ.) პიესის სულ სხვაგვარი ხასიათი განაპირობებს დეკორაციების ფორმათა სიმსუბუქეს, მხიარულ კოლორიტს. ზუსტი, დახვეწილი ნახატი, საერთო დეკორაციულობის შთაბეჭდილება, ამავე დროს ფერწერულობისადმი სწრაფვა ამჟღავნებს თვით მხატვრის შემოქმედების თავისებურებასაც, განსხვავებულს ოცხელის შემოქმედების ხასიათისაგან.

ამ დეკორაციებში თავი იჩინა აგრეთვე იმ ძიებებმა, რომელიც დამახასიათებელია სამოციანი წლებისათვის, როდესაც აღიარება ჰპოვა ერთმანეთისაგან განსხვავებულმა მხატვრულმა მიდგომამ (როგორც ფერწერული, ისე აშენებული დეკორაციები, განზოგადებული ფორმები), თეატრალურობის შენარჩუნების ფარგლებში, რაც ხელს უწყობდა თვით მოქმედების ხასიათის გახსნას.

თუ ოცხელთან თეატრალურობის შთაბეჭდილება იქმნება გეომეტრიულ ფორმებამდე დაყვანილი დეკორაციების მასშტაბურობით, ფერის ძუნწი გამოყენებით (აქ მეტი როლი განათებას ენიჭება), ელ. ახვლედიანი, ირ. შტენბერგი თეა-





ეროვნული ბიბლიოთეკა







ს. ვირსალაძე
ფილმ „ჰამლეტის“ კოსტიუმების ესკიზი

ს. ვირსალაძე
„რომეო და ჯულიეტა“. კოსტიუმების ესკიზები

ი. შტენბერგი →
„ჭირვეულის მორჯულება“. კოსტიუმების ესკიზები

ტრალურობას აღწევენ, პირველ რიგში, ფერადოვნების ,,გრძნობით''.

ამ მიმართულებით დეკორაციული ფერწერის განვითარებაში დიდი როლი ეკუთვნის სოლიკო ვირსალაძეს.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ს. ვირსალაძის ესკიზები ბალეტ ,,ოტელოსათვის''. მიუხედავად იმისა, რომ ეს ესკიზებიც შესრულებულია ბევრად უფრო გვიან, ვიდრე ოცხელის მიერ იმავე ნაწარმოებისათვის შექმნილი ესკიზები, მათი შედარება საინტერესოა არა მარტო მხატვრული მიდგომის საერთო ევოლუციის თვალსაზრისით, არამედ სხვადასხვა ხასიათის დადგმათა სპეციფიკის გათვალისწინების თვალსაზრისითაც: ერთ შემთხვევაში ეს დრამატული თეატრის სპექტაკლია, მეორეში — ბალეტი.

ს. ვირსალაძის ესკიზებში წამყვანია დეკორაციების ელემენტთა საერთო მხატვრული ეფექტი, მათი ფერადოვანი ჟღერადობა ანსამბლში, რაშიც დიდი როლი ენიჭება განათებას. უკვე ესკიზებში ნათლად ჩანს, თუ როგორ ამდიდრებს ფერადოვან გადაწყვეტას შუქი: იგი ხან სისხლისფერ ლაქებად იღვრება შავ, მძიმე ფარდებზე, ხან მკრთალ ოქროსფრად ციმციმებს კოსტუმების დეტალებზე, ფერადოვანი ლაქები იმდენად ფორმათა გარკვეულობას არ ემსახურებიან, რამდენადაც საერთო მხატვრული შთაბეჭდილების შექმნას. უსასრულოა ფარდების დრაპირების ვარიაციები. ამ ფარდების საშუალებით წმინდა თეატრალური ეფექტი მონუმენტურობამდეა აყვანილი. შავი ფერის სიჭარბის მიუხედავად, მხატვარი აღწევს მდიდრული ფერადოვანი გამის შთაბეჭდილებას. მეტყველი ელემენტებით ფარდებზე (ვენეციის ემბლემა — ლომი) ლაკონიური და ამავე დროს, ეპოქის სტილის გამომხატველი კოსტუმებით, ყოველი დეტალის ფაქიზად გააზრებით ერთიანი სანახაობრივი ანსამბლი იქმნება. ამავე დროს, დეკორაციების ელემენტების

განლაგებითა და ერთმანეთთან დაკავშირებით მხატვარი აღწევს სცენური მოედნის გარკვეულ განტვირთვას, რასაც ბალეტის სპეციფიკა კარნახობდა. დახვეწილი გემოვნება, ფართო ერუდიცია განაპირობებს ს. ვირსალაძის მიერ გაფორმებული სპექტაკლის მხატვრულ დონეს, ეფექტური და ემოციური თეატრალური სანახაობის შექმნას.

ფერადოვნების თავისებური და დახვეწილი გრძნობით აგებს მხატვარი აგრეთვე დეკორაციებს სულ სხვა ხასიათის ნაწარმოებისათვის — კინოფილმ „ჰამლეტისათვის" (1964 წ.). კოლორიტი, მასშტაბურობა აქ შეხამებულია კინოს სპეციფიკასა და ადგილმდებარეობის კონკრეტულობასთან.

ფარდების და დეკორაციების კომბინაციებზე, განათების მკაფიო ეფექტებზე აგებს თავის ესკიზებს ასკურავა სპექტაკლ „ოტელოსათვის". უფრო მკაცრია ფარდების კომბინაციების გამოყენებაში დ. კაკაბაძე. ფარდების ფერადოვნება (ერთმანეთის გვერდით დაპირისპირებულია ვარდისფერი, ყვითელი, ცისფერი) შეესაბამება ფორმათა მკაცრ გარკვეულობას. მხატვრის თეატრალური ესკიზები ერთგვარად მსგავსია მისივე დაზგური სურათებისა — ისინი ყურადღებას იპყრობენ თავისებური ხერხით, რაც ფერადოვანი ლაქების თავისუფალი, კონკრეტული ნახატით შემოფარგვლაში გამოიხატება.

სერგო ქობულაძის ესკიზებში სპექტაკლისათვის „მეფე ლირი" (1946 წ.) იგრძნობა იმ დროისათვის დამახასიათებელი ტენდენცია, რომელიც გარკვეულ რეაქციას წარმოადგენდა ოციან წლებში კონსტრუქტივიზმით გატაცებაზე. ახალი ამოცანებით ნაკარნახევმა ძიებამ განსაზღვრა ფერის მხატვრული ფუნქციის გაძლიერება და რეალური სივრცის ილუზიის შექმნა, სასცენო სივრცის მთლიანად გამოყენება. ს. ქობულაძის ნამუშევრებში ეს ამოცანა გადაწყვეტილია თეატრალურობის შენარჩუნებით. ამასთან ერთად, დეკორაციების ხასიათი ხაზს უსვამს პიესის შინაარსობრივ არსს, თეატრალურობა და საერთო რომანტიკული პათოსი მიღწეულია ფორმათა ერთგვარი ჰიპერბოლურობით.

იოსებ სუმბათაშვილის ნამუშევრებიდან წარმოდგენილი იყო თვით ესკიზი სპექტაკლებისათვის „რომეო და ჯულიეტა", „კეისარი და კლეოპატრა", „რიჩარდ III". მიუხედავად ამისა, მაინც ჩანდა, თუ რა ევოლუცია განიცადა მხატვრის ძიებამ. მისი შემოქმედება მუდამ მძაფრი ემოციურობით და თეატრალურობით ხასიათდებოდა. თეატრალურობას, თეატრის სპეციფიკის გრძნობას იგი იმ პერიოდშიაც კი არ ღალატობდა, როდესაც სპექტაკლებს ნატურალისტური გატაცებები დაეტყო.

„რომეო და ჯულიეტას" დეკორაციების ესკიზებს მხატვარი წყვეტს იტალიური რენესანსის მხატვრობასთან ასოციაციით, რითაც ცდილობს მაყურებელი გადაიყვანოს სათანადო ეპოქის ატმოსფეროში.

სულ სხვაგვარ „თეატრალურობას" აღწევს მხატვარი „კეისარი და კლეოპატრას" და „რიჩარდ III"-ის დეკორაციებში. იგი უარყოფს მისთვის წინათ დამახასიათებელ ფერწერულობას და მიმართავს „აშენებული" დეკორაციების მკაცრ, ლაკონიურ ფორმებს, დროისა და ადგილის ატრიბუტების სიზუსტეს კი არ ეძებს, არამედ ქმნის განზოგადებულ, სადა გეომეტრიულ ფორმებს, კუბისებურ დანადგარებს, რომელთა მონტაჟში, მასშტაბებში მოძებნილია საშუალება,





ეროვნული ბიბლიოთეკა

ხერხი, ტრაგედიის პათოსის შესატყვისი განწყობილებების გადმოსაცემად. მაგრამ გამოყენებულ ელემენტთა ეს ფორმები არ გადაიზრდება განყენებულ აბსტრაქციამდე, მათში არ იკარგება კავშირი რეალურ საწყისთან, ამასთან ფუნქციური და ემოციური მნიშვნელობა, მხატვრული მთლიანობა.

დიმიტრი თავაძეს წილად ხვდა კ. მარჯანიშვილთან მჭიდრო შემოქმედებითი თანამშრომლობა. გამოფენაზე იგი წარმოდგენილი იყო ძალიან ძუნწად და ისიც მხოლოდ ორმოცდაათიანი წლების შემდეგ შექმნილი ნამუშევრებით — ესკიზებით სპექტაკლებისათვის ,,ზაფხულის ღამის სიზმარი‘‘, ,,მაკბეტი‘‘, ,,ოტელო‘‘, ,,ზაფხულის ღამის სიზმრისათვის‘‘ შექმნილი ესკიზები მსუბუქი ფორმებით, ცოცხალი ფერადოვნებით ხასიათდება, რაც მხიარული კომედიის ზღაპრულ შინაარსს შეესაბამება, ,,მაკბეტისა‘‘ და ,,ოტელოს‘‘ დეკორაციებში განზოგადებისადმი სწრაფვამ ფორმათა ერთგვარი სიმშრალე შექმნა ესკიზებში.

უფროსი თაობის გამოჩენილ მხატვართა გვერდით გაიზარდა თეატრში მომუშავე ახალი თაობა, მათ შორის ბევრმა სცადა თავისი ძალა შექსპირის ნაწარმოებთა დადგმის გაფორმებაში.

ამ მხატვართა შორის მკაფიოდ გამოხატული









ინდივიდუალობით, მძაფრი ემოციურობით გამოირჩევა გიორგი გუნია, რომლის შემოქმედება წარმოდგენილი იყო ესკიზით სპექტაკლებისათვის ,,რიჩარდ III" (1969) და ,,ჰამლეტი" (1974).

ორივე შემთხვევაში მხატვარმა გამომგონებლობის დიდი უნარი გამოამჟღავნა. ამავე დროს, გაფორმების ძუნწი ხერხები დადგმის განხორციელებისას სიძნელეებს არ ქმნის. საგულისხმოა, რომ ყოველი სპექტაკლი სრულიად ორიგინალური გადაწყვეტით გამოირჩევა და მხატვრის ნიჭის მრავალფეროვნებაზე მიგვითითებს.

,,რიჩარდ III"-ის გაფორმების საფუძველია აგებული დეკორაციები და ზემოდან ჩამოშვებული, აფრისებური ქსოვილებით დაკავშირებული მსხვილი თოკების ხლართის კომბინაცია. ძუნწი კოლორიტით (მოყვითალო-ყავისფერი, ან მოწითალო-ყავისფერი), ფორმათა მეტყველი სილუეტებით, თოკების კლაკნილი დინებით იქმნება სახოვანი ასოციაციები.

,,ჰამლეტის" დეკორაციებს შეადგენს მუქ შავ ფონზე მკაფიოდ გამოხატული, ცალკეული, უაღრესად ლაკონიურ გეომეტრიულ ფორმებში ჩაწერილი ,,აშენებული" მოცულობითი ელემენტები (სასცენო მოედანი, — შავ ფონზე პროექტირებული ციხე-სიმაგრის კედლის დეტალები, ვერტი-









დ. მირიანაშვილი
„რომეო და ჯულიეტას" დეკორაციის ესკიზი

ო. ქოჩაკიძე, ა. სლოვინსკი, ი. ჩიკვაიძე
„რომეო და ჯულიეტა". კოსტიუმების ესკიზები

მ. ჭავჭავაძე
„იულიუს კეისარის" დეკორაციის ესკიზი

ი. სუმბათაშვილი
„რომეო და ჯულიეტას" დეკორაციის ესკიზი

ი. სუმბათაშვილი
„რიჩარდ III". კოსტიუმის ესკიზი

ნ. იგნატოვი
„მეფე ლირი". კოსტიუმების ესკიზები

კალურად აღმართული ბოძი). მოცისფრო-მონაცრისფერო ფერებში გადაწყვეტილი ეს არქიტექტურული დეტალები მკვეთრად გამოიკვეთება შავ ფონზე. დეტალების საშუალებით მოქმედების ადგილის მინიშნება განსაზღვრავდა ირ. გამრეკელის მიერ „ოტელოსათვის“ შექმნილი დეკორაციების გამომსახველობას. მაგრამ თუ ირ. გამრეკელმა ორმოციან წლებში უკვე გადალახა კონსტრუქტივიზმის სიმკაცრე და დეტალები გამოსახა რეალურად (პირობითობა მხოლოდ ამ დეტალების თავისუფალ მონტაჟში იყო შენარჩუნებული), გ. გუნიას ესკიზებში დეტალები წარმოდგენილია ფორმების განზოგადების, გეომეტრიზაციის გზით. მიუხედავად ბლოკირებული მასებისა, მათ „წონადობა“ აკლიათ, თვით ნაწარმოების ხასიათთან დაკავშირებით ფორმები რამდენადმე დაწვრილმანებული გვეჩვენება.

რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია, რომ ისეთი შესანიშნავი მხატვარი, როგორიც ნიკოლოზ იგნატოვია, — აგრეთვე ძუნწად იყო წარმოდგენილი. ერთადერთი ესკიზის მიხედვით, ცხადია, ძნელია მსჯელობა მხატვრების — ო. ქოჩაკიძის, ი. ჩიკვაიძის და ა. სლოვინსკის მხატვრულ ჩანაფიქრზე სპექტაკლისათვის „ჭირვეულის მორჯულება“, თუმცა კოსტუმების ესკიზებში მკაფიოდ ჩანს მხატვართა ფაქიზი გემოვნება, ეპოქის გრძნობა და დამახასიათებელი დეტალების მოძებნის უნარი.

ანდრო ჟორდანიას მიერ „ოტელოსათვის“ შესრულებული ესკიზი, მსუბუქი და გრაფიკულად უაღრესად დახვეწილი, ძნელად იკითხება ამ ნაწარმოების დრამატულ შინაარსთან კავშირში.

მიხეილ ჭავჭავაძის დეკორაციებში („იულიუს კეისარი“, 1973 წ.) იგრძნობა გარკვეული სწრაფვა სისადავისკენ (ერთიანი მასალის — ხის გამოყენება ყველა დეტალებისათვის), მაგრამ დეკორაციის ელემენტების განზოგადება ხდება ერთგვარად დაწვრილმანებულ ფორმებში.

მედეა ბაქრაძის ესკიზებში („რიჩარდ III“, 1972 წ.) გამოყენებულია თეჯირები, მაგრამ ამ ხერხით, ჩვენი აზრით, იგი ვერ აღწევს გამომსახველობით ძალას.

ამგვარი გამოფენის ორგანიზება თავისთავად მნიშვნელოვანი და მისასალმებელი ფაქტია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ მხატვართა დიდი, ნაყოფიერი მუშაობა უ. შექსპირის ნაწარმოებთა ქართულ სცენაზე ხორცშესხმისას მასალაში სრულყოფილად არ გამოჩნდა. არ იყო ექსპონირებული ცნობილ მხატვართა საინტერესო ნამუშევრები (ირ. გამრეკელის „ოტელო“, „ჰამლეტი“, ე. ლანსერეს „მაკბეტი“). სპექტაკლის ესკიზების უფრო უხვად წარმოდგენით ნათელი გახდებოდა ქართველი მხატვრების ღვაწლი დიდი ინგლისელი დრამატურგის ნაწარმოებთა დადგმაში, ის წვლილი, რომელიც, ასე თუ ისე, მაინც გამოჩნდა ამ მცირე მასალაშიაც.

● ● ●

საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმებიანი კვარტეტი შესანიშნავი კოლექტივია. იგი ჩვენი მუსიკალური კულტურის დიდი შენაძენია. ესაა მაღალი კლასის, ჭეშმარიტად თანამედროვე ანსამბლი, რომლის შემოქმედება აღბეჭდილია არტისტიზმით, მაღალი საშემსრულებლო ტექნიკით, ოსტატობითა და პროფესიონალიზმით... ყოველივე ეს ჩვენი უნიჭიერესი ინსტრუმენტალისტების, საქართველოს დამსახურებული არტისტების, საერთაშორისო კონკურსის ლაურეატების — კონსტანტინე ვარდელის, თამაზ ბათიაშვილის, ნოდარ ჟვანიასა და ოთარ ჩუბინიშვილის დამსახურებაა. სწორედ მათი წყალობით მიაღწია საქართველოს სახელმწიფო სიმებიანმა კვარტეტმა მაღალ შემოქმედებით დონესა და გაქანებას.

# ჭეშმარიტად თანამედროვე ანსამბლი

სულხან ცინცაძე

საკვარტეტო მუზიცირების ასეთ აღმავლობას ხელი შეუწყო ეროვნულმა საშემსრულებლო ტრადიციებმაც, რომლებსაც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ჩაეყარა საძირკველი. პროფესიული საკვარტეტო შემსრულებლობის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს იმ გამოჩენილმა მუსიკოსებმა, 20-იან წლებში რომ გამოვიდნენ შემოქმედებით სარბიელზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი კვარტეტისტების შალვა და გიორგი თაქთაქიშვილების, ლეო შიუკაშვილისა და სხვათა ღვაწლი.

ეროვნული საკვარტეტო სტილის დამკვიდრება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში დიდი როლი ითამაშა ინსტრუმენტალისტების შემდეგმა თაობამ — ბორის ჭიაურელმა, გივი ხატიაშვილმა, ალექსანდრე ბეგალიშვილმა და გიორგი ბარნაბიშვილმა, რომლებიც ათეული წლების მანძილზე წარმოადგენდნენ საქართველოს სახელმწიფო სიმებიან კვარტეტს და დიდ პროპაგანდას უწევდნენ კლასიკურ საკვარტეტო მუსიკას, ხელს უწყობდნენ ამ ჟანრში ქართველი კომპოზიტორების მოღვაწეობასაც.

საკვარტეტო ხელოვნების მწვერვალების დაპყრობა კი საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის ახლანდელი შემადგენლობის დამსახურებაა. ამ კოლექტივის დაარსება კი ცნობილი მუსიკორეთვე შემოქმედებითი ინტუიცია, რომელსაც ჩვენი კვარტეტისტები ამჟღავნებენ მუსიკალური სტილის განსაცვიფრებელი შეგრძნებით. ესეც ტალანტის თვისება გახლავთ, რადგან შეუძლებელია ამ თვისების (სტილის შეგრძნება) აღზრდა, ისევე, როგორც შეუძლებელია ადამიანს ასწავლო მუსიკის წერა, კომპოზიტორობა. დიახ, საქართველოს სახელმწიფო კვარტეტს გამახვილებული აქვს მხატვრული ალღო, ამიტომაა, რომ იგი ძალდაუტანებლად ეუფლება ნებისმიერი სტილის ნაწარმოებს, ღრმად სწვდება კომპოზიტორთა რთულსა და ძალზე თავისებურ სამყაროს. ყველაფერს, რასაც კი ხელს მოჰკიდებს ჩვენი კვარ-



სისა და კვარტეტისტის გ. ბარნაბიშვილის ინიციატივით მოხდა. სწორედ მან მოუყარა თავი კ. ვარდელს, თ. ბათიაშვილს, ნ. ჟვანიასა და ო. ჩუბინიშვილს და შეუქმნა კიდეც მათ პირობები ზრდისა და დაოსტატებისათვის.

საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი დაჯილდოებულია ყველა იმ თვისებით, რომელსაც საკვარტეტო მუზიცირების სპეციფიკა მოითხოვს. უპირველესად აღსანიშნავია ამ კოლექტივის შემოქმედებითი ერთსულოვნება, ანსამბლურობას რომ ვუწოდებთ ხოლმე. ამასთან, ანსამბლის ყოველი წევრი გამოირჩევა დამოუკიდებელი სახით, თავისი არტისტული ინდივიდუალობით, რაც ნიჭის წყალობა გახლავთ.

ამ კოლექტივის დიდ ღირსებად მიმაჩნია აგტეტი, უკრავს ღრმა გააზრებით, არტისტული გზნებითა და შთაგონებით, სტილის უტყუარი შეგრძნებით, უკრავს ბრწყინვალედ! ასე ასრულებენ ჩვენი კვარტეტისტები კლასიკოსთა ნაწარმოებებს, თანამედროვე კომპოზიტორთა ურთულეს ქმნილებებს, ასე უკრავენ ჩემს ნაწარმოებებს, ს ნასიძისა და თ. ბაკურაძის კვარტეტებს.

სადღეისოდ საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი ფლობს მდიდარსა და მრავალფეროვან რეპერტუარს. შესწავლილი აქვთ ბეთჰოვენის ჩვიდმეტივე კვარტეტი, რაც უაღრესად დიდი მონაპოვარია. იშვიათად შეხვდებით ისეთ კოლექტივს, ბეთჰოვენის ყველა კვარტეტს რომ უკრავდეს. ეს ფაქტიც თვალსაჩინოდ მეტყველებს საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს სახელმწიფო კვარტეტის შემოქმედებით პოტენციაზე, გაქანებაზე, მასშტაბებზე...

ბეთჰოვენის საიუბილეო დღეებში, დიდი კომპოზიტორის გარდაცვალებიდან 150 წლისთავის აღსანიშნავად, საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი გვპირდება ჩვიდმეტივე კვარტეტის შესრულებას. ეს იქნება უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა, არა მარტო ჩვენი, რესპუბლიკის, არამედ საკავშირო და საერთაშორისო მასშტაბითაც.

საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის რეპერტუარში დიდი ადგილი ეთმობა თანამედროვე კამერულ მუსიკას, რომელიც მოითხოვს მაღალ საშემსრულებლო ტექნიკას, შემოქმედებითი ენერგიის დიდ დაძაბვას, რთული და ხშირად უჩვეულო ტექნოლოგიური ხერხების საფუძვლიან ცოდნას. ამ თვისებებს საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი ამჟღავნებს ბარტოკისა და შოსტაკოვიჩის კვარტეტების შესრულებისას, რითაც მან მოიხვეჭა თანამედროვე მუსიკის ბრწყინვალე ინტერპრეტატორის სახელი. ამას ჩვენმა კვარტეტისტებმა მარტო ნიჭიერების წყალობით როდი მიაღწიეს. ეს გახლავთ ბეჯითი შრომის, მომთხოვნელობის, თავიანთი პროფესიისადმი დიდი სიყვარულის შედეგი.

სიამოვნებით აღვნიშნავ იმასაც, რომ საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის წევრებს ერთმანეთთან აკავშირებთ არა მარტო საქმე, არამედ მეგობრობაც. კარგად ვიცნობ მათ ყოველდღიურ ცხოვრებას, აღტაცებული ვარ იმ წრფელი სიყვარულითა და მზრუნველობით, რომელსაც ისინი ამჟღავნებენ ერთმანეთის მიმართ.

ათწლიანი მოღვაწეობის მანძილზე საქართველოს სახელმწიფო კვარტეტს მოპოვებული აქვს ბრწყინვალე გამარჯვებები. ბუდაპეშტის საერთაშორისო კონკურსზე მას მიენიჭა მეორე პრემია, თანამედროვე უნგრელი კომპოზიტორის სერვანსკის კვარტეტის მაღალმხატვრული შესრულებისათვის კი პირველი პრემია და სპეციალური პრიზი.

საქართველოს სახელმწიფო კვარტეტს უდიდესი წარმატება ხვდა ბრატისლავაში, თანამედროვე მუსიკის ფესტივალზე, სადაც პირველად სრულდებოდა ჩემი მერვე კვარტეტი, რომელიც ჩვენმა კვარტეტისტებმა მართლაც რომ ბრწყინვალედ შეასრულეს. ფესტივალის აუდიტორიამ მათ მხურვალე და ხანგრძლივი ოვაცია გაუმართა. მერვე კვარტეტი საქართველოს სახელმწიფო კვარტეტს ვუძღვენი. ასეთივე წარმატებით გამოვიდა საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ქალაქ საარბრიუკენში, ქართული ხელოვნების კვირეულზე, სადაც სრულდებოდა ბეთჰოვენის ერთ-ერთი კვარტეტი, ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, მათ შორის ჩემი VI კვარტეტიც.

საქართველოს სახელმწიფო კვარტეტს მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავს, ჩვენი საზოგადოება დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს ამ კოლექტივის ინტენსიურსა და უაღრესად ნაყოფიერ შემოქმედებით ცხოვრებას. მათ კონცერტებს ყოველთვის ესწრება მსმენელი, ესწრება ის, ვისაც ნამდვილად უყვარს მუსიკა.

შარშან საავტორო კონცერტებით გამოვდიოდი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. გამაოცა და გამახარა იმ მხურვალე დამოკიდებულებამ, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ამჟღავნებდნენ საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის მიმართ. მათ ყველგან სიხარულით ეგებებოდნენ, ხანგრძლივ ოვაციებს უმართავდნენ. გამოირკვა, რომ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის წყალობით ამ კოლექტივს უკვე კარგად იცნობენ და პატივს სცემენ მთელს საქართველოში. დიდი წარმატებით გამოვიდა კვარტეტი ჩემს საავტორო კონცერტებზე ბალტიისპირეთშიც.

საქართველოს სახელმწიფო სიმებიან კვარტეტს მიენიჭა ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემია. ეს საპატიო წოდება მან მოიპოვა თავისი ნიჭის, ოსტატობის, თავდადებული შრომის წყალობით.

ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატობა უდიდესი პატივია ყოველი მუსიკოსისათვის. ეს პატივი მეც მხვდა წილად, რაც განსაკუთრებით მეამაყება. გული სიხარულით მევსება ხოლმე, როდესაც აუდიტორიის წინაშე, განსაკუთრებით უცხოეთში, წარმომადგენენ ხოლმე, როგორც ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატს. ამ სიხარულს მალე ჩვენი კვარტეტიც შეიგრძნობს. მთავარი კი ისაა, რომ ზაქარია ფალიაშვილის სახელი ამ გზითაც გავა საერთაშორისო სარბიელზე. მით უფრო, რომ საქართველოს სახელმწიფო სიმებიან კვარტეტს უკვე იცნობენ მრავალ ქვეყანაში, ხშირად იწვევენ თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების დიდ ცენტრებში.

საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი სტიმულს აძლევს ქართული კამერული მუსიკის განვითარებას. ამჟამად ამ კოლექტივისათვის ვწერ მუსიკას სიმებიანი კვარტეტისა და სიმფონიური ორკესტრისათვის. ვმუშაობ მეცხრე კვარტეტზე, რომელსაც ვუძღვნი დ. შოსტაკოვიჩის ხსოვნას. ამ ნაწარმოების პირველი შემსრულებელი, რა თქმა უნდა, საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი იქნება.

ვუსურვებ ამ სახელოვან კოლექტივს მომავალ წარმატებებს, მისი ყოველი გამარჯვება ქართული კულტურის გამარჯვებაა, პირადად ჩემი გამარჯვებაცაა.

● ● ●

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბარბალე ყიფიანი

ჯუმბერ ქორჩილავა

პირველი ქართველი ფიზიოლოგი ქალი ბარბალე ყიფიანი დაიბადა 1872 წელს ქუთაისში, დიმიტრი ყიფიანის უფროსი ვაჟის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ქველმოქმედის, ბრიუსელისა და ლიეჟის უნივერსიტეტების პროფესორის ნიკოლოზ ყიფიანის ოჯახში. ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ბ. ყიფიანი რამდენიმე წელიწადს ხონის წმ. მარიამის სასწავლებელში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, ხოლო შემდეგ გაემგზავრა ბელგიაში, სადაც სწავლა დაიწყო ბრიუსელის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტზე.

უკვე სტუდენტობის წლებში თავის ლაბორატორიასა და ჟურნალში თანამშრომლობისათვის ბ. ყიფიანი მიიწვია ცნობილმა ფიზიოლოგმა, ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორმა იოტეიკომ. ბ. ყიფიანი მისი ღირსეული მოწაფე გახდა. ბ. ყიფიანმა თავისი მეცნიერული მოღვაწეობით მრავალი ქვეყნის სწავლულთა ყურადღება მიიქცია. მის შესახებ წერდა ევროპის პრესა, მისი შრომები სტატიების, ბროშურებისა და მონოგრაფიების სახით იბეჭდებოდა სხვადასხვა ენაზე. სახელგანთქმული მეცნიერი დაჯილდოებულია სხვადასხვა ქვეყნის სიგელებით, ვერცხლისა და ოქროს მედლებით.

1912 წლის დასაწყისში ბრიუსელში გაიხსნა საერთაშორისო მუზეუმი, რომელიც ეროვნებათა (ვფიქრობ, იმ ეროვნებათა, რომელთა კულტურა მეტნაკლებად ცნობილი იყო ბელგიელთათვის) სექციებს შეიცავდა. ბელგიაში ჩამოყალიბებულმა ქართულმა სათვისტომომ, მისმა თვალსაჩინო წევრებმა ნიკოლოზ ყიფიანმა (მან ბრიუსელში შექმნა ენების კათედრა, ასწავლიდა რუსულ, იტალიურ, ფრანგულ და ქართულ ენებს, ჩამოაყალიბა ქალთა ორი საზოგადოება) და მისმა ქალიშვილებმა — ბარბალემ და ნინომ თავიანთი აქტიური საქმიანობით ხელი შეუწყვეს საერთაშორისო მუზეუმში ქართული სექციის შექმნას. სექციის პრეზიდენტად ბ. ყიფიანი აირჩიეს.

გაზეთი „თემი" (1912 წ. № 60, გვ. 3), წერილში „სასიამოვნო ამბავი", აი, რას ამცნობდა მკითხველს: „ბრიუსელიდან გვწერენ, რომ იქ ამერიკელ მილიარდერ კარნეჯის შემოწირულების წყალობით გაიხსნა ღირსშესანიშნავი და ყურადღების ღირსი დაწესებულება — ეროვნული მუზეუმი. ამ დაწესებულებას სათავეში უდგას გამოჩენილი ბიბლიოგრაფი პოლ ოტლე...

ამ მოკლე ხანში, როგორც ხმა დადის, გაიხსნება მუზეუმის საქართველოს სექცია. ამ სექციის პრეზიდენტად ასახელებენ ჩვენს თანამემამულეს ნიკ. ყიფიანის ქალს ბარბალეს, დაუვიწყარ დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილს.

სწორედ სასიხარულოა, რომ ეს საქმე ჩაჰბარდება პირველ ქართველ ქალს — მეცნიერს, რომლის რამდენიმე მეცნიერულმა თხზულებამ უკვე მიიქცია საზღვარგარეთ ყურადღება სწავლულთა და საზოგადოებისა.

თქმა არ უნდა, რომ ამ ქართულ განყოფილებას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის. ეს ახალი დაწესებულება ძალიან შეუწყობს ხელს ევროპიელ სწავლულთა და საზოგადოებას საქართველოს გაცნობის და შესწავლის საქმეში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში აღმოჩნდა დღემდე უცნობი მიმართვა, შედგენილი ბარბალე ყიფიანის მიერ ქართულ და ფრანგულ ენებზე. იგი მიმართავს საქართველოს საზოგადოების მოწინავე ნაწილს და დახმარებას სთხოვს მუზეუმისათვის ქართული ექსპონატების მოწოდებაში. გთავაზობთ მიმართვის ტექსტს:

,,საერთაშორისო მუზეუმი

ბრიუსელში 1910 წლის მაისის 9, 10 და 11 შემდგარმა საერთაშორისო ასოციაციათა მსოფლიო კონგრესმა დაადგინა: ისეთი მუზეუმი დააარსოს, სადაც წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ერთა გონებრივისა და ტექნიკის წარმატების რეზულტატი საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში. ასეთი მუზეუმის დანიშნულებაა დაანახოს ყველას საერთაშორისო სოციალურ ორგანიზაციის ყოველმხრივ წარმატება, აგრეთვე მნიშვნელობა ამ ორგანიზაციისა საზოგადოებრივი და სამეცნიერო მხრით. მუზეუმში თავმოყრილი იქნება საერთაშორისო და შედარებითი ხასიათის კოლექციები, მაგალითად: სხვადასხვა ნივთები, გრაფიკები, დოკუმენტები მეცნიერებისა და ხელოვნებისა, სოციალური ეკონომიისა, მწერლობისა და აღებმიცემობის განვითარების მაჩვენებელნი.

მუზეუმის მოწყობა და მისი მოვლა მინდობილი აქვს საერთაშორისო ასოციაციათა ცენტრალურს დაწესებულებას, მსოფლიო კონგრესის აღმასრულებელს ორგანოს. ეს დაწესებულება ბელგიის მთავრობის მფარველობის ქვეშ იმყოფება. ყოველს ქვეყანას და ეროვნებას განსაკუთრებული დარბაზი აქვთ დათმობილი, სხვათაშორის, ქართველთაც. ეს პირველათაა, რომ საქართველოს შემთხვევა ეძლევა ევროპას დაანახოს თავისი გონებრივი და ტექნიკის წარმატების რეზულტატი და ამ მხრით ცხადჰყოს, რომ ისიც საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს.

ის განსაკუთრებული პირობები, რომელშიდაც ამჟამად საქართველო იმყოფება, იმისი მიზეზი გახლავთ, რომ მას თავი ვერ გამოუჩენია საერთაშორისო ცხოვრებაში. ამ მხრით ქართულ განყოფილებას მუზეუმის სხვა განყოფილებებთან შედარებით, ცოტა არ იყოს, განსაკუთრებული ხასიათი ექმნება. ამიტომ საჭიროა წარმოადგინოს მან თავისი საზოგადოებრივი მუშაობის რეზულტატი და მეთოდი. ყოველივე შემთხვევებში ქართულ კოლექციებში დამყარებული შედარება უცხოელთა განყოფილებებთან მას საერთაშორისო მნიშვნელობას მიანიჭებს.

საერთაშორისო მუზეუმის ქართულ განყოფილებაში მოთავსებული იქნება:

ა) საისტორიო განყოფილება, ბ) საეთნოგრაფიო და საგეოგრაფიო: რუკები, რელიეფი, მცხოვრებთა კარტები, პეიზაჟები და სხვ. გ) საეკონომიო და სოციალური განყოფილება და სხვ. დ) სამრეწველო და სავაჭრო განყოფილება: ცნობები მრეწველობისა, ხელოსნობისა და სხვა დარგის და გამოსადეგ ცოდნათა გავრცელების შესახებ, ე) აღზრდისა და სახალხო სწავლა-განათლების განყოფილება: ცნობები ქართველ ერთა განათლებისა და აგრეთვე სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებათა შესახებ; ჳ) სამეცნიერო განყოფილება: სურათი საქართველოს მონაწილეობისა ევროპაში სამეცნიერო წინსვლაში.

რომ საერთაშორისო მუზეუმში ქართულ განყოფილებას მნიშვნელობა ექნება, ეს ეჭვგარეშეა, ვინაიდან იგი დასავლეთ ევროპას ხელს შეუწყობს დაახლოება-გაცნობაში, მაგრამ რომ ეს განყოფილება მოეწყოს, ამისათვის საჭიროა თვით ქართველი ხალხის თანაგრძნობაც. აი, ამ წერილით მივმართავთ ყველას, ვისაც კი გული შესტკივა ქართველ ერის წინსვლისა და მის წარმატებისათვის. ვთხოვთ დაგვეხმარონ, მოგვაწოდონ ანგარიშები, სასტატისტიკო ცნობები, წიგნები, ქართები, გრაფიკები, სურათები და სხვა ნივთები. იმედი გვაქვს ჩვენი საზ-ბა ზნეობრივს და მატერიალურ დახმარებას აღმოგვიჩენს, რაიც რომ ასე საჭიროა ახალ დაწესებულების ასაღორძინებლად.

საერთაშორისო მუზეუმის ქართული განყოფილება ბრიუსელში. თავმჯდომარე ბარბარე ყიფიანი“.

მუზეუმის შემდგომი ბედის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება.

1905 წლის რევოლუციის ქარცეცხლი საქართველოსაც მოედო, დამსჯელი რაზმები სისხლში ახრჩობდნენ რევოლუციას და სასტიკად უსწორდებოდნენ საქართველოს მოსახლეობას.

1906 წლის დასაწყისის გაზეთ ,,ცნობის ფურცელში“ სისტემატურად იბეჭდებოდა მასალები რევოლუციის ჯალათების მიერ მოწყობილი იმ ტრაგედიის შესახებ, რომელიც დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, იმერეთში დატრიალდა. თბილისის გენერალ-გუბერნატორმა წინადადებით მიმართა გაზეთის რედაქციას, შვიდ დღეში წარმოედგინა ,,დაურღვეველი საბუთები“ აღნიშნული ამბების დასადასტურებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველივე ცილისწამებად ჩაითვლებოდა, გაზეთი დაიხურებოდა, ხოლო რედაქტორს პასუხს აგებინებდნენ სიყალბისათვის. გუბერნატორის მუქარით აღსავსე ეს წინადადება, ,,ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნდა. მას მოჰყვა რედაქციის ვრცელი პასუხი სათაურით ,,დაურღვეველი საბუთები“, სადაც აღწერილია გაუპატიურების, სოფლების გადაწვის, მოსახლეობის დახვრეტის, დაწიოკებისა და გახიზვნის ფაქტები, რასაც ზემო იმერეთის სოფლებში ჰქონდა ადგილი. ამან რუსეთის საზოგადოების პროგრესული ნაწილის აღშფოთება გამოიწვია. გაზეთმა ,,სოვრემენიკმა“ (1906) სამჯერ მოწინავე სტატიად გამოაქვეყნა ცნობა დასავლეთ საქართველოში მომხდარი ამბების შესახებ. ასევე მოიქცნენ რუსეთის დანარჩენი პროგრესული გაზეთებიც. ქართველებს სოლიდარობა გამოუცხადა ევროპის სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის ბელგიის მოწინავე საზოგადოებამ, გაზ.

„შრომა" (1906 წ. № 8 გვ. 3) პატარა ცნობაში აღნიშნავდა: „ბრიუსელი, 11 აპრილს აქ გაიმართა დიდი მიტინგი, დაესწრო ოთხი ათასზე მეტი კაცი, მიტინგმა დაადგინა: გამოუცხადოს თანაგრძნობა ქართველებს და პროტესტი მთავრობას იმ საშინელებათა გამო, რომელიც გამოამჟღავნა „ცნობის ფურცელმა".



ბარბალე ყიფიანი

როგორც გაზეთი აღნიშნავს, მიტინგის მონაწილენი დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ აქვე გამოფენილ ქართული ტიპების კარტ-პოსტელებს. დამსწრეთა კითხვაზე პასუხს სცემდა და ახსნა-განმარტებას იძლეოდა ქართველი ქალი, რომლის ვინაობასაც გაზეთი არ ამჟღავნებს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს მანდილოსანი სწორედ ბარბალე ყიფიანი იყო, ვინაიდან, როგორც მწერალ ეკ. გაბაშვილის მიერ საქართველოდან ბრიუსელში ნ. ყიფიანისადმი მიწერილი საპასუხო წერილიდან ირკვევა, ბარბალე და ნინო ყიფიანებმა მონაწილეობა მიიღეს ქართველი ხალხისადმი სოლიდარობის ამ მიტინგში. ბარბალე ყიფიანმა თავისი გამოსვლებით გარკვეულად მოამზადა ბელგიის მოწინავე საზოგადოების აზრი მეფის დესპოტიზმის წინააღმდეგ. მან წერილობით მიმართა ბრიუსელის ქალთა საზოგადოებას. მიმართვის ტექსტი გაზ. „შრომამაც" (1908 წ. № 38, გვ. 3) დაბეჭდა:

„ბრიუსელის გაზეთში დაიბეჭდა შემდეგი წერილი, რომლითაც ქ-ნ ყიფიანს მიუმართავს აქაურ ფემინისტურ (ქალთა) საზოგადოებისათვის:

„ახლახან სხვადასხვა გაზეთის კორესპონდენტებმა ამცნეს მკითხველ საზოგადოებას ის საშინელი ამბები, რომელიც ხდება საქართველოში. თითქმის ამავე დროს ბ-ნ ვანდერველდმა და პოლ ჟანსონმა ერთ დიდ მიტინგზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს დაურღვეველი საბუთები შემაძრწუნებელი ფაქტებისა... ცეცხლით და მახვილით აწიოკებული ხალხი გარბის მთებსა და ტყეებში, რომ თავი მოარიდოს ავაზაკებს. დაქცეულია ქალაქები, ცეცხლისაგან განადგურებულია დაბები და სოფლები, მიწა სისხლით არის გაჟღენთილი, შიმშილსა და სიღარიბეს ათასობით მიაქვს ადამიანთა სიცოცხლე, უსამართლობა, ძალმომრეობა უარყოფს ადამიანის ყოველ უფლებასა და ტერორი გამეფებულია ყველგან.

მაგრამ ბევრჯერ აუოხრებია მტერს საქართველო, ბევრჯერ დამარცხებულან ქართველები — მათი დამონავება კი ვერავის შესძლებია. ვერც ჟლეტა-ხოცვა, ვერც წვა-ბუგვა ვერ მოჰდრეკს ქართველს იმ დრომდე, სანამ ქართველი ქალი, ეს მისი წმინდათა წმინდა, გვერდში უდგას და იფარავს იმის წმინდა კერას; არ შემდრკალა ქართველი კაცის გული, სანამ ქართველი ქალის ხელშეუხებლობა დაცული იყო კანონით და ჩვეულებებით, რომელსაც თვით მტერიც კი პატივს სცემდა. არ დაღალულა ქართველი მეომარი, სანამ ქართველი ქალის გული უხვად აწოვებდა იმ ძალას და მხნეობას, რომელიც საჭირო იყო დაუსრულებელ ბრძოლაში მტრების მოსაგერიებლად. არ დაუკვნესია ქართველ მეომარს, სანამ ქართველი ქალი გვერდით ედგა, უყუჩებდა ჭრილობების ტკივილებს, სანამ თავგანწირულებით, ერთგულობით და ტკბილის ალერსით იგი უცხოველებდა ქართველ მეომარს სამშობლოს და თავისუფლების სიყვარულსა.

მაგრამ ვაი, რომ მეოცე საუკუნის ბარბაროსებმა იერიში მიიტანეს ქართველების წმინდათა-წმინდაზე და ხელ-ფეხ შებოჭილ მამების და ქმრების წინ პატივსა ხდიან ქალებს..."

„მოყვანილია რამდენიმე მაგალითი ველურ მოქმედებისა, რაც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან. შემდეგ წერილი განაგრძობს":

„აუტანელი მტარვალობა, რომელიც გამეფებულია ამ უბედურ ქვე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყანაში, სწამლავს და უძლურის ზიზღით და შურის ძიების სურვილით ავსებს ყოველ ქართველის გულს“.

„ნუთუ განათლებული ევროპა გულ-ხელდაკრეფილი უყურებს ამნაირ შემაძრწუნებელ ბარბაროსობას?“, კალამი რომ ავიღე, მომაგონდა ის პატიოსანი გვამი, ის დიდსულოვანი ადამიანი, რომელმაც თავის „მე ბრალსა ვდებ“-ით (ამ სიტყვებით გამოჩენილმა აწ უკვე განსვენებულმა ზოლამ მიჰმართა საფრანგეთის პრეზიდენტს დრეიფუსის საქმის გამო“ — რედ.) მთელი ქვეყანა შესძრა, რომ გაემართლებინა ერთი უდანაშაულოდ დასჯილი კაცი. იგი აღარ არის და რადგან ფულის ინტერესი არ არის, აბა რომელი სახელმწიფო ამოიღებს ხმას, რომ წაესარჩლოს უდანაშაულოდ წამებულთ!

აი ამიტომ, ქართველ ქალთა სახელით, მივმართავ კაცობრიობის ერთ ნაწილს უსუსტესს, რომელსაც მბრძანებლობის უფლება არა აქვს, მაგრამ აქვს უფლებაც და მოვალეობაც მოითხოვოს, რომ მოეღოს ბოლო ამ აღმაშფოთებელ ბარბაროსობას. თვალებზე ცრემლით მივმართავ ყველა ქვეყნის დედებს, ცოლებსა და დებს, რომელთაც ყველაზე უკეთ შეუძლიანთ იგრძნონ თუ რა არის ქალისათვის ასე ურცხვად იმის გრძნობების შელახვა და ვევედრებით მათ, გამოგვესარჩლოს ქართველ ქალებს“.

„რედაქცია თავის მხრით იწვევს ქალთა საზოგადოებას დაუყოვნებლივ მოახდინოს კრება ამ წერილის შესახებ და თავიანთი დადგენილება ამცნონ ელჩის საშუალებით სადაც ჯერ არს.

ჩვენ დანამდვილებით გავიგეთ, რომ ამ მოკლე ხანში მოხდება ბელგიის ქალთა საზოგადოებების ყრილობა, რომელთა დადგენილების ერთი პირი, სხვათა შორის, გაეგზავნება რუსეთის ახალ სათათბიროს თავმჯდომარეს“.

ბ. ყიფიანი იყო ინიციატორი და აქტიური მონაწილე უცხოეთში მყოფ ქართველთა ყველა პატრიოტული წამოწყებისა.

ერთ პირად წერილში, რომელიც 1908 წლით არის დათარიღებული, გიორგი ჯაბადარი თხოვს ბ. ყიფიანს დაესწროს კრებას, რომელზედაც უნდა განიხილონ საკითხი ბრიუსელში ქართული საღამოს მოწყობის შესახებ (ხელნაწ. ინსტ. საქმე 655).

1914 წელს ბ. ყიფიანი, ბელგიიდან გამოგზავნილ წერილში, საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წინაშე შუამდგომლობს ქ. ჟამბლიეს უმაღლესი აგრონომიული ინსტიტუტის სტუდენტ ბარნაბ ჩხეიძისათვის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ: „... ეს ყმაწვილი ძლიერ დიდი ნიჭის და ენერგიის პატრონია... უსახსრობის გამო იძულებული შეიქმნა მეცადინეობისათვის თავი დაენებებინა. ამ ამბავმა ძლიერ შემაწუხა, მით უმეტეს, რომ იგი მშვენივრად სწავლობდა. როგორც გავიგე, მას თქვენი საზოგადოების სტიპენდია უთხოვნია. ჩვენი ერის მომავლის შექმნა მხოლოდ და მხოლოდ აგრონომიული და ტექნიკური ცოდნით შეიძლება... ჩვენი სამშობლო უხსოვარი დროიდან მეურნეობის ქვეყნად ითვლებოდა და... ქართველი ხალხის დროშაზე უნდა წეროს ეს ორი სიტყვა: „მიწა და შრომა“ (ნ. თარხნიშვილი „ქართველი მეცნიერი ბრიუსელში“. გაზ. „თბილისი“, 1962 წ. № 56, გვ. 3).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენთვის უცნობია ბ. ყიფიანის მოღვაწეობა ბრიუსელის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ვიცით მხოლოდ, რომ იგი სამუდამოდ ბელგიაში დარჩა საცხოვრებლად. ვასილ ჩაჩანიძის წიგნი „ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის გარშემო“ (1974 წ. „ნაკადული“) შეიცავს საინტერესო ცნობებს ბ. ყიფიანის მოღვაწეობის შესახებ. როგორც ამ ნაშრომიდან ირკვევა, იგი მეურვეობდა სალომე დადიანისა და მიურატების ოჯახის ქონებას უცხოეთში. 1940 წელს ბ. ყიფიანმა მიუნხენიდან გამოიძახა ცნობილი ქართველოლოგი, ქართული დამწერლობისა და კულტურის ძეგლების მკვლევარი-ბიბლიოგრაფი მიხეილ თარხნიშვილი და შესთავაზა სალომე დადიანისა და მიურატების ოჯახის ნანდერძევი სახსრებით (ფულითა და ნივთებით) დაეარსებინა რომში ქართული კათოლიკური მონასტერი და თავი მოეყარა იქ ქართული კულტურის მასალებისა და ძეგლებისათვის მსოფლიოს სხვადასხვა არქივებიდან.

მ. თარხნიშვილს მიუღია ეს წინადადება, რომში, ფორლანინის მთის კალთაზე, ალექსანდრე ბროზეს ქუჩაზე, შეუძენია სამონასტრო შენობა და ბ. ყიფიანისაგან მიღებული დიდძალი ნივთები და დოკუმენტები აქ გადმოუტანია. გარდა ამისა, ამავე მონასტერში გადმოუტანია მასალები კონსტანტინოპოლის ქართული კათოლიკური მონასტრიდან, ჩამოუყალიბებია ქართული მასალების არქივი, ქართულ-კათოლიკური სასულიერო სემინარია და თვითონ დამდგარა ამ მონასტრის რექტორად.

ბარბალე ყიფიანი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ქართული კულტურის დიდი მოამაგე იყო. „იგი ეწეოდა ქართული კულტურის პროპაგანდას ევროპაში, კითხულობდა ლექციებს პარიზის, ბრიუსელისა და ჟენევის უნივერსიტეტებში. იგი ყურადღებას არ აკლებდა ევროპაში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობას და დიდ დახმარებას უწევდა მათ. დიდი ნდობითა და პატივისცემით სარგებლობდა ქართველ და უცხოელ საზოგადო მოღვაწეთა შორის“ (ვ. ჩაჩანიძე, დასახ. ნაშ. გვ. 31). ავტორს მიახლოებით დადგენილი აქვს გარდაცვალების თარიღი, იგი აღნიშნავს: „ბარბალე ყიფიანი გარდაიცვალა 1965-იან წლებში, ხანდაზმულ ასაკში და დაკრძალულია ბრიუსელში“ (გვ.31).

● ● ●

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეხვედრები და ჩანაწერები

სოლომონ ხუციშვილი

ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში კიდევ იყვნენ ის ადამიანები, რომელთაც ახსოვდათ განახლებული ქართული თეატრის (1878-79 წლების) მუშაკნი. რაც მთავარია, ცოცხალი იყო თვით მარიამ (მაკო) საფაროვი-აბაშიძე, უშუალო და მთავარი მონაწილე დიდი სათეატრო მუშაობისა და, როგორც ასიკო ცაგარელი წერს ერთ წერილში, პრიმადონაც. „ასე მეძახდნენ მეო" — იგონებდა იგი. ა. ცაგარელი თავის მეუღლეს, ნატო გაბუნიას წერდა: „ჩემო რაფაელის მადონავ, ნატო (რაფაელ ერისთავი კი არ გეგონოს! რაფაელი მთელს ქვეყანაში გამოჩენილი მხატვარი იყო, რომელმაც ერთი სურათი დახატა, სახელად მადონა უწოდა, ესე იგი, ღვთის მშობელი, რომლის ულამაზესიც დღესაც არა არის რა ქვეყანაზედ). სხვა არა იყოს-რა, თქვენც ხომ კარგად მოგეხსენებათ ეს სიტყვა, თქვენ და საფაროვის ქალს პრიმადონებს გეძახიან (ლათინურად), ე. ი. უპირველეს ქალებს. მხოლოდ ცოტაოდენი განსხვავება იმაში გახლავთ, რომ რაფაელის მადონა ცოტათი თქვენზე ლამაზი გახლავთ, თუმცა იმას მარტო მადონა ჰქვიან და თქვენ კი პრიმადონები..." ეს წერილი დაწერილია 1884 წლის 25 ივნისს.

მაკო საფაროვი-აბაშიძე მიამბობდა: ასიკო ცაგარელი ჯადოს მეძახდა, ისე მოვწონდი სცენაზეო. ასიკო ცაგარელი კი ჩვენი თეატრის გაჭირვების ტალკვესი იყო — თავისი, გადმოთარგმნილი თუ გადმოკეთებული პიესებით. ასიკო ცაგარლის როლების შემსრულებლები მასთან ერთად მუშაობდნენ როგორც პიესების წერისას, ისე მათი დადგმის დროს. ასიკოს კინტოური კილო უხდებოდა და ხშირად თავისთვისაც წერდა როლებს, მაგალითად, კავკაველი პეტუა თავის თავზე გამოჭრა (კავკაველი პეტუა „ციმბირელის" პერსონაჟია, ქალაქის ბიჭი, 27 წლისა — დრამატურგის დახასიათებით). ასიკო ცაგარელი და მისი როლების შემსრულებლები ბოჰემაში გადადიოდნენ, რომ თვით ეგრძნოთ და ისე გადაეტანათ პიესაში და სცენაზე. ასიკო კერძო ცხოვრებაშიც ენამოსწრებული და კვიმატი იყო, მასთან საუბრისას მუცელი ხელით გვეჭირაო.

ასიკო ცაგარელს მართლაც მოსწრებული სიტყვა-პასუხი და მხიარული ხასიათი ჰქონია. ერთ წერილში იგი ნატოს წერს: „შენი ტუფლები მომიტანეს. მძიმედ დავასვენე ხატთან, მაგრამ რა გინდა ქნა? მაშოს ვითომ თავის ფეხზედ შეუკერინებია, მაგრამ ასეთია ერთი, უზარმაზარი, პლატონ იოსელიანივით გაფშეკილი, გრძელი და ვიწრო, სიგრძე ერთი მტკაველი და ერთი გოჯი".

მაკო საფაროვი-აბაშიძე თავის მიამიტობასაც იგონებდა: „კლოდინას როლი „დოზვოლენია ცენზურამდინ" ზეპირად ვისწავლეო" — იცოდა თქმა.

ასიკო ცაგარლის ძმის, ივანეს მეუღლეს, ბარბარე გიგინეიშვილის ასულს, ბევრი ახსოვდა ასიკოს მშობლების, ე. ი. თავისი დედამთილ-მამამთილის ამბები. ასიკოს მამას, ანტონ ცაგარელს, ორი უფროსი ძმა ჰყოლია — მელიტონი და დიმიტრი, (მელიტონი დამარხული იყო კუკიის სასაფლაოს ეკლესიის ახლოს). მელიტონი თავის ძმის შვილს ასიკოს ურჩევდა სამხედრო სასწავლებელში შესვლას: „შენ ლაზღანდარა ხარ და სამხედრო სასწავლებელი გასწავლის ჭკუასო" — ეუბნებოდა თურმე. ცაგარლები დიღომში ცხოვრობდნენ. 1880 წელს გაუყიდიათ სახლი და თბილისში გადმოსახლებულან. ასიკოს დედა — სალომე უთნელიშვილის ასული, ახალგორელი ყოფილა. „სალომე უსწორებდა ასიკოს ენას, ზოგიერთ მახვილ გამოთქმას ის აწვდიდა ხოლმე თავის შვილსო". სალომეს არ უნდოდა, რომ ასიკოს ნატო შეერთო ცოლად. ეტყობა, თავისი შვილის მსახიობობა კი მოსწონდა, მაგრამ რძალი არ უნდოდა მსახიობი ჰყოლოდა. ანტონ ცაგარელი 1877 წელს გარდაცვლილა, ხოლო მისი მეუღლე —სალომე ასიკოსთან ცხოვრობდა ქურდამირში, სადაც დრამატურგი სადგურის უფროსად მსახურობდა. სალომე ქურდამირში გარდაიცვალა 1891 წელს და იქვეა დასაფლავებული.

ნატო გაბუნიას ჰყავდა თავისზე უფროსი და — კესო. შიო დავითაშვილი და სოფრომ მგალობლიშვილი თავის ხალხოსნობის დროის მოგონებებში კესოს და ნატოს ერთად იხსენიებენ, როცა მერაბ გაბუნიას ამ ორმა ასულმა ქართველ ხალხოსნებთან ერთად სასცენო-კულტურული საქმიანობა გააჩაღეს 1879 წლამდე.

კესო გაბუნია-ტატიშვილისა მიამბობდა: ჩვენი მამა მერაბ გაბუნია გრიგოლ დადიანის, პოეტ „კოლხიდელის" გაზრდილი იყო, მან მისცა სწავლა და გზაზეც იმან დააყენა. მერაბი გორში დასახლდა და ერთხანს საპატიმროს უფროსადაც უმსახურია. სხვათა შორის, მერაბ გაბუნიას „ნაჩალიკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისას" გორის საპატიმროში გიორგი ერისთავის თეატრის მსახიობი — გიორგი დვანაძე მჯდარა. გიორგი დვანაძეს საინტერესო ნაწარმოები აქვს დაწერილი ლექსად — თავგადასავლის აღწერაა, აქვს ლექსები, მიძღვნილი მერაბ, კესო და ნატო გაბუნიებისათვის, რამდენიმე დაბეჭდილიცაა იმდროინდელ „ცისკარში".

ნატო და კესო მონაწილენი ყოფილან ტყვიავის ეკლესიაში არსებული არალეგალური სტამბისაგან გამოშვებული პროკლამაციების გავრცელებისა. ბაბო კორინთელის ქალიც ჩვენი ამხანაგი იყო სოფლის წარმოდგენებსა და პროკლამაციების გავრცელებაშიო.

ხანუმას ერთ-ერთი მოხერხების ამბავი ნამდვილად მომხდარა სოფელ ხვედურეთში, სადაც ცხოვრობდა კესო და ნატოს უფროსი და — დარიკო, ზაქარია ციციშვილის მეუღლე. ასიკო ცაგარლის „ხანუმაში" ხანუმა ამბობს: „რამდენი უშვილოსთვის შვილი მიყოლებიაო". ამასთან დაკავშირებით კესო გაბუნიამ მიამბო (ეს ნაამბობი დაადასტურა ნატო გაბუნიას დის — დარიკოს შვილმა, დამსახურებულმა მასწავლებელმა სოფიო ზაქარიას ასულმა ციციშვილმაც): „საციციანოში ერთი ქალი იყო უშვილო — ილია გიორგის ძე ციციშვილის ცოლი, დარია მამაცაშვილის ასული. ქმარი ღვინოს ეტანებოდა -- შვილი არა მყავს და ჩემი ქონება ვის უნდა დარჩესო! ქალმა აკუშერკას მიმართა — მიშველე რამეო. აკუშერკამ ქალი „დააორსულა" და, როცა ქმარი სადღაც იყო გამგზავრებული, „მოამშობიარა" კიდეც და ვაჟი „აყოლებინა". ეს ბავშვი ქვემო-ხვედურელი გლეხის ცოლისა ყოფილიყო, წვრილშვილისა და ციციაანთ გაუზრდიათ. ასიკო ცაგარელს ეს ამბავი ჰქონდა მხედველობაში, რადგან იმ დარიკო მამაცაშვილს თურმე ნატომ ურჩია — ასე მოიქეციო.

ნატო გაბუნია კარგი მომღერალი იყო. მომაკვდავ გრიგოლ ორბელიანს მისი სიმღერა მოასმენინეს. რაფიელ ერისთავის იუბილეზეც იმღერა ნატომ. საერთოდ მღეროდა დაირის აკომპანემენტზე. დაირას თვითვე უკრავდა. ნატომ სიკვდილის წინ „ჩემო კარგო სამშობლო" იმღერა (ილია ჭავჭავაძის ლექსი — „ჩემო კარგო ქვეყანავ" —ს. ხ.). მომაკვდავს ასიკო მოლანდებია, რადგან ასეთი რამ უთქვამს: „ასიკო, შენ არ მომიკვდე, წამოვალო".

ნატო გაბუნიას დისშვილი — სოფიო ზაქარიას ასული ციციშვილი (1875-1957) მიამბობდა: ასიკო ზაფხულობით დეიდაჩემთან ერთად ხშირად ამოდიოდა ხვედურეთში, ჩვენთან. რამდენჯერ კალოზე ლხინი გამართულა და ნატოს უცეკვია, ან სოფელში რომელიმე პიესაში უთამაშია. ასიკოს ციციშვილები ეუბნებოდნენ ხოლმე: ჩვენთანა ხარ, ჩვენ პურსა სჭამ და მაინც ჩვენზე სწერო: „ეგ ხანჯალი მოიხსენი და ისე მელაპარაკე, ძლიერ მეშინია მაგისო", მიმართავდა ასიკო ცაგარელი ქამარ-ხანჯლიან ციციშვილებს.

დიღმის გაღმა რომ რკინიგზა გაჰყავდათ, ასიკო თავისი ამხანაგებით უცქეროდა მშენებლობას. შემდეგ უთქვამს: „დიღმიდან რომ მატარებელს ვუცქეროდი, რა მომაფიქრებდა, რომ მერე სტანციის ნაჩალნიკი გავხდებოდიო". ასიკო რკინიგზის სადგურის უფროსად მსახურობდა ქურდამირსა და ჭალადიდში. ამიტომ იყო, რომ ნატო გაბუნია თავისი ქმრის მიმართ გაგზავნილ კონვერტზე წერდა ხოლმე: „ჟელეზნომუ ნაჩალნიკუ ა. ცაგარელი" — რუსულად (ამას ი. გრიშაშვილიც ადასტურებს).

ასიკო ნატოს არიგებდა ხოლმე: „ხანუმი, ესეთი ტიპი უნდა დახატოო" და ნატოც ხატავდა ასიკოს მითითებით. ნატო რომ როლს გადაწერდა დასაზეპირებლად, ჯერ ასიკო გაუსწორებდა ხოლმე. ასიკო ლამაზი იყო, მშვიდი ხასიათის პატრონი, ოღონდ ღვინის მოყვარული. ნატო „კამანდრობდა ხოლმე ასიკოს".

სოფიო ციციშვილი მიხეილ მორბედაძეზე გათხოვდა. მორბედაძის დედა ძიძად იყო გენერალ დომბროვსკის სახლში და გაზარდა ის ქალი, რომელიც შემდეგ ცოლად ჰყავდა ნიკო ხუდადოვს. მორბედაძის დედა დომბროვსკის ოჯახში დარჩა მოსამსახურედ, რომლის შვილსაც, ასიკო ცაგარლისა და მისი წრის გავლენით სოფიო ციციშვილის ქალი ცოლად გაჰყვა, ნიშნობაზე იყვნენ ასიკო ცაგარელი, ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია და, როცა ნატო გაბუნია თეატრიდან დაბრუნდა, ვასო აბაშიძემ მიახარა: „ხანუმი, გაჯობეთ, სონა გაგითხოვეთო". სონა ხომ „ხანუმაში" გასათხოვარ პერსონაჟსაც ჰქვია, მიკიჩას ქალს.

მიხეილ მორბედაძემ და სოფიო ციციშვილმა სოფელში სკოლა გახსნეს და მასწავლებლებადაც თვითონ იყვნენ. ეს ამბავი ასიკო ცაგარელმა გამოიყენა დრამაში „ცისარტყელა", რომელიც მან დაწერა სწორედ მ. მორბედაძის გარდაცვალების წელს, 1900 წელს.

ასიკო ცაგარელი მშვენიერი მოცეკვავე იყო ბაღდადურისა. „ყარაჩოღელი არასოდეს არ ჩაბუქნავსო, ის ყველაფერს ათამაშებს და არა ბუქნავს" — იტყოდა ხოლმე, „კინტო კი ყოველთვის ბუქნავსო".

ორთაჭალაში სადილობა ძლიერ უყვარდა, იქა ხვდებოდა თავისი პიესების პერსონაჟებს. მისი პიესების დადგმისას თეატრი სავსე იყო ყარაჩოღელებით. კინტოები არ უყვარდა, მათ ფრანგ აპაშს ეძახდა.

დეიდაჩემიო, — მითხრა სოფიო ციციშვილმა, — ხშირად მღეროდა „სულო ბოროტოს", „აღმართ-აღმართს" და „ნანას". ნატო ფილტვების კრუპოზული ანთებით მოკვდა. თავისი იუბილეს შემდეგ გამართულ ვახშამზე ნატომ ვალიკო გუნიას უთხრა: „ვინ იცის, ბრუციანო (ვ. გუნიას ერთი თვალი გაფუჭებული ჰქონდა და ამიტომაც ლურჯ სათვალეს — პენსნეს ატარებდა), ჩემს დამარხვაზედაც იპარაშო და ცერემონმეისტერი იყოო". ვალერიან გუნიას დამარხვის ცერემონმეისტერის სახელი დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვის შემდეგ შერქმევია.

დრამატურგი ნატალია დონდაროვა-აზიანი (1878-1943) მიამბობდა:

ვასო (აბაშიძე) და ნატო (გაბუნია) იყვნენ, რომ ჩემ პიესებს სახელი გაუთქვეს. ასიკო დიდი ნიჭის პატრონი იყო, დიდი იუმორისა. თავის ტიპებს ერისთავი და ცაგარელი კეთილი გულით ექცეოდნენ, ყველა მათი პიესა კარგათ თავდება. მე კი სხვანაირად ვაბოლოებდი. იმათი გუნება ამას მოითხოვდა, რომ ბოლო კარგი ყოფილიყო".

ასიკო ცაგარელზე მშვენიერი გამოკვლევა დაწერა ი. გრიშაშვილმა, ხოლო ნატო გაბუნიას შინაარსიანი პორტრეტი შექმნეს ილია ზურაბიშვილმა და ალექსანდრე ბურთიკაშვილმა. თავისი მადლიანი კალმით მათ სიცოცხლე შესძინეს ცოლსა და ქმარს — ნატო გაბუნიას და ასიკო ცაგარელს.

ჩემი ჩანაწერები მათი ხასიათის ზოგიერთ შტრიხს ამუქებს მხოლოდ.

● ● ●

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქეთევან მაღალაშვილის პორტრეტების ციკლი— „ელენე ახვლედიანი“

ნანა მირცხულავა

შესანიშნავი პორტრეტისტის ქეთევან მაღალაშვილის შემოქმედებითი წელთაღრიცხვა მისი კოლეგის და მეგობრის ელენე ახვლედიანის პორტრეტის შექმნით იწყება. მის სახეს ქეთევან მაღალაშვილი სხვადასხვა დროს კვლავ უბრუნდება, რამდენადაც თვით თემა არა შემთხვევითია მისთვის, არამედ მუდმივად შთამაგონებელი.

ელენე ახვლედიანის მაღალაშვილისეული პორტრეტებით შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ამ უჩვეულოდ თავისებურ და კოლორიტულ პიროვნებას მისი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში. პირველ პორტრეტზე (1921) იგი სრულიად ახალგაზრდაა, მუქ სამოსში, რამდენადმე ქედმაღალი, მშვიდი და სერიოზული. თავშეკავებულია კოლორიტიც, რომელიც შეესატყვისება მოდელის შინაგანი სამყაროს გახსნის ამოცანას. ქეთევან მაღალაშვილი ოსტატურად უხამებს სურათის ტონალობას ხელოვანი ქალის განწყობას, ზუსტად ნახულობს საჭირო ფერებს მისი სრულყოფილი პორტრეტის შესაქმნელად.

შავი და წითელი ფართო ლაქების ფონზე გამოიყოფა პერანგის სახელოს თეთრი ვიწრო ზოლი და პირისახის თბილი ტონები. ფორმის ფერწერული მოდელირება გამოირჩევა განსაკუთრებული სირბილით, რაც მეტად აცოცხლებს ამ ადრეულ ფერტილოს.

1923 წელს ქეთევან მაღალაშვილი პროფესიული დაოსტატებისათვის გერმანიაში მიემგზავრება და ხუთ თვეს მეცადინეობს კერძო სტუდიაში, 1924 წელს კი პარიზში ჩადის, აქ ხვდება იგი ელენე ახვლედიანს და უკვე მეორედ წერს მის პორტრეტს.

ამ ტილოზე ელენეს წიგნი უჭირავს ხელში ელ გრეკოს — ნინიო დე-გევარას პორტრეტის რეპროდუქციით. შემოქმედის სულიერი მდგომარეობა გამჟღავნებულია თვალებში. მხატვრის მთელ იერში, მის მზერაში ჩანს ნებისყოფა, მიზანდასახულობა, სამყაროზე ღრმა შემოქმედებითი დაკვირვება. სურათი აგებულია ხაზობრივ რიტმებზე: ამ რიტმს ქმნის ავეჯის ნაწილის ზოლი და სურათის ჩარჩო ფიგურის ფონზე, წიგნი, რომელიც მხატვარს ხელში უჭირავს. ტილოს ფერადოვანი მოდელი ნათელყოფს, რომ ახალგაზრდა მხატვარი ჯერ კიდევ აგრძელებს კოლორისტული გააზრების იმ გზას, რომელიც პარიზამდელი პერიოდის პორტრეტებში დაისახა.

ამავე წელს მიეკუთვნება ეტიუდი, რომელზეც ელენე ახვლედიანი მეტად მეტყველ, შინაგანად დინამიკურ და სახასიათო პოზაშია გამოხატული. თითქოს წუთიერი მომენტი დაუჭერია ტილოს ავტორს, მაგრამ აქ ყველაფერი დაკვირვებითაა მონახული და გააზრებული. ფერწერულ ძერწვაში ცვლილებებია: წერის მანერა ბევრად უფრო თავისუფალია, ლაღი, ზოგჯერ მასტიხინიცაა გამოყენებული. პირველი პორტრეტისათვის ნიშანდობლივ მუქი ტონების შეხამებას მხატვარი ამჯერად თავს არიდებს. კოლორიტი უფრო ნათელია. ასევე, წინა ნამუშევრებისაგან განსხვავებით, ფიგურის სტატიკურ პოზას ცვლის უფრო მოძრავი, დინამიკური პოზა.

ორი ათეული წლის შემდგომ (1946) ქეთევან მაღალაშვილი ისევ წერს ელენე ახვლედიანის პორტრეტს. ეს ტილო ნათელყოფს, რომ მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის მხატვრის როგორც წერის მანერა, ისე სურათების კოლორისტული წყობა. რთულდება კომპოზიციური სტრუქტურაც. საერთოდ, ამ პერიოდის პორტრეტები, რომლებიც ზომებით გაცილებით დიდია ადრინდელ ტილოებზე, სურათოვნად უფრო სრულყოფილი და დასრულებულია. მხატვრის ყურადღების ცენტრშია არა მარტო სახე, არამედ მთელი სხეული, ხელები. დიდი მნიშვნელო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



1924 წ.



1924 წ.

1960 წ.



ბა ენიჭება პოზას, ჟესტს. მოდელის მოძრაობა სახასიათო და ტიპიური, ადამიანის ტემპერამენტის, მისი ბუნების თავისებურების გამომხატველია და არასოდეს არ არის გამიზნული გარეგნული ეფექტის შესაქმნელად. მხატვარი ცდილობს უბრალოდ დაახასიათოს მოდელი, მეტი სისადავე და სიმართლე შესძინოს მას, ის ოდნავ შესამჩნევი დაძაბულობა, რაც ელენე ახვლედიანის პირველ პორტრეტებს ახასიათებს, აქ აღარ იგრძნობა.

ფიგურა ნეიტრალურ ფონზეა გამოხატული. მხატვარი ცდილობს ფორმა ხელშესახებად მოცულობითი გახადოს. ადრინდელი ტილოებისათვის ნიშანდობლივი „გლუვი" წერა აქ იცვლება პასტოზური, თავისუფალი და ენერგიული მონასმებით. მონაცრისფრო-რუხი ფერადოვანი გამა დამახასიათებელია ამ პერიოდის ნამუშევრებისათვის.

საოცრად მიმზიდველი, ალერსიანი და სევდანარევი თვალებით გვიმზერს უკვე თმაშევერცხლილი ელენე ახვლედიანი 1960 წელს პასტელით შესრულებული პორტრეტიდან. ქეთევან მაღალაშვილი ამ შემთხვევაშიაც ცდილობს დაიჭიროს ის ძნელად მოსახელთებელი მომენტი, განუმეორებელ იერს რომ ანიჭებს პიროვნებას. ცდილობს გვერდი აუაროს შემთხვევითს, არაარსებითს. მას ყურადღების გარეშე არ რჩება თავისი მეგობრის სულიერი მოძრაობის ყველაზე ფაქიზი ნიუანსებიც კი. ამ პორტრეტში გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა



1921 წ.



1946 წ.

საკუთრებით იგრძნობა შემოქმედის პოეტური სული და ღრმა ადამიანური სამყარო.

თმების და ფონის მოლივლივე ვერცხლისფერი ტონებიდან გამორჩეული ჭრელი ყელსახვევი აცოცხლებს პორტრეტს, აძლიერებს სახის შინაგან დინამიკურობას.

ელენე ახვლედიანის 60-იანი წლების პორტრეტს ქეთევან მაღალაშვილის შემოქმედებაში ახალ ეტაპთან მივყავართ. ამ პერიოდში მხატვარი აჯამებს ადრინდელ მიღწევებს და ძიებაში კვლავაც გამომდინარეობს მის მიერ დასახული შემოქმედებითი პრობლემატიკიდან. ამასთანავე, მთელი რიგი ახალი ამოცანების დასახვა და გადაწყვეტა კიდევ უფრო ამაღლებს მხატვრის ოსტატობას.

განვითარება თითქოს სპირალური გზით მიდის, რამდენადაც მხატვარი უბრუნდება ადრეული და შუა პერიოდის კონკრეტულ მხატვრულ ხერხებს, მაგრამ უფრო მაღალ საფეხურზე ადის, კერძოდ, შესრულების დაჯერებული და სწრაფი მანერა, სურათის ზოგჯერ ეტიუდურობის საზღვარზე დატოვება ადრეულ ნამუშევრებს მოგვაგონებს. მონასმის ვირტუოზულობა ფერწერულ ზედაპირს არაჩვეულებრივ დინამიკურობას ანიჭებს. ორმოციან წლებში ფორმის, მოცულობისადმი გაზრდილი ინტერესი მეტ დამაჯერებლობას, წონადობას და ფაქტურულობას ანიჭებს გამოსახულებას, ეს ამოცანები ამ პერიოდში გაცილებით მაღალ დონეზე ჰპოვებს გადაწყვეტას. მოცულობები დამუშავებულია ნატურალისტური დეტალიზების გარეშე, მკვრივად, ხელშესახებად, ცოცხლადაა გადმოცემული პლასტიკური ფორმები. განსაკუთრებით ეს სახის მოდელირებას ეხება, რომელიც თავშეკავებული და ზომიერია. სახეები ფერშიც უფრო მთლიანია. სახის ტონში აღარ გვხვდება ადრეული პორტრეტებისათვის ნიშანდობლივი ხორბლისფერი, არც მოვარდისფრო. ამ შემთხვევაში ნაპოვნია ცოცხალი სახის ფერი და ნაზი მოდელირება კიდევ უფრო უწყობს ხელს ამ ხელშესახები სიცოცხლის შთაბეჭდილებას.

ფიგურები, ისევე როგორც წინათ, მოთავსებული არიან იმ აუცილებელ სივრცეში, რაც საჭიროა მათი მთლიანობაში აღქმისათვის.

კომპოზიციები, ერთი შეხედვით, თითქოს ერთფეროვანია (ფიგურა წელამდე ან მუხლებამდეა, სხვადასხვა მხარეს მსუბუქად მიბრუნებული, სახე თითქმის ფასშია), მაგრამ არც ერთ პორტრეტში არ არის რაიმე განმეორებული, რაც ინდივიდის ფსიქოლოგიისა და გარეგნობის უზუსტესი გადმოცემით მიიღწევა. ფონი უმეტეს შემთხვევაში ისევ ნეიტრალურია ან ახლოს დგას ნეიტრალურთან. ამ ფონზე პლასტიკური მასების ესკიზური სიმსუბუქე გამოსახულებას სიხალასეს ანიჭებს. ნათელია საერთო კოლორიტი. კოლორიტის მეტი ემოციურობისაკენ სწრაფვას ამ პერიოდში ბევრი სხვა წამყვანი მხატვრის ნამუშევრებშიც ვხვდებით. მაგალითად, თვით ელენე ახ-

ბიბლიოთეკა

ვლედიანის ნაწარმოებებში ადრეული ტილოების მუქი კოლორიტი თანდათანობით ადგილს უთმობს სიცოცხლით სავსე ფერადოვნებას. საერთო გამა გამოირჩევა ფერთა გაბედული შეხამებით. ფერადოვანი სიმფონიის შექმნაში გაცილებით მეტი ფერი მონაწილეობს. ქეთევან მაღალაშვილის ამ პერიოდის ნამუშევრებში განსაკუთრებით ვლინდება მისთვის დამახასიათებელი ძლიერი ფერმეტყველება, რაც დიდ როლს თამაშობს ტილოების შინაარსის გახსნაშიც. იგი ეხმარება მხატვარს მოდელის სულიერი სილამაზის, პოეტურობის გადმოცემაში. ფერადოვანი გამომსახველობა მხატვრის შემოქმედებაში ორგვარად გაიზარდა: ტილოზე მეტი რაოდენობით ვხვდებით ქრომატულ აქცენტებს, ამასთან, საერთო თბილი ფერების გამაში გადაწყვეტილი ტილოების გვერდით ხშირად ვხვდებით ცივ გამაში, კერძოდ, მწვანე-ცისფრის დიაპაზონით დაწერილ პორტრეტებს. მხატვრის ფერადოვანი ძიებები ვლინდება თუნდაც ახალი მასალის — პასტელის გამოყენებაში, დეკორატიული თვალსაზრისით თავისებურ ფერადოვან ეფექტს რომ გვაძლევს.

პასტელით შესრულებული პორტრეტები ორგვარია: რბილსა და თავშეკავებულ გამაში განხორციელებული პორტრეტები, რომლებშიც გამოვლენილია პასტელის თვისებები ფორმის მოდელირებისას გლუვ და გაპრიალებულ ზედაპირზე; ნამუშევრების მეორე რიგი კიდევ უფრო მეტად ავლენს ამ მასალის სპეციფიკას, პასტელის თავისებურ რბილ ფაქტურას, ნაზი გადასვლებით და ნიუანსებით, მასალისათვის დამახასიათებელი თავისებური ფერადოვნებით.

ელენე ახვლედიანის მაღალაშვილისეული პორტრეტები ნათელყოფენ მხატვრის ევოლუციას, მისი ოსტატობის ზრდას, ძიებების თავისებურებას შემოქმედების სხვადასხვა ეტაპზე. საერთოდ, ბოლო პერიოდის ქმნილებებში განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვლინდება ქეთევან მაღალაშვილისათვის დამახასიათებელი ძლიერი ფერმეტყველება. სიცოცხლით სავსე ფერადოვნება მხატვრის ტილოებში დიდ როლს თამაშობს სახეთა ფსიქოლოგიურ დახასიათებაში, ადამიანთა სულიერი სამყაროს გადმოცემაში. დიდი მხატვრის და გამორჩეული პიროვნების — ელენე ახვლედიანის მაღალაშვილისეული პორტრეტები სწორედ ამას მოწმობენ.

● ● ●

# მსახიობის გახსენება

## ნინო ჩიხლაძე

„მშვენიერი გარეგნობა, არტისტული გემოვნება, შინაგანი ექსპრესია, თითქმის ყველაფერი გაქვთ, რომ თქვენი ხავერდოვანი სულის სიღრმემდე ჩამწვდომი ხმით, დაატკბოთ მაყურებელი“, — უთხრა ახალგაზრდა დამწყებ მსახიობს ვასილ ბარნოვმა.

ეს არ იყო გადაჭარბებული — ნინო ჩიხლაძემ სცენაზე გამოჩენისთანავე მიიპყრო ქართველი საზოგადოების ყურადღება. ყველა ხედავდა, რომ თეატრში მოვიდა ტრაგიკული როლების ღირსეული შემსრულებელი.

ყოფილა შემთხვევა, როცა ნინოს ისეთი დიდი მსახიობი შეუცვლია სცენაზე, როგორიც იყო ტასო აბაშიძე. ახალგაზრდა ნინოს უთამაშია ნუცა ჩხეიძის გვერდით, შემდეგ კი მასაც შენაცვლებია.

ახალფეხადგმული ქართული რეალისტური თეატრის დაფუძნების საქმეში ნინო ჩიხლაძესაც თავისი გარკვეული წვლილი მიუძღვის.

„დიდი გონების და გრძნობის პატრონს, მომხიბვლელ ნინოს, სახსოვრად ნიშნად მისდამი სიყვარულისა“,—წერდა მას ქართული თეატრის სიამაყე — ტასო აბაშიძე მისდამი მიძღვნილ შ. დადიანის მიერ დაწერილი მონოგრაფიის თავფურცელზე 1924 წელს.

ნინო თეატრში მოვიდა 1919 წელს. თეატრის კართან მშვენიერი გარეგნობის გოგონა მიხეილ ქორელმა შეამჩნია, დასში მიიყვანა და სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეში“ უმნიშვნელო როლი ათამაშა.

ამასთან დაკავშირებით მსახიობი ნინო ჩიხლაძე იგონებს: არასოდეს არ დამავიწყდება მისი პირველი

დარიგება, მისი სიტყვა: ,,მსახიობისათვის მთავარი ისაა, რომ სწრაფად განეწყოს როლისთვის". აქ მთავარი მაინც ის იყო, რომ აღნიშნულ პიესაში ქართული თეატრის ვარსკვლავი ნუცა ჩხეიძე თამაშობდა და პირველი ნათლობა ახალგაზრდა ნინომ ამ შესანიშნავი მსახიობისგან მიიღო...

,,დიახ, დაუვიწყარია ის ჩემი კანწყობილება, რომლის მორევში ისე ვგრძნობდი თავს, როგორც მზის სხივზე მოელვარე მტვრის ნამცეცი. მახსოვს, როგორ ვცახცახებდი, როგორ მებჯინებოდა ყელში რაღაც, სანამ ჩემი სათქმელი წინადადება წარმოვსთქვი. გაოგნებული გავშორდი თეატრს, გადავწყვიტე არასოდეს გავკარებოდი მას. მეორედ მიხეილ ქორელი ქუჩაში შემხვდა. მოიგონა, თუ როგორ ვთრთოდი და ვცახცახებდი. ეგ ყველა დამწყები მსახიობის სენიაო — მითხრა. მომკიდა ხელი და ისევ თეატრში შემიყვანა. ახლა პატარა როლი მომცა პიესა ,,გემი — ,,იმედის" დაღუპვა". ისევ მღელვარება, ისევ უძილო ღამეები". ამ როლის დაძლევით ნინომ გაითქვა სცენაზე სახელი, მაყურებელი აღტაცებაში მოიყვანა. მალე თეატრის სეზონის დამთავრების შემდეგ ნინო ჩიხლაძე მიწვეულ იყო საზაფხულო ბრიგადაში ვ. ჩხიკვაძისა და შ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. დღითიდღე იზრდებოდა ახალგაზრდა მსახიობი ქალის წარმატებები.

დიდად გამოაცოცხლა 1920-21 წელს ქუთაისის თეატრი საგასტროლოდ ჩამოსულმა, ოტელოს როლის უბადლო შემსრულებელმა, ალექსანდრე იმედაშვილმა. მაშინ ნინო ქუთაისის თეატრში მუშაობდა. სრულიად მოულოდნელი იყო მისთვის, როცა დეზდემონას როლის შესრულება შესთავაზეს. იგი კულისებში იმალებოდა, მაგრამ როგორც კი ალ. იმედაშვილის ხმამ იგრიალა, ნინოს უცებ დაავიწყდა შიში, მღელვარება და რაღაც საოცარი გამარჯვების რწმენით გავიდა სცენაზე.

1923 წელს ნინო ჩიხლაძის სასცენო მოღვაწეობამ თბილისის სახალხო სახლში გადაინაცვლა. ეს ის დრო იყო, როცა ძველი თეატრის მიღწევები აღარავის აკმაყოფილებდა, თვითეული მსახიობი შეპყრობილი იყო სიახლის ძიების სურვილით.

ნინო ჩიხლაძე სწორედ ასეთი რწმენით მოვიდა თეატრში. ნინო ჩიხლაძემ ქართული თეატრის ისტორიაში სახელი მოიხვეჭა ქალების სახასიათო როლების შესრულებით.

აი, რას წერდა ნინოს შესახებ ჟურნალი ,,ხელოვნება":

,,ლამაზი დრამატიული ნაქსოვი, მოხდენილი ქართული, წყნარი მეტყველება, მხატვრული ინტელიგენტური მიდგომა. ამ საუცხოო შეწყობილ ანსამბლში ცენტრალურ ფიგურად უნდა ჩაითვალოს ნინო ჩიხლაძის ქალი.

იგი ასრულებდა ბაბოს როლს, საკმარისია იმ საღამოს გენახათ ნინო ჩიხლაძე და იმისი სახით დიდი მასშტაბის მსახიობი წარმოგიდგებოდათ თვალწინ.

თუ ასეთი წარმატებით განაგრძობს მუშაობას მომავალში, მთელი ქართული თეატრის სიამაყედ ვადაიქცევა. იგი დაჯილდოებულია შესაფერისი სცენური გარეგნობით, სანდომიანი ხმით და ყველაზე მეტად კი, — ღირსეულ ნიჭზე დაფუძნებული რწმენა თავის ძალ-ღონეში.

მთელი დრამატიული მსვლელობის დროს, არც ერთი ყალბი ხაზი, არც ერთი ულაზათო პათოსი"...[1]

ქუთაისი, სოხუმი, ჭიათურა, ზესტაფონი, მახარაძე, ბათუმი, სიღნაღი, გორი, აი ის ქალაქები, სადაც გამოსულა ნინო თავის საყვარელ როლებში.

საკმაოდ პროდუქტიული იყო მსახიობი ქალის მოღვაწეობა სიღნაღის თეატრში. ამ წლების შესახებ დამსახურებულად წერდა ჟურნალი ,,საბჭოთა ხელოვნება": ,,მსახიობთაგან თამაშის მხრივ აღსანიშნავია უწინარეს ყოვლისა როგორც დიდი ემოციის, სამაგალითო არტისტული

[1] ჟურ. „ხელოვნება", 1927 წ.

ტექნიკის და მიმიკის მქონე ნინო ჩიხლაძე.

მისი კრუჩინინა ა. ოსტროვსკის ,,უდანაშაულო დამნაშავეებში" და მისი ცეზარინა ,,ჯაშუშის ბილიკში" — ეს დიდი გამარჯვება იყო მსახიობისა — კრუჩინინას შვილთან შეხვედრის სცენა, მსახიობის უჩვეულო განცდა ისე გადაეცა აუდიტორიას, რომ მაყურებელი თავს ვერ იკავებდა და ნინო ჩიხლაძესთან ერთად მთელი თეატრი ქვითინებდა".[2]

სიღნაღის საკოლმეურნეო თეატრში იგი დიდებულად ანსახიერებდა იბსენის ,,მოჩვენებაში" ალვინგს, ლივიტინის ,,განაჩენში" დაუვიწყარი სახე შექმნა შეუპოვარი რევოლუციონერი ქალის იზოლისა, გ. ბერიკაშვილის ,,ნაბიჭვარში" მან დიდებულად განასახიერა დარიკოს ცოცხალი სახე და სხვ.

სიღნაღმა ასევე თბილად და დიდი სიყვარულით მიიღო მისი რეჟისორობით დადგმული გ. ქელბაქიანის ,,გამოცდები". იმხანად სარაიონო თეატრების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე მან მეორე ადგილი დაიკავა.

,,გამოცდების" დადგმით რეჟისორ ნინო ჩიხლაძემ თეატრალურ ხელოვნებაში, უსათუოდ სთქვა სერიოზული სიტყვა. სასიხარულოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ქართულ თეატრს ემატება ქალის რეჟისორის კადრი"[3].

ასევე დიდი წარმატებით მიდიოდა მახარაძეში ნინო ჩიხლაძის ახალი დადგმები: ,,კოლმეურნის ქორწინება", ,,ჯაშუშის ბილიკი", ,,უდანაშაულო დამნაშავენი" და სხვ.

1936-1937 წლებში ნინო ჩიხლაძე მუშაობდა სოხუმში მსახიობად და რეჟისორ ვ. გარიკის თანაშემწედ.

ნინო ჩიხლაძე იმ მსახიობთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც ქართულ სცენაზე თავისი გარკვეული კვალი დატოვეს.

[2] „საბჭოთა ხელოვნება" 1939 წ. № 9.
[3] „საბჭოთა ხელოვნება" 1935 წ. № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მხატვრის ხსოვნას

ვახტანგ ბერიძე



ლადო გრიგოლია, რომელსაც ღრმა გულისტკივილით სამუდამოდ გამოვეთხოვეთ ამ წლის პირველსავე დღეებში, დიდი ეროვნული მხატვარი იყო.

დიდი რომ იყო — არავის ეჭვი არ შეეპარება, ვისაც თუნდაც ერთხელ სჭერია ხელში ლადო გრიგოლიას მიერ გაფორმებული წიგნი; ხოლო საქართველოში ვინ იქნება ისეთი, რომ ქართულად კითხულობდეს და ლადოს წიგნებს არ იცნობდეს? როგორი შეუცდომელი გემოვნება ჰქონდა, როგორი დონის პროფესიონალი იყო, როგორ აბსოლუტურად იყო დაუფლებული თავის ხელოვნებას, რა ღრმად სწვდებოდა გრაფიკის, სწორედ წიგნის გრაფიკის, საიდუმლოებას!

ეროვნული რომ იყო — ესეც ნათელი და უეჭველია, იმიტომ, რომ მის ხელოვნებას ქართულ პირველნაბეჭდ წიგნსა და — მისი მეშვეობით — ძველ ქართულ ხელნაწერებში ჰქონდა ფესვები, მათი მემკვიდრე და გამგრძელებელი იყო. არავის არ უგრძვნია ისე ცხოვლად, ფაქიზად ქართული ასოებისა და ჩუქურთმის სილამაზე, არავის არ განუცდია ისეთი მთრთოლვარებით ქართული ანბანის მშვენიერება, როგორც ლადომ იგრძნო და განიცადა. მაგრამ ლადოს ძალას სწორედ ის შეადგენდა, რომ, როგორც ჭეშმარიტი შემოქმედი, არასოდეს არ იმეორებდა ძველს, უგულოდ არ ბაძავდა მას. მან უმდიდრესი ქართული ჩუქურთმა გრაფიკის ენაზე თარგმნა, ხოლო ძველი ქართული დამწერლობა თანამედროვედ აამეტყველა, ისე კი, რომ სავსებით შეუნარჩუნა ყველაფერი, რაც მას არსებითი, ორგანული ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო გრიგოლია ახალი ქართული წიგნის ხელოვნების ფუძემდებელია. მან მიანიჭა ქართული წიგნის გაფორმებას განუმეორებელი სახე და ყველამ აღიარა, რომ ეს სახე ღრმად ეროვნული იყო. დღევანდელი ქართული წიგნის განვითარების ყოველი საფეხური ლადოს სახელს უკავშირდება, ყოველ ეტაპზე იგი ქმნიდა უმნიშვნელოვანეს, ყველაზე მეტად დამახასიათებელ, წიგნებს. მანვე შექმნა ქართველ მწერალთა პორტრეტები, რომლებიც ჩვენი გრაფიკის უკეთეს ნიმუშთა რიგს მიეკუთვნება.

მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა მისი დიდი დამსახურებისა: ლადო ბუნებით აღმზრდელი იყო, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე სამხატვრო აკადემიაში ასწავლიდა ახალგაზრდობას, და მე არც მეგულება დღეს საშუალო და უმცროსი თაობის არც ერთი გრაფიკოსი, რომ ლადოს გაზრდილი და მისი მადლიერი არ იყოს.

ორმოცზე მეტი წლის მანძილზე ვიცნობდი ლადო გრიგოლიას და ყოველთვის მიმაჩნდა მაღალი ზნეობისა და მოქალაქეობის ნიმუშად. ძალიან თავისებური პიროვნება იყო: ემოციური, ტემპერამენტიანი, ,,ფეთქადი‘‘, იმავე დროს, სიკეთითა და გულითადობით სავსე; თავისი საქმის ფანატიკოსი და, იმავე დროს, სრულიად (დაუჯერებლად!) მოკლებული პატივმოყვარეობას, ერთი ყველაზე თავმდაბალ ადამიანთაგანი, ვინც კი ჩემი ცხოვრების გზაზე შემხვედრია. ეს იყო კაცი, რომელიც სამშობლოსათვის, ადამიანთათვის, სხვისთვის იწვოდა, თავისთვის კი არასოდეს არაფერს არ მოითხოვდა.

დრო გავა და შორიდან უკეთ გამოჩნდება ლადოს ღვაწლი, ის ღრმა კვალი, რომელიც მან დაამჩნია განახლებული ქართული ხელოვნების განვითარებას — როგორც შემოქმედმა, აღმზრდელმა და ადამიანმა.

# ანასტასია ვირსალაძე

გულბათ ტორაძე

გამოჩენილმა პიანისტმა და პედაგოგმა ანასტასია ვირსალაძემ (1883-1968), თავისი დაუცხრომელი არტისტული და აღმზრდელობითი მოღვაწეობით უდიდესი ღვაწლი დასდო მშობლიურ მუსიკალურ კულტურას. ა. ვირსალაძის ტრადიციები დღესაც ვითარდებიან მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეების შემოქმედებაში.

ანასტასია ვირსალაძე აღიზარდა გასული საუკუნის მოწინავე ქართველ ინტელიგენტთა წრეში. მამამისი დავით აბდუშელიშვილი ,,თერგდალეულთა‘‘ თაობას ეკუთვნოდა. მას პეტერბურგში ჰქონდა მიღებული იურიდიული განათლება. ქუთაისში, დ. აბდუშელიშვილის სახლში ხშირად იმართებოდა სჯა-ბაასი ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე.

როგორც ცნობილია, ქუთაისი ამ დროისთვის ქართული კულტურის ერთ-ერთი უმთავრესი ცენტრი იყო, აქ გაატარეს სიყრმის წლები ქართული პროფესიული მუსიკის ფუძემდებლებმა — მელიტონ ბალანჩივაძემ და ზაქარია ფალიაშვილმა. 60-იანი წლების პირველ ნახევარში აქ მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი პიანისტი ალოიზ მიზანდარი, რომლის ძმასთან — ფელიქსთან შემდგომ სწავლობდნენ ვანო და ზაქარია ფალიაშვილები. მრავალი წლის მანძილზე ქუთაისში იღვწოდა ცნობილი მომღერალი, ქართული გალობის მოამაგე ფილიმონ ქორიძე, ხალხური სიმღერების შემკრებნი და საგუნდო საქმის შესანიშნავი მცოდნეები ა. ბენაშვილი, მ. მაჭავარიანი, ძმები მ. და ნ. შარაბიძეები და სხვები. ქუთაისის მუსიკალურ ცხოვრებას საგრძნობი კვალი დააჩნიეს ჩამოსულმა რუსმა ინტელიგენტებმა, რომელთა შორის იყვნენ ქრ. გროზდოვი — ქართული ხალხური სიმღერის ერთ-ერთი პირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემკრები, ზ. ვორობეცი (ფ. ქორიძის მეუღლე) — პიანისტი და პედაგოგი, მ. მამონტოვა — სახელგანთქმული რუსი პიანისტის ანა ესიპოვას მოწაფე — სწორედ ამ გამოცდილ მუსიკოსთან თითქმის 9 წელი სწავლობდა ა. ვირსალაძე. იგი ყოველთვის გულთბილად იგონებდა თავის პირველ მასწავლებელს, რომელმაც ჩაუნერგა მას მუსიკის სიყვარული, მანვე ბევრი რამ უამბო გამოჩენილ რუს პიანისტსა და პედაგოგზე ანა ესიპოვაზე, რომელთანაც სწავლა ა. ვირსალაძეს ოცნებად გადაექცა; საშუალო განათლება ა. ვირსალაძემ მიიღო ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებელში, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო სასწავლებლად ითვლებოდა მთელს საქართველოში. მასში სხვათა შორის, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა მუსიკალურ აღზრდას. აუცილებელ საგნად ითვლებოდა სიმღერა, მოქმედებდა მოწაფეთა გუნდი, აღსაზრდელებს, თუკი მოისურვებდნენ, შეეძლოთ ესწავლათ ფორტეპიანოზე დაკვრაც.

ა. ვირსალაძის მუსიკალურ აღზრდაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ანდრია ბენაშვილმა — ქართული ხალხური მუსიკის ერთ-ერთმა პირველმა შემკრებმა და შესანიშნავმა მცოდნემ. იგი ასწავლიდა მას ხალხურ სიმღერებს, უვითარებდა საგუნდო გალობის ჩვევებს.

1899 წლის ზაფხულის მიწურულში ა. ვირსალაძე წარსდგა პეტერბურგის კონსერვატორიის მიმღები კომისიის წინაშე, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მაღალავტორიტეტული მუსიკოსები. მიმღებ კომისიას ხელმძღვანელობდა დიდი რუსი კომპოზიტორი ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვი, ცნობილი თავისი სიმკაცრითა და მომთხოვნელობით. ა. ვირსალაძემ გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა, აუცილებელი პროგრამის შესრულება ფრიადზე შეაფასეს. მუსიკალურ სმენაში კი რიმსკი-კორსაკოვმა მას დაუწერა ხუთიანი პლიუსით. ა. ვირსალაძე განაწესეს კონსერვატორიის ე. წ. „უმცროს კურსებზე", რომელსაც პროფ. ს. ფ. ცურმიულენი ხელმძღვანელობდა. ამ ორწლიანი კურსების გავლის შემდეგ იგი მიღებულ იქნა ცნობილი პროფესორის ლეშეტიცკის მოწაფის კ. კ. ფან-არკის კლასში. ა. ვირსალაძე კი ოცნებობდა ესწავლა ანა ესიპოვასთან, მაგრამ, ამჯერად, ეს ოცნება განუხორციელებელი დარჩა, რადგან ესიპოვას კლასი უკიდურესობამდე იყო გადატვირთული.

მოხუცი ფან-არკი ა. ვირსალაძის მოგონებით „შესანიშნავი მუსიკოსი, უდავოდ, თვალსაჩინო პედაგოგი, ნერვიული და ფიცხი ადამიანი იყო — წელიწადნახევარი, რომელიც მასთან გავატარე, ნამდვილ წამებად იქცა ჩემთვის" — წერდა იგი. 1903 წ. ფან-არკი გარდაიცვალა და ახალგაზრდა პიანისტი უპედაგოგოდ დარჩა. ა. ვირსალაძემ თხოვნით მიმართა ა. ესიპოვას, რომელმაც იგი მოისმინა და შემდეგ თავის კლასში ჩარიცხა. იგი გახდა ესიპოვას რიგით 46-ე სტუდენტი, უსაზღვრო იყო მისი სიხარული. ამ წლებში ესიპოვასთან სწავლობდნენ მომავალში ცნობილი პიანისტები ა. ბოროვსკი (1907-1912), ვ. დროზდოვი (1899-1905), ლ. კრეიცერი (1901-1904), ა. ზეილიგერი (1907-1913), ლ. პიშნოვი (1907-1911)[1] და სხვები. ა. ვირსალაძე მღელვარედ იგონებს ამ წლებს, იგი წერს: „ექვსი წელი გავატარე მე ესიპოვას კლასში და, შემიძლია ვთქვა: ეს იყო ჩემი ცხოვრების საუკეთესო, უბედნიერესი წლებიო".

თავის მხრივ ესიპოვასაც არაერთგზის აღუნიშნავს თავისი მოწაფის ჩინებული მონაცემები, სულიერი სიფაქიზე, თავდადება შრომაში. პეტერბურგის კონსერვატორიაში ა. ვირსალაძე ისმენდა გამოჩენილი მუსიკოსების კ. გლაზუნოვის, ა. ლიადოვის, ლ. საკეტის, ვ. კალაფატის, ნ. სოკოლოვისა და სხვათა ლექციებს.

პეტერბურგი ვირსალაძის მოქალაქეობრივი და არტისტული ფორმირების ნამდვილ უნივერსიტეტად იქცა. პეტერბურ-



ანასტასია ვირსალაძე

გი იმჟამინდელი რუსეთის საზოგადოებრივი და მუსიკალური ცენტრი იყო.

1905 წლის რევოლუციის მქუხარე ამბებმა პეტერბურგის კონსერვატორიის ცხოვრებაშიც ჰპოვა გამოძახილი. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით პროფ. ვირსალაძე თავის მოგონებებში:

„1905 წელს, როდესაც კონსერვატორიის რეაქციულმა ხელმძღვანელობამ დაითხოვა რიმსკი-კორსაკოვი, ესიპოვამ სხვა მოწინავე რუს მუსიკოსებთან ერთად პროტესტის ნიშნად დასტოვა კონსერვატორია. ცხადია, რომ მას თან გაჰყვა მთელი მისი კლასიც და მხოლოდ მის შემდეგ, რაც საზოგადოებრიობის მოთხოვნით დირექცია იძულებული გახდა კვლავ უკან და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებრუნებინა დიდი რუსი კომპოზიტორი, ესიპოვა დაბრუნდა კონსერვატორიაში".

რაც შეეხება პეტერბურგის იმჟამინდელ მუსიკალურ ცხოვრებას, იგი არაჩვეულებრივად ინტენსიური და მჩქეფარე იყო. ერთმანეთს ცვლიდნენ სახელგანთქმული რუსი და უცხოელი პიანისტების, მომღერლების, დირიჟორებისა და სხვათა კონცერტები. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსზე ეპოქის უდიდესი პიანისტების ს. რახმანინოვისა და ი. ჰოფმანის, დიდი უნგრელი დირიჟორის ა. ნიკიშის, განთქმული ვიოლინისტის ლ. აუერის კონცერტებს, შალიაპინის სპექტაკლებს.

პეტერბურგში ახალგაზრდა პიანისტი პირველად წარსდგა მსმენელთა წინაშე, წარმატებით გამოდიოდა კონსერვატორიის აკადემიურ კონცერტებზე, შემდეგ პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის სააქტო დარბაზში.[2] აქვე, პეტერბურგში გადაუდგამს ჩვენს სახელოვან მუსიკოსს პირველი ნაბიჯები პედაგოგიურ სარბიელზეც. იგი კერძო გაკვეთილებს აძლევდა ნორჩ მუსიკოსებს.

1906 წელს პეტერბურგში ,,ქართული სათვისტომოს" ერთ-ერთ კრებაზე ტასო აბდუშელიშვილი წარუდგინეს ვანო სარაჯიშვილს და გააცნეს იგი როგორც ნიჭიერი, პერსპექტიული პიანისტი. დამსწრეთა თხოვნით მას დაუკრავს რამდენიმე პიესა, სახელოვანი მომღერალი მოხიბლულა მისი დაკვრით და იქვე შეუთავაზებია აკომპანემენტი გაეწია მისთვის. ახალგაზრდა პიანისტი ძალიან აღელვა ამ წინადადებამ, მაგრამ ყველაფერმა შესანიშნავად ჩაიარა. აღფრთოვანებულმა ვანომ მისთვის ჩვეული ექსპანსიურობით გადაკოცნა თავისი აკომპანიატორი და მას ბრწყინვალე მომავალი უწინასწარმეტყველა. ა. ვირსალაძე ხშირად იგონებდა ამ ეპიზოდს, მუდამ ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით ლაპარაკობდა დიდ მომღერალზე. 1924 წელს გარდაიცვალა ვ. სარაჯიშვილი — ,,საქართველოს ბულბული", ანასტასია ვირსალაძემ პანაშვიდზე დაუკრა შოპენისა და ჩაიკოვსკის სამგლოვიარო ნაწარმოებები.

პეტერბურგის კონსერვატორიაში სწავლების წლებში ანასტასია აბდუშელიშვილი გაეცნო და შემდეგ, 1907 წელს, ცოლად გაჰყვა გამოჩენილ ქართველ ექიმსა და მეცნიერს სპირიდონ სიმონის ძე ვირსალაძეს (1868-1930), რომელიც იმხანად პეტერბურგში მუშაობდა სადოქტორო დისერტაციაზე. 1909 წელი ბედნიერი აღმოჩნდა სპირიდონ და ანასტასია ვირსალაძეებისათვის: პირველმა პეტერბურგის სამხედრო სამედიცინო აკადემიაში ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, მეორემ კი წარჩინებით დაამთავრა პეტერბურგის კონსერვატორია. სახელმწიფო გამოცდაზე ა. ვირსალაძემ დაუკრა: ბახ-ტაუზიგის ტოკატა და ფუგა, ბეთჰოვენის სონატა № 32, შუმანის სონატა fis-moll, შოპენის სონატა h-moll, ლისტის რაფსოდია № 2, ბეთჰოვენის კონცერტი № 5 (მეორე როიალის პარტიას ასრულებდა ესიპოვას მოწაფე, შემდეგში ცნობილი პიანისტი ა. ბოროვსკი).

საგამოცდო კომისიამ, რომელსაც კონსერვატორიის რექტორი კ. კლაზუნოვი თავმჯდომარეობდა, ამ უაღრესად რთული და მრავალფეროვანი პროგრამის შესრულება ფრიადზე შეაფასა. კომისიის გადაწყვეტილებით ანასტასია ვირსალაძეს მიენიჭა თავისუფალი ხელოვანის წოდება. გულთბილად და დიდი სიყვარულით დაემშვიდობნენ ერთმანეთს მასწავლებელი და მოწაფე. ამის შემდეგ ისინი კიდევ ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს — პეტერბურგში 1911 წელს და ბერლინში 1913 წელს. ამით მთავრდება ანასტასია ვირსალაძის ცხოვრების მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო პერიოდი.

ა. ვირსალაძე ერთ-ერთი პირველი ქართველი მუსიკოსია, რომელმაც დაამთავრა იმდროინდელი რუსეთის საუკეთესო უმაღლესი მუსიკალური სასწავლებელი და მაღალი პროფესიული ჩვევებით აღჭურვილი დაბრუნდა სამშობლოში, რათა თავისი ხალხის სამსახურში ჩამდგარიყო.

მაგრამ თავისი გეგმების განხორციელებას იგი მხოლოდ 12 წლის შემდეგ შეუდგა.

ამის უმთავრესი მიზეზი ის გახლავთ, რომ კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ მას ასტკივდა ხელები. ამის გამო 10 წლის მანძილზე ა. ვირსალაძე არ მიჰკარებია ფორტეპიანოს, იგი უარს ამბობს არა მარტო საკონცერტო გამოსვლებზე (1-2 გამონაკლისის გარდა), არამედ პედაგოგობაზეც, რადგან თვლის, რომ სრულფასოვანი პედაგოგიური მუშაობა სისტემატურ საშემსრულებლო პრაქტიკას მოითხოვს, რათა შეგეძლოს მოწაფეებისთვის ნაწარმოების შესრულება მაღალ დონეზე. 10-20-იანი წლების მიჯნაზე, იგი არ ეკარებოდა ინსტრუმენტს, მხოლოდ დროდადრო ფრთხილად მოსინჯავდა ხოლმე კლავიშებს.

1921 წლის შემოდგომაზე ა. ვირსალაძეს ეწვივნენ დიმიტრი არაყიშვილი და ცნობილი პედაგოგი ელენე ქიქოძე. დ. არაყიშვილმა, რომლის თაოსნობითაც თბილისში გაიხსნა მეორე კონსერვატორია, შესთავაზა ა. ვირსალაძეს საფორტეპიანო კლასის ხელმძღვანელობა. ,,თავს შევიკავებ, სანამ არ მოვრჩები" — განუცხადებია ანასტასიას. მაგრამ მაინც დაითანხმეს. 1921 წლიდან იწყება პროფ. ა. ვირსალაძის სისტემატური პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელმაც თითქმის ნახევარი საუკუნე გასტანა. მისი პირველი მოწაფეები იყვნენ: ა. ქიქოძე, ელ. თოთიბაძე, ნ. მაჭარაძე, თ. სახოკია. 1923 წელს მოხდა პირველი და მეორე კონსერვატორიების გაერთიანება. ა. ვირსალაძე სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მუშაობდა ჯერ უფროს მასწავლებლად, შემდეგ დოცენტად (1925) და ბოლოს პროფესორად (1932). კონსერვატორიაში მუშაობის დაწყებასთან ერთად, ა. ვირსალაძე თანდათან შეუდგა საშემსრულებლო მოღვაწეობას, იგი აკომპანემენტს უწევს თავის სტუდენტებს, გამოდის საჯარო კონცერტებზეც — კონსერვატორიის სიმებიან კვარტეტთან ერთად უკრავს შუმანისა და ტანეევის საფორტეპიანო კვინტეტებს, ცნობილ მუსიკოსებთან — ვ. ვილშაუსა და კ. მინიართან ერთად — ჩაიკოვსკის, არენსკისა და რახმანინოვის ტრიოებს, ვიოლონჩელისტ ცოვიანოვთან ერთად კი ფრანკისა და რახმანინოვის სონატებს. 1926 წლის ივლისში ა. ვირსალაძე შემოქმედებითი მივლინებით გაემგზავრა გერმანიაში. ამ დროს ბერლინის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე სწავლობდა მისი უფროსი ვაჟი დავითი[3]. ა. ვირსალაძეს მგზავრობა მიზნად ისახავდა საფორტეპიანო მეთოდიკის დარგში უახლესი მიღწევების გაცნობასა და ათვისებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიაში ა. ვირსალაძემ 6 თვემდე დაჰყო. ბერლინში მისი ყოფნა ძალზე ნაყოფიერი აღმოჩნდა. საკონცერტო სეზონი უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვანი იყო. აფიშებზე ერთმანეთს ცვლიდნენ გამოჩენილი დირიჟორებისა და შემსრულებლების გვარები. მან აქ მოუსმინა გამოჩენილ დირიჟორებს: ფურტვენგლერსა და კლემპერერს, პიანისტებს შნაბელს, გიზეკინგს, გალსტონსა და გოროვიცს. ა. ვირსალაძე სისტემატურად ესწრებოდა არა მარტო კონცერტებს, არამედ რეპეტიციებსაც. აქვე შეხვდა თავის პეტერბურგელ ნაცნობს, ესიპოვას მოწაფეს, ცნობილ პიანისტსა და პედაგოგს ლ. კრეიცერს, რომელიც იმხანად ასწავლიდა ბერლინის „უმაღლეს სკოლაში". ა. ვირსალაძე რამდენჯერმე დაესწრო მის გაკვეთილებს, კრეიცერთან სწავლობდა ცნობილი პიანისტის ა. შნაბელის ვაჟი. კრეიცერმა (რომელსაც თურმე ქართველი ქალი ჰყავდა ცოლად), წარუდგინა შნაბელს ა. ვირსალაძე, რომელსაც საშუალება მიეცა დასწრებოდა ამ დიდი პიანისტისა და პედაგოგის რამდენიმე გაკვეთილს.

ბერლინში ა. ვირსალაძემ მოისმინა ცნობილი მეთოდისტის ფ. ლებენშტეინის კერძო თეორიული კურსი ე. წ. „მოძღვრება ტონიკა დოზე"[4]. (სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თბილისის კონსერვატორიაში ა. ვირსალაძემ საფორტეპიანო ფაკულტეტის სხდომაზე წაიკითხა მოხსენება ამის თაობაზე).

ბერლინში იგი ბევრს მეცადინეობდა, უკრავდა. მის გვერდით ბინაში ცხოვრობდა ბერლინის ფილარმონიული ორკესტრის დირიჟორი, რომელმაც ყურადღება მიაპყრო უცნობი მეზობლის დაკვრას. იგი უმალვე მიხვდა, თუ რა კვალიფიკაციის პიანისტთან ჰქონდა საქმე და შესთავაზა მიმდინარე სეზონის მიწურულში საკონცერტო გამოსვლა ბერლინში...

თბილისში დაბრუნების შემდეგ ა. ვირსალაძე გაორკეცებული ენერგიით შეუდგა მუშაობას. მალე მის არტისტულ ცხოვრებაში მოხდა ფრიად მნიშვნელოვანი ამბავი. 1927 წლის გაზაფხულზე მთელმა კულტურულმა კაცობრიობამ აღნიშნა ლიუდვიგ ვან ბეთჰოვენის გარდაცვალების 100 წლისთავი. ქართული საზოგადოებრიობა მხურვალედ გამოეხმაურა ამ ღირსშესანიშნავ თარიღს. 1927 წლის 4 აპრილს „ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსების საზოგადოების" ორკესტრმა ივანე ფალიაშვილის დირიჟორობით პირველად შეასრულა თბილისში ბეთჰოვენის მე-9 სიმფონია, ა. ვირსალაძემ კი ორკესტრთან ერთად დაუკრა ბეთჰოვენის საფორტეპიანო კონცერტი. ეს საღამო შევიდა ჩვენი საშემსრულებლო ხელოვნების ისტორიაში, როგორც უდიდესი მნიშვნელობის მხატვრული მოვლენა. ეს კონცერტი შემდეგ უდიდესი წარმატებით იქნა განმეორებული ა. ვირსალაძის მშობლიურ ქალაქ ქუთაისში.

ქართული მუსიკალური საზოგადოებრიობა ჯერ კიდევ შედარებით ნაკლებად იცნობდა ა. ვირსალაძეს — შემსრულებელს, ისიც ძირითადად როგორც ანსამბლისტს. ბეთჰოვენის კონცერტის შესრულებამ კი ცხადჰყო, რომ ა. ვირსალაძის სახით საქართველოს ჰყავდა მაღალი კლასის შემსრულებელი. იგივე დაადასტურეს მომდევნო 15-20 წლის მანძილზე გამართულმა კონცერტებმაც. ძალზე სამწუხაროა, რომ ამ შესანიშნავი მუსიკოსის გამოსვლა დიდ საკონცერტო ესტრადაზე ასეთი დაგვიანებით მოხდა — ამ დროისათვის იგი 45 წელს იყო გადაცილებული, ამასთან პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობა მას აღარ უტოვებდა დროს საკონცერტო მოღვაწეობისათვის მიეცა ისეთი მასშტაბი, რომელიც მის დიდ ნიჭს, უნარსა და პროფესიულ კვალიფიკაციას შეეფერებოდა.

1929-30 სასწავლო წელს პროფ. ვირსალაძის კლასს ამთავრებდა დიდი ჯგუფი სტუდენტებისა — ეს იყო მისი პირველი გამოშვება. მასწავლებელიც და მოწაფეებიც დიდი ხალისითა და ენთუზიაზმით მუშაობდნენ. ა. ვირსალაძემ დაგეგმა სასწავლო წლის ბოლოსთვის თავისი კლასის პირველი საჯარო საჩვენებელი კონცერტი. ჩვეული ენერგიით, გულმოდგინებითა და საქმისადმი სიყვარულით ამზადებდა თავის აღზრდილებს ამ საპასუხისმგებლო გამოსვლისთვის. 1930 წ. 30 მარტს უეცრად გარდაიცვალა ა. ვირსალაძის მეუღლე, პროფესორი ს. ვირსალაძე, რომელიც ქართულმა სამედიცინო საზოგადოებრიობამ დიდი პატივით დაკრძალა დიდუბის პანთეონში. ამ სამწუხარო ამბით შეფერხებული მუშაობა კვლავ განახლდა ივნისის თვეში — კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა კონცერტი, რომელმაც შეაჯამა ა. ვირსალაძის ცხრაწლიანი პედაგოგიური მუშაობის შედეგები.

კონცერტმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. დარბაზში ტევა არ იყო. მუსიკოსების გარდა კონცერტს ესწრებოდა ქართული ინტელიგენციის ბევრი ცნობილი წარმომადგენელი, მათ შორის კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ზანდუკელი და სხვები.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს პროფ. ვირსალაძის კლასის სტუდენტებმა და დიპლომანტებმა: ნ. ჯავახიშვილმა, გ. ნაზარიანმა, ქ. ჩოლოყაშვილმა, ს. ელიავამ, თ. ერისთავმა, ბ. გაბარაშვილმა, ნ. ლაფერაშვილმა და ნორჩმა პიანისტმა — თინათინ გოგოლაშვილმა, კონცერტის პროგრამა მრავალფეროვანი იყო. (ბახი, მოცარტი, შოპენი, ლისტი). აღსანიშნავია, რომ სხვა ნაწარმოებებთან ერთად იმ საღამოს თბილისში პირველად შესრულდა სკრიაბინის მე-2, მეტნერის — ლა მინორი და პროკოფიევის მე-3 საფორტეპიანო სონატები. ა. ვირსალაძე ძალიან ღელავდა და თავისი აღზრდილების დაკვრას უსმენდა მეორე სართულზე მდებარე ბიბლიოთეკიდან. კონცერტს წარმატება ხვდა, პედაგოგსა და მის მოწაფეებს გულითადად მიულოცა წარმატება კონსერვატორიის რექტორმა ზაქარია ფალიაშვილმა.

დიდი ქართველი კომპოზიტორისა და ვირსალაძეების ოჯახის მეგობრული ურთიერთობა დაიწყო ჯერ კიდევ რევოლუციამდე, მაგრამ გაღრმავდა 1923 წლის შემდეგ, როდესაც ა. ვირსალაძე შეუდგა მუშაობას ახლად რეორგანიზებულ კონსერვატორიაში.

ა. ვირსალაძის მოგონებებში ვკითხულობთ: „1923 წ. თბილისის ორი კონსერვატორიის გაერთიანების შემდეგ მე დავიწყე იქ მუშაობა. კონსერვატორიას სათავეში ედგა ზ. ფალიაშვილი. ზაქარია პეტრეს ძეს მე ადრეც ვიცნობდი. იგი ხშირი სტუმარი იყო ჩვენი ოჯახისა და არაერთგზის შემოუთავაზებია ჩემთვის კონსერვატორიაში მუშაობის დაწყება. მისი მოგონებები სტუდენტობის წლებში, როდესაც იგი მეცადინეობდა განთქმულ პედაგოგ ს. ტანეევთან, ძალიან წარმტაცი იყო. ხშირად ყვებოდა აგრეთვე თავისი მოგზაურობის შესახებ

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სადაც იგი კრებდა და იწერდა ქართულ ხალხურ სიმღერებს, გატაცებული იყო ქართული ეროვნული კულტურის განვითარების საკითხებით. ზაქარია პეტრეს ძესთან საუბრებმა, მისმა ენერგიამ და მუსიკით გატაცებამ დიდად შეუწყეს ხელი ჩემი პედაგოგიური მუშაობის დაწყებას.

მახსოვს იგი კონსერვატორიის დირექტორად. მომთხოვნი, მაგრამ, ამავე დროს, უაღრესად სამართლიანი და ყოველგვარი კარგი წამოწყების ხელისშემწყობი და მხარისდამჭერი იყო... ეხმარებოდა მატერიალურად გაჭირვებულ ნიჭიერ სტუდენტებს, შუამდგომლობას უწევდა მათ განსახკომის წინაშე სტიპენდიის დანიშვნისა და სწავლის ფულის გადახდისაგან განთავისუფლების საკითხში. იგი ძალზე ყურადღებიანი და გულისხმიერი იყო პედაგოგების მიმართაც. მისი სამართლიანი და ობიექტური დამოკიდებულება პედაგოგებისადმი კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენდა მათ მუშაობაზე. ჩემის მხრით უნდა დავსძინო, რომ მისმა კეთილმა განწყობამ დიდად შემიწყო ხელი არა მარტო პედაგოგიური, არამედ საკონცერტო მოღვაწეობის თანდათანობით დაწყებაში. და თუკი მე რაიმეს მივაღწიე, ამაში დიდი როლი შეასრულა ზაქარია პეტრეს ძის დამოკიდებულებამ ჩემდამი"[5].

საინტერესო მოგონებებს გვაწვდის ამ შესანიშნავი ადამიანების ურთიერთობის შესახებ ა. ვირსალაძის უმცროსი ვაჟი, ცნობილი ექიმი კოტე ვირსალაძე: „ზაქარია ფალიაშვილი ჩვენი ოჯახის დიდი მეგობარი იყო, დედაჩემთან საათობით საუბრობდა, ანდობდა მას თავის გულის ნადებს, საოცრად მიამიტი და ამავე დროს ფიცხი ბუნების ადამიანი იყო, ძალიან ბევრს წევდა, ნერვიულად აბოლებდა და მისთვის ჩვეული მანერით სხაპასხუპითა და ენერგიული ჟესტიკულაციით ლაპარაკობდა ცხოვრების ავ-კარგზე. განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ მათ 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან. მახსოვს ერთ-ერთი შეხვედრა მასთან 1925 წლის ზაფხულში ბორჯომში, სადაც იგი ორიოდე დღით შეჩერდა გზად მიმავალი აბასთუმანში. აგარაკის აივანზე ჩაის ვსვამდით. ეზოში დურგლები მუშაობდნენ. უეცრად ერთ-ერთმა მათგანმა „თავო ჩემო" წამოიწყო. ბატონი ზაქარია ძალზე აღელდა, სკამზე მოუსვენრად ცმუკავდა, შემდეგ კი როდესაც დურგალმა სიმღერა დაამთავრა, ეზოში ჩაირბინა და გაკვირვებისგან გაოგნებული ხელოსანი გადაკოცნა.

მახსოვს ერთი ასეთი შემთხვევაც, ეს იყო 1931 წელს. კარგა ხანს აღარ გვენახა ბატონი ზაქარია, უეცრად, ერთ მშვენიერ დღეს, ძალიან ადრე, საათის 9-ზე იგი გამოგვეცხადა— აღელვებული და ბედნიერი. თურმე, ის-ის იყო დაბრუნებულიყო ხარკოვიდან, სადაც პირველად არაქართულ სცენაზე დიდი წარმატებით დაიდგა მისი უკვდავი „აბესალომი". გაბრწყინებული სახით გვიყვებოდა დადგმაზე, შემსრულებლებზე, სპექტაკლის გულთბილ მიღებაზე...

რა თქმა უნდა, ესწრებოდა როგორც ბეთჰოვენის იუბილისადმი მიძღვნილ ღირსსახსოვარ საღამოს, სადაც დედამ მე-5 კონცერტი დაუკრა, ასევე მისი კლასის კლავირაბენდს 1930 წელს, რომლის შემდეგაც გულთბილად მიულოცა წარმატება კონცერტის ყველა მონაწილეს".

მართლაც, კონცერტი მნიშვნელოვან მოვლენად იქცა კონსერვატორიის მუსიკალურ ცხოვრებაში, პროფ. ვირსალაძის სკოლას კი მან საბოლოოდ დაუმკვიდრა მაღალი შემოქმედებითი ავტორიტეტი. ამიერიდან ასეთი სახის შემოქმედებითი ანგარიშები, რომლებიც აჯამებდნენ წლიური მუშაობის შედეგებს, ა. ვირსალაძემ ტრადიციად აქცია.

1931 წლის შემოდგომაზე თბილისში დროებით ჩამოვიდა სამუშაოდ გამოჩენილი რუსი მუსიკოსი-კომპოზიტორი და პედაგოგი, ლენინგრადის კონსერვატორიის პროფესორი ვ. ვ. შჩერბაჩოვი, რომელსაც ა. ვირსალაძე ჯერ კიდევ პეტერბურგის კონსერვატორიიდან იცნობდა. სტუდენტ და ასპირანტ კომპოზიტორებთან მეცადინეობის გარდა შჩერბაჩოვმა იკისრა თბილისის კონსერვატორიის სიმებიანი კვარტეტის (მის შემადგენლობაში იყვნენ ლ. სტუპელი, მ. ძიძიშვილი, ლ. იაშვილი და გ. თაქთაქიშვილი) ხელმძღვანელობა. როდესაც დადგა საკითხი ს. ფრანკის ცნობილი საფორტეპიანო კვინტეტის შესრულებისა (პირველად თბილისში), კვარტეტის მონაწილეებმა და მათმა ხელმძღვანელმა ფორტეპიანოს პარტიის შემსრულებლად ა. ვირსალაძე მიიწვიეს. და, აი, 1932 წლის 10 მაისს კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა კონცერტი, რომლის პროგრამაშიც იყო შ. თაქთაქიშვილის სიმებიანი კვარტეტი და ს. ფრანკის კვინტეტი.

კონცერტმა დიდძალი ხალხი მიიზიდა. სხვებთან ერთად ამ საღამოს ესწრებოდა ქართული მუსიკალური ხელოვნების ამომავალი ვარსკვლავი ევგენი მიქელაძე, რომელმაც მხურვალედ მიულოცა ანსამბლის მონაწილეებს დიდი შემოქმედებითი გამარჯვება. კონცერტის შემდეგ მთელი ანსამბლი მიიწვიეს გამოჩენილი საბჭოთა მომღერლის ი. კოზლოვსკის საღამოზე, რომელიც დიდი წარმატებით გაიმართა ოპერის თეატრში. მსმენელმა კვინტეტსა და მის ხელმძღვანელს პროფ. შჩერბაჩოვს მხურვალე ოვაცია გაუმართა. 1932 წელს ა. ვირსალაძეს მიენიჭა პროფესორის წოდება, 1932-33 სასწავლო წლის დასაწყისისთვის თბილისის კონსერვატორიაში ჩამოყალიბდა საფორტეპიანო კათედრა, რომლის გამგედ დაინიშნა პროფ. ვირსალაძე. ამ თანამდებობაზე მან იმუშავა 1951 წლის შემოდგომამდე. (1937-38 და 1947-50 სასწ. წლებში კათედრას ხელმძღვანელობდნენ პროფესორები ა. თულაშვილი და ვ. კუფტინა).

30-იანი წლების დასაწყისში მუსიკის მოყვარულებმა რამდენჯერმე იხილეს ა. ვირსალაძე საკონცერტო ესტრადაზე. კონსერვატორიის მცირე დარბაზში გამართულ შერეულ კონცერტებზე მან დაუკრა ვაგნერ-ლისტის „იზოლდას სიკვდილი", ბრამსის საფორტეპიანო პიესები და ორ როიალზე ლისტის „პათეტიკური კონცერტი" პროფ. ტერ-სტეფანოვასთან ერთად.

1933-37 წლებში ქართულმა ხალხურმა და პროფესიულმა მუსიკამ და საშემსრულებლო ხელოვნებამ ფართო საკავშირო აღიარება ჰპოვა. აღმავლობა და წარმატებები დაკავშირებულია უნიჭიერესი ქართველი დირიჟორის ევგენი მიქელაძის ხანმოკლე, მაგრამ მჩქეფარე მოღვაწეობასთან. 1933 წელს მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, რომელმაც თავისი არსებო-

ბის პირველსავე სეზონებში ბრწყინვალე კონცერტების ციკლი ჩაატარა. ერთ-ერთ ამ კონცერტში, რომელსაც ე. მიქელაძე დირიჟორობდა, მონაწილეობდა ანასტასია ვირსალაძე, მან დაუკრა შუმანის საფორტეპიანო კონცერტი, რომელიც მას ჯერ კიდევ ესიპოვას ხელმძღვანელობით ჰქონდა ნასწავლი. წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ მალე ეს კონცერტი ხელმეორედ იქნა განმეორებული. ეს არ იყო ე. მიქელაძისა და ა. ვირსალაძის პირველი შემოქმედებითი შეხვედრა. მათი თანამშრომლობა დაიწყო ჯერ კიდევ 1931 წელს, როდესაც ე. მიქელაძემ აკომპანემენტი გაუწია ა. ვირსალაძის სტუდენტებს — ქ. ჩოლოყაშვილსა და გ. ნაზარიანს, რომლებმაც ორკესტრთან ერთად ბეთჰოვენის მე-5 საფორტეპიანო კონცერტი შეასრულეს. რამდენიმე წლის შემდეგ უკვე თვით ა. ვირსალაძემ დაუკრა ეს კონცერტი ე. მიქელაძესთან ერთად. ვინ იცის, კიდევ რამდენ შესანიშნავ ნაყოფს გამოიღებდა ამ ორი დიდი ხელოვანის შემოქმედებითი თანამშრომლობა...

30-იანი წლების მიწურულში ა. ვირსალაძე კიდევ ორჯერ წარსდგა მსმენელთა წინაშე — ამჯერად შოპენის კონცერტისა ფა-მინორი და ბეთჰოვენის მე-4 საფორტეპიანო კონცერტის შესანიშნავი შესრულებით (დირიჟორობდა გ. კილაძე).

30-იანი წლები ვირსალაძის არტისტული და პედაგოგიური ავტორიტეტის განმტკიცების ხანაა, ამას მოწმობს თუნდაც 1935 და 1937 წლებში მისი მიწვევა პიანისტების II და III საკავშირო კონკურსების ჟიურიში.

1934 წ. თბილისის კონსერვატორიასთან ჩამოყალიბდა „ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფი". მის ბაზაზე ოთხი წლის შემდეგ დაარსდა მუსიკალური სკოლა-ათწლედი, რომელიც ნორჩ მუსიკოსთა აღზრდის უმნიშვნელოვანეს კერად იქცა, ა. ვირსალაძემ პირველივე დღიდან დაიწყო აქ მოღვაწეობა. ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება მას თითქმის არ ჰქონია, მაგრამ ახალ საქმეს იგი უდიდესი გულისყურითა და სიყვარულით მოეკიდა. ეს სათნო და ნაზი ბუნების ადამიანი, მოწოდებული იყო ამ კეთილშობილი საქმისათვის. მეოთხედ საუკუნეზე მეტ ხანს მუშაობდა პროფ. ა. ვირსალაძე მუსიკალურ ათწლედში (შემდგომ თბილისის ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში) და ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ნორჩი თაობის მუსიკალური აღზრდის საქმეს ჩვენს რესპუბლიკაში. აქ, 30-იანი წლების დამლევს, ა. ვირსალაძესთან დაიწყეს მეცადინეობა, შემდეგში ცნობილმა საბჭოთა პიანისტებმა, ლ. ვლასენკომ და დ. ბაშკიროვმა, რომლებიც მასთან ათ წელზე მეტ ხანს სწავლობდნენ. ამ სკოლაში აღიზარდა ა. ვირსალაძის შვილიშვილი და მოწაფე — სახელოვანი ქართველი პიანისტი ელისო ვირსალაძე და მრავალი სხვა.

1941 წლის თებერვალში პროფ. ა. ვირსალაძეს მიენიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება. მასთან ერთად ეს საპატიო წოდება მიენიჭა კონსერვატორიის საფორტეპიანო კათედრის უხუცეს წევრს, ერთ-ერთ პირველ ქართველ პიანისტ ქალს პროფ. ანა თულაშვილს.

დიდი სამამულო ომის დღეებში, მიუხედავად მძიმე პირობებისა, თბილისის მუსიკალური ცხოვრება ინტენსიურად ჩქეფდა, რასაც ხელი შეუწყო მრავალი გამოჩენილი მოსკოველი მუსიკოსის ჩამოსვლამ. მათ შორის იყო კ. ნ. იგუმნოვი, შესანიშნავი რუსი პიანისტი, მოსკოვის კონსერვატორიის ერთ-ერთი უხუცესი და მაღალავტორიტეტული პროფესორი — ლ. ობორინის, მ. გრინბერგისა და ი. ფლიერის მასწავლებელი. იგუმნოვს ადრეც არაერთგზის, დიდი წარმატებით გაუმართავს კონცერტები თბილისში. ვირსალაძეების ოჯახმა სტუმართმოყვარედ გაუხსნა თავისი სახლის კარი ამ სახელოვან მუსიკოსსა და შესანიშნავ ადამიანს. იგუმნოვი 10 თვეზე მეტ ხანს ცხოვრობდა ვირსალაძეების ბინაზე. იგუმნოვსა და ა. ვირსალაძეს შორის იმთავითვე დამყარდა უაღრესად გულთბილი მეგობრული დამოკიდებულება, რასაც მუსიკის გარდა საფუძვლად ედო ის სამაგალითო ინტელიგენტობა და სულიერი სიფაქიზე, ამ ორ შესანიშნავ ადამიანს რომ ანათესავებდა.

ფართო გამოხმაურება ჰპოვა 1943 წლის გაზაფხულზე თბილისის საოპერო თეატრში გამართულმა სიმფონიურმა კონცერტმა, რომელშიც, ათწლედის სხვა ნიჭიერ მოსწავლეებთან ერთად, მონაწილეობდნენ ა. ვირსალაძის აღსაზრდელები ლ. ვლასენკო, რ. პარუმბეკოვა და ნ. ყავრიშვილი. ამ სიმფონიურ კონცერტს დირიჟორობდა ცნობილი საბჭოთა დირიჟორი ა. გაუკი.

ასევე დიდი ინტერესი გამოიწვია 15 წლის ლ. ვლასენკოს პირველმა კლავირაბენდმა, რომელიც 1944 წლის გაზაფხულზე გაიმართა და გამოვლინდა მისი ნიჭიერება და პროფესიული კულტურა. ასევე გამოიჩინა თავი ვლასენკოზე ორი წლით უმცროსმა, ძალზე ნიჭიერმა დ. ბაშკიროვმა. მისი უაღრესად მუსიკალური, ტემპერამენტული და გააზრებული დაკვრა საყოველთაო ყურადღებას იქცევდა. მალე ვლასენკომ და დ. ბაშკიროვმა აღიარება მოიპოვეს საკავშირო და საერთაშორისო მასშტაბითაც.

იშვიათი ნებისყოფის, ორგანიზებულობის, შემოქმედებითი გამიზნულობისა და რაც მთავარია, საქმისადმი მხურვალე სიყვარულის წყალობით ა. ვირსალაძე ყოველდღიურად ეწეოდა ფრიად დიდი მოცულობის სამუშაოს: მეცადინეობდა მოსწავლეებთან და ამავე დროს ზრუნავდა საკუთარი არტისტული ფორმის შენარჩუნებასა და სრულყოფაზე. ამის დადასტურებად იქცა 1945 წლის აპრილის თვეში გამართული მისი კონცერტი. ექვს წელზე მეტი გავიდა მისი უკანასკნელი გამოსვლის შემდეგ. მსმენელთა დიდ აუდიტორიასთან შეხვედრა ძალიან აღელვებდა. დიდხანს ფიქრობდა პროგრამის შერჩევაზე, ყოყმანობდა. საბოლოოდ არჩევანი შეაჩერა თავის საყვარელ შოპენზე.

კონცერტი გაიმართა 1945 წლის 5 აპრილს თბილისის კონსერვატორიის მცირე დარბაზში.

პირველ განყოფილებაში ა. ვირსალაძემ დაუკრა შოპენის ნოქტიურნი, მესამე ბალადა, პოლონეზი-ფანტაზია და სონატა სი-მინორი.

მეორე განყოფილებაში კი თავისი ყოფილი ასისტენტის თამარ ჩხარტიშვილის აკომპანემენტით შეასრულა შოპენის კონცერტი ფა-მინორი. მთელი პროგრამა ა. ვირსალაძემ შეასრულა მისთვის ჩვეული არტისტული სიფაქიზითა და მაღალი გემოვნებით.

საერთო აღტაცება გამოიწვია ვალსმა მი-მინორ, რომელიც „ბისზე" დაუკრა.

პროფ. ვ. კუფტინამ ასე შეაფასა ეს კონცერტი: „ა. დ. ვირსალაძემ პიანიზმის უმაღლესი კლასი გვაჩვენაო".

40-50-იან წლებში თბილისში ხშირად იმყოფებოდა გამოჩენილი საბჭოთა პიანისტი და პედაგოგი პროფ. ჰ. ნეიჰაუზი, რომელსაც ქართული მუსიკალური საზოგადოება განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდა. ნეიჰაუზის თაყვანისმცემელთა შორის იყო ა. ვირსალაძეც, რომელიც ამ დიდ მუსიკოსს იცნობდა ჯერ კიდევ 1916 წლი-

დან, მაშინ ახალგაზრდა ჰ. ნეიჰაუზი თბილისში იწყებდა მუშაობას. მისმა კონცერტმა მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის აღფრთოვანება გამოიწვია. ორი წლის მანძილზე ნეიჰაუზი მუშაობდა თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში, შემდეგ კონსერვატორიაში. იგი საქართველოში 20-30-იან წლებშიც ჩამოდიოდა. ა. ვირსალაძისა და ჰ. ნეიჰაუზის ნაცნობობა განმტკიცდა პიანისტთა საკავშირო კონკურსების ჟიურიში თანამშრომლობის დროს. ამ შესანიშნავი მუსიკოსების ურთიერთობამ სისტემატური და გულითადი ხასიათი მიიღო სწორედ 40-იან წლებში. ა. ვირსალაძეს არ გაუცდენია ნეიჰაუზის არც ერთი კონცერტი თუ ღია გაკვეთილი, იგი მუდამ აღტაცებით ლაპარაკობდა ამ შთაგონებულ ხელოვანსა და შესანიშნავ ადამიანზე. საგულისხმოა, რომ ა. ვირსალაძემ თავისი ერთადერთი რეცენზია სწორედ ნეიჰაუზის კონცერტს უძღვნა.

თავის მხრივ ჰ. ნეიჰაუზიც დიდ ანგარიშს უწევდა ა. ვირსალაძის აზრსა და შეხედულებებს. იგი ქართველ მუსიკოსს თავის შემოქმედებით თანამშრომლად და ღირსეულ კოლეგად სთვლიდა.

ნეიჰაუზი ხშირი სტუმარი იყო ვირსალაძეების ოჯახისა, სადაც იგი უკრავდა, ყვებოდა საინტერესო ამბებს, ხიბლავდა ადამიანებს დაუშრეტელი იუმორითა და მახვილგონიერებით. იგი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს პატარა ელისოს პირველ ნაბიჯებს, მისი ნიჭის ზრდასა და განვითარებას, ხარობდა მისი წარმატებებით. მოგვიანებით, როდესაც ელისო ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსისთვის ემზადებოდა, ჰ. ნეიჰაუზი აძლევდა მას დიდად სასარგებლო რჩევა-დარიგებებს, რომლებმაც ე. ვირსალაძეს ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს.

1958 წელს ნეიჰაუზმა ა. ვირსალაძეს გულთბილი წარწერით უძღვნა თავისი ცნობილი წიგნი „ფორტეპიანოზე დაკვრის ხელოვნების შესახებ", რომელიც ა. ვირსალაძისთვის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ წიგნად იქცა.

1953 წელს ა. ვირსალაძე დაჯილდოვდა ლენინის ორდენით, 1958 წელს „შრომის წითელი დროშის" ორდენით, ხოლო 1960 წ. მას პირველს ქართველ პიანისტთაგანს მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება.

ხანდაზმულობის მიუხედავად ა. ვირსალაძე დაუღალავად მუშაობდა სტუდენტებთანაც და საკუთარ თავზეც. ახალისებდა და ძალებს ჰმატებდა თავისი საყვარელი შვილიშვილის ელისოს უაღრესად ინტენსიური ზრდა და წარმატებები. მასთან მეცადინეობა, უფრო გვიან კი მუზიცირება, უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა მხცოვან პედაგოგს. ეს იყო ჭეშმარიტი შემოქმედებითი მუშაობა, რაზედაც თვით ელისო ვირსალაძე მოგვითხრობს თავის მოგონებებში[6]. სულ მალე ნორჩი პიანისტი წარსდგა თბილისის მუსიკალური საზოგადოების წინაშე, ეს იყო 1953 წელს. თერთმეტი წლის ელისომ დიდი წარმატებით შეასრულა ისეთი რთული ნაწარმოები, როგორიც არის ბეთჰოვენის მეორე საფორტეპიანო კონცერტი. მეორე როიალის პარტიას ა. ვირსალაძე ასრულებდა. დაუვიწყარია აგრეთვე ბებიასა და შვილიშვილის გამოსვლა საქართველოს სახელმწიფო სიმებიან კვარტეტთან ერთად 1956 წლის 18 მარტს. კონსერვატორიის მცირე დარბაზში იმ დღეს ელისომ მოხიბლა მსმენელები თავისი ასაკისთვის უჩვეულო მხატვრული სიმწიფით (მოცარტის ნაწარმოებებს უკრავდა), ხოლო ა. ვირსალაძემ კი ახალგაზრდული ენერგიითა და სიხალისით. 73 წლის მუსიკოსი პირველად მონაწილეობდა დვორჟაკის საფორტეპიანო კვინტეტის შესრულებაში, მან ბრწყინვალედ გაართვა თავი საფორტეპიანო პარტიის დიდ მხატვრულსა და ტექნიკურ სიძნელეებს.

დიდ სიხარულს ანიჭებდა ა. ვირსალაძეს მისი აღზრდილების ლ. ვლასენკოსა და დ. ბაშკიროვის წარმატებები. თბილისში ყოველი ჩამოსვლის დროს ისინი ხვდებოდნენ თავიანთ მასწავლებელს და „შემოქმედებით ანგარიშს" აბარებდნენ მას. დიდ ინტერესს იწვევს ა. ვირსალაძის წერილები თავისი საყვარელი მოწაფეებისადმი, მათში მთელი სიცხადით ჩანს ამ სათნო და დიდბუნებოვანი ადამიანის სახე.

გვაოცებს თავისი ინტენსიურობით ა. ვირსალაძის შემოქმედებითი მოღვაწეობა 50-იანი წლების პირველ ნახევარში, მიუხედავად იმისა, რომ 1951 წელს მან საკუთარი თხოვნით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, თავი დაანება საფორტეპიანო კათედრის ხელმძღვანელობას, იგი სამჯერ გამოვიდა საკონცერტო ესტრადაზე და სიმფონიურ ორკესტრთან ერთად შეასრულა ბეთჰოვენისა (მე-4 და მე-5) და შუმანის საფორტეპიანო კონცერტები. (დირიჟორები გ. კილაძე და ო. დიმიტრიადი) სიმებიან კვარტეტთან ერთად დაუკრა დვორჟაკის საფორტეპიანო კვინტეტი. კვლავ ნაყოფიერად მოღვაწეობს პედაგოგიურ სარბიელზე, ენერგიულად მონაწილეობს საფორტეპიანო კათედრის მუშაობაში, ასრულებს სხვადასხვა მეთოდიკური ხასიათის სამუშაოებს, წერს მოგონებებსა და წერილს ესიპოვას შესახებ, საკავშირო მუსიკალური გამომცემლობის შეკვეთით ამზადებს წერილს „საფორტეპიანო პედაგოგიკა საქართველოში და ესიპოვას სკოლის ტრადიციები", რომელიც შემდეგ დაიბეჭდა მოსკოვში გამოცემულ კრებულში „გამოჩენილი პიანისტი-პედაგოგები საფორტეპიანო ხელოვნების შესახებ" და სხვა. 1955 წელს საქართველოს რადიოს თხოვნით ა. ვირსალაძემ ჩაწერა შოპენის რამდენიმე ნაწარმოები (ნოქტიურნი Des-dur, ვალსები Es-dur და a-moll op. 69).

საბედისწერო აღმოჩნდა 1957 წლის მიწურული. ა. ვირსალაძე დაეცა, მოიტეხა ფეხი, რამაც იგი სამუდამოდ მიაჯაჭვა სავარძელს. ეს იყო მისთვის არა მარტო ფიზიკური, არამედ საშინელი სულიერი ტრავმა. მართალია, ხუთი თვის შემდეგ იგი კვლავ შეუდგა პადაგოგიურ მოღვაწეობას, მაგრამ უკვე ვეღარ მეცადინეობდა მისთვის ჩვეული ენერგიითა და ენთუზიაზმით. ამიერიდან ა. ვირსალაძის ინტერესები მთლიანად იყო დაკავშირებული მისი შვილიშვილის ელისოს მზარდ წარმატებებთან. 1958 წელს 18 ნოემბერს თბილისის კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა ელისო ვირსალაძის კონცერტი, რომელმაც ფართო რეზონანსი გამოიწვია. ეს იყო ელისოს პირველი კონცერტი თბილისში, რომელსაც არ ესწრებოდა მისი აღმზრდელი.

1959 წელს ელისომ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა მუსიკალურ კონკურსზე ვენაში, სადაც მას ვერცხლის მედალი მიენიჭა.

ახლოვდებოდა ჩაიკოვსკის სახელობის მუსიკოს-შემსრულებელთა II საერთაშორისო კონკურსი. სამზადისი ბებიამ და შვილიშვილმა თითქმის ორი წლით ადრე დაიწყეს. 80 წელს მიღწეული პროფესორი თავდავიწყებით მუშაობდა თავის საოცრად გულმოდგინე მოწაფესთან, ორივე კარგად გრძნობდა ამ დიდი მასშტაბის შემოქმედებითი დათვალიერების მნიშვნელობას, რომელზედაც უნდა წარმდგარიყვნენ მსოფლიოს ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა პიანისტები. და აი, 1962 წლის 1 აპრილს მოსკოვის ყრილობათა სასახლის საკონცერტო დარბაზში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მსოფლიოს მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკალური ახალგაზრდობის ეს ერთ-ერთი ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო ფორუმი, ვირსალაძეების ოჯახი და, შეიძლება ითქვას, მთელი მუსიკალური საქართველო მღელვარედ ელოდა ცნობებს მოსკოვიდან. ელისომ წარმატებით გაიარა კონკურსის I და II ტურები. III ტურში კი მისი გამოსვლა საერთო აზრით იქცა კონკურსის კულმინაციურ მომენტად. ელისო ვირსალაძეს III პრემია მიენიჭა.

ეს იყო არა მარტო ელისოს, არამედ მისი აღმზრდელის პროფ. ა. ვირსალაძისა და მთელი ქართული საფორტეპიანო სკოლის გამარჯვება. წინ ელისო ვირსალაძეს კიდევ მრავალი წარმატება ელოდა. რად ღირდა თუნდაც მისი გამარჯვება შუმანის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე ქ. ცვიკაუში (გდრ) 1966 წელს. საათობით უსმენდა ხოლმე ამაგდარი პროფესორი თავისი აღზრდილის ჩანაწერებს, გული სიხარულით ევსებოდა. დიახ, ანასტასია ვირსალაძემ ბოლომდე მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე; მაღალი ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭა მსმენელთა რამდენიმე თაობას, აღზარდა 100-მდე მუსიკოსი, მისი სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერა მშობლიური მუსიკალური ხელოვნების ისტორიაში.

1967 წელს ქართულმა მუსიკალურმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის არსებობის 50 წლისთავი. იმ დღეებში მრავალი გულთბილი სიტყვა ითქვა კონსერვატორიის უხუცესი პედაგოგის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის პროფ. ანასტასია ვირსალაძის ფუძემდებლურ მოღვაწეობაზე. ანასტასია ვირსალაძის ცხოვრების უკანასკნელი წლებიდან ფრიად საინტერესო ფაქტს იგონებს ელისო ვირსალაძე: ,,ფეხის მოტეხის შემდეგ იგი თითქმის სრულიად აღარ მეცადინეობდა და მხოლოდ ახლობლებისთვის უკრავდა ხოლმე, უმეტესად, შოპენის პიესებს, შუბერტის ექსპრომტს და აი, 1966 წელს, როდესაც მე ვსწავლობდი შოპენის ფა-მინორ კონცერტს, მან, 83 წლის მოხუცებულმა მოუმზადებლად, ზეპირად დამიკრა კონცერტის სამივე ნაწილი. ეს მართლაც რომ შემოქმედებითი გმირობა იყო!“

1968 წლის იანვარში ა. ვირსალაძემ ჩაატარა თავისი უკანასკნელი გაკვეთილები...

---

1 ზეილიგერი და განსაკუთრებით პიშნოვი, ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ ათიან წლებში თბილისში.

2 როგორც ა. ვირსალაძე თავის ავტობიოგრაფიაში წერს, მეორე საჯარო გამოსვლა მას ჰქონია ქუთაისში. სამწუხაროდ, იგი არ მიუთითებს თარიღს.

3 დავით სპირიდონის ძე ვირსალაძე (1908-1938) მაღალნიჭიერი და ბრწყინვალედ განათლებული ფილოლოგი გერმანისტი იყო. 16 წლისამ მან გერმანულად დაწერა გამოკვლევა ალ. ჭავჭავაძეზე და თარგმნა გერმანულად მისი ათი ლექსი. 1925-35 წლებში იგი სწავლობდა და შემდეგ მუშაობდა მიუნხენის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის ფილოლოგიურ განყოფილებაზე. მისმა სადოქტორო შრომამ — „არნიმის ნოველა“, რომელიც მან მიუნხენში დაიცვა. ფართო გამოხმაურება ჰპოვა. სსრ კავშირში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა დოცენტად თბილისის უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე. დაიღუპა 1938 წელს.

4 ამ კურსის ძირითად ამოცანას შეადგენდა ნორჩი პიანისტების სმენის განვითარება.

5 ტექსტის ორიგინალი ინახება ზ. ფალიაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმში და დათარიღებულია 1962 წლის 10 მაისით.

6 იხ. ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1974 წლის № 3.



სურათების გალერეაში გამართულ გულდა კალაძის ნამუშევართა დიდ პერსონალურ გამოფენაზე, შთაბეჭდილებათა წიგნში ერთმა ფრაზამ მიიპყრო ჩემი ყურადღება: ,,მინიატურული შედევრები“ უწოდა მხატვრის ნამუშევრებს ერთ-ერთმა დამთვალიერებელმა. ,,მინიატურული შედევრები“ საოცრად ზუსტად მოძებნილი ფრაზაა, სურვილი გიჩნდება კიდევ ერთხელ შემოუარო დარბაზებს, — უკვე შედევრების სანახავად.

ფიქრობ: ხანდახან კისერს ვიგრძელებთ, ცერებზე ვდგებით და სადღაც შორს, შორს, დასალიერში ვეძებთ ნამდვილს, დიდებულს. ის კი ხშირად აქვე, ჩვენს გვერდითაა, ჩვენს სიახლოვეს. ხანდახან მხატვრის სიდიდეს სიცოცხლეში თითქოს ვერ ვამჩნევთ და აზრადაც არ მოგვდის ვუთხრათ კეთილი სიტყვები, სიტყვები, რომელსაც ის იმსახურებს. იქნებ, ეს გამომზეურებული კეთილგანწყობილება ახალ იმპულსებს მისცემდა მის ფიზიკურ და მორალურ ძალებს.

გულდა კალაძის ხელოვნებაში არ არის ნატამალი ბუნდოვნებისა, პოზისა, სიყალბისა... იგი ფლობს რაღაც ,,უნივერსალობის“ საიდუმლოებას და მშვენიერებას სთავაზობს თანაბრად ყველას, ვინც კი თვალხილულია და აქვს სურვილი მივიდეს ამ მშვენიერებასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გულდა კალაძის ნამუშევართა გამოფენა

ქართული ხალხური ზღაპრების („ასი ზღაპარი") თავსართები







ვახტანგ დავითაია

გულდას ხელოვნება ადამიანის კეთილი საწყისების, მისი მარადიულობის რწმენის ხელოვნებაა. იგი არ ცდილობს აღბეჭდოს სწრაფწარმავალი ემოცია, მხატვარი და დრო თითქოს სხვადასხვა სიბრტყეზე აღმოჩნდნენ. მის ნახატებში სამყარო ნელა იცვლება, მშვიდია, სტაბილური. აქვს მასაზრდოებელი ფესვები, თავისი ხიდები წარსულთან, კეთილი დამკავშირებელი ყველაფერ იმასთან, რაც კი შეუქმნია ჩვენს ერს. იგი არა ჰგავს იმ მეამბოხეს, რომელიც საკუთარი „მეს" დამკვიდრებას, უპირველეს ყოვლისა, ტრადიციებისა და მასწავლებლების წინააღმდეგ ამხედრებით იწყებს. გულდა კალაძის მაგალითი კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმაზე, თუ რამდენად ამოუწურავი, უკიდეგანო საგანძურია ეროვნული კულტურა ჭეშმარიტი ხელოვანის ხელში.

გულდა კალაძის შემოქმედების ეროვნულობა მჟღავნდება სიღრმეებში და არა ზედაპირზე. მის ყოველ ნამუშევარში მხატვრის დიდ ნიჭთან ერთად ვლინდება ოსტატი, პროფესიონალი, კაცი, რომელმაც ზედმიწევნით კარგად იცის თავისი „ხელობა".

გამოფენაზე გულდას ათამდე ქანდაკება იყო წარმოდგენილი, უმეტესად მცირე ზომისანი — სისხლსავე, ჯანსაღი გოგონები, სიცოცხლის სიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბავშვიანი ქალი ციკლიდან „ქართული ხალხური პოეზია“

ქართული ხალხური ზღაპრის „საწყალი დედაბრისას“ ილუსტრაცია




ბოლოები. ქალის შიშველი ფიგურა გულდას მხატვრული იდეალი იყო, იგი ეძებდა ამ იდეალის ხორცშესხმის სრულყოფის გზებს სხვადასხვა სიუჟეტურ ქარგაში, სხვადასხვა მოძრაობაში — ზეაწეული ხელებით, ზღვის ტალღების ალერსში, მისთვის დამახასიათებელი რბილი პლასტიკით... საოცარი მოკრძალება ჩანს ამ გოგონებში.

გულდა კალაძის მრავალმხრივი ტალანტი და შემოქმედებითი ინტერესები არანაკლები სიძლიერით გამჟღავნდა წიგნის გრაფიკაში. მხატვარმა დაასურათა ოცდახუთამდე წიგნი, შექმნა რამდენიმე ათეული ფერადი, სამასამდე შავ-თეთრი და შერეული ტექნიკით განხორციელებული ილუსტრაცია. ეს ქმნილებები მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული წიგნის მხატვრობის დარგში, და მაინც განსაკუთრებით გამოიყოფა კ. კალაძის „თეთრი მტრედის საიდუმლო“, ქართული ხალხური ზღაპარი „საბრალო დედაბრისასა“, „ქართული ხალხური პოეზია“ და „ასი ზღაპარი“.

„ასი ზღაპარი“ — გულდა კალაძის ერთ-ერთი უმშვენიერესი, ფუნდამენტური ნაწარმოებია. აქ ყველაფერი, დაწყებული სუპერიდან და სატიტულო ფურცლიდან, დამთავრებული თავსართი-ილუსტრაციებით, რომელიც წამძღვარებული აქვს ყოველ ზღაპარს, სხვადასხვა სიუჟეტური და ორნამენტული სამკაულებით დამთავრებული, ემსახურება ერთ მიზანს — მოაქციოს მკითხველი ქართული ფოლკლორის სამყაროში. ზღაპრების პერსონაჟები მიწიერი ადამიანები არიან. არსებობს რაღაც იდილიური კავშირი ზღაპრულ პერსონაჟებს, ცხოველთა სამყაროსა და ადამიანებს შორის ამ ნახატებში. კომპოზიციები ერთპლანიანია, ემბლემური, მთელი აქცენტი გადატანილია პერსონაჟთა ფსიქოლოგიური ხასიათის გახსნაზე. ვფიქრობ, არ მიწყენენ ჩემი კოლეგები, ხუროთმოძღვრები და არც მეგობარი მხატვრები, თუ ვიტყვი, რომ დღეს იშვიათია შემოქმედი, რომელსაც ასე მოთმინებით, ასეთი სიყვარულით შეუძლია ხატოს ქართული ჩუქურთმა, განავითაროს იგი. ხუროთმოძღვრული ორნამენტი გულდა კალაძის შემოქმედების ორგანული ნაწილია. მკაცრი არქიტექტურული ჩარჩოები, თაღედები ავსებენ და კრავენ კომპოზიციებს.

გულდა კალაძე გამოირჩეოდა განსაკუთრებული არქიტექტურული ალღოთი, ზუსტად გრძნობდა არქიტექტურულ სიტუაციას და ამიტომაც ყოველთვის სძლევდა სახვითი ხელოვნების სპეციფიკასა და არქიტექტურას შორის მოსალოდნელ კონფლიქტს. იგი სკულპტურულ კომპოზიციას საწყისსავე სტადიაში არქიტექტურასთან ორგანულ კავშირში ეძებდა. მის ჩანახატებში ქანდაკება და პიედესტალი, სკულპტურული კომპოზიცია და არქიტექტურა ერთდროულად იძერწებოდა. გულდას ნამუშევრები ორგანულად შედიან არქიტექტურაში, ქმნიან ნამდვილ სინთეზს, ერთიან თვისობრიობას. ასეთია სასტუმრო „ივერიის“ ფრიზი, ასეთია ჰორელიეფი კავკასიის დამ-



ქალის ფიგურა
გაზაფხული
სამაია
ტალღა







ეროვნული
ბიბლიოთეკა



ციკლიდან „ქართული ხალხური პოეზია"

სამი ბიჭი



ცველთა მემორიალური ანსამბლის შესასვლელზე.

მრავალი ადრეული, ბავშვობის დროინდელი შთაბეჭდილება და განცდა, ცხოვრებისეული დეტალი, წაკითხული და ნახული ღრმად იყო მასში აღბეჭდილი, რამაც დიდად განაპირობა არა მარტო მისი ხასიათის თავისებურებანი, არამედ მხატვრულ შეხედულებათა სისტემა, მათი მთლიანობა და სიმყარე. ამ თვალსაზრისით იგი სრულიად განსაკუთრებულია. მხატვრულ შეხედულებათა მთლიანობა იგრძნობა ყველაფერში, ქანდაკება იქნება ეს თუ გრაფიკა, ფერწერა თუ კერამიკული პანო.

გულდა შესანიშნავად იცნობდა თანამედროვე და საზღვარგარეთის ხელოვნებას, ქანდაკებას, ფერწერას, არქიტექტურას, ლიტერატურას. ჰქონდა საკუთარი, ურყევი პოზიცია ფაქტების მიმართ, ყველა ოსტატისადმი. არ უყვარდა ნაუცბათევი, ხელაღებითი ქება, არც უარყოფა. პროფესიული და ზოგადი განათლება, მრავალფეროვანი ექსპერიმენტები ფერწერასა და სახვით ხელოვნებაში, რომლითაც ასე მდიდარია ჩვენი საუკუნე, ვერავითარ გავლენას ვერ ახდენენ მის შეხედულებათა წყობაზე.

გულდა კალაძე საინტერესო, აქტიური, მიწიერი ცხოვრებით ცხოვრობდა, — ადვილად აღგზნებადი, მოუსვენარი, მტერ-მოყვარიანი... კაცი, რომლისთვისაც განწყობილებებსა და გრძნობებს აყოლა უცხო არ იყო, სამუშაო მაგიდასთან არსებითად იცვლებოდა, დამშვიდებული, გაწონასწორებული, თითქოს გასულ საუკუნეებში ცხოვრობდა, ურბანიზაციიდან შორს, ედემის ბაღში, ადამიანური კონფლიქტებისა და ცხოვრებისეული უსიამოვნებების მიღმა. ასეთია იგი თავის მშვიდ და კეთილშობილურ ნახატებში, საოცრად თანმიმდევრული, მისეული მყარი მხატვრული ლოგიკით. მას უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა სხვისთვის სიკეთის და სიხარულის მინიჭება. ეს მხოლოდ სურვილი როდი იყო, არამედ ცხოვრების წესი, საოცარი ბუნებრიობითა და გულწრფელობით გამოვლენილი ყოველდღიურობაში.

თავისი მაგალითით იგი სიკეთესა და სამართლიანობას უბნევდა გარშემო მყოფთ და ეს ანიჭებდა მას ადამიანებზე კეთილისმყოფელი გავლენის დიდ ძალას.

მიუხედავად ფართო პროფესიული ინტერესებისა, გულდა კალაძე საზოგადოებრივი საქმეებისათვის დროს ყოველთვის პოულობდა. მონაწილეობდა სხვადასხვა ფორუმების ორგანიზაციაში, შეხვედრებში, სამხატვრო საბჭოებში. მრავალი სასარგებლო წამოწყების მოთავე იყო. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე დიდი ენერგია შეალია ქუთაისში სახვითი ხელოვნების მუზეუმის ჩამოყალიბებას, ბოლომდე უანგაროდ, კაცურად მხარში ამოუდგა ქალაქის ხელმძღვანელობას ამ დიდ საშვილიშვილო საქმეში.

სიცოცხლე გრძელდება, სიცოცხლე ხელოვნებაში. ამიერიდან დროა მისი უტყუარი მსაჯული.



ლეგენდა „ამბავი მამაცი მანჩასი და
მშვენიერი მადინასი“. ილუსტრაცია

ჭაბუკის პორტრეტი

წყარო. კერამიკული პანოს ესკიზი





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბალაკირევი და საქართველო

ელეონორა ექსანიშვილი

წინამდებარე წერილში მოგვყავს რამდენიმე დოკუმენტი, რომლებიც ნათელს ჰფენს იმ ღრმა ურთიერთინტერესსა და პატივისცემას, რუს და ქართველ მუსიკოსთა შორის რომ ჩაისახა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში და მყარი ნიადაგი შეუქმნა ნაყოფიერი შემოქმედებითი თანამშრომლობის ტრადიციებს. სწორედ ამაზე მეტყველებს გამოჩენილი რუსი კომპოზიტორის მ. ა. ბალაკირევის წერილები — გამსჭვალული ქართული მუსიკალური კულტურის მიმართ მზრუნველობით, ჭეშმარიტი ხელოვანისათვის დამახასიათებელი ენთუზიაზმითა და გატაცებით.

ცნობილია, რომ ბალაკირევს, რომელიც ერთხანს თბილისში დასახლებაზეც კი ფიქრობდა, განზრახული ჰქონდა ქართული მუსიკალური საზოგადოების (რუსული მუსიკალური საზოგადოების განყოფილების სახით) დაარსება, ქართული მუსიკალური კულტურის შესწავლისა და ფართო ასპარეზზე მისი გატანის მიზნით. იგი დარწმუნებული იყო, რომ საქართველოში არსებობდა ყველა პირობა ევროპული დონის ეროვნული პროფესიული მუსიკის შექმნისათვის. ამისათვის მას სურდა ქართული საზოგადოებისათვის გაეცნო მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები. აი, რას წერდა იგი გამოჩენილ ფრანგ კომპოზიტორს ჰექტორ ბერლიოზს: ,,ვფიქრობ, რომ მომავალ გაზაფხულზე თბილისში — კავკასიის დედაქალაქში ჩემი დირიჟორობით პირველად შესრულდება ბეთჰოვენის, შუმანის, გლინკას, შუბერტის მუსიკა და, რა თქმა უნდა, თქვენი მუსიკაც, რომელსაც მე ასე დიდად ვაფასებ".

მაგრამ ბალაკირევს, რომელიც სათავეში ედგა რუსული მუსიკალური საზოგადოების კონცერტებს, არ დასცალდა ესოდენ ფართო გეგმების განხორციელება. თვითმპყრობელური რუსეთის მმართველ წრეებს არ მოსწონდათ მისი დემოკრატიზმი, პროპაგანდისტულ-განმანათლებლური მოღვაწეობა, რომელმაც 60-იან წლებში უაღრესად ფართო მასშტაბებს მიაღწია. ამიტომაც იგი გადააყენეს რუსული მუსიკალური საზოგადოების დირიჟორის პოსტიდან.

ბალაკირევი პირველი რუსი კომპოზიტორია, რომელიც დაინტერესდა ქართული მუსიკალური ფოლკლორით. 1863 წლის 14 დეკემბრით დათარიღებულ წერილში ბალაკირევი სწერს რიმსკი-კორსაკოვს: ,,ზაფხული კავკასიაში გავატარე, ვიყავი თბილისში, ჩავიწერე მრავალი ქართული ხალხური სიმღერა, მათ ახასიათებთ: სინაზე, იდეალურობა, სიმსუბუქე, გრაციოზულობა, ძლევამოსილება"...

ცეზარ კიუისადმი მიწერილ წერილში კი ვკითხულობთ: ,,ვინც საქართველოში ჩამოვა, ის დაბრუნდება ყველაზე სასიამოვნო მოგონებებით ქართველებზე. ეს არის ერი — მხატვარი. ძალიან მომწონს მათი სიმღერები. შევისწავლე ქართული ანბანი, რათა მათი სიმღერები ჩამეწერა სიტყვებითურთ, მაგრამ ვერ დავძლიე ზოგიერთი ასო... რა შესანიშნავია მათი ცეკვა ,,ლეკური" — არაფერი მეგულება ამ ცეკვაზე უკეთესი. იგი უფრო მგზნებარეა, გრაციოზული, ვიდრე ტარანტელა. იგი მაგონებს მაზურკის სიდიადესა და არისტოკრატიზმს... ქართული ლეკურის რიტმია 6/8 (Presto). მოკლე, ორტაქტიანი მელოდია ხშირად მეორდება ვარიანტებით. ყველაფერი ეს ჩავიწერე და თან მომაქვს"...

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტის არქივში პიპინის წერილებს შორის (პიპინის არქივი) ინახება მ. ბალაკირევის ნავარჯიშევი ქართულ წერაში.

1863 წ. 8 ოქტომბერს ბალაკირევი სწერდა სტასოვს: ,,წარმოდგენა რომ იქონიოთ ქართულ ასოებზე, ქართულად მოვაწერ ხელსო".

რამდენიმე წერილში მ. ბალაკირევი ნ. რიმსკი-კორსაკოვს ასე მიმართავს: ,,ძვირფასო ნიკო! (ქართულად ნიკოლოზი)", ხოლო 1857 წლის 5 მაისს პრაღიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში მან თავისი მეგობარი ,,საყვარელ ნიკოლაძედ" მონათლა.

ცნობილია, რომ ბალაკირევმა კოჯორში გაიცნო ჭაბუკი მედუქნე, რომელიც ფანდურზე ამღერებდა ქართულ ხალხურ სიმღერებს. ფანდურის ხმოვანებას კომპოზიტორზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. იგი ფორტეპიანოზე იმპროვიზებით ბაძავდა ხალხური საკრავის ხმოვანებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა


Глубокоуважаемый Милий Алексеевич!

С. Петербург, 21 Декабря 1906.

„რუსული მუსიკალური გაზეთის"
რედაქციის ადრესი ბალაკირევისადმი

ბუნებრივია, რომ მ. ბალაკირევის მიმართ ღრმა პატივისცემით იყვნენ განწყობილნი ქართველი მუსიკოსები. ლენინგრადის თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის არქივში დაცულია ადრესი, რომელიც ბალაკირევს 1906 წლის 21 დეკემბერს, დაბადებიდან 70 წლის აღსანიშნავად, გაუგზავნეს „რუსული მუსიკალური გაზეთის" რედაქციის თანამშრომლებმა: ამ ადრესში ვკითხულობთ: „ღრმად პატივცემულო მილი ალექსის ძევ! ამ ორმოცდაათი წლის წინ, 1856 წლის გაზაფხულზე, თქვენ პირველად შედგით ფეხი პეტერბურგის მუსიკალურ სამყაროში, გამართეთ პირველი კონცერტები და წარსდექით, როგორც დიდად ნიჭიერი პიანისტი და კომპოზიტორი. თქვენს სახელთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებულია ჩვენი მუსიკალური ხელოვნების განვითარების ერთ-ერთი უბრწყინვალესი პერიოდი. თქვენ ბრძანდებით გლინკასა და დარგომიჟსკის პირდაპირი და უშუალო მემკვიდრე, მათ პირადად თქვენ გიანდერძეს თავისი მოძღვრება, საფუძვლად რომ დაუდეთ ახალგაზრდა რუსულ მუსიკალურ სკოლას. დღეს, ამ სკოლას უკვე ჰყავს ბრწყინვალე თანავარსკვლავედი, რომელსაც წინ უძღვის თქვენი სახელი — ფუძემდებლისა და მასწავლებლისა.

რუსული მუსიკა ამაყობს თქვენი მრავალრიცხოვანი, მშვენიერი და გენიალური ოსტატობით აღბეჭდილი ნაწარმოებებით, მათ შორისაა ჭეშმარიტი შედევრები: „თამარი", „მეფე ლირი", სიმფონია B-dur, რომლითაც თქვენ ახალი მძლავრი მიმართულება მიეცით ჩვენს სიმფონიურ მუსიკას, ისევე როგორც „ისლამეით" და სხვა საფორტეპიანო და ვოკალური პიესებით ძლიერი და თავისებური ნაკადი შეიტანეთ რუსული მხატვრული სიმღერის საკონცერტო რეპერტუარში. ყოველივე ამით თქვენ რუსი მხატვრის ძლევამოსილება გამოავლინეთ.

დღეს, დაბადების 70 წლის აღსანიშნავად „რუსული მუსიკალური გაზეთის" რედაქცია და თანამშრომლები გულითადად გესალმებიან თქვენ — ღრმად პატივცემულო მილი ალექსის ძევ, თქვენი სახელისა და მგზნებარე მოღვაწეობის განსადიდებლად!"

ამ ადრესს, სხვათა შორის, ხელს აწერენ ქართველი კომპოზიტორები: მელიტონ ბალანჩივაძე და დიმიტრი არაყიშვილი, რომლებიც „რუსული მუსიკალური გაზეთის" რედაქციაში შედიოდნენ.

არსებობს კიდევ ერთი ადრესი, რომელიც ბალაკირევს მიართვეს დაფნის გვირგვინთან ერთად, როცა გაანთავისუფლეს რუსული მუსიკალური საზოგადოების დირიჟორის თანამდებობიდან. ამით რუსეთის მოწინავე მუსიკალურმა საზოგადოებამ გამოხატა თავისი აღშფოთება და პროტესტი. ამ ადრესს ხელს აწერდნენ: სტასოვი, რიმსკი-კორსაკოვი, მუსორგსკი, კიუი, ლ. შესტაკოვა (გლინკას და) და სხვები. აქვე ყურადღებას იპყრობს თედორე და დიმიტრი მაჭავარიანების ხელმოწერა, რომელთა ვინაობა ქართული საზოგადოებისათვის უცნობია. მათი პიროვნება გარკვეულ ინტერესს იმსახურებს, თუნდაც იმიტომ, რომ ხელს აწერენ ასეთი დიდი მოღვაწეების გვერდით.

ეჭვგარეშეა, რომ რუსულ-ქართული მუსიკალური ურთიერთობების შესწავლა კიდევ მრავალ ყურადსაღებ ფაქტს გამოამჟღავნებს, რაც ხელს შეუწყობს ხალხთა მეგობრობის ისტორიის გამდიდრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო გუდიაშვილი

# მოგონებების წიგნი*

ამ წიგნში მე საკმაოდ ბევრს ვწერ ჩემს მეგობარ მწერლებზე... ახლაც მათზე მინდა მოვიგონო კიდევ ზოგი რამ. ისინი იყვნენ ჩემი ყველაზე ერთგული მეგობრები ყოველთვის, ჩემი ცხოვრების მძიმე წლებშიც და შემდეგაც...

მახსოვს, გოგლას უყვარდა პუშკინის ლექსი „18 ოქტომბერი"...

> Чей голос утих на братской перекличке,
> Кто не пришел,
> Кого меж нами нет...

რაღაც შეუცნობელი ახალგაზრდული სევდითა და განწყობით კითხულობდა გოგლა ამ სტრიქონებს... მაშინ ყველა ჩვენს შორის იყო... ახლა კი... ახლა თითქმის მართლა აღარავისი ხმა აღარ ისმის... აღარც მისი.. თითქმის ერთდროულად წავიდნენ სიმონიც, გოგლაც... შემდეგ კონსტანტინე...

საოცარია, მაგრამ სიცოცხლეში ყველაფერი გვეცოტავება, სიკვდილში კი ბევრი რამ ერთიანდება.

და მაინც... ყველაზე დიდი სასწაული სიცოცხლეა...

ამ სასწაულებრივი სიცოცხლის განსახიერება იყო გოგლა...

მთელი თავისი გარეგნობით, ხასიათით, ხმით... მთელი თავისი პოეზიით იგი თავდავიწყებით გვაყვარებდა სიცოცხლეს.. გვარწმუნებდა მის სიკეთესა და სილამაზეში. პატარა, უბრალო ყვავილიც კი თავისებურად, სხვანაირად უყვარდა... მისი სალოცავი ხატი ხომ საქართველო იყო და თვალებშიც საქართველოს ცის სილურჯე ედგა... რაღაც საოცარი, ბავშვური, ამაღლებული სიყვარული იცოდა...

ძნელია მისი პორტრეტის დახატვა... ვისაც არასოდეს არ უნახავს იგი, არ მოუსმენია ხმა, არ შეუგრძვნია მძაფრი კოლორიტი, რომლითაც სავსე იყო მთელი მისი პოეტური არსება, როგორ შეიცნონ და შეიგრძნონ...

რა თქმა უნდა, არსებობს მისი შესანიშნავი ლექსების წიგნი, არსებობს წერილები, ხელნაწერები... არსებობს მისი მშვენიერი სურათები, კინოკადრები, მისი განუმეორებელი ხმის ჩანაწერები... არსებობს ადამიანების ხსოვნაში ჩარჩენილი დაუვიწყარი მოგონებები და ყოველივე ეს, ერთად აღებულიც კი, ვერ წარმოგვიდგენს მის საოცარ პოეტურ პორტრეტს... მით უმეტეს, როგორ უნდა დახატოს იგი მხატვარმა... გოგლა განუმეორებელი იყო. იგი თითქოს რამდენიმე ნიჭით აღსავსე კაცისაგან იყო შენადუღარი. დიდ სიცარიელეს ვგრძნობ უიმისოდ... ვერ ვეგუები მის აღარ ყოფნას... რამდენი შთაგონებული, ბედნიერი დღეები გვიტარებია ერთად...

ხშირად მეტყოდა: „მოდი, მე შენს სურათებს ლექსად ავკინძავ, შენ ჩემი ლექსი დახატეო"... მართლაც, ბევრი ლექსი დაუწერია ჩემთვის... მცირე ხნით სადმე რომ წავიდოდა, უსა-

* გაგრძელება. იხ. „საბჭოთა ხელოვნება" № 5-12, 1976 წ., № 1-2, 1977 წ.

თუოდ წერილით შემეხმიანებოდა... ეს წერილებიც ლექსებს ჰგვანან. მუდამ დიდ სიხარულს მანიჭებს მათი წაკითხვა...

ახლაც... ვათვალიერებ ამ წერილებს...

,,ძმაო ლადო,
ანუ ბეგო ბრწყინვალე...
ამ ლალის წვენით
სიცოცხლე შენი!
შენს ფუნჯს, შენს ოჯახს, —
კოცნები ჩვენი!
როგორც ჩვენს ძმობას,
სიყვარულს შვენის!
დე, გაზაფხული
სულ ფეხქვეშ გეგოს...
აიღე ჭიქა,
შესვი, შეგერგოს! —
გკოცნის, გილოცავს
შენი ძმა, ბეგო...

გიგზავნი ერთ ვედრა კახურ ღვინოს, არჩეულს მთელს თბილისში. სწორედ ისეთს, როგორც შენს დახატულ სუფრაზე სვამენ ხოლმე შენი იკლიკანტები. გილოცავ დაბადების დღეს და გკოცნი ცოლშვილიანად. დანარჩენს პირადად მოგახსენებთ.

ამ წერილს გიგზავნი სარდაფიდან და შენი ხალხის ჟრიამულში ვსვამ შენს სადღეგრძელოს.

შენი გოგლა ლეონიძე
30 მარტი, 1946 წელი.

ბეგოს ფიროსმანის სიყვარულით მეძახდა. ფიროსმანის მეგობარი ბეგო მოვიდაო, იტყოდა, როცა დამინახავდა...

აი, კიდევ ერთი წერილი...

,,სალამი ბეგოს!

სალამს გითვლის ასევე ქობულეთი თავის ზღვიან-ტალღიან-ქაფიან-ფიჭვნარ-ქვიშიან-პლიაჟ-პალმებიანა!

რასა იქ და რასა ჰხატავ?

ძალიან გთხოვ, ამ წერილის მომტანს ახალგაზრდა მხატვარს ბარნაბიშვილს დაეხმარო, რომ სახელოსნო მიიღოს. არც ბინა აქვს, არც კუთხე, როგორღა უნდა იმუშაოს?... ერთი ხმა შეაწიე სახელოსნოს მიღების საქმეში..,

სალამი ნინას! ბექიას!

შენი გ. ლეონიძე
12 ოქტომბერი 1962 წ.

ადამიანებზე ასეთი ზრუნვა ხომ მისი თანდაყოლილი თვისება იყო... ვის, რა პროფესიისა და ცოდნის ადამიანებს არ ნახავდით მასთან, ყველას რაღაცა უნდოდა, ყველა რაღაცას სთხოვდა... და ისიც დაუზარებლად ეხმარებოდა, როგორც შეეძლო და რითაც შეეძლო... ამ მხრივაც, პირდაპირ შეუდარებელი სიკეთის საგანძური იყო მისი გული...

ყველაფერს, რასაც ის აკეთებდა, რაღაც თავისებური პოეტური მადლი და ელფერი ახლდა.

მეტყოდა, მოდი, დღეს ფიროსმანის სურათებზე ,,სანადიროდ" წავიდეთო და გავუყვებოდით ძველი თბილისის ქუჩებს... დიდი შთაგონებით უყვარდა ფიროსმანი, კინოსცენარიც დაწერა მასზე, მაგრამ სადღაც დაკარგა.

სცენართან ერთად დაკარგა მთელი წლების მანძილზე ფიროსმანზე შეგროვილი მრავალი მასალა და ამას სიცოცხლის ბოლომდე განიცდიდა. ცოტაა იმის თქმა, რომ გოგლას ნიკო ფიროსმანი უყვარდა... მასთან რაღაც ძლიერ ნათესაობას ვგრძნობო, ამბობდა და ეს მართლაც ასე იყო. ფიროსმანი ჩვენი საუბრების მოუწყინარი თემა იყო... მას პირადადაც ენახა იგი... 1915-1916 წლებში თითქმის ყოველდღე ხვდებოდა თურმე, ავჭალის ქუჩაზე, სადაც იმჟამად თვითონ ცხოვრობდა. ფიროსმანსაც ხომ იქვე, მალაკნის ქუჩაზე ჰქონდა ბინა.

პოეტი მიამბობდა, თავისი სახლის ალაყაფის კარებიდან რა ხშირად დაუნახავს ნიკალა მეპურეებთან, მედროგეებთან, მეწაღეებთან, თუ სხვა ხალხთან საუბარში გართული. არ ავიწყდებოდა მისი დარბაისლური, ღიმილიანი სახე... თავის ქუჩას ნიკალა თურმე ,,პროსპექტს" ეძახდა. მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ არ ვიცოდი, თუ ის კაცი მხატვარი იყო... შემოქმედი იმ ნახატებისა, რომლითაც გამოჭედილი იყო ჩვენი ქუჩის სარდაფები, სადალაქოები, თონეები, საწვრილმანო დუქნები და სახარაზოებიო.

რომ ის ნიკო ფიროსმანი ყოფილა, გოგლას მხოლოდ 1922 წელს შეუტყვია, როცა მასზე მოგონებების ჩაწერასა და მასალების შეგროვებას შეუდგა. ერთხელ, თურმე, მას ფიროსმანის მეგობარ ,,ჭინკა" მეწაღესთან მიასწავლეს, ბევრი რამ იცის და გიამბობსო... როცა გოგლას უკითხავს, რა გარეგნობისა იყო ფიროსმანიო, მეწაღეს გაკვირვებით შემოუხედავს მისთვის:

— ვაჰ, ისე მეკითხები, თითქოს არ გენახოს! რამდენჯერ შესწრებიხარ აქ, ჩემთანო, — უთქვამს და უამრავი რამ უამბია.

პოეტს იმ წუთში ორივე ერთად განუცდია: დიდი სიხარულიც, რომ უნახავს ფიროსმანი და დიდი სინანულიც, თავის დროზე რომ არ იცოდა, თუ ვინ იყო იგი. წუხდა... მე ხომ შემეძლო მასთან მებაასაო. ბაასი და საუბარი კი საოცარი იცოდა გოგლამ... მუდამ ამოუწურავი ფანტაზიით იყო სავსე.

უდიდეს სითბოს ასხივებდა მისი პოეტური სული.

მახსოვს, ერთხელ, ბაკურიანში ერთად ვისვენებდით. აიჩემა, მოდი, ცხრაწყაროსაკენ წავიდეთ და მეცხვარეები ვნახოთო... ვიშოვეთ ცხენები და გავუყევით გზას მთებში. გადავლახეთ ცხრაწყარო. გადავედით იქითაც... ბოლოს, როგორც იქნა, ცხვრის ფარაც გამოჩნდა... მაგრამ, ვაი, ამ გამოჩენას.., გამოცვივდნენ უზარმაზარი ძაღლები და შემოგვიტიეს... შიშით ცხენზე თავი ველარ შევიმაგრეთ და ძირს ჩამოვცვივდით.

— ჩაჯექით, ჩაჯექითო... გვიყვიროდნენ მეცხვარეები. გაგვიკვირდა, მაგრამ მეტი რაღა გზა გვქონდა და ჩავჯექით. ეს მოხდა ქციაში. ამასობაში ძაღლებიც მოცვივდნენ და ირგვლივ შემოგვისხდნენ. თურმე ასე სცოდნიათ — თუ ზიხარ, არაფერს დაგიშავებენ, მაგრამ არც არსად გაგიშვებენ.

საღამო ხანს გაჩაღდა კოცონი, გაშალეს სუფრა... შესანიშნავად გვიმასპინძლეს, მაგრამ შუაღამეზე სხვა ახალი თავგადასავალი გველოდა. ცხვარს მგელი შემოესია... აფორიაქდა ცხვარი... აწრიალდნენ მეცხვარეებიც. ხელახლა გავაჩაღეთ კოცონი. ჩვენ, შიშისაგან აკანკალებულები, იმ კოცონთან

დაგვტოვეს, თვითონ კი მგლებს შეუტიეს... ატყდა თოფების გრიალი... ბოლოს მგლები გაიქცნენ. ცხვარიც ჩაწყნარდა და მეცხვარეებიც დაბრუნდნენ. ისინი ხმამაღლა გვიყვებოდნენ მგლებთან ბრძოლის ამბებს და თუმცა ნერვიულობისაგან ძალზე აღგზნებულები იყვნენ, მაინც იცინოდნენ... უხაროდათ, რომ ყველაფერი ასე მშვიდობიანად დამთავრდა... გამთენიამდე ჯერ შორს იყო, მაგრამ ძილი აღარავის გვინდოდა. ჩვენც გავხალისდით. გვიხაროდა კიდეც, ასეთი თავგადასავალი რომ გადაგვხვდა... გოგლა კი პოეტურ განწყობაზე დადგა და მთელი ღამე ლექსებს კითხულობდა... ხანდახან მეცხვარეებიც ლექსად შეეპასუხებოდნენ ხოლმე და მაშინ მის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა... ბავშვივით ეფერებოდა ყველას. ბოლოს თქვა, რაკი ასეა, მოდი, ახლა ცხრაწყაროზე გავიდეთ და მზის ამოსვლა იქიდან ვნახოთო... მართლაც სასწაული იყო იმ დილით ცხრაწყაროს წითლად აბრიალებული მზე...

როგორ უყვარდა ყველაფერი ქართული... როგორ სიხარულს ანიჭებდა მიწასთან და უბრალო ხალხთან სიახლოვე... მიწასავით უხვი და კეთილი იყო თვითონაც. ამასწინათ, სადღაც წავიკითხე და გამეხარდა: ,,ბედნიერია, ვისაც საქართველოსთან შეხვედრა გიორგი ლეონიძესთან შეხვედრით დაუწყიაო“... მართლაც ასეა. მას ხომ დედამიწის ყველა კუთხეში ჰყავდა მეგობრები... იგი იყო თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის საუკეთესო წარმომადგენელი, ფანატიკურად შეყვარებული სამშობლოზე, მშობლიურ ენაზე და ყველას ამ სიყვარულს გადასდებდა. ამოუწურავი ცოდნის მარაგი ჰქონდა... მუდამ შთაგონებული, მუდამ პოეტური იყო ყველაფერი, რასაც ის აკეთებდა.

მახსოვს საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის გახსნა. მისი მთავარი ინიციატორი, რა თქმა უნდა, გოგლა იყო. თითქმის ყველა მუზეუმი ხომ მისი გახსნილია... ტიციანთან ერთად მან მთელი საქართველო ფეხით მოიარა და ასე შეაგროვა საჭირო ხელნაწერები და მასალები ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა შესახებ.

ძალზე საინტერესო იქნებოდა, რომ ვინმეს ამ კუთხიდანაც შეესწავლა გოგლას მდიდარი შემოქმედება... იგი ნამდვილი ერისკაცი იყო და მე, პირადად, ბედნიერად ვთვლი თავს, რომ მასთან ასე ახლოს ვიყავი.

რაც შეეხება საგურამოს მუზეუმს — გოგლამ მისი მოწყობა მე დამაკისრა. დიდი პასუხისმგებლობით მოვკიდე ხელი ჩემთვის ამ მეტად საპატიო სამუშაოს... ყველაფერი, რა თქმა უნდა, გოგლას დირიჟორობით კეთდებოდა. რამდენიმე დაძაბული თვე დაჭირდა მუზეუმის მოწესრიგებას. ილიას ნივთები მისი სიკვდილის შემდეგ ხომ მთლიანად გაფანტული იყო... მე და გოგლამ თბილისში უამრავი ოჯახი მოვიარეთ. მოვძებნეთ ავეჯი, წიგნები, ინსტრუმენტები, ტანსაცმელი, ხელნაწერები... ყველაფერი, რაზეც ხელი მიგვიწვდა. დავადგინეთ მათი დოკუმენტური სიზუსტე, შეძლებისდაგვარად მოვაწესრიგეთ და გავმართეთ ექსპოზიცია... სპეციალურ ყუთში ჩავსვით ტყვია, რომლითაც დიდი პოეტის შუბლი განგმირეს... ბოლოს ყველაფერი დამთავრდა და მოვიდა ხელმძღვანელობა., ნახეს, დაათვალიერეს... აღფრთოვანებულები იყვნენ მანამდე, სანამ ვიღაცამ არ იკითხა, მხატვარი ვინ არისო...

— გუდიაშვილიო, — უპასუხა გოგლამ.

აქ კი ყველაფერი შეიცვალა.

— რას ამბობთ... მაგ ხომ ფორმალისტიაო, — უთხრეს. გოგლა შეწუხდა.

მე იქვე, მათ უკან ვიდექი და ყველაფერი მოვისმინე. ძალზე მეტკინა გული... ჩუმად, ისე, რომ არავის შეემჩნია, ჩამოვრჩი... ბოლოს სულ წავედი და საღამომდე ტყეში ვიჯექი. ვიცოდი, გოგლა წუხდა, მაგრამ უკან დაბრუნება აღარ შემეძლო. როგორი სიყვარულით, როგორი თავდადებით ვიმუშავე... რამდენი უძილო ღამე მოვანდომე ამ საქმეს და ბოლოს ასეთი უმადურობა! რა თქმა უნდა, ძნელი ასატანი იყო... მაგრამ დრო ყველაფერს კურნავს და ახლა მაინც მადლობელი ვარ, ამ დიდი და კეთილშობილი საქმის ხორცშესხმაში ჩემი წვლილიც რომ ურევია... მადლობელი ვარ გოგლასი...

ისე, როგორც ადრე, ტიციანის ბინაზე, გოგლასთანაც ძალიან ხშირად ეწყობოდა ლიტერატურული საღამოები და შეხვედრები. ქართველ პოეტებთან ერთად აქ თავს იყრიდნენ ბორის პასტერნაკი, ნიკოლოზ ტიხონოვი, ილია ერენბურგი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, ვიქტორ გოლცევი, პავლე ანტოკოლსკი და ყველა, ვინც კი საქართველოში სტუმრად ჩამოდიოდა... იქნებოდა ეს პოეტი, პროზაიკოსი, თუ მხატვარი... ყველა ამ შეხვედრის მონაწილე მეც ვიყავი... იყო საუბრები პოეზიაზე, ხელოვნებაზე, მსოფლიოს ახალ საინტერესო ამბებზე...

ოცდაათიანი წლებიდან საქართველოში განუწყვეტლივ ჩამოდიოდნენ რუსი პოეტები, რომელთაც ქართულ პოეზიაში მათთვის მოულოდნელად სამყაროს ახალი ფერები აღმოაჩინეს... მოძმე ერების ენებზე თითქმის პირველად ითარგმნებოდა ქართული მხატვრული სიტყვა და ეს ყოველივე ისეთი დიდი შთაგონებით კეთდებოდა, ისეთი ფართო რეზონანსი ჰქონდა ყოველივე ამას, რომ ჩვენ, ვინც ამ ფაქტის მოწმენი ვიყავით, უსაზღვრო ბედნიერებას განვიცდიდით... გოგლასთვის კი ყველაზე წმინდა დასაფიცარი ხომ საქართველო და ქართული სიტყვა იყო... ახლაც ჩამესმის მისი ხმა...

— შენ, უკვდავების ჩამონადენო...
მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა:
დიდება შენდა, ჩემო ნათელო, —
ქართულო სიტყვავ,
ქართულო სიტყვავ!

პოეზია და პოეტები საერთოდ ძალიან მიყვარს, მაგრამ გოგლა სხვა იყო... თვითონ მასაც საოცარი სითბო ჰქონდა ჩემს მიმართ. სადაა მისი გული, როგორ შეიძლება ასეთი გული აღარ ძგერდეს... ყველას დამამშვენებელი იყო იგი...

შენ, საქართველოს სიტურფევ,
მზესავით ამომავალო,
შენის მადლით და იმედით
გინდაც ხმელეთზე გავალო, —

— წერდა გოგლა ერთ ლექსში... მისი პოეზიის მადლითაც ხომ იმედიანად გავა ხმელეთზე ქართველი კაცი... სამშობლო ვის არ უყვარს, მაგრამ მან რაღაც საოცარი, გადამდები სიყვარული იცოდა... გარეგნობითაც ხომ საოცრად მომხიბვლელი იყო... ძალიან ძნელია მისი სრულყოფილი პორტრეტის დახატვა... და მაინც, როცა მასზე ვფიქრობ, ჩემს წარმოდგენაში, ცოცხლდება მისი ერთი შესანიშნავი ლექსი— ,,ჯაფირი“...

ამ დევკაცს ძუძუ ვინ მოაწოვა,
რომ სამარეც კი აქვს ახოვანი,
აურჩევია ნავსაყუდარად
ტყე ულრანი და ბალახოვანი.
ვით დიდი მუხა წამოქცეული
და ჩახერხილი, როგორც ნალეწი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეზრდილია მშობელ მიწასთან,
მისი შრეებით გადანალესი.
სძინავს ბუმბერაზს, ომში გადამდწარს,
ფიქრში ქართლს ითვლის თავის ხელთქმნილად,
და გრძნობს ბერმუხა, ათასი მუხა
მის ხერხემალზე ამოხეთქილა...

მინდა დაახლოებით მაინც, რაღაც ამდაგვარი იყოს ის პორტრეტი, რომელიც მასზე შეიქმნება. ვეთაყვანები მის სახელს.

* * *

ჩემი გული სავსეა მადლიერებით, ასე დიდხანს რომ ვიცოცხლე. მე განვიცადე ცხოვრება თავისი სიხარულითა და ტანჯვით... უსაზღვრო სიყვარულით მზისადმი, ყვავილებისადმი, ხელოვნებისადმი, მეგობრებისადმი, რომელთაც მე ვუყვარდი, დიდი ადამიანებისადმი, რომელთაც გაანათეს ჩემი გზა.

ხელოვნების მოვალეობა ხომ ისაა, რომ ადამიანებში აღძრას ,,ღვთაებრივი‘‘ გრძნობები, აჩვენოს მათ ღმერთი, რომელიც მათშივეა. ყველას შეუძლია ღმერთს დაემსგავსოს.

ხელოვანის მოვალეობა კიდევ უფრო მეტია... მან უნდა შექმნას ნამდვილი დიდი ნაწარმოები და საკუთარი თავი ცოცხალი ღმერთის სიყვარულს მოუტანოს მსხვერპლად.. ძალიან ხშირად მიფიქრია ამაზე... ჩემს თანამედროვეთა შორის ეს მსხვერპლი ყველაზე მეტად და ყველაზე ნიჭიერად, ჩემის აზრით, კონსტანტინე გამსახურდიამ გაიღო... იგი ჩასწვდა ადამიანის სულის ყოველ ტკივილს, ,,სულის, რომელიც ისე იკლაკნება ტანჯვის კოცონზე, როგორც მამა ,,ლაოკოონში‘‘ — ეს მისი სიტყვებია...

უაღრესად საინტერესო და მდიდარი პიროვნება იყო იგი. ახალგაზრდობის წლებშივე დავუმეგობრდით ერთმანეთს.. ერთად დავდიოდით საქართველოს გზებზე... ჭირშიც გვიცდია ერთმანეთი და ლხინშიც.

შემდეგ, როგორც თვითონ იტყოდა, ,,როცა განსწავლის წლები მოდგნენ‘‘..., იგი გერმანიაში გაემგზავრა, მე პარიზში მომიხდა წასვლა. იქაც შევხვდით ერთმანეთს. ეს იყო 1923 წელს, ცნობილ კაფე ,,როტონდაში‘‘.

რატომღაც მეგონა, პარიზსა და განსაკუთრებით ლუვრის სახელგანთქმულ დარბაზებში კონსტანტინეს მეგზურობას მე გავუწევდი, მოხდა კი პირიქით, იგი ლუვრში თავს ისე გრძნობდა, როგორც შინ და იქ დაცულ ზოგიერთ შედევრზე ისეთი სარწმუნო ცოდნა გამოამჟღავნა, რომ მე, ამ დარგში გარკვეული პრეტენზიის მქონე კაცმა, დუმილი ვამჯობინე.

ჩემთვის ცნობილი იყო მწერლის განსწავლულობა საერთოდ, მაგრამ თუ იგი სახვით ხელოვნებაშიც ასე ღრმად იყო ჩახედული, არ ვიცოდი.

პარიზში ჩვენ სამშობლოზე ფიქრი არ გვასვენებდა, განსაკუთრებით გვაღელვებდა ბედი ლიტერატურისა და ხელოვნებისა ახალ სამყაროში. სიჭაბუკის პერიოდიდან მოყოლებული, მოუწყვეტლად ვადევნებდი თვალს კონსტანტინეს შემოქმედებას. მახარებდა მისი ყოველი გამარჯვება და ის, რომ ჩვენთან, მხატვრებთან ბევრი რამ ჰქონდა საერთო.

ხელოვნების ჟანრიდან ყველაზე მეტად ფერწერა უყვარდა. ეს იყო მწერლის გულწრფელი აღიარება. ფერთა სიუხვით კალმის დიდოსტატი მხატვრებსაც კი გვაოცებდა. მისი წიგ-



კონსტანტინე გამსახურდია

ნები, ჩემის აზრით, ფერთა ენციკლოპედიაა, ხოლო მათი ავტორი ჩვენი თანამედროვეობის დიდი მხატვარი.

მინდა ერთი ეპიზოდი გავიხსენო, იგი დაკავშირებულია 1930 წლის ზაფხულთან. ბაკურიანში ვისვენებდი. მოულოდნელად მეწვია კონსტანტინე. სანადიროდ მივდივარ და შენც წამოდიო, მთხოვა. გაციებული ვიყავი. სიცხე მქონდა, თავს ცუდად ვგრძნობდი, გული დამწყდა, რადგან ვერ წავყევი. კონსტანტინე დაღონდა, მაგრამ რა უნდა ექნა. მარტო წავიდა. მე აივანზე გამოვაცილე... ძალიან უხდებოდა შავი ჩოხა და ფაფახი. როგორც მონადირეს შეჰფერის, თოფი ეჭირა ხელში. წელზე ხანჯალი ეკეთა, თანაც ორი მწევარი ახლდა — თეთრი და ნაცრისფერი... თვალს ვერ მოსწყვეტდი, ისეთი მშვენიერი და კოლორიტული იყო. ჩემმა მეუღლემაც ეს მითხრა... რა უხვად დააბერტყა ბუნებამ თავისი კალთა, ნიჭიც და სილამაზეც — ყველაფერი მისთვის გამოიმეტა... ყველაფერში განსხვავებული და თავისებურიაო.

მართლაც, ტანწვრილი, არცთუ ისე მაღალი, მაგრამ ძალიან აწყობილი... დამენანა, რომ თხოვნა ვერ შევუსრულე... როცა გზას მიეფარა, მაშინვე ოთახში შემოვბრუნდი. ფანქარი ავიღე და მისი სილუეტი მეხსიერებით მოვხაზე. ნახატი თხუთმეტ წუთში უკვე მზად იყო.

შემოდგომაზე კი, როცა თბილისში დავბრუნდი და კონსტანტინესთან მივედი, ეს ნახატი საჩუქრად მოვუტანე. ძალიან გაეხარდა. იცინა. ისევ გაიხსენა ის დღე, ისევ სინანული გამოთქვა, რომ ვერ წავყევი... მე კი ჩუმად მეღიმებოდა. ასე-



ლ. გუდიაშვილი — ციტრუსების კრეფა

თივე სინანულს განიცდიდა თვითონაც და ეს ამ ჩანახატიდანაც ჩანდა.

მითხრა, რაკი ასე მასიამოვნე, მეტი გზა აღარაა, უნდა გაპატიო იმ დღის ავადმყოფობაო...

ყოველთვის მსიამოვნებს მასზე ფიქრი და მისი გახსენება.

მახსოვს, ერთხელ კონსტანტინეს ეგვიპტიდან სამი იადონი ჩამოუყვანეს... ერთი მე გამომიგზავნა. საოცარი მგალობელი ჩიტი იყო...

— ჩემი იადონები კი არ გალობენო — გულდაწყვეტილი მეუბნებოდა ხოლმე, და ღიმილით დასძენდა... ალბათ, იმიტომ, შენნაირი სახელოსნო რომ არ მაქვსო, — კარგა ხანს მყავდა ის იადონი... ძალიან მიყვარდა...

ბევრი კეთილი სიტყვა და საქმე მახსოვს მისგან და ეს იმ პერიოდებში, როცა ყველაზე მეტად მჭირდებოდა მისნაირი ადამიანების იმედიანი ხმის მოსმენა...

თავისი კეთილი განწყობა კონსტანტინემ იმ შესანიშნავი წერილითაც დამიდასტურა, რომელიც ჩემი გამოფენის დღეებში დაბეჭდა.

მას თავისი ხალხის სიყვარული არ აკლია, მაგრამ მაინც ვუსურვებ მის სახელს სვეტიცხოვლის გამძლეობას და მისი ამგებლის მარჯვენის სიმტკიცეს...

* * *

არ შემიძლია, რამდენიმე სიტყვით მაინც არ გავიხსენო გერონტი ქიქოძე.. არ ვიცი, რა სიტყვებით უნდა გამოვხატო მისდამი სიყვარული და პატივისცემა...

აი, ახლაც ცოცხლდება თვალწინ 1957 წლის ზაფხულის უაღრესად ნერვიული და დაძაბული დღეები... სურათების სახელმწიფო გალერეაში უნდა გახსნილიყო ჩემი გამოფენა... ეს იყო სწორედ ის დღე, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე ვუცდიდი... შეფერხდა გამოფენის გახსნა. წყდებოდა ჩემი ყოფნა-არყოფნის საკითხი... ამის შესახებ უფრო ვრცლად ქვემოთ დავწერ. ახლა კი მინდა ვილაპარაკო გერონტი ქიქოძეზე... ის იყო ერთ-ერთი ჩემთვის იმ ძვირფას ადამიანთაგანი, რომელმაც უდიდესი ბრძოლა გასწია ამ გამოფენის გასახსნელად. მაგრამ, ცხადია, მარტო ამიტომ არ მიყვარს იგი ასე ძალიან... გერონტი ქიქოძე უაღრესად პატივსაცემი სახელია მთელ საქართველოში... უდიდესი ინტელექტის ადამიანი იყო, განსახიერება სიწმინდისა და პატიოსნებისა... მასაც ფანატიკურად უყვარდა თავისი ქვეყანა, თავისი ხალხი და სიცოცხლის ბოლომდე, თავდაუზოგავად ემსახურა კიდეც მას.

მახსენდება ერთი უაღრესად მწუხარე საღამო მწერალთა კავშირში — გალაკტიონის პანაშვიდი... ადამიანების მგლოვიარე, ცრემლიანი სახეები... შუაღამემდე არ შეწყვეტილა ხალხის ნაკადი... ალბათ, არც მაშინ შეწყდებოდა, კარები რომ არ ჩაეკეტათ... ხალხი კი მაინც არ იშლებოდა. ყველა გარეთ იდგა თითქმის გათენიამდე. განსაკუთრებით ახალგაზრდობა...

ჩემს მეხსიერებაში ჩაიბეჭდა გერონტი ქიქოძის ღიმილით განათებული სახე...

— შეხედეთ, როგორ უყვარს ქართველ ხალხს პოეზიაო...

არ მავიწყდება ეს სიტყვები და მუდამ რაღაც საოცარ სიხარულს განმაცდევინებს... ისეთი ლამაზი და ამაღლებული იყო ის მწუხარე საღამო, და მას ყველა ჩვენთაგანშიც ტკივილთან ერთად სწორედ იმ სიხარულისა და იმედის გაცნობიერებული განცდა ახლდა, გერონტიმ რომ ასე უბრალოდ გამოხატა...

არაფერი სჯობდა მასთან საუბარს... ბრწყინვალე ქართული იცოდა...

როგორ მიყვარს მისი თარგმნილი „ტრისტანისა და იზოლდას წიგნი"... ხშირად მომენატრება ხოლმე მისი წაკითხვა..

რაც შეეხება ხელოვნებას და, კერძოდ, მხატვრობას, იგი ბრწყინვალედ ერკვეოდა ამ დარგში. ღრმად იცნობდა ქართული და მსოფლიო ხელოვნების ისტორიას... საუბრებშიც და წერილებშიც დიდი ცოდნით იხსენიებდა ლეონარდოს, მიქელანჯელოს, ველასკესს, რაფაელს... უყვარდა ძველი ბერძნული და ეგვიპტური ქანდაკებები... აღმერთებდა სვეტიცხოვლისა და დავით გარეჯის მშენებელ ოსტატებს... უდიდეს სიხარულს განაცდევინებდა მცხეთისა და არმაზის გათხრები... მახსოვს თავისი მშვენიერი, მოჭუტული თვალებით დიდხანს დაჰყურებდა იგი პიტიახშების გათხრილ სამარხებს...

მრავალი წერილიც დაწერა ხელოვნების საკითხებზე...

თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი იყო, თუმცა, იშვიათად იცოდა ამ თემაზე ხმამაღალი და მჭევრმეტყველური საუბარი.. საერთოდაც იშვიათად მინახავს ტრიბუნაზე. მეგობრულ შეხვედრებში კი მის მოსმენას არაფერი სჯობდა. მუდამ ბუნებისაკენ და ძეგლებისაკენ მიუწევდა გული... გერონტი ქიქოძე ისეთი პიროვნება იყო, არ შეიძლებოდა, თუნდაც ერთხელ გენახა და სამუდამოდ არ აღბეჭდილიყო თქვენს ხსოვნაში მისი სახე, მისი ხმა, ღიმილი... უაღრესად ალერსიანი და მიმზიდველი ბუნება ჰქონდა. მასაც ბევრი წინააღმდეგობა და უსიამოვნება შეხვედრია, მაგრამ არასოდეს წონასწორობა არ დაუკარგავს, მუდამ გარეგნულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა, თუმცა



გიორგი ლეონიძე

უაღრესად ფაქიზი და ღრმა განცდების ადამიანი იყო. ეს მისი პიროვნების, მისი ხასიათის უძვირფასეს თვისებად მიმაჩნდა მუდამ.

თავისი გაუბზარავი, მთლიანი და მიმზიდველი პიროვნებით ადამიანებში უდიდეს პატივისცემასა და მოკრძალებას იწვევდა. მისი მთავარი, თანდაყოლილი ნიჭი თუ თვისება — სისადავე იყო.

იშვიათად იცოდა მკაცრი, კრიტიკული აზრის გამოთქმა. თავდაპირველად ყველაფერს მხოლოდ ინტერესის თვალით, ზოგჯერ კი ნახევრად ირონიული ღიმილით ჭვრეტდა.

ასეთი დამოკიდებულებით აფასებდა იგი, მაგალითად, ოციანი წლების ქართულ ლიტერატურულ მიმდინარეობებს. მან კარგად იცოდა, რომ ყოველ ახალ მიმდინარეობას ხელოვნებაში მუდამ დიდი წინააღმდეგობა და ხშირად დაუნდობელი ბრძოლის გადატანა ელოდება. მხოლოდ დრო გამოაჩენს ავსა და კარგს, უკეთესსა და უარესს, მართალსა და უმართებულოს... ბოლოსდაბოლოს, ასეთი მიმდინარეობები ხომ ერთგვარი ცდები და ექსპერიმენტებია... მათ გარეშე ხელოვნება ვერ განვითარდება... განა, პატარა საქმე გააკეთა ჩვენში სიმბოლიზმმა, თუნდაც ქართული ლექსის ფორმისა და მისი სახეობრივი აზროვნების სრულყოფისთვის? ასევეა ყველა მიმდინარეობა, ზოგ, ან ხშირ შემთხვევაში, რაღაცით მიუღებელი, მაგრამ რაღაცით მისაღები და საინტერესო. (მაგრამ ეს საუბრის სხვა თემაა და ახლა ამაზე არ მინდა ვილაპარაკო). ეს ყველაფერი იცოდა გერონტი ქიქოძემ... ამიტომაც, არასოდეს ჩამდგარა იმ უვიცი ადამიანების რიგებში, რომლებიც სასტიკად ებრძოდნენ ამ მიმდინარეობებს. ცხოვრებამ და დროთა მსვლელობამ თავისთავად მიუჩინა ადგილი ყველაფერს.

იშვიათად შემხვედრია ადამიანი, რომლის პიროვნებას ასე უხდებოდეს სიტყვა „დარბაისელი", როგორც ეს უხდებოდა გერონტი ქიქოძეს. კლასიკური სიმშვიდის განსახიერებად მიმაჩნდა მუდამ მისი სახე, მთელი მისი არსება. ძალიან უყვარდა ფეხით სიარული, ბუნებასთან და მიწასთან სიახლოვე. შეეძლო საათობით მარტო მჯდარიყო რომელიმე სკვერში, ან სადმე სხვაგან, ქალაქიდან მოშორებით...

ხშირად იტყოდა: სიკვდილის არ მეშინია, მაგრამ ამ მშვენიერი ქვეყნისა და მეგობრების დატოვება მენანებაო.

უყვარდა ახალგაზრდებთან საუბარი... ენდობოდა მათ სიტყვას, გემოვნებას. მახსოვს, როგორი სიყვარულით ლაპარაკობდა ლადო ასათიანზე.... რა კარგია, ჩვენს ახალგაზრდობას შორის ასეთი პოეტი რომ არისო.

სასოებით გადაფურცლავდა ხოლმე ანა კალანდაძის წიგნს... თვალებს მოჭუტავდა, სახეზე ნათელს გადაიფენდა და ღიმილით წაიკითხავდა კი არა, ზეპირად იტყოდა...

> მე ლამაზი მეგობარი მყავდა,
> თვალჟუჟუნა, წაბლისფერი თმებით...

დიდ იმედს ამყარებდა მუხრან მაჭავარიანზე...

რაც შეეხება თანამედროვე ქართულ მხატვრობას, თაყვანს სცემდა ნიკო ფიროსმანსა და დავით კაკაბაძეს... ძალიან უყვარდა იაკობ ნიკოლაძე...

უსაზღვროდ უხაროდა, ბოლო წლებში ასე რომ აღორძინდა ქართული სახვითი ხელოვნება, უხაროდა ახალგაზრდების ნიჭიერება... იმედით და რწმენით შეჰყურებდა მათ. ყველაზე მეტად კი მათში ის მოსწონდა, როცა ეროვნულ თავისებურებასა და ხასიათს ხედავდა... ყველაფრის ამოსავალი მისთვის სწორედ ეროვნულობა და ეროვნული ხასიათი იყო...

დავით კაკაბაძისადმი მიძღვნილ წერილში გერონტი ქიქოძე წერს: „დავითი იმ მომხიბლავ პიროვნებათა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც ყოველ ეპოქაში საზოგადოების სამკაულს წარმოადგენენო". იგივე შეიძლება ითქვას თვით მასზეც...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ახალი ლაურეატები



იოსებ კეჭაყმაძე

ცნობილი გახდა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ახალი ლაურეატები.

ახალი მუსიკალური ნაწარმოებების შექმნის დარგში ეს საპატიო წოდება მიენიჭა კომპოზიტორ ი. კეჭაყმაძეს. მას მიენიჭა პრემია საგუნდო პარაფრაზების ციკლისათვის ,,ძველი თბილისის სიმღერები‘‘.

საკონცერტო მოღვაწეობის დარგში პრემია მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო კვარტეტს (კ. ვარდელი, თ. ბათიაშვილი, ნ. ჟვანია, ო. ჩუბინიშვილი) 1975-1976 წლებში ნაყოფიერი საშემსრულებლო მოღვაწეობისათვის.

ი. კეჭაყმაძის ახალი ნაწარმოები შექმნილია ქართული სასიმღერო ფოლკლორული მასალის საფუძველზე. მან შეძლო თავის ნაწარმოებში ახლებურად, ორიგინალურად გადმოეცა ჩვენი მდიდარი მუსიკალური ხალხური კულტურის მხატვრული სახეები და ელემენტები. სპეციალისტთა ერთსულოვანი აზრით, კომპოზიტორმა ჩინებულად გამოიყენა ეს განუმეორებელი კოლორიტული მასალა პროფესიულ საგუნდო შემოქმედებაში. მან შექმნა ემოციური, ჭეშმარიტად ეროვნული და თანამედროვე ნაწარმოები. ,,ძველი თბილისის სიმღერები‘‘ დიდი წარმატებით შეასრულა საქართველოს სახელმწიფო კაპელამ გ. მუნჯიშვილის ხელმძღვანელობით.

კვარტეტების ბუდაპეშტის მსოფლიო კონკურსის ლაურეატი, რესპუბლიკის დამსახურებული კოლექტივი, საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი დიდად პოპულარულია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც.

კვარტეტის შესრულებისათვის დამახასიათებელია მასშტაბურობა და ფართო დიაპაზონი, ბგერის მაღალი კულტურა და ანსამბლურობა. სპეციალისტთა აზრით, კვარტეტის საუკეთესო თვისებებს განეკუთვნება შესანიშნავი ფრაზირება, მდიდარი დინამიკა და მაღალი პროფესიული დონე.

კვარტეტის რეპერტუარშია საბჭოთა და საზღვარგარეთელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

ქართული და საბჭოთა კამერული მუსიკის მგზნებარე პოპულარიზატორი — კვარტეტი დიდ საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა.

(საქინფორმი).

კონსტანტინე ვარდელი



თამაზ ბათიაშვილი



ნოდარ ჟვანია



ოთარ ჩუბინიშვილი



# კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ახალი ლაურეატები



გოგა ლორთქიფანიძე



ოთარ მეღვინეთუხუცესი



დოდო ანთაძე

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმმა დაამტკიცეს კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის მიმნიჭებელი მუდმივი კომიტეტის გადაწყვეტილება უკანასკნელი ორი წლის (1975-1976 წლები) საუკეთესო თეატრალური და თეორიული ნამუშევრებისათვის პრემიის მინიჭების შესახებ.

1. პრემია 1500 მანეთის ოდენობით მიენიჭათ:

გიგა დავითის ძე ლორთქიფანიძეს, რუსთავის თეატრის სპექტაკლის „მარტოობის დღესასწაულის“ („ფიროსმანი“) დამდგმელ რეჟისორს.

ოთარ ვახტანგის ძე მეღვინეთუხუცესს, რუსთავის თეატრის სპექტაკლში „მარტოობის დღესასწაული“ („ფიროსმანი“) ფიროსმანის როლის შესრულებისათვის.

2. პრემია 1500 მანეთის ოდენობით მიენიჭა დავით კონსტანტინეს ძე ანთაძეს ნაშრომისათვის „მარჯანიშვილთან ერთად“ (მოსკოვი, 1976 წელი).

(საქინფორმი).

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ სარედაქციო კოლეგია და რედაქციის კოლექტივი ულოცავენ ზაქარია ფალიაშვილისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიების ახალ ლაურეატებს ამ საპატიო წოდებებს.

# ქრონიკა


ქართული თეატრის დღე

● თეატრის დღეს — 14 იანვარს მიეძღვნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ გამოცემული ერთდროული გაზეთი „ქართული თეატრის დღე“, რომელიც ბევრ საინტერესო მასალას გვთავაზობს როგორც ქართული თეატრის ისტორიიდან, ასევე თანამედროვე თეატრის შესახებ. გაზეთში დაბეჭდილია საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის დიმიტრი ალექსიძის წერილი „დღევანდელობაში დაბადებული მომავალი“, დიმიტრი ჯანელიძის „ნიღაბი და დელფინი“, მიხეილ თუმანიშვილის „პირველი შეხვედრა სანდრო ახმეტელთან“, გიორგი ხუხაშვილის „დღეები და შთაბეჭდილებები“, ვასილ კიკნაძის „თეატრი და დრამატურგია“, ნათელა არველაძის „მოსაზრებანი სათეატრო კრიტიკაზე“, აკაკი ბაქრაძის „რაც შეეხება ახალგაზრდობას“, ვახტანგ ქართველიშვილის „მეოთხე ანტიგონე“, გურამ ბათიაშვილის „ვიზრუნოთ პერიფერიის თეატრის რეჟისურაზე“, ნადეჟდა შალუტაშვილის „თეატრი ხალხთა მეგობრობის სამსახურში“, თამაზ აბრამიძის „ახალგაზრდული შემართება“.

ქვეყნდება საუბრები: „ზუგდიდის თეატრის მომავალზე“, „თეატრის სამყაროში“, „ახალგაზრდათა შემოქმედება“... ლადო მესხიშვილის დაბადების 120 წლისთავს ეძღვნება სსრ კავშირის სახალხო არტისტის აკაკი ვასაძის წერილი „ქართული სცენის გმირი“. აქვე იბეჭდება გრიგოლ კოსტავას მოგონება პიერ კობახიძეზე, ხოლო პეტრე სარაჯიშვილის — უშანგი ჩხეიძეზე. ია დოლბაიას წერილი „თეატრის უზადო ოსტატი“ ეძღვნება რესპუბლიკის სახალხო მხატვრის ფ. ლაპიაშვილის შემოქმედებას, კოტე ნინიკაშვილის „გამოძახილი“ გვაცნობს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის გურამ საღარაძის როგორც მხატვრული კითხვის ოსტატის შემოქმედებას, ხოლო ეთერ გალუსტოვას „ნახევარსაუკუნოვანი გზა“ ლენინური კომკავშირის სახელობის თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრს ეხება.

გაზეთში რუბრიკით „ვულოცავთ“, გამოქვეყნებულია ვერიკო ანჯაფარიძის წერილი ლადო გუდიაშვილისადმი: „დამსახურებული ჯილდო“. სსრ კავშირის სახალხო არტისტის წოდების მინიჭებას ულოცავენ აგრეთვე დიმიტრი ალექსიძეს, მედეა ამირანაშვილსა და ლამარა ჭყონიას, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიას მერაბ ბერძენიშვილსა და გია ყანჩელს.

გაზეთის სარედაქციო კოლეგია ულოცავს ანდრია ბალანჩივაძესა და სესილია თაყაიშვილს დაბადების 70 წლისთავს. საიუბილეო თარიღებს ულოცავენ აგრეთვე ვერა დავიდოვას, გიორგი საღარაძეს, იუსუფ კობალაძეს, ვახტანგ ნინუას, კოტე მახარაძეს.

● საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ა. ბალანჩივაძის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.



კონცერტის დაწყებამდე მუსიკალური საზოგადოებრიობის სახელით კომპოზიტორს მიესალმა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მხატვრული ხელმძღვანელი კომპოზიტორი სულხან ნასიძე. შემდეგ კი შესრულდა ა. ბალანჩივაძის პირველი სიმფონია, მეოთხე საფორტეპიანო კონცერტი და საორკესტრო პიესა „მეგობრობის პოემა“ (პირველი შესრულება).

კონცერტში მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი პიანისტი ა. ჩერკასოვი და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატი დირიჟორი ჯანსუღ კახიძე.

● საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ გამოცხადებულ ყოველწლიურ კონკურსში საბჭოთა თემატიკის ამსახველ სპექტაკლში საუკეთესო რეჟისორული, აქტიორული (მამაკაცის, ქალის) და მხატვრის ნამუშევრისათვის (1975-1976 წლების სეზონი) პრემიებით დაჯილდოვდნენ:

რეჟისორული ნამუშევრისათვის — ქუთათელაძე ანზორ კონსტანტინეს ძე რ. თაბუკაშვილის პიესის „რას იტყვის ხალხი“ დადგმისათვის რუსთავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში.

აქტიორული ნამუშევრისათვის — შოთაძე ლეილა გრიგოლის ასული თამარის როლის შესრულებისათვის რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლში „რას იტყვის ხალხი“, ნინუა ვახტანგ დავითის ძე კაჰკაზიძის როლის შესრულებისათვის მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლში „როცა ქალაქს სძინავს“, ჟურავლიოვი გერმანე ივანეს-ძე სტაროსელსკის როლის შესრულებისათვის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლში „გაცილება“ და ცინცქილაძე ზურაბ როსტომის ძე ლევანის როლის შესრულებისათვის მეტეხის ახალგაზრდული დრამატული თეატრ-სტუდიის სპექტაკლში „მოსაწყენი დღეების ქრონიკა“.

ამასთანავე, დამატებითი პრემიებით დაჯილდოვდნენ შალვა დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობები: როგავა ალექსანდრე გრიგოლის ძე და მოსია შალვა დიანოზის ძე უკანასკნელ წლებში შექმნილი საუკეთესო როლებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

● 25-დან — 31 იანვრამდე საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მიმდინარეობდა საესტრადო მუსიკის პლენუმი, რომელიც საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირმა გამართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე წლისთავის აღსანიშნავად.

პლენუმში მონაწილეობდნენ ჩვენი რესპუბლიკის საესტრადო კოლექტივები — ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები — „75“, „ორერა“, „მზიური“, „ციცინათელა“(?), „მაისი“, საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს საესტრადო ორკესტრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საესტრადო ორკესტრი, აგრეთვე ბათუმისა და სოხუმის (აფსნი-67) თვითმოქმედი საესტრადო კოლექტივები.

საპლენუმო კონცერტებში მონაწილეობდნენ კომპოზიტორები — შ. მილორავა, ვ. აზარაშვილი, ნ. გიგაური, ნუნუ გაბუნია, ლ. შავერზაშვილი, დ. იაშვილი, მ. დიაკვნიშვილი, ა. რაქვიაშვილი, ი. ბარდანაშვილი.

31 იანვარს გაიმართა საპლენუმო კონცერტების განხილვა.

● ამას წინათ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ საარბრიუკენის სახელმწიფო თეატრმა წარმოადგინა პუჩინის „ტოსკას“ პრემიერა, რომელშიც მთავარი პარტიები შეასრულეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტებმა ც. ტატიშვილმა (ტოსკა) და ნ. ანდღულაძემ (კავარადოსი).

პრემიერას დიდი წარმატება ხვდა. საარის მხარის მუსიკალურმა საზოგადოებამ და პრესამ მაღალი შეფასება მისცეს ქართველი მომღერლების ხელოვნებას.

● ამ რამდენიმე ხნის წინ ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის საავტორო კონცერტი.

ამ საღამოზე პირველად იქნა წარმოდგენილი ო. თაქთაქიშვილის ახალი ნაწარმოები — კონცერტი ვიოლინოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის. სავიოლინო კონცერტი შეასრულა საქართველოს სახალხო არტისტმა, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა ლიანა ისაკაძემ და საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა ავტორის დირიჟორობით.

კონცერტის მეორე განყოფილება დაეთმო ო. თაქთაქიშვილის ორატორიას



„რუსთაველის ნაკვალევზე“, რომელსაც ასრულებდნენ საქართველოს სახელმწიფო კაპელა გ. მუნჯიშვილის ხელმძღვანელობით და საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი. სოლისტი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თამაზ ლაფერაშვილი. ორატორიას დირიჟორობდა ავტორი.



● ქართული საბჭოთა ხელოვნების კიდევ ერთ საგულისხმო თარიღად აღინიშნება საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის, სსრკ სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, მოქანდაკე კოტე მერაბიშვილის დაბადების 70 წლისთავი. თითქმის ხუთ ათეულ წელს მოიცავს ხელოვანის შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობა, — მრავალი მაღალმხატვრული სკულპტურული ქმნილებით რომ გაამდიდრა და მოქანდაკეთა მრავალრიცხოვანი კადრი მოუმზადა ქართულ სახვით ხელოვნებას.

იაკობ ნიკოლაძის მოწაფე, კონსტანტინე მერაბიშვილი ჯერ კიდევ თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი იყო (1929), როცა მოქანდაკე რუბენ თავაძესთან ერთად შექმნა ბორის ძნელაძის ძეგლი. უკვე აქედან ჩაეყარა საფუძველი მის მუშაობას მონუმენტურ ქანდაკებაში და შემდგომში დაზგურ პორტრეტულ ნაწარმოებებთან ერთად ამ ჟანრის ქმნილებებმა ფართოდ მოუხვეჭეს სახელი მოქანდაკეს. ეს გახლავთ შოთა რუსთაველის ძეგლი თბილისში, რუსთაველის მოედანზე, რომელიც 1943 წელს სახელმწიფო პრემიით აღინიშნა, ცნობილი ქართველი ფიზიოლოგის ივანე თარხნიშვილის, მირზა ფატალი ახუნდოვის, გიორგი ერისთავის (გორი), ვ. ი. ლენინის (ქუთაისი), დიდი ბულგარელი რევოლუციონერის გიორგი დიმიტროვის (მოსკოვი) ძეგლები; ხოლო მის მიერ შექმნილი მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა პორტრეტები, ქართული ქანდაკების თვალსაჩინო შენაძენია. მათ შორისაა იაკობ ნიკოლაძის, კონსტანტინე ერისთავის, მარტიროს სარიანის, ვასო გოძიაშვილის და სხვათა პორტრეტები.

1931 წლიდან კ. მერაბიშვილი ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, 1944 წლიდან უკვე პროფესორია.

ღვაწლმოსილი მოქანდაკე დღესაც გატაცებით, დაუღალავად ემსახურება მშობლიურ ხელოვნებას.

მოქანდაკის მხატვრული ოსტატობის ახალ გამოხატულებად იქცა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, დიდი ლენინის ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის სერგო ორჯონიკიძის ბრინჯაოს მონუმენტი, რომელიც ახლახან ჩვენს დედაქალაქში აღიმართა.

● დიდმა თეატრმა ბიზეს „კარმენის“ 1047-ე სპექტაკლით აღნიშნა რუსეთის სფსრ სახალხო არტისტისა და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის, პროფესორ ვერა დავიდოვას დაბადების სამოცდამეათე წლისთავი. ამ დღეს წარმოდგენაში მთავარ პარტიებს ასრულებდნენ რსფსრ დამსახურებული არტისტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი მ. კასრაშვილი (მიქაელა), საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ზ. სოტკილავა (ხოზე), რსფსრ დამსახურებული არტისტი გ. ბორისოვა (კარმენი) და რსფსრ სახალხო არტისტი ვ. ვალაიტისი (ესკამილიო).

სპექტაკლის შემდეგ იუბილარს მიესალმნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები: ს. ლემეშევი, ი. კოზლოვსკი, პ. ნორცოვი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დ. გამრეკელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ამას წინათ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მორიგი კონცერტი გამართა საქართველოს სახელმწიფო დამსახურებულმა სიმფონიურმა ორკესტრმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ჯ. კახიძის დირიჟორობით, სოლისტი ნ. ქათამაძე.

ორკესტრმა დაუკრა როსინის ოპერა „ქურდი კაჭკაჭის“ უვერტიურა; ამაღლებულად, დიდებულად გაისმა რ. ვაგნერის ოპერა „ტანჰეიზერის“ უვერტიურა, წარმატებით შესრულდა რახმანინოვის მესამე საფორტეპიანო კონცერტი (რე მინორი) და ცნობილი თანამედროვე სომეხი კომპოზიტორის ე. მირზოიანის მესამე სიმფონია.

ნინო ქათამაძემ ჯერ კიდევ მუსიკალურ ათწლედში (პედაგოგი ს. გაბუნია) მიიქცია ყურადღება. ამჟამად იგი თბილისის კონსერვატორიის სტუდენტია (პროფესორ ე. გურევიჩის კლასი). შესანიშნავი ტექნიკური აპარატი, ძლიერი, გამომსახველი ბგერა, მასშტაბურობა — ყოველივე ეს ნ. ქათამაძემ გამოავლინა რახმანინოვის მესამე საფორტეპიანო კონცერტის (რე მინორი) შესრულებისას, რომელიც ითვლება ერთ-ერთ ურთულეს ნაწარმოებად მსოფლიო საფორტეპიანო ლიტერატურაში.

საკონცერტო პროგრამაში იყო სომხეთის სსრ სახალხო არტისტის ე. მირზოიანის მესამე სიმფონია, დო მაჟორი, დაწერილი სიმებიანი ორკესტრისა და ტიმპანებისათვის ოთხ ნაწილად. სიმფონიის საკავშირო პრემიერა შესდგა 1962 წელს მოსკოვში, სსრკ კომპოზიტორთა მესამე ყრილობაზე. საქართველოში იგი მეორედ სრულდება. (რამდენიმე წლის წინ იგი შეასრულა საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის ორკესტრმა სომეხი დირიჟორის ა. კატანიანის ხელმძღვანელობით).

სიმფონიაში გამოვლინდა კომპოზიტორის ინტერესი მძაფრი, დრამატული ფსიქოლოგიური კოლიზიებისადმი. მიუხედავად სახეების და თემატური მასალის მრავალფეროვნებისა იგი საოცრად ლაკონიურია, მოკლებულია ყოველგვარ გარეგნულ ეფექტებს.

ე. მირზოიანმა დიდი კმაყოფილება გამოთქვა თბილისში მისი სიმფონიის შესრულების გამო. „დიდი ბედნიერებაა გყავდეს ისეთი დირიჟორი, როგორიცაა ჯ. კახიძე“ — განაცხადა კომპოზიტორმა.

მ. ჩიჯავაძე.

● რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა დადგა ალ. ჩხაიძის პიესა „თავისუფალი თემა“.

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია რ. ჩხაიძე, მხატვარი — გ. მესხიშვილი, მუსიკალურად გააფორმა დ. გურგენიძემ.

წარმოდგენაში როლებს ასრულებენ: საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ზ. ლებანიძე, მსახიობები ტ. ყველაიძე, ლ. გუდაძე, დ. კვირცხალია, ვ. გოგიტიძე, ლ. ბერბუთაშვილი, გ. მაღლაკელიძე, ზ. ბოცვაძე, ნ. ფაჩუაშვილი, გ. ფერაძე.



● საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ცნობილი რუსი პოეტის ბელა ახმადულინას შემოქმედებითი საღამო.



საღამო გახსნა და პოეტს მიესალმა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, პოეტი ი. ნონეშვილი.

შემდეგ ბ. ახმადულინამ წაიკითხა ალექსანდრე პუშკინის, ანა ახმატოვას, მარინა ცვეტაევას, ბორის პასტერნაკის, იოსებ მანდელშტამისა და სხვა ცნობილი პოეტებისადმი მიძღვნილი ლექსები, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის ლექსების თარგმანები, ნაწყვეტი პოემიდან, რომელიც მან საქართველოს უძღვნა და სხვა.

# პიონერი

● ჟურნალ „პიონერს“ 50 წელი შეუსრულდა.

იუბილეს დღეებში ჟურნალის რედაქციას მიესალმნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ჟურნალ „პიონერის“ რედაქცია და რედაქციის მუშაკები საპატიო სიგელებით დააჯილდოვა.

ჟურნალის რედაქცია საპატიო სიგელებით დააჯილდოვეს საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, პიონერთა ორგანიზაციის ცენტრალურმა საბჭომ, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკურმა საბჭომ.

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ჟურნალის საიუბილეო საღამო.

ჟურნალის ნახევარსაუკუნოვან გზაზე ილაპარაკა თავის მოხსენებაში „პიონერის“ მთავარმა რედაქტორმა ბ. შელიამ.

„პიონერის“ რედაქციას, რესპუბლიკის პიონერებსა და მოსწავლეებს იუბილე მიულოცეს საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ო. ქინქლაძემ, ჟურნალის პირველმა რედაქტორმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა შ. რადიანმა, მე-4 საკავშირო პიონერთა შეკრების დელეგატმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მე-5 კურსის სტუდენტმა თ. უკლებამ, პოეტმა ნ. კილასონიამ, სოციალისტური შრომის გმირმა, ახალგაზრდა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირმა, საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატმა შ. გიგინეიშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა, აზერბაიჯანის ჟურნალ „პიონერის“ პასუხისმგებელმა მდივანმა ნ. სულეიმანოვამა, ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მთავარმა რედაქტორმა მ. ბარათაშვილმა, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა რ. ჩხეიძემ და სხვ.

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია ულოცავენ ჟურნალ „პიონერს“ 50 წლის იუბილეს და უსურვებენ ახალ წარმატებებს მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში.

● ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა მორიგ პრემიერად წარმოადგინა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი" ა. წუწუნავას დადგმით. სპექტაკლის აღდგენაზე მუშაობდნენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ზ. ანჯაფარიძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი ჯ. ანჯაფარიძე, მხატვარი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ასკურავა, სპექტაკლის მუსიკალური ხელმძღვანელი საქართველოს სახალხო არტისტი დ. მირცხულავა, ქორმეისტერები — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები გ. ბუხრიკიძე და ა. დანელიანი, ქორეოგრაფი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. სუხიშვილი.

მთავარ როლებს ასრულებდნენ: სსრკ სახალხო არტისტი ზ. ანჯაფარიძე (მალხაზი), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. გურგენიძე (ნანო), ახალგაზრდა მომღერლები — მ. მაღლაფერიძე (მარო), ე. გეწაძე (კიაზო), ა. ჭიჭინაძე (ცანგალა) და სხვ.

● ბორის ავალიანი ქართულ საბჭოთა თეატრალურ მხატვრობაში კოსტუმებისა და სასცენო დეკორატიული ქსოვილების მხატვრულად დამუშავების (აპლიკაცია) პიონერად გვევლინება. ოციანი წლების ბოლოდან იწყება მისი ნაყოფიერი ძიებანი. მხატვრის ნამუშევრები სხვადასხვა დროს ექსპონირებული იყო რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებზე; დღესაც გამოფენილია მოსკოვის მ. გორკის სახელობის სამხატვრო აკადემიურ თეატრთან არსებული ექსპერიმენტული ლაბორატორიის საკავშირო მოძრავი გამოფენის მუდმივ ექსპოზიციაში.

1912 წელს, მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ბორის ავალიანმა იტალიაში იმოგზაურა. საქართველოში მცხოვრებ გამოჩენილ მხატვრებთან — იოსებ შარლემანთან და ევგენი ლანსერესთან ახლო მეგობრულმა ურთიერთობამ გააძლიერა მისი დაინტერესება მხატვრობით და მათივე ხელმძღვანელობით იგი იძენს პროფესიულ ჩვევებს. შემოქმედებითმა მონაცემებმა, გატაცებულმა შრომამ იგი ჩააბა ახალ საქმიანობაში, რომელიც ქართული თეატრალური მხატვრობის განვითარების გზებს, მის ძიებებს დაუკავშირდა.



თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, სადაც ძირითადად მიმდინარეობდა ბორის ავალიანის მოღვაწეობა, ოთხი ათეული წლის მანძილზე იგი არა მარტო მონაწილეობდა სპექტაკლების მხატვრულ გაფორმებაში, არამედ არაერთი სპეციალისტიც გამოზარდა. „მაღალი პროფესიონალიზმი, დიდი გემოვნება, სცენის საუცხოო ცოდნა, — ყველაფერი ეს სასურველსა და აუცილებელს ხდის მის მონაწილეობას სპექტაკლის შექმნაში. რაც შემეხება მე, უნდა ვაღიარო, რომ ოცდაათი წლის მანძილზე ყველა ჩემს დადგმაში მას მივმართავდი დახმარებისათვის, დიდია მისი წვლილი ქართული მუსიკალური თეატრის წინაშე". — ასე აფასებს თეატრის ცნობილი მხატვარი სოლომონ ვირსალაძე ბორის ავალიანის შემოქმედებას. მაღალ შეფასებას აძლევდნენ მის ხელოვნებას აგრეთვე სხვა გამოჩენილი ქართველი თეატრალური მხატვრებიც — ელენე ახვლედიანი, სერგო ქობულაძე, ირინე შტენბერგი, დიმიტრი თავაძე, იოსებ სუმბათაშვილი, ფარნაოზ ლაპიაშვილი, ივანე ასკურავა და სხვები, აგრეთვე საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის ხელმძღვანელები — ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი, ს. ვირსალაძის შესანიშნავი ესკიზების მიხედვით შექმნილი სამოსის მოხატვა - დამუშავებისათვის.

კარლო კუკულაძე.

● შარშან დეკემბერში თბილისში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ერთ-ერთ პავილიონში გაიხსნა გამოფენა „ამერიკის შეერთებული შტატების ფოტოგრაფია", რომელიც მოაწყო ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტომ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატების ხელშეწყობით.

გამოფენა გახსნა ამერიკის შეერთებული შტატების დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა სსრ კავშირში ჯეკ ფ. მეტლოკმა.

გამოფენის მომწყობთ მიესალმნენ რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე რ. ელიგულაშვილი და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ს. რიგვავა.

გამოფენამ თბილისელებს გააცნო ამერიკის შეერთებული შტატების ფოტოხელოვნების მიღწევები და ფოტოგრაფიული ტექნიკის ნიმუშები.

ი. სტრავინსკი



● რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა მიხეილ ჯავახიშვილის „ქალის ტვირთი". სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე თ. ჩხეიძე, მხატვარი — მ. შველიძე, ქორეოგრაფი — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ი. ზარეცკი.

წარმოდგენაში როლებს ასრულებენ: საქართველოს სსრ სახალხო არტისტი შ. კობახიძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები: ჟ. ლოლაშვილი, ხ. ისნელი, მსახიობები: მ. ჯანაშია, გ. ჭიჭინაძე, ს. აბრამიშვილი, ლ. გაფრინდაშვილი, რ. გოგინაშვილი, მ. გამცემლიძე, რ. მიქაბერიძე და სხვ.





ამას წინათ ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე გაიმართა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის იუსუფ კობალაძის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელიც გახსნა აჭარის ასსრ კულტურის მინისტრმა ლ. ბოლქვაძემ.

იუბილარის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენებით გამოვიდა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ჯ. ჩხეიძე.

იუბილარს მიესალმნენ საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი დ. ალექსიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ჩხარტიშვილი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ე. მანჯგალაძე, ბ. ზაქარიაძე, დ. ჭიჭინაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი რ. სტურუა, გამომცემლობა „ხელოვნების" დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ოთ. ეგაძე, კოლეგები, აჭარის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა წარმომადგენლები და სხვ.

დაბოლოს იუბილარის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნა სცენები სპექტაკლებიდან „ოიდიპოს მეფე", „ოტელო", „კიკვიძე".

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მოეწყო აღმოსავლური გამოყენებით-დეკორატიული ხელოვნების (XVIII-XIX სს.) ნამუშევართა გამოფენა, რომლის ექსპოზიცია შედგებოდა საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმის ფონდებში დაცული ნიმუშებიდან.





გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ირანული ფერწერა, ინდური ბრინჯაოს ქანდაკებები, ფიალები და კერამიკული ლანგრები თავრიზიდან, ტიხრული მინანქრით შემკობილი ლარნაკები და სასმისები იაპონიიდან, ფილიგრანულად დამუშავებული ვერცხლის სამკაულები, ქსოვილები და სხვ.

ი. მურადოვი.



გიორგი ლეჟავას სახელი განუყრელად უკავშირდება ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების გზას, მის წარმატებებს და მონაპოვრებს. პრაქტიკოსი არქიტექტორისა და მეცნიერ-მკვლევარის მოღვაწეობამ თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ეროვნული ხუროთმოძღვრების, მეცნიერების წინსვლასა და აღმავლობაში. როგორც არქიტექტორს, მას დიდი გამარჯვება მოუტანა საქართველოს სსრ მთავრობის სახლის წინა კორპუსის პროექტმა (1946 წ. არქიტექტორ ვ. კოკორინთან ერთად), აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსის, მრავალი საზოგადოებრივი და საცხოვრებელი ნაგებობის პროექტმა. ამ ნაგებობათა ხუროთმოძღვრება აღბეჭდილია ახლებური მიდგომით შემოქმედებითი ამოცანებისადმი, ეროვნულობით. თანმიმდევრული მუშაობა ქართული ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის მეცნიერული კვლევის დარგში ამდიდრებდა მას როგორც პრაქტიკოს-არქიტექტორს და ამდიდრებდა ქართულ მეცნიერებასაც. გ. ლეჟავა ავტორია რიგი შრომებისა საქართველოს მთის არქიტექტურის და არქეოლოგიური გათხრების შესახებ. ბოლო ათწლეულის მანძილზე, გარდაცვალებამდე იგი მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად და ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მთავარ არქიტექტორად.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი, მუდამ მისი მუშაობის შუაგულში ტრიალებდა. შემოქმედებითმა და საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ გ. ლეჟავას მოუპოვა დიდი ავტორიტეტი, პატივისცემა და სიყვარული.



რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივმა წარმოადგინა ედუარდო დე ფილიპოს „ცილინდრი". პიესის თარგმანი ეკუთვნის ტარიელ ჭანტურიას.

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე თამაზ მესხი, მხატვარი — გურამ მღებრიშვილი, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის ლია წკეპლაძეს.

წარმოდგენაში როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები: ია ხობუა, ჯ. გაგნიძე, ლ. ფილფანი, მსახიობები: ნ. მუხულიშვილი, გ. ტყეშელაშვილი, ვ. პაქსაშვილი, ა. გაბუნია, ა. შარმანაშვილი, ს. კიკნაძე, ნ. გამქრელიძე და სხვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«САБЧОТА ХЕЛОВНЕБА»

№ 3, 1977

ЖУРНАЛ МИНИСТЕРСТВА КУЛЬТУРЫ ГРУЗИНСКОЙ ССР

## IX СЪЕЗД ХУДОЖНИКОВ ГРУЗИИ

Публикуются Обращение ЦК КП Грузии к IX съезду художников Грузии, речь на съезде секретаря ЦК КП Грузии В. М. Сирадзе, а также расширенный отчет о работе форума мастеров кисти и резца. Здесь же помещены доклады первого секретаря правления Союза художников Грузии Н. Джанберидзе, секретарей Союза художников Г. Кутателадзе, Г. Очиаури, председателя секции живописи Р. Тордия, члена бюро секции декоративно-прикладного искусства А. Какабадзе, председателя секции художников кино и театра Г. Гуния, председателя секции молодых художников и искусствоведов М. Ахобадзе, главного редактора журнала «Сабчота хеловнеба» Т. Чиладзе. (стр. 2).

**Дмитрий Алексидзе**

## ВМЕШИВАЯСЬ В ЖИЗНЬ

В статье речь идет о сложностях, которые стоят сегодня перед профессией режиссера и о достижениях грузинского театра в этом направлении. Статья перепечатана из журнала «Театральная жизнь», 1976 г., № 24. (стр. 48).

**Ананда Беставашвили**

## «ДАР МОГУЧЕГО ВДОХНОВЕНИЯ...»

Печатается рецензия на новый художественный фильм видного грузинского режиссера Тенгиза Абуладзе «Волшебное дерево». (стр. 52).





**Ламара Догонадзе**

## МАРИНЭ ТБИЛЕЛИ

Публикуется творческий портрет народной артистки Грузинской ССР Маринэ Тбилели. Автор особо останавливается на ролях, явившихся этапными в искусстве артистки. (ст. 61).

**Гаяне Алибегашвили**

## ШЕКСПИР В ТВОРЧЕСТВЕ ГРУЗИНСКИХ ХУДОЖНИКОВ

Этой теме была посвящена выставка, организованная в выставочном зале Дома актера им. Ак. Хорава.

В статье речь идет о поисках и находках грузинских художников-участников выставки. (стр. 69).

**Сулхан Цинцадзе**

## ПОДЛИННО СОВРЕМЕННЫЙ АНСАМБЛЬ

В ознаменование плодотворной концертной деятельности заслуженному Государственному струнному квартету Грузии недавно присуждена премия имени З. Палиашвили.

Творчество этого замечательного коллектива рассматривает народный артист Грузинской ССР, лауреат премии им. З. Палиашвили, композитор Сулхан Цинцадзе, произведения которого занимают значительное место в репертуаре квартета. (стр. 76).

**Джумбер Корчилава**

## ВАРВАРА КИПИАНИ

В статье повествуется об общественной деятельности Варвары Ки-

пиани — первой грузинке физиологе, об ее участии в основании грузинской секции в Брюсельском международном музее (стр. 79).

**Соломон Хуцишвили**

### ВСТРЕЧИ И ЗАПИСИ

Публикуются воспоминания о грузинских артистках Мако Сапаровой-Абашидзе и Нато Габуния. (стр. 83).

**Нана Мирцхулава**

### ЦИКЛ ПОРТРЕТОВ КЕТЕВАН МАГАЛАШВИЛИ «ЕЛЕНА АХВЛЕДИАНИ»

Рассматриваются портреты Елены Ахвледиани, выполненные замечательной художницей Кетеван Магалашвили на разных этапах ее творчества (стр. 85).

**Нико Чихладзе**

### ВОСПОМИНАНИЕ ОБ АРТИСТЕ

Автор знакомит читателей с заслугами артистки Нино Чихладзе, внесшей свой вклад в развитие грузинского театра. (стр. 88).

**Вахтанг Беридзе**

### ПАМЯТИ ХУДОЖНИКА

Статья посвящена памяти скончавшегося недавно известного художника, мастера грузинской советской книжной графики, замечательного педагога Владимира (Ладо) Григолия (стр. 90).

**Гулбат Торадзе**

### АНАСТАСИЯ ВИРСАЛАДЗЕ

О жизни и творчестве известной пианистки и педагога, одной из основоположниц грузинской фортепианной школы, народной артистки Грузинской ССР Анастасии Вирсаладзе рассказывает автор данной статьи. (стр. 91).



ჟურნალში დაბეჭდილია მ. ბაბოვის, ი. მურადოვისა და პ. შევჩენკოს ფოტოები.

**Вахтанг Давитая**

### ВЫСТАВКА ПРОИЗВЕДЕНИЙ ГУЛЬДЫ КАЛАДЗЕ

В Грузинской государственной Картинной галлерее экспонировалась персональная выставка произведений скульптора и графика Гульды Каладзе.

В связи с выставкой автор рассказывает о творчестве талантливого художника (стр. 98).

**Элеонора Эксанишвили**

### БАЛАКИРЕВ И ГРУЗИЯ

Тесные узы дружбы связывали известного русского композитора М. А. Балакирева с деятелями грузинской культуры. В статье приведены письма композитора, а также адрес, посвященный ему и подписанный, наряду с другими, известными грузинскими композиторами М. Баланчивадзе и Д. Аракишвили. (стр. 104).

**Ладо Гудиашвили**

### КНИГА ВОСПОМИНАНИЙ

Продолжается публикация воспоминаний народного художника СССР Л. Гудиашвили. Автор рассказывает о встречах с Г. Леонидзе, К. Гамсахурдиа и Г. Кикодзе (стр. 106).

### НОВЫЕ ЛАУРЕАТЫ

В журнале дана справка о присуждении премии имени З. Палиашвили композитору И. Кечакмадзе и Государственному заслуженному струнному квартету Грузии (К. Вардели, Т. Батиашвили, Н. Жвания, О. Чубинишвили); премии имени К. Маржанишвили — режиссеру Гиге Лордкипанидзе, актеру Отару Мегвинетухуцеси и режиссеру Додо Антадзе. (стр. 112).


მხატვრული რედაქტორი ალექსი ბალაბუევი.

საქართველოს კპ ცენტრალური
კომიტეტის გამომცემლობა.
თბილისი, 1977.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/III-77 წ., უე 06846.
შეკვ. № 296. ტირაჟი 6.000. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 15.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 19,75. ფასი 1 მან.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის
გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქუჩა № 14, ტელ. 93-93-59.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის 5, ტელ. 95-10-24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

28-31

ИНДЕКС 76177